

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of
Economics

ეკონომისტი

EKONOMISTI

2018

2

ტომი-VOLUME
XIV

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of
Economics
International Reviewed Scientific-Analytical Journal**



გამოდის 2009 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2016 წლიდან – კვარტალში ერთხელ

**Published since January 2009 once in two months,
Since 2016 - Quarterly**

-

რედაქციის მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14;
ტელ.: 293 34 44; 599 970103.

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street,
tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103.

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

პროფესორები:

რამაზ აბესაძე (მთავარი რედაქტორი), იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, გივი ბედიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, გიორგი ბერუღაშვილი, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველეხიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, აღფრედ კურატაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, ვლადიმერ პაპავა (აკადემიკოსი), უშანგი სამადაშვილი, ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი), ავთანდილ სულაბერიძე, თეიმურაზ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ნოდარ ხაღური, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

მთავარი რედაქტორის თანაშემწე – ეკონომიკის დოქტორი მამუკა ხუსკივაძე
პასუხისმგებელი მდივანი – ეკონომიკის დოქტორი თეა ლაზარაშვილი

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს უცხოელი წევრები

ლარისა ბელინსკაია (ვილნიუსის უნივერსიტეტი), რუსლან გრინბერგი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი), სიმონე გუერჩინი (ფლორენციის უნივერსიტეტი), ვოლფგანგ ვენგი (ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი), ტომას დ. ვილგეტი (კლერმონტის უნივერსიტეტი), ელდარ ისმაილოვი (ბაქოს სოციალური მართვისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი), გინდრა კასნაუსკიენე (ვილნიუსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლა), სლავომირ პარტიცკი (იოანე პავლე II-ს სახელობის ლუბლიანას კათოლიკური უნივერსიტეტი), გალინა სავინა (ხარკოვის ტექნიკური უნივერსიტეტი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი), დაროლ ჯ. სტეინლი (პეპერდაინის უნივერსიტეტი), ალექს სტუპნიცკი (ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ეროვნული უნივერსიტეტი).

SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Professors:

Ramaz Abesadze (Editor-in-chief), Yuri Ananiashvili, Rosetta Asatiani, Givi Bedianashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Revaz Gvelesiani, Mikheil Jibuti, Revaz Kakulia, Nodar Khaduri, Eter Kharashvili, Alfred Kuratashvili, Murman Kvaratskhelia, Temur Kandelaki, Elguja Mekvabishvili, Vladimer Papava (academician), Solomon Pavliashvili, Ushang Samadashvili, Teimuraz Shengelia, Avtandil Silagadze (academician), Avtandil Sulaberidze.

Assistant Editor-in-chief – Doctors of economics **Mamuka Khuskivadze**

Executive Secretary – Doctors of economics **Tea Iazarashvili**

FOREIGN MEMBERS OF THE SCIENTIFIC EDITORIAL COUNCIL

Larisa Belinskaia (Vilnius University), Ruslan Grinberg (Institute of Economics of RAS), Simone Guercini (University of Florence), Eldar Ismailov (Baku Institute of Social Management and Political Science), Gindra Kasnauskiene (International Business School of Vilnius University), Slavomir Partycki (The John Paul II Catholic University of Lublin), Galina Savina (Kharkiv Technical University), Dmitri Sorokin (Institute of Economics of RAS), Darrol J. Stanley (University of Pepperdine), Oleksiy Stupnitsky (Taras Shevchenko National University of Kyiv), Wolfgang Weng (Technical University of Berlin), Thomas D. Willett (Claremont Graduate University).

ს ა რ ჩ ე მ შ ო - CONTENTS

საერთაშორისო ეკონომიკა – INTERNATIONAL ECONOMY

გიორგი ღაღანიძე, ბადრი რამიშვილი – საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო სადღოს გამომწვევი მიზეზები და მათი დაძლევის გზები 6
Giorgi Gaganidze, Badri Ramishvili – Causes of Georgia's negative foreign trade balance and ways of overcoming them (Expanded summary) 14

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა – AGRICULTURAL ECONOMY

პაატა კოღუაშვილი, ბადრი რამიშვილი – მიწის სტრატეგიის ფუნდამენტური საკითხები: მიწის სტრატეგია - სახელმწიფო სტრატეგიის საფუძველი 16
Paata Koguashvili, Badri Ramishvili – A Land Strategy as the Foundation of a State Strategy (Expanded summary) 22

დემოგრაფია – DEMOGRAPHY

მირიან ტუხაშვილი – დემოგრაფიული ვითარება საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში 25
Mirian Tukhashvili – Demographic Situation in Georgia-Turkey Border Regions (Expanded Summary) 33

საზღვარგარეთის გამოცდილება – FOREIGN EXPERIENCE

Tomasz Wolowiec, Daniel Szybowski, Sylwia Gwoździwicz – The Area Systems of Real Estate Taxation. Selected Problems and Ways of Reforming on the Example of Selected Countries of the European Union 35
ტომაშ ვოლოვიეცი, დანიელ შიბოვსკი, სილვია გვოზდიევიჩი – უძრავი ქონების დაბეგვრის არეალის სისტემები, შერჩევითი პრობლემები და რეფორმირების გზები ევროკავშირის შერჩეულ ქვეყნებში (რეზიუმე) 46

მაკროეკონომიკა – MACROECONOMICS

Marina Muchiashvili, Zamira Shonia – The Public Debt Sustainability Analysis of Georgia 47
მარინა მუჩიაშვილი, ზამირა შონია – საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი(კვლევა) (რეზიუმე) 51
მურთაზ კვირკვაია, ვასილ კიკუტაძე, დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი, ვახტანგ ჭარაია – ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო 52
Murtaz Kvirkvaia, Vasil Kikutadze, David Sikharulidze, Shota Shaburishvili, Vakhtang Charaia – Professional Orientation of Youngsters: International Experience and Georgia (Expanded Summary) 60

ზინანსები და საბანკო საქმე – FINANCE AND BANKING

დავით ასლანიშვილი, კრისტინე ომაძე – საერთაშორისო დისკუსიები საბანკო კრედიტსა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის შესახებ 62
David Aslanishvili, Kristine Omadze – International Discussions on Bank Credit and Economic Growth Relationship (Expanded Summary) 71

მენეჯმენტი – MANAGEMENT

<i>ნაირა გვედაშვილი</i> – ორგანიზაციის კულტურის ფორმირების თავისებურებები	74
<i>Naira Gvedashvili</i> – The Characteristics of the Organization Culture Formation	80
<i>მანანა ხარხელი, გიორგი მორჩილაძე</i> – პიროვნული ემოციონალური კომპეტენციის მნიშვნელობა საქმიან ურთიერთობებში	82
<i>Manana Kharkheli, Giorgi Morchiladze</i> – Importance of Personal Emotional Skills in Business (Expanded summary)	88

საჯარო ფინანსები – PUBLIC FINANCE

<i>დავით ასლანიშვილი</i> – საქართველოს სახელმწიფო ვალის სექიურიტიზაციის მაგალითი	90
<i>David Aslanishvili</i> – Georgia State Debts as Securitization Example (Expanded summary)	94
<i>მარიამ ვარდიაშვილი</i> – შემოსავლების აღრიცხვის ძირითადი ასპექტები საჯარო სექტორში	95
<i>Mariam Vardiashvili</i> – Main Aspects of Revenues Accounting in the Public Sector (Expanded summary)	102
<i>მარინა მაისურაძე</i> – სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის საკითხები	104
<i>Marina Maisuradze</i> – Spate Grants Accounting Issues (Expanded summary)	108

**მაბისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები
SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS**

<i>გიორგი მიქელაძე</i> – ინვესტიციების მოდელის შედარებითი ანალიზი (საქართველოს და აშშ-ს მაგალითზე)	110
<i>Mikeladze George</i> – Comparative Analysis of Investments Models (Case of USA and Georgia) (Expanded summary)	119
<i>ლევან დგებუაძე, მიხეილ ჩიკვილაძე</i> – ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მისაღწევად (საქართველოს მაგალითზე)	121
<i>Levan Dgebuadze, Mikheil Chikviladze</i> – Determination of optimal tax burden to achieve high rate economic growth (Case of Georgia)	129
<i>მარიამ ჯიბუტი</i> – მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა საქართველოში	134
<i>Mariam Jibuti</i> – Economic Development Policy for High Mountainous Regions in Georgia (Expanded summary)	138
<i>ნიკა ჩიტიშვილი</i> – გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები ურბანულ გარემოში	140
<i>Nika Chitishvili</i> – Opportunities for the implementation of Economic Policy of Environmental Protection in Urban Space (Expanded summary)	144
<i>ზურაბ კირკიტაძე</i> – უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დეტერმინანტების ანალიზი საქართველოში	146
<i>Zurab Kirkitadze</i> – Analysis of FDI determinants in Georgia (Expanded summary)	154

ხსოვნა	157
MEMORY	

საერთაშორისო ეკონომიკა
INTERNATIONAL ECONOMY

გიორგი ღაღანიძე
თსუ-ს პროფესორი
ბადრი რამიშვილი
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

საქართველოს უარყოფითი საბარეო სავაჭრო სალდოს გამოიწვევი
მიზეზები და მათი დაკლების გზები

რეზიუმე

ავტორები საქართველოს ეკონომიკური პრობლემებიდან უმთავრესად ანომალიურად უარყოფით სავაჭრო ბალანსს მიიჩნევენ. სწორედ ამ პრობლემას მიუძღვნეს მათ რამდენიმე გამოკვლევა. წინამდებარე სტატიაში საქართველოს სავაჭრო პრობლემები განხილულია ძირითადი სავაჭრო პარტნიორების რელევანტური რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის ფონზე. პრობლემების იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულია ისეთი ტრადიციული და შედარებით ახალი ინდიკატორები, როგორცაა: სასაქონლო, მომსახურებისა და ერთობლივი ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები, სავაჭრო სალდო, იმპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში, მშპ-ში ექსპორტისა და იმპორტის წილი, ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე, მიმდინარე სავადამხდელი ბალანსი და ა.შ. განხორციელებული კვლევის დროს ავტორები აქცენტს აკეთებენ საქართველოსთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, როგორცაა ანომალიურად დიდი უარყოფითი სალდო სასაქონლო ვაჭრობის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: სავარეო ვაჭრობა, ექსპორტი, იმპორტი, იმპორტჩანაცვლება, სავაჭრო ბალანსი, უარყოფითი სალდო.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პერმანენტული კრიზისის წინაშე დგას. გადის წლები, იცვლება მთავრობები და ხედვები, ცალკეულ პერიოდებში თითქოს ეკონომიკის გამოცოცხლების იმედიც ჩნდება, თუმცა პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა მაინც ეფემერული პერსპექტივის საკითხად რჩება. საქართველოს წინაშე არსებული ეკონომიკური პრობლემებიდან უმნიშვნელოვანესია ანომალიურად დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო, რაც უკვე ათწლეულების განმავლობაში ნარჩუნდება და ფიტავს ქვეყნის საფინანსო ბაზას. 1990-იანი წლების პირველ ხანებში ამგვარ ვითარებასთან ადაპტაციას საქართველოს ეკონომიკა მოსახლეობის მიერ დაგროვილი ქონების ხარჯზე ახდენდა, რაც შემდგომ წლებში შრომითი ემიგრაციის შედეგად მიღებულია შემოსავლებმა და უცხოურმა ინვესტიციებმა ჩაანაცვლა. მაგრამ, ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. ჯერ ერთი, შრომითი რესურსები ამოუწურავი არ არის და მეორე, წასული მოსახლეობა თანდათანობით კარგავს კავშირებს სამშობლოსთან, რაც ფულადი გზაწილების შემცირებას განაპირობებს. გამომდინარე აქედან, საქართველოს წინაშე უკვე დგას ან უახლოეს წლებში დადგება ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის პრობლემა, ძირითადად ადგილობრივი წარმოების ხარჯზე.

* * *

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი საგარეო ვაჭრობაში შექმნილი მდგომარეობა. როდესაც ამ მხრივ ვითარება უარყოფითია, საქმე გვაქვს ეკონომიკის სტრუქტურულ პრობლემასთან, რისი ხანგრძლივად შენარჩუნება შეიძლება სისტემურ კრიზისში გადაიზარდოს, ეკონომიკური ზრდაც შეანელოს და რეცესიაც კი გამოიწვიოს. იმ ქვეყნებში, სადაც სავაჭრო ბალანსის დეფიციტი აღინიშნება, ადგილი აქვს დაგროვების დაბალ ნორმას რის შედეგადაც მოსახლეობის მიერ შენახული კაპიტალი იმდენად მცირეა, რომ ვერ უზრუნველყოფს საინვესტიციო მოთხოვნილებას და ამ დროს საჭირო ხდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და თუ ამ მხრივ პრობლემები შეიქმნება, საქმე ეკონომიკის შემცირებასთან გვექნება. იმ ქვეყნებში კი, რომელთა მოსახლეობა განსაკუთრებით ბევრ საფინანსო სახსრებს გაიღებს დაგროვებაზე, ადგილი აქვს სავაჭრო ბალანსის პროფიციტს.

იმისთვის რომ კარგად გავერკვეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის პრობლემებში, აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს სავაჭრო ბალანსთან დაკავშირებით განსხვავებული პრობლემები აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ. საგარეო ვაჭრობაში მისი პრობლემა მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნებისგან და ამიტომ მას განცალკევებით შევხებით. აშშ-ს აბსოლუტური მანკვინებლობით, პლანეტაზე ყველაზე დიდი სავაჭრო დეფიციტი აქვს და ეს ხანგრძლივად ნარჩუნდება, თუმცა განსაკუთრებულ პრობლემას ამ ქვეყნის ეკონომიკას ეს არ უქმნის. ამის მიზეზი დოლარში უნდა ვეძიოთ, რომელზე მოთხოვნაც მხოლოდ აშშ-ის სავაჭრო ბალანსზე არ არის დამოკიდებული, რადგან ის მსოფლიოს დიდი ნაწილისთვის უმთავრეს სარეზერვო ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ქვემოთ განხილული იქნება რამდენიმე სხვა საინტერესო მაგალითი და ამის ფონზე შეფასდება საქართველოს საგარეო ვაჭრობაში შექმნილი ვითარება. მსჯელობას დავიწყებთ საქართველოსთვის აქტუალური სავაჭრო პარტნიორების მონაცემების ანალიზით.

ცხრილი 1

საქართველოსთვის აქტუალური ეკონომიკური პარტნიორების საგარეო ვაჭრობის ძირითადი მონაცემები 2016 წლის მიხედვით [ცხრილი შედგენილია 1-ის მონაცემების საფუძველზე]

	სასაქონლო ექსპორტი (\$მლრდ)	სასაქონლო იმპორტი (\$მლრდ)	მომსახურების ექსპორტი (\$მლრდ)	მომსახურების იმპორტი (\$მლრდ)	სულ ექსპორტი	სულ იმპორტი	სავაჭრო სალდო (\$მლრდ)	იმპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში
	1	2	3	4	5	6	7	8
ვეროკავშირი	1932.3	1888.8	917.0	771.8	2849.3	2660.6	188.6	48%
აშშ	1454.6	2251.3	732.5	481.9	2187.1	2733.3	-546.1	55%
ჩინეთი	2098.1	1587.4	207.2	449.8	2305.4	2037.2	268.1	47%
ინდოეთი	264.0	359.0	161.2	133.0	425.2	492.0	-66.8	54%
იაპონია	644.9	606.9	168.7	182.6	813.6	789.6	24.0	49%
აგს	265.9	225.0	62.5	82.0	328.4	307.0	21.3	48%
ბრაზილია	185.2	143.4	32.5	61.4	217.8	204.9	12.9	48%

ირანი	66.0	40.0	9.9	13.9	75.9	53.9	22.0	41%
ბულგარეთი	25.9	28.8	8.4	4.5	34.4	33.3	1.0	49%
რუმინეთი	63.5	74.5	19.7	11.2	83.2	85.8	-2.5	51%
თურქეთი	142.5	198.6	37.0	20.4	179.5	219.0	-39.4	55%
რუსეთი	281.8	191.4	49.6	72.8	331.5	264.2	67.2	44%
ბელორუსი	23.3	27.5	6.7	4.2	30.1	31.8	-1.6	51%
აზერბაიჯანი	10.9	9.2	4.3	7.4	15.2	16.6	-1.3	52%
სომხეთი	1.7	3.2	1.5	1.7	3.3	4.9	-1.6	60%
უკრაინა	36.3	39.1	12.0	10.1	48.4	49.2	-0.8	51%
მოლდოვა	2.0	4.0	1.0	0.7	3.0	4.8	-1.7	61%
ლიტვა	24.9	27.1	7.3	4.9	32.3	32.1	0.1	50%
ლატვია	12.1	14.2	4.6	2.6	16.7	16.8	-0.1	50%
ესტონეთი	13.1	14.9	6.0	4.1	19.2	19.1	0.1	50%
ყაზახეთი	36.7	25.1	6.0	10.8	42.8	35.9	6.8	46%
უზბეკეთი	10.0	11.5	-	-	-	-	-	-
ყირგიზეთი	1.5	3.9	0.8	0.9	2.4	4.8	-2.4	67%
თურქმენეთი	11.0	7.0	-	-	-	-	-	-
ტაჯიკეთი	0.9	3.1	0.2	0.3	1.1	3.4	-2.3	75%
საქართველო	2.1	7.2	3.2	1.6	5.3	8.9	-3.5	62%

სავაჭრო პარტნიორების ნუსხა ჩვენ რამდენიმე მიზეზის გათვალისწინებით შევადგინეთ. პირველ რიგში მასში ჩავრთეთ ის სახელმწიფოები, რომელთაც ყველაზე დიდი სავაჭრო ბრუნვა აქვთ საქართველოსთან. გარდა ამისა, ისტორიული კავშირებისა და საერთო წარსულის გამო, ამგვარად მივიჩნიეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა. ევროკავშირის მონაცემებისგან განცალკევებით იქნა განხილული ბულგარეთისა და რუმინეთის მონაცემები, რადგან ეს ქვეყნები ეკონომიკური განვითარების დონით ყველაზე ახლოს დგანან საქართველოსთან.

ცხრილი 1-დან მკაფიოდ გამოიყოფა ქვეყნების რამდენიმე ჯგუფი, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, სადაც საქართველოსთან ერთად შედის ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა და სომხეთი [Gaganidze G., 2018]. ყოველ მათგანს მკვეთრად უარყოფითი სავაჭრო სადღო აქვს და იმპორტის წილი სავაჭრო ბრუნვაში 60%-ს აღემატება. აღსანიშნავია რომ, ამ მაჩვენებლით მათგან საუკეთესოს, უახლოესი ქვეყნის მონაცემამდე 5 პროცენტული პუნქტი აშორებს. ასეთი უარყოფითი ბალანსი არა მარტო ეკონომიკურ პრობლემებზე, არამედ ეკონომიკის სტრუქტურულ დეგრადაციაზეც მიუთითებს, რისი გამომწვევიც მარტო ეკონომიკაში არ უნდა ვეძიოთ. მართლაც, ყოველ მათგანში ადგილი ჰქონდა მასშტაბურ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ დესტაბილიზაციას - სამოქალაქო ომს, სახელმწიფო გადატრიალებას, ეთნიკურ კონფლიქტს ან რამდენიმე მათგანს ერთად. საქართველოსთვის განსაკუთრებულად ტრაგიკულია ის, რომ ასეთი ვითარება დიდხანს გრძელდება და ის 1990-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოზე უარესი მაჩვენებელი ცხრილში წარმოდგენილი ქვეყნებიდან სავაჭრო სადღოს მხრივ, მხოლოდ ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს აქვს. საქართველოს სავაჭრო პრობლემების გარკვეულწილად მოგვარებას შეუწყობდა ხელს ერთიანი ამიერკავკასიური ბაზრის შექმნა, რაც საწყის ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური აგრარული მიმართულებით იქნებოდა,

თუმცა ეკონომიკური დასაბუთების მიუხედავად, კეთილი ზრახვების იქით საქმე წინ არ წასულა [Ramishvili B., Koghuashvili P.].

ზემოთ განხილული ჯგუფის შემდეგ, ცხრილში, სავაჭრო დეფიციტის მხრივ, ყველაზე უარესი მაჩვენებლები აქვთ აშშ-სა და თურქეთს. პირველ მათგანს უკვე შევეხეთ, ხოლო რაც შეეხება მეორეს, ეს მეტად დამაფიქრებელია ჩვენთვის. თურქეთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის, რომელთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი უკანასკნელი წლების განმავლობაში სტაბილურად \$1 მლრდ-ზე მეტია. ამ შემთხვევაში შემდეგი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: თურქეთი შეეცდება სავაჭრო დეფიციტის შემცირებას, რაც მას პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგებს. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებიდან პოზიტიური სავაჭრო ბალანსით სამი ქვეყანა გამოირჩევა, ესენია: ირანი, რუსეთი და ყაზახეთი. სამივე ამ ქვეყანას აერთიანებს ის, რომ ისინი ნედლეულის მსხვილი მიმწოდებლები არიან, ხოლო პირველი ორის მკვეთრად დადებით სავაჭრო ბალანსს ეკონომიკური სანქციებიც უწყობს ხელს.

ევროკავშირთან ვაჭრობა, ნებისმიერი ჭრილით ანალიზის შემთხვევაში, დადებითი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გაერთიანებასთან უარყოფითი სავაჭრო საღლო გვაქვს, იმპორტის სიდიდეც კი არ შეიძლება იყოს ამ დროს უარყოფითად აღქმული, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საქართველოში მაღალი ხარისხის საქონლის და ხშირ შემთხვევაში, უახლესი ტექნოლოგიების შემოტანასთან [Ramishvili B., Koghuashvili P.]. რაც შეეხება ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის შედწვევის გაფართოებას, ამისთვის საჭიროა რეგულაციური საექსპორტო სტრატეგიების შემუშავება, რაც კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას უნდა ეფუძნებოდეს [Gaganidze G. 2015]. აღნიშნულის საფუძველზე კი შესაძლებელი იქნება საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩინეთის მაგალითი, რომელსაც ასევე პროფიციტური სავაჭრო ბალანსი აქვს. ამ ქვეყნის დადებითი საღლო 2016 წლის მაჩვენებლით \$268.1 მლრდ-ს შეადგენს. ეს არც არის საკვირველი, თუ ამ ქვეყნის პროფილს გავითვალისწინებთ თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში. მას ხშირად მსოფლიო ფაბრიკასაც კი უწოდებენ, რასაც სასაქონლო ექსპორტის მაჩვენებელიც ადასტურებს, რომელიც ჩინეთს ყველაზე მაღალი აქვს მსოფლიოში და \$2 ტრლნ-ს აჭარბებს. სასაქონლო ვაჭრობის მხრივ პროფიციტი კი \$500 მლრდ-ს აღემატება. დიდი ხანი არ არის რაც საქართველომ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ეს კი, ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ფონზე წარმოშობს ეჭვს, რომ ამ ქვეყანასთან არსებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კიდევ უფრო გამძაფრდება, რასაც უკვე არსებული ფაქტობრივი მონაცემებიც ადასტურებს. კერძოდ, 2016 წელს არსებული დაახლოებით \$380 მლნ-იანი დეფიციტი 2017 წელს \$525 მლნ-მდე გაიზარდა.

ცხრილიდან საქართველოსთან დაკავშირებული ერთი ნიშანდობლივი ფაქტის შესახებაც ვიგებთ. იგი, განხილულებს შორის ერთადერთი ქვეყანაა, რომლის მომსახურების ექსპორტი მნიშვნელოვნად აჭარბებს სასაქონლოს. ეს, ტურისტული და სატრანსპორტო თაღსაზრისით, მის უნიკალურ პოტენციალზე მიუთითებს. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მომსახურების სავაჭრო საღლოს მხრივ მკვეთრად გამოსატყუელი \$1.6 მლრდ-იანი პროფიციტი აქვს და მომსახურების ექსპორტი 2-ჯერ აჭარბებს იმპორტს.

ვითარების უფრო ღრმა ანალიზისთვის, ჩვენი აზრით, სასურველი იქნება დამატებითი ინდიკატორების შემოტანა. ასეთებად მიგვაჩნია მშპ-ში ექსპორტისა და იმპორტის წილი, ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე და მიმდინარე საგადაამხდლო ბალანსი, გამოსახული მშპ-დან პროცენტული წილის სახით.

ცხრილი 2

საქართველოსთვის აქტუალური ეკონომიკური პარტნიორების საგარეო ვაჭრობის დამატებითი მონაცემები 2016 წლის მიხედვით [ცხრილი შედგენილია 1,2,3-ის მონაცემების საფუძველზე]

	მშპ (\$მლრდ-ში)	მშპ-ში ექსპორტის წილი	მშპ-ში იმპორტის წილი	მოსახლეობა მლნ	ექსპორტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე	იმპორტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე (\$)	მიმდინარე საგადასმდელო ბალანსი % მშპ-დან
	1	2	3	4	5	6	7
ევროკავშირი	16408.3	17.3%	-16.2%	516.2	5520	5154	2.4%
აშშ	18569.1	11.8%	-14.7%	326.6	6697	8369	-2.6%
ჩინეთი	11218.2	20.5%	-18.1%	1379.3	1671	1477	1.8%
ინდოეთი	2256.4	18.8%	-21.8%	1281.9	332	384	-0.9%
იაპონია	4938.6	16.5%	-16.0%	126.4	6437	6247	3.9%
აგს	371.3	88.4%	-82.7%	6.0	54733	51167	2.4%
ბრაზილია	1798.6	12.1%	-11.4%	207.3	1051	988	-1.3%
ირანი	376.7	20.1%	-14.3%	82.0	926	657	6.3%
ბულგარეთი	52.4	65.6%	-63.5%	7.1	4845	4690	4.2%
რუმინეთი	187.0	44.5%	-45.9%	21.5	3870	3991	-2.4%
თურქეთი	857.4	20.9%	-25.5%	80.8	2221	2710	-3.8%
რუსეთი	1280.7	25.9%	-20.6%	142.2	2331	1858	1.7%
ბელორუსი	48.8	61.7%	-65.2%	9.5	3168	3347	-4.3%
ახერბაიჯანი	37.5	40.5%	-44.3%	9.9	1535	1677	-3.8%
სომხეთი	10.5	31.4%	-46.7%	3.0	1100	1633	-2.9%
უკრაინა	93.3	51.9%	-52.7%	44.0	1100	1118	-3.6%
მოლდოვა	6.7	44.8%	-71.6%	3.4	882	1412	-3.4%
ლიტვა	42.7	75.6%	-75.2%	2.8	11536	11464	-0.9%
ლატვია	27.6	60.5%	-60.9%	1.9	8789	8842	1.5%
ესტონეთი	23.1	83.1%	-82.7%	1.2	16000	15917	2.7%
ყაზახეთი	133.7	32.0%	-26.6%	18.5	2313	1941	-6.1%
უზბეკეთი	66.5	-	-	29.7	-	-	1.4%
ყირგიზეთი	6.5	36.9%	-73.8%	5.7	421	842	-9.4%
თურქმენეთი	36.1	-	-	5.3	-	-	-21%
ტაჯიკეთი	6.9	15.9%	-49.3%	8.4	131	405	-5.1%
საქართველო	14.2	37.3%	-62.7%	3.7	1432	2405	-12.4%

ცხრილი 2-ში მოყვანილი მაჩვენებლების ანალიზს მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტისა და იმპორტის მოცულობით დავიწყებთ. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აქვს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს (აგს), რაც ქვეყნის ეკონომიკური მოდელით აიხსნება. იგი ხომ ახლო აღმოსავლეთის სასაქონლო შაბად გვევლინება, სადაც ნახევარფაბრიკატების ან თითქმის მზა პროდუქციის

იმპორტი, ლოგისტიკური დამუშავება, მისთვის შესაბამისი ფასეულობის დამატება და ექსპორტი ხდება. ასეთი მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტის გამოყენება საქართველოსთვისაც არ არის გამორიცხული, რადგან ჩვენ ქვეყანას ამისთვის საჭირო მეტად აუცილებელი რესურსი აქვს – გეოპოლიტიკური მდებარეობა. არაბეთის გაერთიანებული საემიროების სავაჭრო პროფილზე მეტყველებს მშპ-ში ექსპორტისა და იმპორტის მაღალი წილიც.

მშპ-ში ექსპორტისა და იმპორტის წილი ასევე მაღალი აქვს ესტონეთს და ესეც გეოპოლიტიკური მდგომარეობის კარგად გამოყენების მაგალითია. ის ერთგვარ სავაჭრო დამაკავშირებლად გვევლინება რუსეთსა და ევროპას შორის. მოსახლეობის ერთ სულზე ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებით ესტონეთი მეორე ადგილზეა, თუმცა ის მკვეთრად, რამდენჯერმე ჩამორჩება აგს-ს ანალოგიურ მონაცემს. ეს ნიშნავს, რომ ესტონეთში გაცილებით მეტი ფასეულობის დამატება ხდება შემოტანილ პროდუქციაზე, ანუ იქ წარმოების უფრო რთული სისტემებია განვითარებული. ვფიქრობთ, ესტონური მოდელი უფრო საინტერესოა საქართველოსთვის ვიდრე აგს-სი.

ცხრილი 2-ის კონტექსტით პოსტსაბჭოთა ქვეყნების იმ ჯგუფის მონაცემებს თუ განვიხილავთ, რომლებიც საქართველოს მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით და უახლესი ისტორიული წარსულით ხასიათდებიან და რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა მსჯელობა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანას შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს ყველა იმ ინდიკატორის მიხედვით, რომელთა შედარებითაც შეიძლება გარკვეული დასკვნის გამოტანა. მაგალითად, საქართველოს ამ ქვეყნებთან შედარებით საუკეთესო მაჩვენებელი აქვს მოსახლეობის ერთ-სულზე ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის მიხედვით.

საქართველოს იმპორტი მოსახლეობის ერთ სულზე 2016 წელს შეადგენდა \$2405-ს. თავისთავად იმპორტის მაღალი მაჩვენებელი არ არის საგანგაშო, ცუდია დიდი უარყოფითი ბალანსი. მაგალითად, ცხრილში მოყვანილი ქვეყნების იმპორტის საშუალო მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით \$6000-ია, რაც, ალბათ, ოპტიმალურთან მიახლოებულია თანამედროვე გლობალურ სამყაროში. გამომდინარე აქედან, პერსპექტივაში უნდა გაიზარდოს საქართველოს როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტიც, ოღონდ ეს უკანასკნელი უფრო მაღალი ტემპებით უნდა მატულობდეს.

მშპ-ში მიმდინარე საგადამხდელი ბალანსის წილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შევამჩნევთ, რომ საქართველოს ამ მხრივ ყველაზე მაღალი უარყოფითი მონაცემი აქვს ცხრილში წარმოდგენილ ქვეყნებს შორის. აქ ერთგვარად საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. ამ ინდიკატორის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მაღალი მონაცემები დადებითად შეიძლება შევაფასოთ. დადებითი მაჩვენებელი ნიშნავს ქვეყნის რეზიდენტების მიერ სხვა სახელმწიფოებში ინვესტირებას, ხოლო უარყოფითი კი უცხოური ინვესტიციების მაღალ დონეს. მაგალითად, საქართველოს მონაცემი მშპ-დან – 12.4%, აბსოლუტური მაჩვენებლით უდრის დაახლოებით \$1.76 მლრდ-ს, რაც დაახლოებით შეესაბამება ამ წლის უცხოური ინვესტიციების დონეს.

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო საღდოს დაძლევის შესახებ მსჯელობისას უპირველესად სასაქონლო მიმართულებას ვუღლისხმობთ, რადგან, თუ ცხრილი 1-ის მონაცემებს გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ სწორედ ამ განხრით ქონდა მას 2016 წელს \$5 მლრდ-ზე მეტი გარღვევა, ხოლო მომსახურების ვაჭრობის მხრივ პოზიტიური მდგომარეობა დაფიქსირდა. საინტერესოა თუ როგორი ვითარება იყო საქართველოს სასაქონლო ვაჭრობის მხრივ დინამიკაში, რის შესახებაც წარმოდგენას ცხრილი 3 იძლევა.

საქართველოს საგარეო სასაქონლო ვაჭრობის მაჩვენებლები
2010-2017 წწ. პერიოდში [ცხრილი შედგენილია 3-ის მონაცემების საფუძველზე]

წლები	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
იმპორტი (მლრდ აშშ დოლარი)	5.257	7.038	8.037	8.012	8.593	7.728	7.295	7.979
იმპორტის დინამიკა წინა წელთან შედარებით	117%	134%	114%	99.7%	107%	90 %	94%	109%
ექსპორტი (მლრდ აშშ დოლარი)	1.677	2.187	2.376	2.910	2.861	2.204	2.113	2.727
ექსპორტის დინამიკა წინა წელთან შედარებით	148 %	130 %	109 %	123 %	98 %	90 %	96 %	129%
სავაჭრო ბრუნვა (მლრდ აშშ დოლარი)	6.935	9.225	10.413	10.921	11.454	9.932	9.408	10.707
სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი	76 %	76 %	77 %	73 %	75 %	78 %	78%	75%
სავაჭრო ბალანსი (მლრდ აშშ დოლარი)	-3.580	-4.852	-5.661	-5.102	-5.733	-5.524	-5.182	-5.252
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1.380	1.693	1.606	1.812	1.873	1.637	1.657	2.063

ცხრილი 3-ის თანახმად, სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი, განსახილველ პერიოდში სტაბილურად მაღალი იყო და ის 73%-78% ფარგლებში მერყეობდა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 1995 წლიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოში ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვის საკითხი მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა, ყოველთვის მაღალი იყო და 2006-2009 წწ. პერიოდში დაახლოებით 80%-ს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ 2000-2003 წწ. პერიოდში, ოფიციალური მონაცემებით, სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი რამდენადმე დაბალი იყო და 69-71%-ს შეადგენდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებულად მაღალი კორუფციის გამო არ ხდებოდა იმპორტის სრულად აღრიცხვა, მაშინ, როდესაც ექსპორტის დამატების არანაირი საჭიროება ბიზნესს არ ჰქონდა. 2010-2017 წწ. პერიოდში ზრდის ტენდენცია აღინიშნება სავაჭრო ბრუნვის მხრივ, გამონაკლისია 2015 და 2016 წლები, როდესაც საქართველოს საგარეო ბაზრებზე და ქართული ემიგრაციის ძირითად ქვეყნებში მიმდინარე კრიზისის და ლარის კურსის ვარდნის გამო შემცირდა ეკონომიკური აქტივობა. აღსანიშნავია, რომ მოცემულ წლებში ექსპორტიც და იმპორტიც დაეცა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკაში იმდენად სუსტია მატერიალური წარმოების სექტორი, რომ მან ვერ ისარგებლა ლარის კურსის დაცემის შედეგად წარმოშობილი მნიშვნელოვანი შეღავათით. ცხრილი 3-ის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2010-2017 წწ. პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმპორტის მოცულობა და ზრდამ 52% შეადგინა. თავისთავად ეს ტენდენცია არ არის უარყოფითი მოვლენა, მაგრამ ვითარებას ართულებს ექსპორტის შეუსაბამოდ მცირე მაჩვენებლები და თავად იმპორტის სტრუქტურა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს აგრარული პროდუქციის წარმოების პოტენციალი, განსახილველ პერიოდში საქართველოში საშუალოდ დაახლოებით \$1 მლრდ-ს საკვები პროდუქციის იმპორტი ხორციელდებოდა. ეს კი

დაუშვებელია, რადგან საქართველოს შეუძლია გამოკვეთოს 12-16 მლნ ადამიანი, ხოლო აქედან მხოლოდ სოფლის მოსახლეობა შეიძლება იყოს 2.3 მლნ-დან 4.5 მლნ-მდე [Koghuashvili P., Ramishvili B., 2014].

დასკვნა

სტატიაში მოყვანილი სხვა მონაცემებისა და ცხრილ 3-ში წარმოდგენილი მაჩვენებლების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ საქართველოს უმთავრესი პრობლემა სასაქონლო ვაჭრობის მხრივ არსებული მეტად დიდი უარყოფითი სადღოა, რაც წლების განმავლობაში გრძელდება. ეს მაჩვენებელი 2012 წლიდან დაწყებული, ყოველთვის აჭარბებს \$5 მლრდს. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომიდან შეიძლება მკაფიო დასკვნის გამოტანა, რაც სასაქონლო მიმართულებით ანომალიურად დიდი უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირების აუცილებლობას ეხება. ეს, ერთი მხრივ, ექსპორტის წახალისებისა და მეორე მხრივ კი იმპორტ-ჩანაცვლების ხარჯზე, იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებით უნდა იქნეს მიღწეული. რისთვისაც აუცილებლად უნდა მოხდეს ექსპორტის წახალისებისა და იმპორტჩანაცვლების სტრატეგიების ფორმირება. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ორი სტრატეგიის ერთობლივად ფორმირების შემთხვევაში, მათ ურთიერთფორსირების ეფექტი ექნება. მაგალითად, ექსპორტის წახალისების სტრატეგიის შემუშავებისას, ჯერ ერთი, მოხდება მოცემული საქონლით ადგილობრივი ბაზრის უკეთ უზრუნველყოფა და, მეორე მხარეს სტრატეგია სიგნალს მისცემს მთელ დარგობრივ ფასეულობთა ჯაჭვს, რის შედეგადაც შეიძლება დაიწყოს საჭირო მაკომპლექტებლების ადგილობრივად წარმოება. გასათვალისწინებელია ასევე კლასტერული ეფექტიც, მომიჯნავე წარმოების განვითარების თვალსაზრისით. წარმატებული იმპორტჩანაცვლების სტრატეგია, თავის მხრივ, შეიძლება გადაიზარდოს საექსპორტო სტრატეგიაში. პორტერის გამოკვლევებს თუ დავეყრდნობით, საგარეო ბაზრის მიერ პროდუქციის მიღება ადგილობრივ ბაზარზე მიღწეულ წარმატებას ეფუძნება. თუ ამ მიდგომას მივიჩნევთ პრიორიტეტულად, მაშინ მივიღებთ, რომ ექსპორტის წახალისების სტრატეგია წარმატებული იმპორტ-ჩანაცვლების სტრატეგიის გაგრძელება შეიძლება იყოს.

ხშირად ექსპორტის წახალისების სტრატეგია თავის თავში ინოვაციურ კომპონენტსაც მოიცავს. ეს კი ახალი ადგილობრივი ბაზრის გახსნის საფუძველი შეიძლება გახდეს. ასეთ შემთხვევაში დიდი ალბათობით იმპორტირებული სუბსტიტუტების ჩანაცვლება მოხდება. სწორედ ამიტომ კარგი შედეგის მომტანი იქნება ექსპორტის წახალისებისა და იმპორტჩანაცვლების სტრატეგიების ერთობლივად შემუშავება, რაც საბოლოოდ საგარეო ვაჭრობის სტრატეგიად შეიძლება გაფორმდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFReporter.aspx?Language=E>
2. <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/>
3. <http://www.geostat.ge/>
4. **Gaganidze G. "FOREIGN TRADE OF GEORGIA, MOLDOVA AND THE UKRAINE WITH THE EUROPEAN UNION AFTER SIGNING THE ASSOCIATION AGREEMENT" Ecoforum 7 (N1, 2018);**
<http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/710>

5. **B. Ramishvili P. Koghuashvili "THE PROSPECTS OF THE DEVELOPMENT OF AGRARIAN SECTOR IN THE COUNTRIES OF SOUTH CAUCASUS IN THE CONDITIONS OF ECONOMIC GLOBAL", ANNALS OF AGRARIAN SCIENCE 7 (4), 167-169**
6. **Gaganidze, Giorgi. " Competitive advantages of Georgian non-agricultural products on the EU market" The Business & Management Review; London Vol. 6, Iss. 1, : 26-30. London: The Academy of Business and Retail Management (ABRM). (Feb 2015)**
7. **Gaganidze G. "GEORGIAN EXPORT POTENTIAL UTILIZATION ON THE EU MARKET"; Journal of International Management Studies . 2016, Vol. 16 Issue 1, p13-18. 6p. www.ebscohost.com**
8. **Paata Kogushvili, Badri Ramishvili "CAPACITY OF GEORGIAN VILLAGE"; Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2014**

Giorgi Gaganidze

Professor Tbilisi Ivane Javakhishvili State University;

Badri Ramishvili

Associate Professor Tbilisi Ivane Javakhishvili State University

CAUSES OF GEORGIA'S NEGATIVE FOREIGN TRADE BALANCE AND WAYS OF OVERCOMING THEM

Expanded summary

The aim of the work is to identify the foreign trade problems of Georgia. For this purpose authors selected the way of analyzing of international experience. They have identified those countries which are relevant for Georgia in terms of trade.

Out of economic problems of Georgia, the negative trade balance is considered as the most anomalous by the authors. They devoted several researches to the mentioned problem. In the present article, Georgia's trade problems are discussed at the background of analysis of relevant quantitative data of major trading partners.

Georgia's economy is facing a permanent crisis after the collapse of the Soviet Union. Time is going on, governments and visions are changing, in particular periods, even a hope for the revival of the economy appears, however the final solution to the problem remains as the issue of ephemeral perspective.

One of the most important criterion for the economic development evaluation of any country is the situation existing in foreign trade. When this situation is negative, we are dealing with the structural problems of the economy, which, in case of keeping it for a long period of time, may develop into the systemic crisis, slowing down economic growth and even causing recession. In countries where the trade balance deficit is high, the problems associated with the lowest rate of saving are arising, due to which the capital saved by the population is so small that it does not meet the investment requirement and, in this case the attraction of foreign trade investments take place, in case if we are facing problems in this field, then we deal with the reducing of the economy. In countries the population of which is rich enough to save more financial resources, there takes place a trade balance surplus.

Based on the presented data, it is possible to identify several groups of countries, out of which the authors are especially interested in those which include Georgia together with Tajikistan, Kyrgyzstan, Moldova and Armenia. Each of them has a sharply negative trade

balance and the share of the import in the trade turnover is higher than 60%. It should be noted that, according to this indicator, the best country of the group is lacking 5 percentage points to the nearest country data. Such negative balance not only points to economic problems but also structural degradation of the economy, the cause of which should not be seen only in the economy. In fact, each of them had a massive state-political destabilization - civil war, state turn over, ethnic conflict or some of them at the same time.

The analysis provided in the article is conducted on the basis of rich quantitative data. Authors use traditional and relatively new indicators for identifying problems such as: indicators of goods, services and general export and import, trade balance, import share in trade turnover, share of export and import in GDP, amount of export and import per capita, current balance of payments, etc. During the study, the authors are focused on Georgia's most important problem, such as anomalously large negative balance in commodity trade.

Authors in the paper stress the firm position of Georgia in terms of trade service. It is the only country among the discussed ones, whose service exports significantly exceed the commodity exports. This emphasizes its unique potential in terms of tourism and transportation. It is also noteworthy that, from the perspective of trade balance, Georgia has a sharp \$ 1.6 billion surplus and export of services 2 times exceeds their import.

Based on the indicators presented in the final part of the article, it is clear that the main problem in Georgia is the biggest negative balance existed in the sphere of commodity trading that has been continuing for years. Starting from 2012, this indicator always exceeds \$ 5 billion. That is why the authors make the correspondent conclusion at the end of the article, that it is necessary to reduce anomalously large negative trade balance in commodity direction. And in their opinion, on the one hand, it should be reached by means of encouraging of export and, on the other hand, at the expense of the import substitution through the improvement of the import structure. For which the formation of export promotion and import substitution strategies should be made. At the same time, should take into consideration that in the event of joint formation of these two strategies, they will have the mutual forcing effect. It is necessary to take into account the fact that often, the strategy of export promotion involves an innovative component as well. This, in turn, can be the basis for opening a new local market. In this case the replacement of imported substitutes will happen with a great possibility. That is why the good result will be reached through the joint development of export promotion and Import substitution strategies.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა
AGRICULTURAL ECONOMY

პაატა კოდუაშვილი
სტუ პროფესორი;
ბადრი რამიშვილი
ოსუ პროფესორი

მიწის სტრატეგიის ფუნდამენტური საკითხები:
მიწის სტრატეგია - სახელმწიფო სტრატეგიის საფუძველი

რეზიუმე

მიწის საკითხი სტრატეგიული მნიშვნელობისაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, ხოლო ისეთი მცირე ქვეყნისთვის კი, როგორც საქართველოა მას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ქვემოთ მოტანილ ნაშრომში ყურადღების კონცენტრაცია ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწების თავისუფალ საერთაშორისო ბაზარზე გატანის საკითხის გარშემო და ეს პრობლემა გაანალიზებულია ისეთი კატეგორიების კრილით, როგორცაა მიწის ფასი, მიწის რენტა, დემოგრაფიული ვითარება, სასოფლო-სამეურნეო სუბსიდირება და ა.შ. დასკვნის სახით სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ საქართველოში დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო მიწების თავისუფალ საერთაშორისო ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაშვება, რადგან ამ შემთხვევაში ქვეყანა დაკარგავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვან ნაწილს და რენტაბელური აგრარული სექტორის განვითარების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი, სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მიწის რენტა, სოფლის მეურნეობის სუბსიდირება.

შესავალი

საქართველოში არ წყდება დისკუსია მიწის კანონმდებლობასთან დაკავშირებით. კვლავაც აქტუალურია მოსაზრება სასოფლო-სამეურნეო მიწის თავისუფალ საერთაშორისო ბაზარზე გატანის შესახებ, რაც თითქოს ეკონომიკური არგუმენტებით საბუთდება. აღნიშნული პოზიციის მქონენი აცხადებენ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა გაზრდის მის ღირებულებას და შესაბამისად მოიმატებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კაპიტალიზაციას, რაც ფერმერების მიერ ფინანსური რესურსების მოძიებასა და ეკონომიკური აქტივობის ზრდას შეუწყობს ხელს. კლასიკური ეკონომიკური გაგებით, რაც უფრო დიდია მოთხოვნა საქონელზე, მით მეტია მისი ფასი, თუმცა ეს ერთი შეხედვით უდავო ჭეშმარიტება მხოლოდ ნაწილობრივ, გარკვეულ ფარგლებში ასახავს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ფასწარმოქმნის მექანიზმს და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების გაძვირების მხოლოდ ამით დასაბუთება ეკონომიკური პრიმიტივიზმია. ჩვენ შევეცდებით, წარმოვანიშნოთ ზემოაღნიშნული პოზიციის აბსურდულობა და მკაფიო, ეკონომიკური ლოგიკის საფუძველზე დავასაბუთოთ მოსაზრება, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების თავისუფალ საერთაშორისო ბაზარზე გატანა ვერ შეუწყობს ხელს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხოლო გრძელვადიანი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს რომ დამღუპველია, ამის შესახებ არაერთხელ მიგვითითებია.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფასწარმოქმნის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მიწის რენტა და სასოფლო-სამეურნეო მიწასთან დაკავშირებული

საკანონმდებლო რეგულაციები. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მიწის ფასის განსასაზღვრელი ფორმულის მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ მიწის რენტაა. თავის მხრივ, სასოფლო-სამეურნეო მიწის რენტის უმნიშვნელოვანესი მდგენელი სავარგულის ნაყოფიერებაა. ქვემოთ წარმოდგენილია მიწის ფასის განსაზღვრის საყოველთაოდ აღიარებული ფორმულა:

$$\text{მიწის ფასი} = \frac{\text{რენტა}}{s_g} \times 100\% \quad (1)$$

სადაც, რენტა მიწის წლიური საიჯარო გადასახადია, s_g კი – სესხის რეალური საშუალო საბანკო საპროცენტო განაკვეთი. სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საიჯარო გადასახადი პირდაპირაა დაკავშირებული მიწის ნაყოფიერებასთან, მის ხარისხთან, გასაღების ბაზრებსა და კომუნიკაციებთან სიახლოვესთან. როგორც ამას ჯერ კიდევ დაეიდ რიკარდო აღნიშნავდა, მიწის ფასს განაპირობებს მასზე მოწეული პროდუქციის ღირებულება და არა პირიქით [Ricardo D., 1815]. ეკონომიკური თეორიის დიდი კლასიკოსის ამ მიგნებას გამოვიყენებთ ჩვენი შემდგომი მსჯელობის დროსაც.

სტატიის დასაწყისში გავაკრიტიკეთ მტკიცება, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო მიწაზე მოთხოვნის ზრდა პერმანენტულად იწვევს მიწის ფასის მატებას. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში არსებობს გარკვეული ჭერი, რის მიღწევის შემდეგაც მიწა ფაქტობრივად კარგავს სასოფლო-სამეურნეო სტატუსს. აღნიშნულის დასამტკიცებლად არგუმენტად უპირველესად სწორედ მიწის ფასის ფორმულის ანალიზს გამოვიყენებთ.

$$\text{რენტა} = \frac{\text{მიწის ფასი} \times s_g}{100\%} \quad (2)$$

ფორმულა (2)-დან, რაც ფორმულა (1)-ის გარდაქმნილი ვარიანტია, გამომდინარეობს, რომ მიწის ფასის პერმანენტულად გაზრდის შემთხვევაში რენტის მოცულობაც შესაბამისად უნდა გაიზარდოს. თუმცა, ამ დროს უნდა გავიხსენოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის რენტის საფუძველი მიწის ნაყოფიერებაა და ასევე დაეიდ რიკარდოს მიგნება, რომ მიწაზე მოწეული პროდუქციის ღირებულება განსაზღვრავს მიწის ფასს და არა პირიქით, მიწის ფასის შედეგად დგინდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება. მიწის ნაყოფიერებას კი, ისევე როგორც მოსავლიანობას, ზედა ზღვარი აქვს და ეს მოცემულობები ტექნოლოგიური განვითარების ტემპებითაა შეზღუდული.

უფრო დაწვრილებით და კონკრეტულად მსჯელობისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: ვთქვათ მოთხოვნის ზრდის გამო მიწის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. არასასოფლო-სამეურნეო მიწების ზედა ზღვარი მართლაც დამოკიდებულია მოთხოვნაზე და იმის გათვალისწინებით რომ მიწა შეზღუდული რესურსია, მისი ფასი შეიძლება ძალიან მაღალიც კი იყოს. სხვადასხვა კატეგორიის მიწის ფასი მსოფლიოში საკმაოდ ვარირებს და მისი ღირებულება არასასოფლო-სამეურნეო მიწის 1 ჰა-ს შემთხვევაში შეიძლება რამდენიმე ათეული \$მლნ ან მეტიც კი იყოს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მსოფლიო ფასების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ნიდერლანდებში და ის \$57,000 [2] აღწევს 1 ჰექტარზე. აქ ჩვენ არ განვიხილეთ მალტისა და ევროპის სხვა რამდენიმე საკურორტო რეგიონის შესაბამისი მონაცემები, რაც \$100,000-150,000 [2] აღწევს 1 ჰა-ზე, რადგან ამ რეგიონებში განვითარებულია ტურიზმი, რის გამოც აქ არ არის განვითარებული მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნუ-

ლებაც შესაბამისად იცვლება. რაც შეეხება ნიდერლანდებს, თუ (2) ფორმულას გამოვიყენებთ და დავუშვებთ, რომ სესხზე რეალური საშუალო საბანკო საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 1.5%-ს შეადგენს, მივიღებთ, რომ ამ ქვეყანაში მიწის რენტა წელიწადში დაახლოებით \$850-ია. თუ ნიდერლანდების სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას და იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ იქ 1 ჰა-ზე \$10,000-\$15,000 პროდუქციას აწარმოებენ, მსგავსი საიჯარო გადასახადი ეკონომიკურად სრულიად რეალურია.

დავუბრუნდეთ ჩვენს ჰიპოთეტურ მაგალითს და განვიხილოთ ვითარება, როდესაც 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფასი \$0.5 მლნ-ს მიაღწევს, ხოლო სესხზე რეალური საშუალო საბანკო საპროცენტო განაკვეთი კი 10%-ია (რაც საქართველოსთვის მინიმალურია), ასეთ პირობებში მიწის რენტა \$50,000 უნდა იყოს წელიწადში. დედამიწაზე არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო კულტურა და ტექნოლოგია, რომელიც იმგვარ მოსავლიანობას უზრუნველყოფს, რაც ამ რენტის თუნდაც უმცირესი ნაწილის დაფარვის შესაძლებლობას წარმოშობს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფასი გარკვეულ ზღვარს გადააჭარბებს, მიწის ეს ნაკვეთი კარგავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებას, რადგან მასზე ნაყოფიერებაზე გაცილებით ძლიერი რენტის წარმომქნელი სხვა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას და მასზე ნებისმიერი კულტურის მოყვანა არარენტაბელური ხდება. მაგალითად, ხორბლის მოყვანის შემთხვევაში, ამ მოცულობის რენტის წარმოქმნისთვის მოსავლიანობა 100 ტონაზე მეტი უნდა იყოს 1-ჰაზე, კარტოფილისა კი 500 ტონაზე მეტი და ა.შ. და რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიწის ბუნებრივი ნაყოფიერების ხარჯზე. ცხადია, მსგავსი მოსავლიანობა თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პირობებში წარმოუდგენელია და მომავალშიც საეჭვოა თუ მზის ენერჯის ფართობის ერთეულზე მოდინების და მცენარეების მიერ მისი შეთვისების ფაქტობრივ მონაცემებს გავითვალისწინებთ.

ჩვენ მიერ განხილული ჰიპოთეტური მაგალითი ნათლად ადასტურებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასის პერმანენტული ზრდის პირობებში, გარკვეული ზღვრის გადალახვის შემდეგ ის კარგავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სტატუსს. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მსგავსი ვითარება არ ქმნის საგანგაშო სიტუაციას სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, ნიდერლანდების შემთხვევაში ვითარებას ამსუბუქებს სესხის ძალიან დაბალი საშუალო საბანკო საპროცენტო განაკვეთი, რაც მიწის ფასის ფორმულის ლოგიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამცირებს რენტის გადასახადს და სოფლის მეურნეობის იმგვარი დარგობრივი სტრუქტურა, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთეულიდან მაქსიმალური შემოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა. აშშ-ში ხემოაღნიშნული პრობლემა მწვავედ არ იგრძნობა იმის გამო, რომ ეს ქვეყანა ფლობს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწების უდიდეს ფართობებს. გარდა აღნიშნულისა, ევროკავშირისა და აშშ-ის შემთხვევაში აუცილებლად გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების უმაღლესი დონე და აგრეთვე ის უდიდესი სახელმწიფო მხარდაჭერა, რაც ამ ქვეყნებში აგრარულ სექტორს გაეწევა. ამ უკანასკნელს კვლავ შეეხებოდა სტატის ბოლოს.

საქართველოში კი სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაა, რისი ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი რეგიონში უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობებია, რაც ტურიზმის განვითარებისა და სამოსახლო თვალსაზრისით საუკეთესოა და თუ ამას დავუმატებთ უკიდურეს მცირემიწიანობას და მიწის ფართობების დანაწევრებას, ეს ყოველივე მძიმე ფონს ქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაციისთვის. შედეგად, საქართველო დგას იმ საფრთხის წინაშე, რომ მიწის ფასის ზრდამ შეიძლება კიდევ უფრო არარენტაბელური გახადოს ადგილობრივი სოფლის მეურნეობა და შედეგად, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან

გამოვიდეს დიდი ფართობები. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის ანალიზს მოვიშველიებთ.

ჩვენ მიმდინარე წლის აპრილის პირველი ნახევრის განმავლობაში შევისწავლეთ გასაყიდად გამოტანილი სავარგულების გამყიდველის მიერ შეთავაზებული ფასები, რისთვისაც ვისარგებლეთ უძრავი ქონების საეჭრო საიტის მკომპეგ-ის ინფორმაციით, რომელიც უპირობო ლიდერია ამ მიმართულებით. ანალიზის დროს გამოვირიცხეთ აშკარად მარგინალური მონაცემები, აგრეთვე ვაანალიზებდით ისეთი სავარგულების ფასებს, რომლებიც დაკვირვების მომენტში თავისუფალი იყო მრავალწლიანი ნარგავებისა და მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებებისგან.

ანალიზის შედეგად აშკარად გამოვლინდა საქართველოს ის რაიონები, სადაც ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი იმდენად მაღალია, რომ მათ ფაქტობრივად დაკარგული აქვთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მნიშვნელობა და ამ სახელწოდებას მხოლოდ ფორმალური დატვირთვლა დარჩა. ესენია მცხეთა, ბორჯომი, დუშეთი, გარდაბანი და ზღვისპირა რაიონები. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მცხეთა და ბორჯომი, სადაც ნაკვეთების დიდი უმრავლესობის ფასები 1 ჰა-ზე \$ 50,000-\$1,000,000 [3] ფარგლებში მერყეობს. ზემოთ განხორციელებული ჰიპოთეტური ანალიზი რომ მოვიშველიოთ, ამგვარი მიწების 1 ჰა-ზე რენტა \$ 5,000-\$100,000 ფარგლებში უნდა მერყეობდეს, ხოლო მეწარმის შემოსავალი კიდევ უფრო მაღალი უნდა იყოს. რაც, რომ არაფერი ვთქვამთ მაღალ ზღვარზე, დაბალის მიღწევაც კი საქართველოს პირობებში შეუძლებელია. იგივე მდგომარეობაა დუშეთის, გარდაბნის და საქართველოს ზღვისპირა რაიონების მნიშვნელოვან ნაწილშიც. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ მცხეთასა და ბორჯომში თითქმის მთლიანად, ხოლო დუშეთში, გარდაბანსა და ზღვისპირა რაიონებში დიდწილად, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე სასაქონლო წარმოება შეუძლებელია.

ახლა განვიხილოთ თუ რა შედეგს მოუტანს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თავისუფალ საერთაშორისო ბაზარზე გატანა. ამისთვის სრულიად საკმარისია თვალი გადავაავლოთ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების ბუნებრივ-კლიმატურ და დემოგრაფიულ მახვენებლებს. სრული ჭეშმარიტება იქნება თუ დავასკვნით, რომ საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის საუკეთესო პავითა და ბუნებრივ-კლიმატური პირობებით გამოირჩევა. უფრო მეტიც, სამხრეთით რამდენიმე ასეული კილომეტრის შემდეგ იწყება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი უდაბნოს ზონა. დემოგრაფიულ მახვენებლებს თუ მოვიშველიებთ, შევამჩნევთ რომ გარდა რუსეთისა, მეზობლებს შორის საქართველო ყველაზე მეჩხერად დასახლებული ქვეყანაა. 2015 წლის მონაცემებით აზერბაიჯანში 1 კმ²-ზე ცხოვრობს 113[4] ადამიანი, სომხეთში დ 103[4], თურქეთში დ 101[4], საქართველოს ანალოგიური ინდიკატორი კი 53[4] ადამიანია. ირანისა და ერაყის სიმჭიდროვის მაჩვენებლებია 50[4] და 85[4] ადამიანი შესაბამისად, რაც, მართალია, არ არის ძალიან მაღალი, სამაგიეროდ სხვა ისეთი დემოგრაფიული მონაცემები, როგორცაა მოსახლეობის საერთო რაოდენობა და წლიური ზრდის ტემპები აქ შთამბეჭდავია. ირანის მოსახლეობა 2015 წლისთვის იყო 82[4] მლნ, ხოლო ერაყისა კი დ 37[4] მლნ. ირანის მოსახლეობა წლიურად იზრდებოდა 1.2%-ით[4], ხოლო ერაყისა კი თითქმის 3%-ით[4], რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. აქვე აუცილებელია მოვიყვანოთ ისეთი ქვეყნების მოსახლეობის სიმჭიდროვის მონაცემები, როგორცაა პაკისტანი, ისრაელი, ინდოეთი და ბანგლადეში, რომლებიც არცთუ შორს მდებარეობენ საქართველოდან, ეს მაჩვენებლებია შესაბამისად 250[4], 389[4], 381[4] და 1134[4] ადამიანი 1 კმ²-ზე შესაბამისად. მეტი თვალსაჩინოებისთვის დავძენთ, რომ საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე პაკისტანის შესაბამისი რომ იყოს, აქ უნდა ცხოვრობდეს 17.5 მლნ ადამიანი, ისრაელის და ინდოეთის შესაბამისი რომ

იყოს დ 26-27 მლნ, ხოლო ბანგლადეშის სიმჭიდროვის გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი 80 მლნ-ს აღწევს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ თუ საქართველოში მოხდება სასოფლო-სამეურნეო მიწის საერთაშორისო ბაზარზე თავისუფალ მიმოქცევაში დაშვება, მას შეისყიდის მეზობელი ქვეყნების მოსახლეობა და, დიდი ალბათობით, ასეთი მიწების უდიდესი ნაწილი გამოვა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, რაც საქართველოში სოფლის მეურნეობას, როგორც ეკონომიკის დარგს, გაანადგურებს. მაგალითად, იმისთვის რომ ათვისებულ იქნეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მთლიანად და სატიტულო ნაცია უმცირესობაში გადავიდეს, საჭიროა მიწის შექმნის მოთხოვნა ყოველწლიურად წარმოეშვას ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ქვეყნების მოსახლეობის 0,01%-ს და ეს პროცესი გაგრძელდეს 20 წლის განმავლობაში. ასეთ პირობებში მართალია ქართული მიწები მართლაც იმდენად გაძვირდება, რომ გამოვა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან, რადგან საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მეიდეულები მათ ძირითადად სამოსახლოდ გამოიყენებენ და ასეთი მაგალითები საქართველოში უკვე არსებობს. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ცალკეული ნაკვეთები დაეთმობა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, მათ დაიკავენ ქართული ტრადიციისთვის უცხო მეურნეობა. ამასთან, მეტად დანაწევრებულ სავარგულებზე შეუძლებელი იქნება სასაქონლო წარმოება და ამას იმ მოსახლეობის მისწრაფებებიც შეუწყობს ხელს, რომელიც აბორიგენულს ჩანაცვლებს. მაგალითად, განხილული ქვეყნების უმრავლესობის გაჭირვებული გლეხების საკმაო რაოდენობას შეუძლია რამდენიმე კექტიანი ნაკვეთის შექმნა და აქ ისეთი მეურნეობის გაჩაღება, რაც მასა და მის ოჯახს სურსათით უზრუნველყოფს, ეს კი დიდი ბედნიერებაა მათთვის.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულება უმნიშვნელოვანესი ელემენტია წარმატებული მეურნეობის ორგანიზებისთვის. სტატიის წინა ნაწილში მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ მთელ რიგ რაიონებში, რომელთაც სააგარაკე-ტურისტული დატვირთვა აქვთ, მიწის (და მ.შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების) ღირებულებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ იქ წარმოუდგენელია რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება. ქვემოთ კი, ჩვენი განხილვის საგანი იქნება ის ტერიტორიები, რომლებიც უნდა დარჩეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში.

უძრავი ქონების სავაჭრო საიტის მუქომეგე-ის ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამყიდველების მიერ შეთავაზებული ფასი 1 ჰა-ზე მერყეობს \$500-დან \$50000-მდე [3]. დიდი ამპლიტუდა გამოწვეულია გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებით, აგრეთვე იმით, რომ ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარება მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. \$500-ის ფარგლებში იყიდება ის საძოვრები, რომელთა რელიეფი პერსპექტივაშიც არ იძლევა იქ მძიმე ტექნიკისა და სარწყავი სისტემების გამოყენების შესაძლებლობას. \$1000-მდე ღირს კარგი ხარისხის საძოვრები და სათიბები, რომელთა გაკულტურებაც პერსპექტივაში შესაძლებელია. \$1000-\$2000 ღირს სახნავი მიწები, ამასთან, კარგ ადგილზე განლაგებული ან სარწყავი მაღალი კატეგორიის მიწების ფასი მნიშვნელოვნად მეტია. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან განსაკუთრებით ძვირად ფასობს ის მიწები, რაზედაც მრავალწლიანი კულტურების მოყვანა შესაძლებელია. საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელობის მიხედვით გამოირჩევა რამდენიმე კულტურა: დასავლეთ საქართველოში ესაა თხილი, ციტრუსები და ზოგან ვენახი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ვენახი და ზოგან კაკლოვნები, აგრეთვე, ტრადიციულად, სხვადასხვა სახის ხილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში თანდათანობით ფეხს იკიდებს ისეთი კულტურების მოვლა-მოყვანა, რომლებიც არ იყო ტრადიციული ჩვენი ქვეყნისთვის. ესენია კივი, ლურჯი მოცვი, უოლო და ა.შ. იმ მიწების 1 ჰა-ს ფასი, სადაც

ზემოაღნიშნული მრავალწლიანი კულტურების გაშენებაა შესაძლებელი, \$50,000-იც კი შეიძლება იყოს.

ზემოთ დავასაბუთეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასის ზრდა არ შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ, თუმცა საინტერესოა ის ფაქტიც, თუ როგორია საქართველოსა და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფასების შედარება, რადგან მათი არგუმენტი, ვინც სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზრის ლიბერალიზებას ემხრობა, ისიც არის, რომ ქართული მიწების ფასი არსებითად ჩამორჩება ანალოგიურ საერთაშორისო მაჩვენებლებს. ეს დამოკიდებულებაც ზერელეა და მის გასაბათილებლად საჭიროა საკითხის ღრმა ანალიზი. მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ყველაზე ძვირია ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში. ამასთან, აქ ყველაზე მაღალგანვითარებულია აგრარული სფერო. ამიტომ ჩვენს ყურადღებას მათ გარშემო შევაჩერებთ.

აშშ-ში 2014-2017 წლებში 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო ღირებულება \$7,500 [5] იყო. აშშ-ის მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით მესამედის ფასი 1 ჰა-ზე \$5,500 [5] ან ნაკლებია, ხოლო მაქსიმალური ფასი კი \$21,000 [5] ან მეტი, რაც ნიუ-იორკის გარშემო შტატებსა და კალიფორნიაში ფიქსირდება. კატეგორიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1 ჰა სახნავი მიწების საშუალო ფასი \$10,000 [5]-ია, ხოლო საძოვრისა კი \$3,300 [5].

ევროკავშირის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო მიწების ფასი ქვეყნების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია. ყველაზე იაფი ის ღირს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში და ასევე რუმინეთში, ამ ქვეყნებში სახნავი მიწების საშუალო ფასი 2014 წლისთვის დაახლოებით \$3000-\$3300 [2] იყო, ხოლო საძოვრისა კი \$1700-\$2600 [2]. ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე უმაღლესი ფასების შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, ხოლო რაც შეეხება საშუალო ფასებს, ამავე პერიოდისთვის ის დაახლოებით \$15000-\$20000 ფარგლებშია.

აღნიშნულ მონაცემებს საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ, ცხადი გახდება, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე არსებული ფასები სულაც არაა დაბალი. მაგრამ, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, თუ რაოდენ დიდი დახმარება გაეწევა სოფლის მეურნეობის დარგს აშშ-სა და ევროკავშირში მაშინ შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ ამგვარი პოლიტიკის გატარებამდე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასმა მაქსიმუმს მიაღწია. მაგალითად, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ბიუჯეტმა 2016 წელს \$156 [6] მლრდ შეადგინა, ხოლო ხარჯებმა კი \$148 [6] მლრდ. ევროკავშირში 2014-2020 წწ. პერიოდში 2011 წლის ფასებით გათვალისწინებულია €362.79 [7] მლრდ-ს დახარჯვა, საიდანაც €277.85 [7] მლრდ დაიხარჯება „საერთო სასოფლო-სამეურნეო პროგრამაზე“, ხოლო € 84.94 [7] მლრდ „სოფლის განვითარების პროგრამაზე“. ცხადია, ასეთი უზარმაზარი საფინანსო დახმარება ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო მიწების ფასის ზრდას და მსგავსი დაფინანსების შემთხვევაში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქართველოში მაღალი კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფასმა უკვე მიაღწია მაქსიმუმს. ფასის ზრდის შესაძლებლობა ამიერიდან ძირითადად სახელმწიფო სუბსიდირების სისტემურ პოლიტიკასთან იქნება დაკავშირებული, რის გარეშეც აქ რენტაბელური და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება შეუძლებელია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი ფაქტობრივად ვეღარ გამოდგება სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, რადგან მასზე მოწვეული პროდუქციის თვითღირებულება ძალიან მაღალი იქნება მიწის მაღალი ფასის გამო. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მიწის სტატუსის დროული და ადეკვატური ცვლილება, რადგან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაბევგვის სრულიად სხვა, შეღავათიან ველში ხვდება, რითაც ზარალდება ქვეყნის (ძირითადად ადგილობრივი მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტი. რაც შეეხება იმ ტერიტორიებს, სადაც გადაწყდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მათ კანონმდებლობით უნდა განუმტკიცდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სტატუსი, მისი შეცვლა კი ფაქტობრივად შეუძლებელი უნდა იყოს და ასეთი მიწების მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის მიყიდვა უნდა გამოირიცხოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. David Ricardo, „Essay on the Influence of a Low Price of Corn on the Profits of Stock“ 1815
2. EUROPEAN COMMISSION EUROSTAT - Agricultural Land Prices and Rents data for the European Union 2016
3. <https://www.myhome.ge>
4. ბადრი რამიშვილი, „დემოგრაფიული ტრენდი - თანამედროვე გლობალური გეოსტრატეგიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი მდგენელი და მისი გავლენა საქართველოზე“ ეკონომიკა და ბიზნესი №1 2016
5. USDA - Land Values 2017 Summary
6. USDA - FY 2016 BUDGET SUMMARY AND ANNUAL PERFORMANCE PLAN
7. 2014-20 Multiannual Financial Framework (MFF)
8. პაატა კოლუაშვილი, ბადრი რამიშვილი, „მიწა და სახელმწიფო“, ეკონომიკა და ბიზნესი, №1 2011.

Paata Koguashvili
professor of STU;
Badri Ramishvili
professor of TSU

A LAND STRATEGY AS THE FOUNDATION OF A STATE STRATEGY **Expanded summary**

There has long been a discussion on land legislation in Georgia. The idea of placing agricultural land on the free international market is still valid, which is allegedly justified by the economic arguments. Proponents of this approach state that the sale of agricultural land to foreign nationals will increase its value and consequently, will increase the capitalization of agricultural enterprises that in turn, will make it easier for farmers to search for resources and will contribute to the growth of economic activity. In classical economic sense, the higher the demand for goods, the higher is the price, although this seemingly doubtless truth, only partially and within certain limits reflects the mechanism of pricing on agriculture land and the justification of rise in prices of Georgian agricultural lands only by this argument is just economic primitivism. In the article, the authors indicate the absurdity of the abovementioned position and, on the basis of a clear economic logic, assert that the placement of agricultural land on the free international market will not promote the development of agriculture in Georgia.

In agricultural land pricing, a number of factors should be taken into consideration, of which the most important is the land rent and legislative regulations related to agricultural lands. It is not by accident that the land rent is an important component of the land price determining formula. On the other hand, the essential part of the rent of agricultural land is land capacity. The universally recognized formula for determining land price is as follows:

$$\text{Land price} = \frac{\text{Rent}}{ir} \times 100\% , (1)$$

where rent is an annual rental value of land, but *ir* is a real average bank interest rate. Rental value of agricultural land is directly linked to land capacity, its quality, proximity to markets and means of communication.

At the beginning of article, the authors criticize the allegation that the growing demand for agriculture land is permanently causing an increase in land price. They believe that there is a certain ceiling in this case, after reaching of which, the land actually loses the agricultural status. In order to prove that, first of all, they use precisely the analysis of the land price formula.

$$\text{Rent} = \frac{\text{Land price} \times ir}{100\%} (2)$$

From the formula (2), which is a transformed version of the formula (1), it follows that in case of a permanent rise in land price, the rent rate should also be increased. However, the basis for agricultural land rent is land capacity, and the value of products grown on this land determines land price, and not vice versa, when the value of agricultural products is determined by land price. Land capacity, as well as the yield, has an upper limit, and these qualities are restricted by the rates of technological development.

In Georgia, there are unique natural-climatic conditions in the region, which is the best in terms of tourism development, and if we add to this extremely small farm size and fragmentation of lands, all this creates a severe background for industrialization of agriculture. As a result, Georgia is facing the threat that a rise in land price could make it even more unprofitable for local agriculture, and this may result in withdrawal of large areas from agricultural use. In order to justify this view, the authors use the local land market data.

The analysis revealed the regions of Georgia, where some agricultural land prices are so high that they have actually lost their agricultural value, and this name has only been formalized. These include Mtskheta, Borjomi, Dusheti, Gardabani and seaside districts. In this regard, Mtskheta and Borjomi deserve special attention, where the prices of the vast majority of the locations of land vary between \$ 50,000- \$ 1,000,000 per hectare.

The authors also analyze the natural-climatic and demographic data in Georgia's neighboring countries, and based on all the above mentioned, they concluded that if in Georgia agricultural lands will be allowed to place on the free international market, they will be purchased by the population from neighboring countries, and most of these lands are likely to withdraw from , of such in the largest Circuit come from agricultural use, which will destroy agriculture in Georgia as an economic sector.

The authors believe that the view, according to which the price of agricultural land in Georgia is lagging far behind the same data in the developed countries, and in order to align it, it is necessary to thoroughly analyze this issue. The the most expensive agricultural lands in the world are in the EU countries and USA. In addition, they have the most developed agriculture sector. So the attention of the authors is concentrated on them.

The average price of 1 hectare of agricultural land in the USA, in 2014-2017, was \$ 7,500. The price of approximately one third of all agricultural lands in the United States is \$ 5,500 or less per hectare, and the maximum price is \$ 21,000 or over, which is observed in the states of New York and California. To judge by the categories, the average price of 1 ha of arable lands is \$ 10,000, while the price of pasture is \$ 3,300.

The prices of agricultural lands in the EU countries differed sharply. The lowest land prices are in the countries of former Soviet Union, such as Lithuania, Latvia and Estonia, as well as in Romania, where the average price of arable lands in 2014 was about \$ 3000- \$ 3300, while the pasture land price was \$ 1700- \$ 2600. The highest prices for agricultural lands In the European Union have already been discussed above, but as to the average prices for the same period, they vary between \$15,000 and \$20000.

By comparing these data and similar indicators of Georgia, becomes obvious that the prices of agricultural lands in Georgia are not low at all. However, considering the extent to which the agricultural sector in the USA and the EU is supported, it can be concluded that the agricultural land price in Georgia, before the application of this policy, has reached its maximum level. For example, the budget of the US Department of Agriculture was \$156 billion in 2016, and the expenditure amounted \$148 billion. In the EU, in 2014-2020, at 2011 price, there are envisaged € 362.79 billion, from which, € 277.85 billion will be spent on the "General Agricultural Program", and € 84.94 billion on the "Rural Development Program". Obviously, such a huge financial aid contributes to a raise in agricultural land prices, and in case of similar financing, the prices of Georgia's agricultural lands will raise significantly.

At the end of article, the aforementioned authors conclude that the price of high-category agricultural land in Georgia has already reached the maximum level. From now on, the possibility of raising this price will be associated mostly to systemic public policy of government subsidies, without which it is impossible to develop a cost-effective and competitive agricultural production. In addition, a significant problem is that a large portion of Georgia's agricultural lands, in fact, are no longer suitable for agricultural use, as the cost price of products grown on these lands will be too high because of high land price. In this case, a State must make timely and adequate changes in the land status, because agricultural land taxes fall into the completely different, favorable tax treatment field, which is prejudicial to the country budget (mainly local municipal budgets). With regard to the territories, where agricultural production will be organized, their status of agricultural lands should be enhanced by legislation, and it should be in fact impossible to change, and the sale of such land to persons who are citizens of Georgia must be ruled out by legislation.

დემოგრაფია
DEMOGRAPHY

მირიან ტუხაშვილი

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

დემოგრაფიული ვითარება საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში

რეზიუმე

სტატიაში შესწავლილია საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონების მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებები. გამოვლენილია შექმნილი დეპოპულაციური ვითარების ძირითადი მიზეზები, ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის ტენდენციები. ნახვენებია თურქეთში დემოგრაფიული რეჟიმის სწრაფი ტრანსფორმაცია. როგორც თურქეთის, ისე საქართველოს საზღვრისპირა რეგიონები აღარ წარმოადგენს დემოგრაფიულ დონორებს. აქ უკვე დაწყებულია საზღვრისპირა ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები, რაც ურთიერთდაკავშირებული შრომითი ბაზრების ფორმირებაშიც გამოიხატა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, თურქეთი, საზღვრისპირა რეგიონი, დემოგრაფია, მიგრაცია.

შესავალი

სსრკ-ს დაშლის შემდგომ არსებითი ცვლილებები მოხდა საქართველოს დიდ მეზობლებთან სასაზღვრო ურთიერთობებში. დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, რუსეთის ინიციატივით, საზღვარი საქართველოსთან პრაქტიკულად ჩაიკეტა. სანაცვლოდ, არსებითი გარდაქმნა მოხდა საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში. სამაგალითოდ ჩაკეტილი სსრკ-ს დროინდელი მაიზოლირებული სასაზღვრო-საკარანტინო ზონა მოიშალა, ქვეყნებს შორის უფიზო მიმოსვლის რეჟიმი დამყარდა. ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მრავალმხრივი თანამშრომლობა, რადიკალურად გააქტიურდა ეკონომიკური ურთიერთობა [Jandieri G. 2016], შეიქმნა საზღვრისპირა რეგიონების ეკონომიკური აქტივიზაციისა და ინტეგრაციის წინა პირობები. ამას ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის ტრანსპორტის ყველა სახის - სარკინიგზო, საჰაერო, საავტომობილო, საზღვაო, მილსადენი - უსწრაფესმა განვითარებამ. ისტორიულად მოკლე დროში განხორციელდა ისეთი პროექტები, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენი (BTC), სამხრეთ კავკასიური გაზსადენი (SCP), ტრანსანატოლიური მილსადენი (TAP) და სხვა [Energy Sector of Independent Georgia.2016]. გაიყვანეს სამი თანამედროვე საავტომობილო ტრასა, რკინიგზა. მოწესრიგდა სასაზღვრო ინფრასტრუქტურა, დაიწყო საერთაშორისო ტურიზმის აღმავლობა. შეიქმნა პირობები სასაზღვრო რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, დაბალანსებული შრომის ბაზრების ფორმირების, ფუნქციონირებისა და ეფექტიანი დასაქმებისთვის. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვრისპირა რეგიონების სწრაფად ცვალებადი დემოგრაფიული ვითარების შესწავლას და რეგიონების განვითარებაზე მისი ზემოქმედების სწორად განსაზღვრას. უნდა აღინიშნოს, რომ, ბოლო ხანს, როგორც თურქეთში, ისე საქართველოში სწრაფად იცვლება დემოგრაფიული ვითარება, რაც მკვეთრად ვლინდება მოსაზღვრე რეგიონების დემოგრაფიული პარამეტრების ცვლილებებში.

საქართველოს მხრიდან კვლევის არეალად გამოყვავით სსრკ-ს დროინდელი სასაზღვრო-საკარანტინო ზონა, ამჟამინდელი სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტები (ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამოკლებით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამოკლებით). ხოლო თურქეთის მხრიდან უშუალოდ მოსაზღვრე ართვინისა და არტანის პროვინციები, აგრეთვე, მათი მიმდებარე და ეკონომიკურად ინტეგრირებული ყარსისა და ტრაპიზონის პროვინციები. ვფიქრობთ, გარკვეული პირობებით, ამ არეალში თურქეთ-საქართველოს ეკონომიკური და შრომითი კავშირების გაინტენსიურება ყველაზე მეტადაა შესაძლებელი და მოსალოდნელი საზღვრისპირა ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად, პირველ რიგში, აქ გამოვლინდება. უნდა აღინიშნოს, რომ შესასწავლი სივრცე ხასიათდება რთული გეოგრაფიული პირობებით, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით, დაწყებული ზღვის დონიდან ვიდრე 4 ათას მეტრამდე სიმაღლის მწვერვალამდე, ქედებითა და ვრცელი ზეგნებით, კონტრასტული კლიმატით, ხშირი ეკოლოგიური კატასტროფებით, მეურნეობის განვითარების მრავალმხრივობით და მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელით.

განსახილავი რეგიონის დემოგრაფიული პრობლემების თაობაზე არაერთი გამოკვლევაა გამოქვეყნებული (ა.თოთაძე, თ. ფუტკარაძე, ა. ტაკიძე, ვ. ლორთქიფანიძე, რ. გაჩეჩილაძე, პ.გუგუშვილი, ვ. ჯაოშვილი, ა. სულაბერიძე, გ. წულაძე და სხვ.) თუმცა, ბოლო ხანს შეცვლილ პირობებს, რეგიონის სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებას, ბევრად მეტი აქტიურობით შესწავლა სჭირდება როგორც საქართველოს, ისე თურქეთის მეცნიერთა მხრივ.

დემოგრაფიული ვითარება საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში

2017 წლის დასაწყისში თურქეთის მოსახლეობის რიცხოვნობამ 80,2 მილიონს გადააჭარბა [Turkish Statistical Institute Birth Statistics 2015]. 2016 წელს დაფიქსირდა 1325 ათასი დაბადება, 405 ათასი გარდაცვალება [Turkey Population, 2017] და, შესაბამისად, 920 ათასი ბუნებრივი მატება. ქვეყანას უარყოფითი მიგრაციული საღდო აქვს. 2016 წელს მიგრაციით თურქეთს დააკლდა 84 ათასი კაცი.

მოსახლეობის ჯერ კიდევ შემორჩენილ ზრდასთან ერთად სწრაფად მიმდინარეობს აღწარმოების სისტემის ტრანსფორმაცია, მცირეშვილიან ოჯახზე დემოგრაფიული გადასვლის პროცესი. სხვადასხვა სტატისტიკური წყაროების მიხედვით თურქეთში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ამჟამად არის 2,03-2,08 [Turkey Demographics Profile 2016], რაც მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს. არსებული ბუნებრივი მატება (10,4 კაცი ყოველ 1000 მცხოვრებზე) აისნება ხანდაზმულთა მცირე წილით და ამის გამო შემორჩენილი მცირე მოკვდაობით (5,6 კაცი ყოველ 1000 მცხოვრებზე). როგორც ყველა სხვა სფეროში, თურქეთის მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებაშიც სწრაფად მიმდინარეობს „ვეროპიზაციის“ პროცესი. არაერთი გამოკვლევიდან ჩანს, რომ თურქეთში შობადობის დონეზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ქალთა განათლების დონის სწრაფმა ზრდამ. გამოვლინდა, რომ განათლების დონის მატების შესაბამისად მკვეთრად კლებულობს ფერტილობის მაჩვენებელი. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ქალებში იგი არ აღემატება 1,66, მაშინ, როცა გაუნათლებელ ქალებში აჭარბებს 3,76, ზოგადი საშუალო განათლების ქალებში - 2,45 [Ergöçmen B.A. 2015]. პირველი ბავშვის გაჩენისას იზრდება დედის საშუალო ასაკი. მიმდინარეობს მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული დაბერება, მედიანური ასაკი უკვე 30,5 წელია, მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა -74,8 წელი [Turkey Demographics Profile 2016].

პროგნოზით, 2050 წლისათვის თურქეთის მოსახლეობის მედიანური ასაკი 40,2 წელს მიაღწევს.

ბუნებრივია, მოსახლეობის ზრდასთან ერთად მატულობს მოსახლეობის სიმჭიდროვეც. 2017 წელს ერთ კვადრატულ კილომეტრზე 105 კაცი მოდიოდა. ურბანიზაციის დონე და ტემპი მეტად მაღალია. მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი(73,4%) ქალაქად ცხოვრობს. მათ შორის, სტამბოლში 14,2 მლნ, ანკარაში 4,75 მლნ, იზმირში -3,04 მლნ, ბურსაში -1,923 მლნ და ა.შ. [Turkey Demographics Profile 2016].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც თურქეთის დემოგრაფიულ განვითარებას ახასიათებს, ესაა მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებში მკვეთრი რეგიონული დიფერენციაცია. მსხვილ რეგიონებს შორის ფერტილობის მაჩვენებელი ვარირებს 1, 83 -3,41-ის ფარგლებში, ხოლო პროვინციებს შორის - 1,53-4,38 [Ergöçmen B.A. 2015]. დასავლეთ თურქეთის რეგიონში უკვე შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმი და მოსახლეობის ევროპული რეპროდუქციული ქცევაა ფორმირებული.

არაერთგვაროვანი დემოგრაფიული ვითარებაა საქართველოს მოსახლეობა და მიმდებარე რეგიონებში. შავი ზღვისპირა რეგიონებში შობადობის დაბალი დონეა ფიქსირებული, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში - მაღალი, რაც განსაზღვრავს მეტ ბუნებრივ მატებას. საკვლევ რეგიონში თურქეთის საშუალო მაჩვენებელს მხოლოდ ყარსის პროვინციის შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები აღემატება. დანარჩენ პროვინციებში საშუალოზე დაბალი დონეა ფიქსირებული (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები საქართველოს მოსახლეობა და მიმდებარე თურქეთის პროვინციებში (%) 2015.

პროვინცია	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი	ბუნებრივი მატების კოეფიციენტი
ყარსი	20,6	5,0	15,6
არტაანი	15,4	7,2	8,2
ართვინი	11,8	7,9	3,9
რიზე	12,7	6,6	6,1
ტრაპიზონი	13,5	6,3	5,2

წყარო: **Turkish Statistical Institute Birth Statistics 2015. www.turkstat.gov.tr/**

მიუხედავად შესამჩნევი ბუნებრივი მატებისა, ამ პროვინციებიდან ინტენსიური მიგრაციის გამო მოსახლეობის რიცხოვნობა მცირედ ან საერთოდ აღარ იზრდება (ცხრილი2). მაღალმთიან პროვინციებში - არტაანსა და ყარსში მოსახლეობის რიცხოვნობა განუხრევლად მცირდება, ზღვისპირა რიზესა და ტრაპიზონის პროვინციებში მოსახლეობა მატულობს, ხოლო ართვინის პროვინციაში მოსახლეობის რიცხოვნობა სტაბილურია. ამ პროვინციის მთიან ნაწილში შეინიშნება მოსახლეობის კლება, ხოლო ზღვისპირა ზოლში - მატება.

მიუხედავად შესამჩნევი ბუნებრივი მატებისა, ამ პროვინციებიდან ინტენსიური მიგრაციის გამო მოსახლეობის რიცხოვნობა მცირედ ან საერთოდ აღარ იზრდება (ცხრილი2).

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა საქართველოს მოსახლეობა და მიმდებარე თურქეთის პროვინციებში, 2000-2015წწ.(კაცი)

წლები	ყარსი	არტაანი	ართვინი	რიზე	ტრაპიზონი
2000	326292	122409	167909	307133	720620
2005	316723	115750	168164	313722	735072
2010	301766	105454	164759	319637	763714
2015	292660	99265	168370	328979	768417

წყარო: Turkish Statistical Institute. www.turkstat.gov.tr; Turkey Population. <http://www.worldometer.info/world-population/turkey-population/>

ამ სტატიაში გამოქვეყნებული მიგრაციის სტატისტიკა წარმოადგენს ამა თუ იმ პროვინციაში დაბადებულთა განაწილებას ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამწუხაროდ, აქ ვერ ხვდება მიგრანტთა ის კონტინგენტი, რომელიც მხოლოდ პროვინციის ფარგლებში მიგრირდა. აღსანიშნავია, რომ პროვინციის შიგა გადაადგილებებიც ურბანიზაციის მაღალი ტემპის პირობებში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს.

ამ ქვეყნის განვითარების მეტად მრავალრიცხოვან თავისებურებათა გამო მიგრაციული პროცესებიც დიდი დიფერენციალით ხასიათდება.

გამოყენებული სტატისტიკური მასალის ანალიზით კარგად იკვეთება თურქეთის დემოგრაფიული დონორი და მიმღები პროვინციები.

ჩვენ მიერ განხილულ საქართველოს მოსახლეობა და მიმდებარე პროვინციებში მიგრაციული ვითარება ასეთია: ართვინში, არტაანში, ყარსში, რიზესა და ტრაპიზონში დაბადებულთაგან 1800 ათასი კაცი ამჟამად თურქეთის სხვა პროვინციებში ცხოვრობს, ანუ მიგრირებულია პროვინციათაშორის. მათ თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც შეიცვალეს საცხოვრებელი პროვინცია. ეს მასა რიცხოვნობივად აღემატება ამ პროვინციების ამჟამინდელ მოსახლეობას. ამჟამად ართვინის პროვინციას შემორჩა აქ დაბადებულთა მხოლოდ 39,5%, ყარსს - 36,2%, რიზეს - 46%, ტრაპიზონს - 53,5%, არტაანს - 40,5%. აქაური მოსახლეობა უმეტესად გადასულია მსხვილ ქალაქებსა და ეკონომიკურად განვითარებულ დასავლეთ პროვინციებში. მაგალითად, ყარსში დაბადებულთა და შემდგომ აქედან მიგრირებულთა 37,8% ამჟამად სტამბოლში ცხოვრობს, 12,3% - ანკარაში, 8,1% - სტამბოლის მიმდებარე კოჯაელის პროვინციაში, 4,7% - ბურსაში და ა. შ. [TurkStat: Place of Birth Statistics 2015].

ქართველთა დიდი კონცენტრაციის ართვინის პროვინციიდან სტამბოლში მიგრირდა აქ დაბადებულთა 23,9%, ბურსაში - 24,4%, კოჯაელში - 8,1%. დიდია ემიგრაცია არტაანიდანაც, აქედან საცხოვრებლად სხვა პროვინციაში წასულნი 5-ჯერ ჭარბობენ აქ საცხოვრებლად გადმოსულებში [TurkStat: Place of Birth Statistics 2015].

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასაკენათ რომ, ისევე, როგორც მთელ თურქეთში, საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა და მიმდებარე პროვინციების დემოგრაფიულ განვითარებაშიც მიმდინარეობს არსებითი ცვლილებები. ხდება მცირეწვრილიან ოჯახზე გადასვლის პროცესი. იგი გადახლართულია ამ პროვინციებიდან მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციის პროცესთან, რაც მთლიანობაში აღარ იწვევს მოსახლეობის რიცხოვნობის ინტენსიურ მატებას. მაღალმთიან პროვინციებში მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების და დეპოპულაციის ნიშნები აშკარადაა გამოხატული. შობადობის კლებისა და ახალგაზრდა მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციის გამო მოსახლეობა სწრაფად ბერდება. თურქეთის სტატისტიკის სამსახურის პროგნოზული მონაცემებით, 2023 წელს მოსახლეობის მედიანური

ასაკი 42 წელს მიაღწევს, ტრაპიზონის პროვინციაში - 37,4 წელს, არტანუში - 35,4, რიზეში - 37,9 წელს. ჯერჯერობით, მხოლოდ ყარსის პროვინცია შეინარჩუნებს შედარებით ახალგაზრდულ ასაკს (27,5 წელი) [Turkey Population.2017].

სავარაუდოა, რომ საქართველო-თურქეთის კომუნიკაციური სისტემების სწრაფი განვითარება გამოიწვევს ეკონომიკის აქტივიზაციას. შექმნის ამ პროვინციებში ეფექტიანი დასაქმების პირობებს. იგი უკვე აშკარად გამოიხატა ზღვისპირა ზოლში. მოსალოდნელია რკინიგზისა და საავტომობილო ტრასების სიახლოვეს დასახლებული პუნქტების ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედება, განსახლების სისტემის პოზიტიური ტრანსფორმაცია, საზღვრისპირა შრომითი მიგრაციების განვითარებაც, რაც, ჯერჯერობით, დაწყებულია ზღვისპირა ზოლში. დაიძლევა საზღვრისპირა მთიანი პროვინციების სოციალურ განვითარებაში დიდი ჩამორჩენა თურქეთის დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონებთან.

თურქეთის მოსაზღვრე საქართველოს მუნიციპალიტეტების დემოგრაფიული განვითარების ძირითადი ტენდენციები

პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შეცვლისა და დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებათა გამო არსებითი გარდაქმნები მოხდა საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში, რისი საბოლოო შედეგიც მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი კლებით გამოიხატა (ცხრილი3). კერძოდ, თურქეთ-საქართველოს საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა პოსტსაბჭოთა პერიოდში შემცირებულია 106309 კაცით, ანუ 21,2%-ით, რაშიც გადამწყვეტი როლი რეგიონიდან მოსახლეობის მიგრაციამ ითამაშა. ბათუმის მოსახლეობის ზრდა გამოწვეულია ადმინისტრაციული ცვლილებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ტერიტორიის ქ. ბათუმთან მიერთებით.

ცხრილი3

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა თურქეთის მოსაზღვრე საქართველოს მუნიციპალიტეტებში 1959-2014 (კაცი)

მუნიციპალიტეტები	1959	1970	1979	1989	2002	2014	2014 წელი 2002 წელთან %	2014 წელი 1989 წელთან %
ბათუმი	82326	100603	122292	136900	121806	152839	1,25	1,11
ხელვაჩაური	42735	61905	71600	82243	90843	51189	0,56	0,62
ქედა	17204	19065	19604	20061	20024	16760	0,84	0,83
შუახევი	20324	23196	23635	25386	21850	15044	0,69	0,59
სულო	28159	34282	38788	39629	33430	23327	0,70	0,59
ადიგენი	19593	20272	19975	21282	20755	16462	0,79	0,77
ახალციხე	50420	51907	50350	54822	46134	38895	0,84	0,71
ასპინძა	11265	12494	12411	13432	13010	10372	0,80	0,77
ახალქალაქი	62977	69992	69455	69108	60975	45070	0,74	0,65
ნინოწმინდა	32064	37267	36632	37895	34305	24491	0,71	0,65
სულ	367067	430983	464742	500758	463135	394449	0,85	0,79

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge>

ბოლო 30 წლის მანძილზე მოხდა არსებითი ცვლილებები საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების მოსახლეობის აღწარმოების ინდიკატორებში. ბათუმის გარდა, შობადობის დონე შემცირებულია ყველა მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით აჭარის მთიანეთსა და ჯავახეთში (ცხრილი4).

ცხრილი 4

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები თურქეთთან მოსაზღვრე საქართველოს მუნიციპალიტეტებში 1985- 2016 წწ.(%)

მუნიციპალიტეტები	1985			1990			2016		
	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება
ქ. ბათუმი	14,5	8,9	5,6	14,2	7,7	6,5	17,8	10,2	7,6
ხელვაჩაური	26,8	5,9	20,9	21,9	5,9	16,0	17,5	9,6	7,9
ქედა	26,6	7,0	19,6	22,6	8,4	14,2	17,2	10,1	7,1
შუახევი	29,1	8,6	20,5	24,9	7,2	17,7	16,8	11,6	5,2
სულო	30,4	8,6	21,8	24,8	6,6	18,2	19,8	12,7	7,1
ადიგენი	26,0	9,1	16,9	22,1	8,5	13,6	15,2	14,4	0,8
ახალციხე	21,5	7,8	13,7	17,7	8,0	9,4	13,9	13,2	0,7
ასპინძა	25,2	7,7	17,5	27,7	8,4	19,3	17,2	15,0	2,2
ახალქალაქი	27,5	6,7	20,8	19,4	5,7	14,3	14,1	10,9	3,2
ნინოწმინდა	29,2	7,7	21,5	20,7	5,9	14,8	14,2	11,0	3,2

წყარო: საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1991, გვ.6-17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge>

სხვებთან შედარებით ბუნებრივი მატება მაღალია აჭარის მუნიციპალიტეტებში. თუმცა ყველგან აშკარადაა გამოხატული შემცირების ტენდენცია, რაც, სავარაუდოდ, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების გამო მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

საზღვრიპირა რეგიონის მოსახლეობა ამჟამად ბიეთნიკური სტრუქტურისაა, 98%-ზე მეტს ქართველები და სომხები წარმოადგენენ. ჯავახეთში აბსოლუტური უმრავლესობა სომხური დიასპორაა, აჭარაში - ქართველი მოსახლეობა, ხოლო სამცხეში ქართველებთან ერთად სომხებიც ცხოვრობენ (21%) (ცხრილი 5).

ცხრილი 5

თურქეთის საზღვრიპირა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1989-2014 (%)

მუნიციპალიტეტები	1989				2014			
	ქართველი	სომეხი	რუსი	დანარჩენი	ქართველი	სომეხი	რუსი	დანარჩენი
ქ. ბათუმი	65,9	9,8	15,4	8,9	93,4	3,0	1,9	1,7
ხელვაჩაური	92,2	0,8	4,0	3,0	99,3	0,2	0,2	0,3

ქედა	99,6	0,0	0,2	0,2	99,9	0,1
შუახვევი	94,3	0,4	3,3	2,0	98,1	1,9
ხულო	99,6	0,0	0,1	0,3	99,0	1,0
ადიგენი	91,6	5,8	1,4	1,2	97,1	2,3	0,2	0,4
ახალციხე	46,8	42,8	6,2	4,2	68,0	30,9	0,4	0,7
ასპინძა	80,1	19,1	0,3	0,5	86,4	13,3	0,1	0,2
ახალქალაქი	4,3	91,3	2,5	1,9	6,8	92,9	0,1	0,2
ნინოწმინდა	1,2	89,6	8,3	0,9	4,2	95,0	0,8	0,0
სულ	61,7	27,6	6,8	3,9	76,9	21,2	0,9	1,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge>

კვლევამ აჩვენა, რომ თურქეთ-საქართველოს საზღვრისპირა რეგიონში მიმდინარეობს ინტენსიური დეპოპულაციის პროცესი. ემიგრაციის ხარჯზე მოხდა დიასპორათა დეპოპულაცია. 2014 წლის აღწერით, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში 1989 წელს არსებული სომეხი მოსახლეობის რიცხოვნობა ერთი მესამედით შემცირდა, ხოლო ახალციხის მუნიციპალიტეტში თითქმის განახევრდა. რუსული დიასპორა კი თითქმის გაქრა.

დასკვნა

სსრკ-ს დაშლის შემდგომ არსებითი ცვლილებები მოხდა საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა და მიმდებარე რეგიონების განვითარებაში, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კომუნიკაციური სისტემების ამოქმედებამ დიდი პერსპექტივა შეუქმნა საზღვრის ორივე მხარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ურთიერთდაკავშირებული შრომის ბაზრების ფორმირებას, მოსახლეობის ეფექტიან დასაქმებას. ეს პერიოდი დაემთხვა თურქეთის მოსახლეობის განვითარებაში დემოგრაფიული გადასვლის პერიოდს, რაც მეტ-ნაკლებად შეეხო საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რეგიონსაც. შობადობის შემცირებასა და ცალმხრივი ინტენსიური მიგრაციის გამო როგორც საქართველოს, ისე თურქეთის საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაში არსებითი ცვლილებები მოხდა. თურქეთის მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა და მიმდებარე პროვინციებში მოსახლეობა კლებულობს, ხოლო ზღვისპირეთში სტაბილიზდება. ამ თვალსაზრისით, თურქეთის მხრიდან ე.წ. „დემოგრაფიული დაწოლა“ მეზობელ სახელმწიფოზე შესუსტებულია. რაც შეეხება საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებს, აქ მიმდინარეობს სწრაფი დეპოპულაციის პროცესი. აჭარის მთიანეთი ვეღარ ასრულებს საქართველოს მოსახლეობაშეთხელებული რეგიონების დონორის ფუნქციას. პოსტსაბჭოთა წლებში დემოგრაფიული ზრდისათვის აუცილებელი რესურსების კატასტროფულმა შეზღუდვამ და ემიგრაციული პროცესების განვითარებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებზე.

როგორც თურქეთის, ისე საქართველოს მხარეს ზღვისპირა ზოლში კვლავაც მიმდინარეობს მოსახლეობის კონცენტრაციის კანონზომიერი პროცესი, აშკარად გამოიკვეთა საზღვრისპირა ეკონომიკური ინტეგრაციის და ურთიერთდაკავშირებული შრომის ბაზრების ფორმირების ტენდენცია. მოსალოდნელია სამცხე-ჯავახეთისა და მისი მოსაზღვრე რეგიონების ეკონომიკური აქტივიზაცია და შრომითი კავშირების გაინტენსიურებაც. ეს საქართველო-თურქეთის მოსაზღვრე რეგიონების დემოგრაფიული განვითარების სისტემურ ანალიზს, ადეკვატური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., 2015. გლობალიზაციის უმუშევრობაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 8. თბილისი.
2. გუგუშვილი პ., 1973. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბილისი.
3. თოთაძე ა., 2012. აჭარის მოსახლეობა. თბილისი. უნივერსალი.
4. ლორთქიფანიძე ვ., 1998. ისტორიული მესხეთი, დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბილისი.
5. ტაკიძე ა., 2006. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება. თბილისი.
6. ფუტყარაძე თ., 2005. აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში. ბათუმი.
7. ფუტყარაძე თ., 2006. აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოდემოგრაფიული პრობლემები. ბათუმი.
8. შელია მ., 2013. ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. უნივერსალი, თბილისი.
9. წულაძე გ. სულაბერიძე ა., 2016. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები. თბილისი.
10. ჯაოშვილი ვ., 1998. საქართველოს მოსახლეობა. თბილისი.
11. ჯანდიერი გ., 2016. თურქულ ქართული ეკონომიკური ურთიერთობები. საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
12. Energy Sector of Independent Georgia. 2016. Tbilisi.
13. Ergöçmen B.A. 2015. Demographic Picture of Turkey: What lies ahead? Panel Discussion on the Demography of Turkey and other Muslim Countries. Ankara.
14. Khaduri N. 2010. The Central Caucasus-Reforms and the Road to Europe. The Caucasus and Globalization.
15. Jandieri G. 2016. Turkish-Georgian Economic Relationship as an Example of Good Will and Successful Cooperation. <http://www.4liberty.eu/turkish-georgian-economic-relationship-as-n-example-of-good-will-and-successful-cooperation/>
16. Population Projection. 2013-2075., 2013. www.turkstat.gov.tr/PreHaberBultenleri.do?id=15844
17. Silagadze A. (2017). “Post-Soviet Paradoxes” of Unemployment Rate. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. vol. 11, no. 1.
18. Shelia, M. (2017). Ageing of Population in a Transitional Society: Case of Georgia. *უროპიან ჟურნალ ოფ შოციალ ანდ უმან შციენცეს*, 4(2). URL: <http://ejshs.net/journals/n/1507124275.pdf>
19. Turkey Demographics Profile 2016. http://www.indexmundi.com/turkey/demographic_profil.html
20. Turkish Statistical Institute. Birth Statistics 2015. www.turkstat.gov.tr/
21. Turkey Population. 2017. <http://www.worldometer.info/world-population/turkey-population/>
22. TurkStat: Place of Birth Statistics 2015.
23. Tukhashvili M. 2016. Socio-Economic Revitalization Problems in the Turkish-Georgian Border Region. *European Journal of Economics and Management Science* #4, p. 38-44

24. Исмаилов Е. Папава В.2006. Центральный Кавказ: от геополитики к геоэкономике. Стокгольм.
25. Тухашвили М. 2016. Основные факторы сокращения численности населения и трудовых ресурсов Аджарской Автономной Республики. Ж. «*Science Time*».№ 8(32).р. 141-144

Mirian Tukhashvili

*Professor, Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi Georgia*

DEMOGRAPHIC SITUATION IN GEORGIA-TURKEY BORDER REGIONS

Expanded Summary

After the collapse of the former Soviet Union, substantial changes have occurred in Georgia's political relationships with its neighbouring countries. Due to the good neighbourly relations with Turkey, the previously closed borders opened, a visa-free regime was established, major international railway and motor ways were built, the energy corridor was set up, an economic cooperation was activated and the economic integration of the cross-border regions previously completely isolated has started. The opportunity to establish mutual connections between cross-border labour markets has emerged. Under such circumstances, the study of regularities and specificities of the demographic development in the cross-border regions of both countries- Georgia and Turkey is of particular interest. On one hand, this is closely related to the landmarksocial and demographic changes developing in both of these countries.

For the purpose of the study, we intend to focus, within Georgia, on current Samtskhe-Javakheti region- the former cross-border and quarantine zone (excluding the Municipality of Borjomi)during the Soviet times and the Autonomous Republic of Adjara (excluding the Municipality of Kobuleti) and within Turkey- on Artvin and Ardahan provinces immediately adjoining Georgia as well as on the their surrounding and integrated, in economic terms, provinces of Kars and Trabzon. This area is characterized by a difficult terrain, contrasting climate, distinct vertical zoning and ethnic and demographic diversity of local population.

Because of the surviving demographic structure, the number of population of the Republic of Turkey is growingrapidly. However, the transformation of the reproduction system and the process of demographic transition to the model of a small family are developing at a fast pace. The fertility of women has been dramatically reduced and simple reproduction has been formed. In Turkey's demographic development, the process of accelerated `Europeanization` can be observed. The rate of aging of population has increased. Median age has already amounted to 30,5 years. The rate of urbanization tends to be high, with three quarters of the population residing in urban areas (the major part of the populating living in large cities).

A sharp regional differentiation of the population reproduction regime has been one of the major peculiarities characteristic to the demographic development of Turkey. The total birth rate among the provinces varies from 1,53 to 4,38. The situation in Georgia's border and adjoining regions is non-homogenous. The birth rate tends to be low in the Black Sea area, while high- in high mountainous areas. Only in the Kars province can be observed a birth rate that is slightly higher than the average indicator in Turkey. In the remaining provinces reviewed, the birth rate is much lower than the average indicator in the country and it amounts to the birth rate characteristic to European countries.

One of the main components that determines the dynamics of the population of the border provinces is an intensive migration of the population. Some 1800 thousand individuals born in the provinces reviewed, currently reside in other provinces of Turkey. This numberis

higher than the number of individuals currently living in the above provinces. The population tend to migrate to large cities and relatively more developed western provinces of Turkey. The process of depopulation is very evident in the Turkish-Georgian cross-border mountainous provinces. Presumably, the preconditions of economic revival recently formed in these areas will influence the process of depopulation, reduce the intensity of migration loss and render the demographic dynamics more sustainable.

In the post-Soviet period, due to the fall in the natural population growth and high intensity emmigration processes, the number of population has decreased by 21% also in the area adjoining the border of Turkey. This decline was observed more vividly in the mountainous regions- Adjara and Javakheti. In comparison to the period immediately following the collapse of the Soviet Union, the natural population growth in 2016 decreased in Akhalkalaki Municipality 4,5 times, in Ninotsminda - 4,6 times, in Aspindza - 9 times, in Adjara municipalities- 2 to 3 times, while in Adigeni and Akhaltsikhe municipalities- the process of the natural population growth almost stopped. Intensive emigration processes have become a major factor of population dynamics.

The area of Georgia bordering Turkey is a territory with a biethnic structure. Individuals of Armenian background are densely populated in Ninotsminda and Akhalkalaki municipalities, while the share of representatives of Armenian ethnic group constitutes one third of the total population in Akhaltsikhe municipality. In the remaining municipalities, the absolute majority of the population is of Georgian ethnicity. The share of Georgian population in the overall Georgia-Turkey's cross-border region constitutes more than three fourths. In the post-Soviet period, individuals of Russian ethnic group have completely migrated from the cross-border region, including the Dukhobors, many of which emigrated to Canada. The decline of the post-Russian population has been influenced by the withdrawal of the Russian military contingent from Georgia during the post-Soviet period.

The demographic analysis of the population residing in Georgia-Turkey cross-border area has revealed that the demographic situation has been dramatically altered over the last few decades. Due to the dramatic reduction of the natural population growth and intensive migration of the population from that area, the depopulation process in the mountainous regions of both Georgia and Turkey has been progressing at a fast rate. The number of population remains to be relatively stable in the seaside region. The mountainous area of Adjara does not any more serve as a demographic donor for other regions of Georgia. Individuals tend to be reallocated from this area to other regions only from the rural areas exposed to landslides. Due to the reduction of the natural population growth, the intense migration from the mountainous cross-border municipalities of Turkey to the municipalities located in western Turkey has also slowed down. The international energy corridor recently put into service, with accompanying motor- and railway traffic will substantially alter the level of economic and social development of Georgia-Turkey cross-border regions, making the processes of integration in those regions more intense. It should become a subject of joint study by Georgian and Turkish scientists.

საზღვარგარეთის გამოცდილება
FOREIGN EXPERIENCE

Tomasz Wołowiec

Prof. Hab. Ph.D, University of Economy and Innovation in Lublin, Poland.;

Daniel Szybowski

Ph.D, The International Institute of Innovation

Science – Education – Development in Warsaw (Warsaw) Poland;

Sylwia Gwoździewicz

Ph.D, The Jacob of Paradise University in Gorzów Wielkopolski & The International Institute of Innovation Science – Education – Development in Warsaw (Warsaw) Poland

THE AREA SYSTEMS OF REAL ESTATE TAXATION. SELECTED PROBLEMS AND WAYS OF REFORMING ON THE EXAMPLE OF SELECTED COUNTRIES OF THE EUROPEAN UNION

Summary

The area systems of property taxation practically bring a fixed base for calculating property taxes. It should be emphasized that the consequences of such structure affect both active and passive taxation subjects. For local authorities the main problem resulting from the imperfection of the taxation base is that the growth of their tax income is curbed. On the other hand, in case of taxpayers – referring to the principle of equity, which says that the tax system should treat citizens in the same way as far as their features, positions and conditions are concerned – their payment capabilities are only partly taken into account in distribution of tax burden.

Key words: *property taxation, real estate, area systems.*

Introduction

In some Central and Eastern European countries the other – area – system is used. It is applied in Bulgaria, Czech Republic, Poland and Slovakia. The third option is a mixed model, a combination of the features of two previous systems, and it is used in Romania and Hungary. Area systems of property taxation are based not only on the area, but also on other factors. We can discern several solutions referring to property value in these systems. Some types of real estate are taxed by referring the rates to their value, defined for other purposes. An example here is the taxation of buildings in Poland, where the tax base is the value adopted for the fixed assets depreciation and only when the taxpayer does not depreciate them, their market value is adopted. Another example of value reference in area systems is tying the amount of taxation to the type and use of the property. Generally, real estate located in cities and used for running business activity taxed more heavily than, for example, properties used exclusively for residential purposes.

Research methodology

The main goal of the paper is to present and evaluate legal regulations concerning systems and models of real estate taxation in the European Union countries. The analysis of legal regulations includes both the point of view of the taxpayers and public administration bodies (tax authorities). The evaluation of legal regulations and solutions concerning systems of real estate taxation in the European Union countries was limited to the real estate tax and reflects the search for legal governance in real estate taxation from the point of view of taxpayers (individuals and entrepreneurs) and public administration units (mostly local self-governments). The evaluation of current and projected solutions and amendments to legal regulations includes both short-term and long-term perspective.

THE PUBLIC DEBT SUSTAINABILITY ANALYSIS OF GEORGIA

Summary

Debt sustainability is an important factor of economic growth of the country. The decrease of economic growth rates in Georgia and increased fiscal deficit and public debt (both, foreign and internal) since 2012 year have made it actual to assess the debt sustainability of the country both, in medium term and long term perspectives. The analysis evidenced that by the 2018 marginal indicators of debt sustainability (Public debt/GDP, Public debt/budget revenue, Public debt/export), are below the thresholds (50%, 300%, 200%). Nevertheless, a shock tests indicate that debt sustainability is vulnerable to permanent long term and to sharp short term shocks. In order to maintain low risk for debt sustainability, the study shows that the GDP growth rate in Georgia should be at least 7% in the medium term and the budget deficit should be below 3% of GDP for the same time period.

Keywords: *Public finance, Public debt sustainability, Macroeconomic stability.*

Introduction

The effectiveness of a fiscal policy is a major factor in determining macroeconomic performance. The Georgian government has sought to use its taxation, spending and borrowing powers to manipulate the allocation of scarce resources to achieve economic stability and growth. Despite this impressive objective, the results of the fiscal policy in our country are far from favorable. Georgia nowadays is facing serious problems in this sphere.

Following the present level of the public debt of Georgia, the work considers the evaluation of the fiscal sustainability of the country and identification and control of the risks influencing the fiscal sustainability as one of the factors determining the macro-economic sustainability of the country.

The fiscal sustainability of the country is estimated by considering the following indicators:

1. Change of the public debt/GDP ratio under the influence of different shocks as per the basic and alternative scenarios. The basic scenario considers medium- and long-term forecasts of the government regarding the macroeconomic indicators (DGP growth, inflation, budgetary deficit and exchange rate). As for alternative scenarios, they give pessimistic (inferior to the basic scenario) or optimistic (better than the basic scenario) forecasts of the same indicators.
2. Public debt structure (in relation to foreign and domestic debt) and its dynamics.

Goal of the study

For Georgia, Which now faces an unsustainable fiscal deficit, macroeconomic stabilization is a top priority.

The paper studies the impact of various factors on fiscal sustainability. In particular, The GDP growth rate shock test, the budget deficit shock test, the exchange rate shock test according the baseline, optimistic and pessimistic scenarios is analyzed.

Results of the study

Debt sustainability implies fiscal policy consistent with macroeconomic stability and growth. In general, fiscal sustainability is characterized by low inflation, low real interest rate, high private sector Investment, high growth rates. In 2013-2017 years our economy was characterized by high inflation, high real interest rate, low grow rate and low investment. These indicators undermine fiscal sustainability of Georgia.

At present, the public debt of Georgia exceeds 4,5 billion US Dollars. Since 2012 year to present, the public debt to GDP ratio increased (from 30 to 45%) and economic growth rate declines. One of the main reasons for that was radical change of fiscal policy. Some initiatives of the new government were directed against the free market economy principle. This hampered investment decisions. The significant increase of social benefits was the main factor of the budget deficits, which is not part of the economic growth oriented policy. Also, decrease of the share of public investment expenditures in the state budget total expenditures had a negative impact on the economic growth rate.

In order to ensure the debt sustainability and economic growth in the long run, it is necessary to change the direction of the debt to GDP trend and reduce the level of this indicator gradually. In addition, it is necessary to reduce this indicator to the level which allows keeping the conditions of creditability and liquidity of the country.

Georgia is often subject to the impacts of external and internal shocks. In the case when the government debt to DGP ratio approaches the admissible upper limits, the situation may be estimated as unsustainable.

In General impact of each variable on the debt to DGP dynamics is different. In particular, a high primary balance results in the reduced government debt to DGP ratio, high initial government debt results in the increased debt to DGP ratio, high real interest rate results in the increased government debt to DGP and high economic growth results in the reduced government debt to DGP ratio.

There is a direct relation between the government debt dynamics and efficient real interest rate; the relation between the national debt dynamics and the real growth rate is indirect, and the relation between the government debt dynamics and the depreciation of the exchange rate is direct. Besides, the contribution of the primary balance to the debt dynamics is with a minus sign, while the contributions of “and other flows” (e.g. incomes from privatization) is with a plus sign.

Fiscal sustainability is capability of the government to maintain its current expenses and tax policy in medium term and long term periods without creation of danger to payment capacity of the government, or without denying its separate types of obligations and separate types of expenses (including pensions and other social expenses, health care, education, and others) considered by the budget.

Public debt is sustainable, when government can continue serving it without requiring an unrealistically (from social and political point of view) large adjustment to its future revenues or expenses.

Public debt can be regarded as sustainable when the primary balance needed to at least stabilize debt under both baseline and realistic shock scenarios is economically feasible, such that the level of debt is consistent with an acceptably low rollover risk and with preserving potential growth at a satisfactory level (IMF, 2013). In practice fiscal sustainability is assessed by checking whether debt is on a declining path while remaining below certain thresholds. Related concepts are solvency- the current debt stock is fully covered by the present discounted value of all expected future primary balances, and liquidity-ability to meet maturing obligations.

Some Economists call fiscal policy unsustainable if a country’s debt is growing faster than its GDP) Congressional budget Office, 2007).

In the economic literature we encounter various definitions of fiscal sustainability. According to Balassone and Franco (1) the theory has proposed different conditions for sustainability—from a non rising tax rate to an inter-temporal discounted budget constraint.

Blanchard (2) defines sustainable fiscal policy as a policy that ensures that the ratio of the debt to GDP converges back towards its initial level. , the public debt is sustainable if the inter-temporal constraint is, i.e. the present value of the future primary balances fully covers the initial debt level.

The basic factors influencing the debt to DGP ratio are: primary balance, initial debt rate, real interest rate and rate of the economic growth

The sensitive analysis of the debt sustainability is based on the baseline scenario of The Ministry of Finance of Georgia and assumptions of a realistic macroeconomic shock test, where one or more economic indicators worsen. The share of external and domestic public debt in overall debt is assumed to be 80%-20% till 2027, the basic real GDP growth rate 5.5% and the basic exchange rate GEL/USD 2.5. The export maintains its current growth tendency.

We used MOF tax revenue projections. Public debt sustainability is examined based on IMF model MAC DSA (3, 4, 5, 6).

The study showed that according the baseline scenario all marginal indicators of debt sustainability in 2017 (Public debt/GDP, Public debt/budget revenue, Public debt/export), were below the thresholds (50%, 300%, 200%). According to this scenario Georgia’s fiscal Sustainability is stable in the medium term. The debt burden indicators do not exceed the thresholds. But the calculations show that the degree of impact of different shocks is different. In particular, the government debt to DGP value is most strongly affected by the shocks caused by the exchange rate depreciation and by the reduced growth rates. In a long term, debt is unsustainable in case of permanent multi shocks.

A shock tests indicate that debt sustainability is vulnerable to permanent long term and to sharp short term shocks

We must also note that in estimating the debt sustainability, the model given above uses the data only about the public debt and does not consider the information about the debts of corporations or legal entities of public law (LEPLs). However, in reality, LEPLs are quasi-national corporations financed through the state budget. Consequently, the consideration of their debts in the national debt statistics will further increase the load of the national debt and will complicate ensuring the sustainability of the public debt.

When estimating the national debt of Georgia, the peculiarity of its structure should be considered. The share of foreign debt in the national debt is more than 80% significantly exceeding the upper limit (60%) fixed by the International Monetary Fund for Market access countries.

The analysis has made it clear that by 2018, such indicators of the public debt sustainability as the public debt to DGP, public debt to the budget Revenues, and public debt to export ratios, according realistic scenario remain below the limits. Nevertheless, shock tests of economic factors indicate that debt sustainability is vulnerable to permanent long term and to sharp short term shocks. Without a timely adjustment of fiscal policy meaning using the budgetary funds to finance predominantly the fields supporting the economic growth, such as education and science, targeted (rather than general) healthcare programs and infrastructural projects, reducing the administration costs and identifying and controlling fiscal risks, the country may face the need for a significant reduction of the budget expenditures in the medium- and long-term periods.

We should take into account, that the public debt statistics only cover the debts of the general government and National bank of Georgia. The total external public debt is 6 billion USD (44% of GDP). But Country’s total external debt is 15.5 billion USD (historical maximum level) (more than 100 % of GDP). The share of public debt in the whole foreign debt of Georgia in 2017 year comprises nearly 40%, the rest is the share of the private sector.

Assessing fiscal sustainability we should take into account risks, associated with private debt too.

One of the main problems of fiscal sustainability of Georgia in 2013-2017 years was the distribution of the debt burden during the year. The observed tendency was that total deficit was allocated during the last months of the year, which causes monetary pressure on exchange rates, price levels and fiscal sustainability.

Therefore, arising from the challenges existing in the budgetary system of Georgia, For achievement of fiscal stability in medium term and long term periods it is vital development and establishment of tax and spending policy oriented on economic growth that at the same time will allow a gradual improvement of poor social condition existing in the country by enhancement of the effectiveness of internal and external resources' usage.

Conclusion

The study showed that according the baseline scenario in the medium term and long term Georgia's debt is sustainable. All debt sustainability indicators do not exceed the marginal values. However, in a long term debt sustainability is vulnerable to permanent multi shocks.

The analysis showed that in the public debt structure the external debt dominates, which causes fiscal sustainability to be more vulnerable to an exchange rate shock. A raised economic growth and decreased budget deficit could make the country's fiscal sustainability more stable and stimulate high long term economic growth. It will diminish the negative influence of the public debt on the economic growth rate.

The significant increase in social benefits is the main source of the budget deficit enlargement, which is not the economic growth oriented fiscal policy. The achievement of growth-oriented adjustment requires that a comparable emphasis be given to the establishment of priorities for government spending. For sustainable economic growth the share of public investment should increase in state budget expenditures and at the same time, decrease the share of social expenditures.

The study shows that without urgent adjustment in the state budget expenditures, disclosure and management of fiscal risks, the government of Georgia may find it necessary to drastically cut the budgetary expenses in the medium and long term.

References

1. Baladsone, F and D.Franco (2000): “Assessing Fiscal Sustainability: A Review of Methods with a View To EMU”, 2000.
2. Blanchard, O., J. C. Chouraqui, R.P. Hagemann, and N. Sartor, “The Sustainability of fiscal policy: New Answers to an Old Question”, OECD Economic Studies, 1990, No. 15, pp. 7-36.
3. “Assessing Sustainability” . IMF (2002), Washington DC.
4. Information Note on Modifications to the Fund's Debt Sustainability Assessment Framework for Market Access Countries , IMF, Prepared by the Policy Development and Review Department, 2005.
5. “Staff Guidance Note for Public Debt Sustainability Analysis in Market-Access Countries”, IMF, 2013.
6. Tanner E., “Fiscal Sustainability: A 21st Century Guide for the perplexed. IMF W/P13/89, pp 4-20.
7. “Government Debt sustainability analysis For 2018-2027 years”, MOF , Georgia Republic, Tbilisi, 2017.
8. Government Debt Sustainability Analysis. PBO, Georgia, 2015. pp.1-11.
9. Muchiashvili M., Shonia Z., Giorgobiani M. “Fiscal Sustainability Analysis (Republic of Georgia). Journal “Economist”, Tbilisi, 2016. pp. 79-88.

10. Marina Muchiashvili, “Fiscal Policy Reforms in Georgia”, www. IREX. org. 2000.

11. Analysis of MT Fiscal policy Sustainability in Georgia, PMC Research Center, Tbilisi, Georgia, 2014. pp. 4-37.

მარინა მუჩიაშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი;

ზამირა შონია

თსუ ასოცირებული პროფესორი;

საქართველოს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი(კვლევა) რეზიუმე

2012 წლის შემდგომი პერიოდი საქართველოში ხასიათდება მთლიანი შიგა პროდუქტის მზვენებელი ზრდის დაბალი ტემპებით ხასიათდება. კვლევაში ქვეყნის სახელმწიფო ვალის მდგრადობა მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის სახელმწიფო ვალის მდგრადობის თითქმის ყველა ძირითადი ინდიკატორი (კერძოდ, სახელმწიფო ვალი/მშპ-ში, სახელმწიფო ვალი ბიუჯეტის შემოსავლებში, სახელმწიფო ვალი/ექსპორტში) ზრდადი ქვეყნებისათვის სავალუტო ფონდის სახელმწიფო ვალის მდგრადობის მეთოდოლოგიით (MACDSA) დადგენილ დასაშვებ ჭერებს (შესაბამისად, 50%-ს, 300%-სა და 200%-ს) ქვემოთაა და რეალისტური სცენარის მიხედვით ვალის მდგრადობას საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში საფრთხე არ ემუქრება, სახელმწიფო ვალის სტრუქტურაში საგარეო ვალის მაღალი წილის (80%-ზე მეტი) გამო სხვადასხვა სახის (განსაკუთრებით ვალუტის კურსის მკვეთრი დაცემისა და ზრდის ტემპის შემცირების) შოკების, ასევე, მულტი შოკებისა და სხვადასხვა სახის ცალკეული შოკის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ზემოქმედების შემთხვევაში ქვეყნის სახელმწიფო ვალის მდგრადობის ინდიკატორები მკვეთრად უარესდება როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდებში. ვალის მდგრადობის შესაფასებლად მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ქვეყნის მთლიანი ვალის მოცულობაც, რაც დღეისათვის ისტორიულ მაქსიმუმს (16,7 მილიარდ დოლარს) შეადგენს.

მურთაზ კვიციანი
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ვასილ კიკუტაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
დავით სინარულიძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
ვახტანგ ჭარაია
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

**ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია: სამართაშორისო
ბამოცდილება და საქართველო¹**

რეზიუმე

დიდი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო პროფესიული ორიენტაციის პრობლემები მრავალი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანია. სტატიაში გაანალიზებულია პროფესიული ორიენტაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ძირითად ნაჩვენებებს მთელ მსოფლიოში. გამოვლენილია საქართველოში პროფესიული ორიენტაციის სფეროში არსებული პრობლემები, რაც, რიგ შემთხვევაში, ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი და სოციალური მდგომარეობის გაუარესების ძირითადი ფაქტორია.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ორიენტაცია; კარიერის დაგეგმვა; შრომის ბაზარი; განათლება; დასაქმება.

შესავალი

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პროფესიული ორიენტაციისადმი მოთხოვნილება გაჩნდა, რაც ძირითადად დასაქმებული ახალგაზრდობის ხელშეწყობასა და ხელსაყრელი პროფესიის დაუფლებას ისახავდა მიზნად. რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნებში პროფესიული ორიენტაცია განსხვავებულად ესმოდათ, მათი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, განათლების მოდელის, მენტალიტეტისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, თუმცა ამოსავალი წერტილი საერთო იყო - დასაქმების და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოსთვის პროფესიული ორიენტაციის საკითხი ერთ-ერთი უმწვავესია, თუმცა საზოგადოება სათანადოდ ვერ აღიქვამს არასწორ პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებულ ნეგატიურ შედეგებს. პროფესიის არასწორი არჩევა, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკის ახალი საწარმოო სიმძლავრეების სათანადო სამუშაო ძალით უზრუნველყოფის პრობლემაში ვლინდება. საქართველოში უმუშევრობის არსებული მაღალი დონის პირობებში (ოფიციალური

¹ კვლევა განხორციელდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ფუნდამენტური კვლევებისთვის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსების ფარგლებში. გრანტის №217362

სტატისტიკით ბოლო წლებში დაახლოებით 14 პროცენტის ფარგლებში), როდესაც ასიათასობით ადამიანი უმუშევარია, დამსაქმებლები ვერ პოულობენ ვაკანტური სამუშაო ადგილებისთვის შესაფერის კადრებს, შესაბამისად, სწორი პროფესიული ორიენტაცია იძენს აქტუალურ მნიშვნელობას.

უცხოელი სპეციალისტების აზრით, პროფესიული ორიენტაცია წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას, რომელიც მოიცავს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების პროფესიულ ორიენტაციას, კონსულტირებას, შერჩევასა და გადარჩევას, საწყის დასაქმებასა და პროფესიულ ადაპტაციას. სისტემის ყველა შემადგენელი ორიენტირებულია შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებზე და ხელს უწყობს პროფესიისა და პროფესიული მომზადების პროფილის სწორად შერჩევას, ასევე ეფექტიან, პროფესიულ განვითარებას [OECD, 2014: 8]. პროფესიული ორიენტაცია მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელთა შორის პროფესიის არჩევის პროცესს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისეული გზის მონაკვეთს, გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც განსაზღვრავს მის შემდგომ პროფესიულ ბედს. პროფესიის არჩევის პროცესი ყოველთვის კრიტიკული მომენტი პიროვნების ცხოვრებაში და ის საჭიროებს განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. სწორედ ასეთი მხარდაჭერის აღმოჩენას ითვალისწინებს პროფესიული ორიენტაციის სისტემის მუშაობა. პროფესიულ ორიენტაციას არაერთი თეორია ეძღვნება, რომელიც ამ პრობლემის ცალკეულ ასპექტებს ასახავს. ჯონ ჰოლანდის თეორიის მიხედვით, პროფესიული ორიენტაციისას ადამიანებს ურჩევნიათ იმუშაონ მსგავს პიროვნებებთან ერთად. ისინი ეძებენ ისეთ სამუშაო ადგილს, სადაც გამოიყენებენ საკუთარ უნარ-ჩვევებს და გამოხატავენ თავის დამოკიდებულებებსა და ღირებულებებს. ჰოლანდმა გამოყო ადამიანის ექვსი ტიპი: პრაგმატული; ცნობისმოყვარე; არტისტული; სოციალური; ინიციატორი; ტრადიციული. ადამიანი უფრო წარმატებული და კმაყოფილი იქნება თუ თავის პიროვნულ ნიშან-თვისებებთან შესაბამის სამუშაო გარემოს აირჩევს [olland, 1997]. ალბერტ ბანდურას კოგნიტური თეორიის მიხედვით, პროფესიულ ორიენტაციას სხვა პირებზე დაკვირვება განსაზღვრავს. ადამიანები სწავლობენ სხვის შეცდომებზე, ირჩევენ ისეთ პროფესიებს, რომლებსაც პრესტიჟულად და მიმზიდველად თვლიან [York University, 2008]. ფრენკ პარსონის იდეის მიხედვით, უნდა მოხდეს პროფესიული მოთხოვნილებებისა და პიროვნული მახასიათებლების ერთმანეთთან დაკავშირება, პიროვნება თავს უკეთესად წარმოაჩენს თუ მისი სამსახური მის უნარ-ჩვევებს შეესაბამება [Parsons, 2008]. პროფესიული ორიენტაციის პირველი სამსახურები მე-20 საუკუნის დასაწყისში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში გაჩნდა. თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს პროფესიული ორიენტაციის სამსახურების ფართო ქსელი.

პროფესიული ორიენტაციის პიონერია აშშ, ქ. ბოსტონში უკვე 1908 წელს პირველი „პროფესიული კონსულტაციის ბიურო“ ფუნქციონირებდა [Jackson, 2010:18]. თანამედროვე ამერიკული მოდელის თავისებურება ისაა, რომ სახელმწიფო დასაქმების ცენტრებთან ერთად წარმატებით ფუნქციონირებს პროფესიული ორიენტაციის კერძო სისტემაც. პირველი უფასოა და შრომის სამინისტროს მიერ იმართება, უკანასკნელი კი კომერციულ საწყისებზე ფუნქციონირებს. ამერიკული მოდელის წარმატება მის მრავალფეროვნებაშია, აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ადამიანს სკოლის მერხიდან ეძლევა შესაძლებლობა, გააანალიზოს თავისი მომავალი პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამერიკული მოდელის წარმატებას არსებითად განაპირობებს პროფესიული ორიენტაციის

საინფორმაციო ქსელის ფუნქციონირება, სადაც დეტალურადაა მოცემული შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ცალკეული ვაკანსიებისა და პროფესიების.

ევროკავშირსა და მთელ მსოფლიოში გერმანიას უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების ხელშეწყობაში ქვეყანა მუდამ მოწინავეა. გერმანიის საგანმანათლებლო სისტემა გამორჩეულია მსოფლიოში. მას საკმაოდ მძლავრი და მრავალმხრივი სტრუქტურირებული პროფესიული განვითარებისა და ორიენტაციის სისტემა გააჩნია. აღსანიშნავია, რომ კვალიფიციური კადრების მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებისათვის გერმანიის კანონმდებლობით ყველა სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულია, სასწავლო გეგმებში შეიტანოს პროფესიული ორიენტაციის კურსი. შრომის ბაზრის სახელმწიფო სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სკოლებთან, რათა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებში, მიიღონ გამოცდილება და გაერკვნენ თუ რომელი პროფესიაა უფრო მიმზიდველი [Ebbinghaus, 2006: 4]. ეს მეთოდი იძლევა დროს, ენერჯისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის საშუალებას, ასევე ეფექტიანად აკავშირებს ახალგაზრდებს მათ პოტენციურ დამსაქმებელ კომპანიებთან. გერმანიაში ფართოდაა გავრცელებული პროფესიული ორიენტაციის ცენტრების უნივერსიტეტის ფარგლებში დაარსებაც, რომელიც ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებს ეხმარება, აღმოაჩინონ საკუთარი პროფესიული მისწრაფებები და წარმატებულად დასაქმდნენ. გერმანული მოდელის მნიშვნელოვანი უპირატესობაა, უმუშევრად დარჩენილი ადამიანების რეაქტივაცია და მათი სრულფასოვანი დაბრუნება სამუშაო პროცესში.

ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავედ, გერმანულთან ერთად, ფრანგული მოდელია მიჩნეული. ის სახელმწიფოს მიერ კონტროლდება და სამინისტროების ერთობლივი მოქმედებით ხასიათდება. განათლებისა და პროფესიის ეროვნული საინფორმაციო ბიურო (ONISEP) თავის საქმიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბით 600-მდე წარმომადგენლობის მეშვეობით ახორციელებს. ONISEP-ი მსურველებს ეხმარება ინფორმაციის მოძიებაში, შრომისა და დასაქმების ბაზრებზე არსებულ ტენდენციებზე, პროფესიულ სასწავლებლებსა და იქ მოხვედრის წესებზე [Turchina, 2013: 220]. პროფესიული ორიენტაციის ფრანგულ მოდელში სახელმწიფო სტრუქტურები აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთა კავშირებთან, დასაქმების ბირებთან, პროფესიული მომზადებისა და საინფორმაციო ცენტრებთან. ფრანგული მოდელის ხიბლი მის ეფექტიან სახელმწიფო რეგულირებაშია, რომელიც მაღალკვალიფიციური კადრების დახმარებით ეფექტიან გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე მათი მომავალი პროფესიების არჩევის დროს.

დიდ ბრიტანეთში პროფესიული ორიენტაციის პრობლემებზე ყურადღების გამახვილება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, რაც ეკონომიკური პრობლემებითა და უმუშევრობის ზრდით იყო განპირობებული. 1973 წელს გამოვიდა სპეციალური კანონი, რომლის თანახმად, პროფესიული ორიენტაცია უნდა ყოფილიყო მოსწავლის თანამგზავრი განათლების მიღების მთელ პროცესში, რაც სპეციალური კურსების ორგანიზებაში გამოიხატებოდა. დიდ ბრიტანეთში არსებობს პროფესიული ორიენტაციის სპეციალური სააგენტოც, რომელიც მრავალმხრივ დახმარებას უწევს ახალგაზრდებს პრაგმატული არჩევანის გაკეთებაში [OECD]. პროფესიულ ორიენტაციაში აქტიურადაა ჩართული თანამედროვე ტექნოლოგიები და როლური თამაშები, რომელიც მოსწავლეს პოტენციური პროფესიის დეტალებს აცნობს. ამ მოდელის საინტერესო დეტალია სკოლებში სპეციალური მცირე საწარმოების დაფუძნება, სადაც სკოლის მოსწავლეები რეალურ პრაქტიკას გადიან და ხვეწენ თავიანთ პროდუქტსა თუ მომსახურებას.

ექსპერტების შეფასებით, ევროპაში ყველაზე დემოკრატიულს განათლებისა და პროფესიული ორიენტაციის დანიური სისტემა წარმოადგენს. ის ეფუძნება ახალგაზრდული განათლების ღია კონცეფციას და არაფორმალური განათლების ფასეულობებს, რომლებიც ამ ქვეყანაში უკვე მრავალი წელია არსებობს. მნიშვნელოვანი ყურადღება უფროსკლასელების პრაქტიკულ საქმიანობას ეთმობა, მათ მონაწილეობას მოხალისეობრივ და სოციალურ სამუშაოებში. ახალგაზრდების განათლების ღია პროგრამას არ გააჩნია მკაცრად განსაზღვრული ვადები, მეცადინეობები იწყება ჯგუფების ფორმირების შემდეგ და ხორციელდება განათლების სამინისტროს სათანადო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სასწავლო წელი 40 კვირა გრძელდება, ხოლო სასწავლო კვირა 35 საათს შეადგენს, დამოუკიდებლად მომზადებისათვის გათვალისწინებული დროის ჩათვლით. მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით, პროფესიული კონსულტანტი ადგენს სწავლების ინდივიდუალურ ტრაექტორიას, რომელიც მტკიცდება ღია ახალგაზრდული განათლების გაერთიანებული საბჭოს მიერ [Федотова, 2003: 273].

ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, იაპონური მოდელი მთლიანად საშუალო სკოლაზეა კონცენტრირებული. იაპონიაში სასკოლო განათლების ძირითად ბირთვს სწორედ პროფესიული მომზადება შეადგენს. იაპონელი სპეციალისტების აზრით, ადამიანის პროფესიული ორიენტაცია ყველაზე უკეთ არა მაღალ, არამედ საწყის კლასებში ყალიბდება და ისინი სწორედ ამ პერიოდთან იწყებენ აქტიურ მუშაობას. იაპონური მოდელი 4 შემადგენელს მოიცავს: პროფესიული განათლება, პროფესიული კონსულტაცია, პროფესიული გამორჩევა და პროფესიული ადაპტაცია. ყველაზე დიდი აქცენტი პროფესიულ ადაპტაციაზე კეთდება. მოსწავლეები სავალდებულო წესით გადიან სპეციალურ სინჯებს სხვადასხვა პროფესიაში, რათა მათ შესაძლებლობებთან და სურვილთან ყველაზე ახლოს მყოფი პროფესია შეარჩიონ. იაპონური მოდელის წარმატების საიდუმლო სწორედ მის ინდივიდუალურ ორიენტაციაშია სკოლის დაწყებითი კლასებიდან [Shniper, 2008: 11].

პროფესიულ ორიენტაციაზე მიმართული საქმიანობა ჩინეთში მოსწავლეების საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაზეა ორიენტირებული [Кожевникова, 2009: 154]. სკოლებში გახსნილია უცხოური წარმომადგენლობები, რომლებიც აქცენტირებულნი არიან ინგლისურისა და სხვა უცხო ენების შესწავლაზე. ჩინელი მოსწავლეების საზღვარგარეთზე ორიენტაცია განპირობებულია პირველ რიგში ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში ვაკანსიების დეფიციტითა და უმაღლესში ჩაბარებისას აბიტურიენტებისათვის წაყენებული მკაცრი კრიტერიუმებით. განათლების ჩინურ სისტემას განსაზღვრავენ, როგორც პროგრამულს და სელექციურს. საშუალო ჩინელი ახალგაზრდის განათლების შემდგომ საფეხურზე გადასვლის ალბათობა მცირეა. უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება დიდ მიღწევად ითვლება სკოლის დამთავრების შემდეგ: ზოგიერთ უნივერსიტეტში კონკურსი ერთ ადგილზე 200-300 აღწევს. ამასთან, რეალურად ნიჭიერი ახალგაზრდები დიდი შეღავათებით სარგებლობენ.

პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობა საქართველოში

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან ერთად, საქართველოში წარმოიშვა პროფესიული ორიენტაციის სისტემის რეკონსტრუქციის აუცილებლობა. თანამედროვე ეტაპზე გამოკვეთილია შრომის ბაზრისა და ეკონომიკის ცალკეული დარგების პრობლემები, რასაც სხვადასხვა მიზეზი აქვს:

- საბჭოთა პერიოდში საქართველოში პროფესიული ორიენტაციის სისტემა იმართებოდა საერთო ცენტრიდან მიღებული დირექტივების საფუძველზე, ხოლო გარდამავალ პერიოდში, რომელიც შოკური თერაპიის სცენარით წარიმართა, ითვლებოდა, რომ ბაზარი თავად დაარეგულირებდა ყველაფერს, მათ შორის კადრების მომზადებასა და პროფესიულ ორიენტაციას.

- ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდში არ იყო საშუალება, სათანადო ყურადღება დათმობოდა პროფესიული ორიენტაციის პრობლემებს, რამაც პროფესიის არჩევის პირად პრობლემას სოციალური და საერთო ეროვნული ხასიათი შესძინა.

- შრომის ბაზარი და საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მდგომარეობა არ არის დაბალანსებული. კადრების მომზადება მიმდინარეობს ეკონომიკური საჭიროებების გაუთვალისწინებლად, არსებობს დიდი დისბალანსი მოთხოვნილ და დაწეებით, საშუალო, უმაღლესი სკოლების მიერ მომზადებულ კადრებს შორის.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საქართველოში ქმედითი ნაბიჯების გადაღმა 2007 წლიდან დაიწყო. ევროკავშირის ხელშეწყობით ევროპის, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი სახელმწიფოები ჩართულნი არიან უწყვეტი განათლების პროგრამაში (Lifelong Learning Program), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს უწყვეტი პროფესიული განათლების შესახებ კონსულტირება და კარიერის დაგეგმვის განვითარება წარმოადგენს. 2008 წელს შეიქმნა „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის ერთ-ერთი მიზანი პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მოდელის შექმნა იყო. 2010 წელს საქართველოს მთავრობის 13 ოქტომბრის №1329 დადგენილებით შეიქმნა პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო, რომელმაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კოორდინირებით შეიმუშავა „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა“ შესაბამისი სატრენინგო მოდელის თანხლებით. განხორციელდა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში საშტატო ერთეულით გათვალისწინებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერებისა და საქართველოს მასშტაბით არსებული სამი საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების გადამზადება. მოცემული პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი ქვეპროგრამის სახით შეიქმნა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ქვეპროგრამა“, რომლის პილოტირებაც მოხდა საქართველოს 100 სკოლაში. 2011 წელს, აღნიშნულ პროგრამაში საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლის 2000-მდე (IX, X, XI, XII კლასის) მოსწავლე იყო ჩართული. აღნიშნულ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური, კერძოდ მანდატურის სამსახურის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს დაევადა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება ქვეყანაში პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ: სამინისტროსთან შეთანხმებით პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგიის შემუშავება და საჯარო სკოლებში პროფესიული ორიენტაციის სისტემის დანერგვა; პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამასთან დაკავშირებული აქტივობების კოორდინაცია და მონიტორინგი და ა.შ.

2012 წელს იწყება მანდატურის სამსახურის რეფორმა, 2013 წლის აპრილიდან კი გაიხსნა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრი, რომელიც ასევე ჩაერთო სკოლებში პროფესიული

ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კონცეფციის განხორციელებაში. 2013 წელს დასრულდა აღნიშნული პროგრამის პირველი ფაზა. ამავე წელს საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიცირებით „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დაიწყო „მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთათვის, სტუდენტებისა და პროფესიის მაძიებელთათვის ხელმისაწვდომი, პროფორიენტაციული ონლაინ მომსახურების შეთავაზებაა. მოცემული პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებგვერდი www.myprofession.ge. ვებ-გვერდი ეხმარება დაინტერესებულ სუბიექტებს კარიერის დაგეგმვის, კარიერული განვითარებისა და პროფესიის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. 2014 წელს კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ამოქმედდა „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა“ საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის, რასაც ასევე მოჰყვა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, სკოლის დამრიგებლებს დაევალებათ საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ IX კლასსა და XI ან XII კლასში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან შეთანხმებით. საქართველოში 2015 წელს განხორციელდა 900-ზე მეტი პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის (მასწავლებელთა) გადამზადება. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამის ფარგლებში მომზადდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მე-9 კლასის პედაგოგებისთვის; შემუშავდა ტრენერთა ტრენინგის (TOT) მოდულები და მასალები, რის მიხედვითაც გადამზადდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის 73 სპეციალისტი. 2015-2016 სასწავლო წელს კი პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა საქართველოში 944 საპილოტე სკოლაში მიმდინარეობდა [mandaturi.gov.ge, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური].

ამრიგად, პროფესიული ორიენტაციის ქართული მოდელი ფორმირების პროცესშია. ამ ეტაპზე პროფესიული ორიენტაციის სისტემის ძირითად ინსტრუმენტს სკოლა წარმოადგენს, პროცესი მთლიანად სახელმწიფოს ძალისხმევით და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით წარიმართება.

დასკვნა

პროფესიული ორიენტაციის უცხოური გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მიდგომით პროფესიული ორიენტაცია განიხილება არა როგორც ცალკეული პიროვნების პრობლემა, არამედ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

პროფესიული ორიენტაციის ქართული მოდელი ფორმირების პროცესშია. სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ახალგაზრდების დახმარების არაერთი ღონისძიება განხორციელდა, თუმცა ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული მდგრადი სისტემა, რომელიც ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაში გრძელვადიანი რეალური შედეგების მომცემი იქნება. განხორციელებულ ღონისძიებებს თანმიმდევრული ხასიათი არ აქვს, ხშირად იცვლება მიდგომები და მარეგულირებელი წესები. შესაბამისად კადრების მომზადება მიმდინარეობს ეკონომიკური საჭიროებების გაუთვალისწინებლად.

ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის არსებული სისტემის გაუმჯობესების და პროფესიის არჩევანში დახმარების უფრო ქმედითი მექანიზმების ჩამოსაყალიბებლად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი მიდგომები:

➤ მომავალ პროფესიაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება სკოლის ასაკში. შესაბამისად პროფესიულ ორიენტაციაში დახმარების პროგრამები კონცენტრირებული უნდა იყოს საშუალო სკოლის, ძირითადად დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებზე;

➤ პროფესიულ ორიენტაციაში დახმარების პროგრამების შემუშავება და დანერგვა უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაზე მოქმედი ფაქტორების კვლევის შედეგებს;

➤ ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაში დახმარების საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად, ახალგაზრდების პროფესიულ ორიენტაციაში დახმარების პროგრამები და ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს საქართველოში არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოს;

➤ დაუშვებელია, პროფესიის არჩევანში დახმარების პროგრამებში ჩართული იყოს არასათანადო კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ადამიანები. აუცილებელია იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც პროფესიული ორიენტაციის პროგრამებში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების ჩართულობა მკაცრად არის მოთხოვნილი;

➤ პროფესიულ ორიენტაციაში დახმარების კონკრეტული ღონისძიებების საფუძველი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია შრომის ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის შესახებ;

➤ პროფესიული ორიენტაციის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების ინფორმირება პროფესიის არსზე, სამუშაო პირობებზე, პროფესიით დასაქმებულ ადამიანებზე და მათ შემოსავლებზე, პროფესიის მიხედვით კარიერის შექმნის შესაძლებლობებზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე, პროფესიით დასაქმების შესაძლებლობებზე, სამედიცინო უკუჩვენებებზე, მონათესავე პროფესიებზე, სასწავლო დაწესებულებებზე, სადაც კონკრეტული პროფესიის დაუფლება შეიძლება და ა.შ.

გამოყენებულილიტერატურა

1. პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა, <http://diversity.ge/files/files/prof.education-geo.pdf>
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013-2014 წლის ანგარიში: <http://mes.gov.ge/publicInfo/wpcontent/uploads/2013/12/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9>
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №74/ნ, 2010 წლის 20 აგვისტო.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 36/62011, წლის 11 მარტი.
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის ანგარიში. <http://mes.gov.ge/publicInfo/>
6. საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური http://mandaturi.gov.ge/index.php?page=3&news_id=216&lang=geo
7. სოციალური მომსახურების სააგენტო. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5&info_id=1446

8. American School Counselor Association. <https://www.schoolcounselor.org/school-counselors-members/careers-roles/state-certification-requirements>
9. Career Guidance and Public Policy <http://www.oecd.org/edu/innovation-education/34050171.pdf>.
10. Does Germany Need Labour Migration? <http://focus-migration.hwwi.de/Does-Germany-Need-La.1197.0.html?&L=1>
11. Ebbinghaus, B., Eichhorst, W., 2006, Employment Regulation and Labor Market Policy in Germany, 1991-2005. Discussion Paper No. 2505, p.4.
12. Employment of Foreign Workers in Germany <https://www3.arbeitsagentur.de/web/wcm/idc/groups/public/documents/webdatei/mdaw/mtaw/~edisp/16019022dstbai651347.pdf>
13. Holland, J. L., 1997. Making vocational choices: A theory of vocational personalities and work environments, 3rd ed. Odessa.
14. Hughes, K. L., Karp M. M., 2004. School-Based Career Development: A Synthesis of the Literature, Institute on Education and the Economy Teachers College, Columbia University, p. 27.
15. Jeckson, J. L., 2010, THEORETICAL COUNSELING ORIENTATION: AN INITIAL ASPECT OF PROFESSIONAL ORIENTATION AND IDENTITY, Alabama, p. 18.
16. New Directions for Career Guidance and Japanese Youth http://www.works-i.com/pdf/r_000276.pdf.
17. OECD REVIEW OF CAREER GUIDANCE POLICIES. <https://www.oecd.org/unitedkingdom/4536941.pdf>
18. Parsons, F, Choosing a Vocation, December 2008, www.leonardoevangelista.it.
19. Shniper, L., 2008, A Comparison of Career Guidance Information in the US and Japan.
20. Super, D. E., 1953, A Theory of Vocational Development. American Psychologist N8, p. 185-190.
21. Turchina, L.A., 2013, Feature of vocational orientation of studying young people in foreign countries, Scientific Notes of Taurida National V. I. Vernadsky University, Issues of Secondary and Higher School Education, Vol. 26 (65), No.1. – P. 216-227.
22. York University, Canada, Theories used in IS Research: Social Cognitive Theory, 2008, www.istheory.yorku.ca.
23. Кожевникова, М. Н., 2009. Педагогические условия адаптации учащихся из КНР в процессе довузовской подготовки: Москва, с.154.
24. Организация профориентационной работы за рубежом. <http://biglibrary.ru/category38/book118/part36/>
25. Федотова Е. Е., 2003, Теория и практика подготовки к занятости учащихся общеобразовательных школ и профессионально-технических учебных заведений зарубежных стран, Томск. с. 373

Murtaz Kvirkvaia

*Department of Management, Professor.
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia;*

Vasil Kikutadze

*Department of Management, Associate professor.
Grigol Robakidze University, Tbilisi State University,
Tbilisi, Georgia;*

David Sikharulidze

*Department of International Business, Associate professor.
Tbilisi State University, Tbilisi, Georgia;*

Shota Shaburishvili

Department of International Business, Associate professor;

Vakhtang Charaia

*Department of Management, Associate professor.
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia*

PROFESSIONAL ORIENTATION OF YOUNGSTERS: INTERNATIONAL EXPERIENCE AND GEORGIA Expanded Summary

Right professional orientation of youngsters is an essential issue for Georgia. However, the problems related to the professional orientation have a long time negative effects which is poorly estimated by the society, especially in poor and developing countries.

Incorrect professional orientation in our society is related to such important problems as, high unemployment rate, low productivity, career development and etc. Thus, the goal of the given article is to detect impact factors for youngsters' professional orientation in Georgia and to define their impact in the process of professional orientation decision making.

Article tells about international experience of professional orientation in different countries, such as USA, UK, France, Denmark, Japan, China and compares it to the peculiarities of Georgian reality, which could be characterized as limited in experience and knowledge.

Study has found the problems of professional orientation in Georgia, which finally becomes an important aspect of slower economic development of the country and limited opportunities for the youngster's future. Article provides the ways how to improve the effectiveness of professional orientation in Georgia, through implementation of different reforms and policies which were recognized as success stories worldwide, and not only.

The Georgian model of professional orientation is still in the process of development. A lot of different events have been made to provide youngsters with the right vision for their future profession, but still there is no one sustainable system which would orient all interested counterparts.

Since there is no one system, different governmental organizations are aiming to different goals, which they believe would better suit to the needs of those choosing their professional orientation, but at the same time lack of coordination between governmental bodies brings to inefficient policies, budgeting and results.

The wrong professional orientation results of young people is noticeable as soon as they pass at university or vocational education institutions. The wrong professional orientation of young people can be considered: a low learning motivation, low academic performance, internal mobility of other studies, which often have nothing in common with initially chosen profession and specialty; External mobility which is related to the change of specialty; high

unemployment level of young people; high turnover rates from work among young people in the first year of employment, etc.

Typically, as a result of wrong professional orientation these young people have more difficulties in future career planning, on labor market competitiveness, in self-realization and ultimately the detention of their deserve places in a society.

Despite the fact that in our society it is clearly recognized a special importance of professional orientation, it is only known on the supposition level which factors are determining for instance the professional orientation of the graduates of high schools. Such assumptions are related to choosing a profession according to the parents' taste and discretion, advice of random people, prestige of the profession, trendiness among young people and high level of income that is characteristic for certain professions, etc.

It is not a rear case when professional orientation is offered in the field which do not require any support, and the fields which are needed and requested by the industries are neglected, thus driving the whole economy in a wrong direction.

To have a working mechanism of professional orientation in Georgia, there should be considered the following important issues, such as:

- Decision on future profession is made at a school age; therefore professional orientation helping programs should be concentrated at schools students, especially aiming at graduate class pupils.
- Professional orientation policies and their implementation should be based on the real needs of the local market, which needs appropriate researches to be done on the local level, but taking in to a consideration the international trends.
- Peculiarities of the local economy, traditions and socio-economic realities should be obligatorily considered while creating policies and implementing them in Georgia.
- The system of professional orientation should clarify and respond adequately to the needs of youngsters, including information about working facilities, average salary, trends in the field, minimum qualification needs, medical issues, places where this profession could be obtained and perspectives of being representative of this particular field.

წინასწარი და საბანკო საქმე
FINANCE AND BANKING

დავით ასლანიშვილი
ეკონომიკის დოქტორი;
ქრისტინე ომაძე
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი

სამართაშორისო დისკუსიები საბანკო კრედიტსა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირის შესახებ

რეზიუმე

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის და **საკრედიტო ბაზრების გამართული ფუნქციონირების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე**. აღნიშნული საკითხი აქტუალურია როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, რადგან ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი საკრედიტო ბაზრის ფაქტორების გამოვლენა, შესწავლა და ზემოქმედების მექანიზმის გაანალიზება.

საკვანძო სიტყვები: საბანკო კრედიტი, ეკონომიკური ზრდა, სამართაშორისო სავალუტო ფონდი, შემოსავალი ერთ სულზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა უცხოელ მეცნიერთა მიერ აღნიშნული პრობლემის შესწავლის დონის გაანალიზება. წარმოდგენილი პრობლემის შესწავლას ეხება ნიგერიის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მკვლევარის **ორჯი ენტონის** ჩატარებული გამოკვლევა, თუ როგორ გავლენას ახდენს ნიგერიის ეკონომიკურ ზრდაზე 1970-2006 წლებში საბანკო დანაზოგები და საბანკო კრედიტები. კვლევის შედეგად მიღებულ იქნა ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ორი მოდელი. პირველი სპეციფიკაციის მოდელში ARDL-ECM რეგრესიისთვის წარმოდგენილია ისეთი სპეციფიკაციის ცვლადები, როგორცაა: **ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი (PCY)**, საბანკო შიდა დანაზოგების თანაფარდობა მშპ-ის მიმართ საბაზრო ფასებით, მეორე მიზნის მისაღწევად შემუშავებულ იქნა მეორე სპეციფიკური მოდელი, რომელშიც მთავარი აქცენტი გაკეთდა ეკონომიკურ ზრდაზე ნიგერიაში კერძოდ იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს საბანკო შიდა დანაზოგები, საბანკო კრედიტები და რეგრესიის სხვა ცვლადი მაჩვენებლები მშპ-თან მიმართებაში [Orji Antbouny, 2012: 357-372. www. Econjournals.com].

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ნიგერიის მთავრობას მიეცა რეკომენდაციები, საკუთარი ძალისხმევა მიმართოს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების გადიდების, უმუშევრობის დონის შემცირებისა და ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ხელშემწყობი საბანკო კრედიტების და დანაზოგების ეფექტურად გამოყენებისთვის.

საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მეტად აქტუალურია ელ-რიადში, საუდის არაბეთის ისლამური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევა **კატარში ფინანსური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხარისხის ამადლებისთვის**. კვლევაში ემპირიულად შესწავლილი და დასაბუთებულია კატარში ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის გრძელვადიანი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი 1990-2012 წლებში. ქვეყნის ფინანსური განვითარება გაზომილია სამი ალტერნატიული მაჩვენებელი

ნებლით: ფართო ფულის (M2) დამოკიდებულებით მშპ-ის მიმართ, კერძო სექტორის საბანკო დაკრედიტების თანაფარდობით მშპ-თან და საბანკო სექტორის მიერ წარმოდგენილი შიდა კრედიტის თანაფარდობით მშპ-ის მიმართ. ეკონომიკური ზრდი საზომად მიჩნეულია რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი. კვლევით მიღებულმა შედეგებმა დაგვანახვა, რომ სამივე ფინანსურ ინდიკატორსა და მშპ-ის რეალური ზრდის ტემპს შორის არსებობს გრძელვადიანი დადებითი წონასწორობრივი კავშირი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფართო ფულის მასას (M2) და მშპ-ს შორის და ასევე მშპ-ის ზრდის ტემპს შორის არსებობს ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ხოლო ცალმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს საბანკო სექტორის შიდა კრედიტების. მშპ-თან მიმართებაში და მშპ-ის ზრდის ტემპს შორის მოკლევადიან პერიოდში. ჩატარებული დაკვირვების შედეგებმა გვიჩვენა ცალმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მშპ-ის ზრდის ტემპსა და საბანკო სექტორის მიერ წარმოდგენილ შიდა კრედიტებს შორის [Waheed Likhuzaim. 2014 357-372. www. Econjournals.com].

საბანკო კრედიტსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებულ ურთიერთობებს ეხება მაკაოში ზო ნგან ვანის შრომა, რომელშიც ავტორი აღიარებს, რომ ფინანსური განვითარება და სტრუქტურა მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან. თავის მხრივ, ქვეყნის ფინანსური განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვის დონეზე, მაგრამ შედარებით დაბალ კორელაციურ კავშირშია წარმოების ზრდასთან. ემპირიულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ მთელი რიგი ფინანსური მაჩვენებლები მტკიცე და პოზიტიურ კორელაციაშია ეკონომიკურ ზრდასთან. მაკაოში დიდი ყურადღება ექცევა საბანკო სექსებზე ხელმისაწვდომობას და მას განიხილავენ წარმოების განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ფაქტორად. [Ho Ngai Wa. 2005].

შეტად საყურადღებოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა: მაკროფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა საკრედიტო ბუმს და დაქვეითებასთან მუშაობის კუთხით. „საკრედიტო ბუმის“ ეპიზოდები, რომელიც მოიცავს დაკრედიტების სწრაფ ზრდას, ქვეყნისათვის პოლიტიკურ დილემას წარმოადგენს. ფინანსებთან ხელმისაწვდომობის გაფართოება, ინვესტიციების მოზიდვის ფართო მხარდაჭერა და ეკონომიკური ზრდა [Ho Ngai Wa. 2005] ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ როდესაც გაფართოება ღებულობს მკვეთრად დაჩქარებულ ხასიათს მან შესაძლებელია მიიღოს შეტევითი ხასიათი სუსტი დაკრედიტების სტანდარტების პირობებში, შესაძლებელია მივიღოთ საკრედიტო სახსრების უსაზღვრო გამოყენება და ფასების საშიში ბუმი აქტივებზე. ჩვეულებრივ, „საკრედიტო ბუმები“ დაკავშირებულია ფინანსურ კრიზისთან [Waheed Likhuzaim. 2014: 357-372. www. Econjournals.com], „საკრედიტო ბუმები“ საუკეთესო სიტუაციაშიც საშიშია, ხოლო უარეს შემთხვევაში სახეზე გვაქვს კატასტროფა (გიურინშასი, ვალდესი და ლანდერმეტშე, 2001, ბორიო და ლოუ, 2002, ენოქსი და ქუტკეტ-როდუ, 2007). ამ საშიშროებებზე უახლოეს მსოფლიო კრიზისამდე ყურადღებას არ ამახვილებდნენ.

საკრედიტო ბუმების პრობლემატიკაზე საინტერესოა ინდოეთის და პოლონეთის ცენტრალური ბანკების მიდგომები, საკრედიტო ბუმის პირობებში ძალზე ძნელია ჯანსაღი და არაჯანსაღი საკრედიტო ნაკადების ერთმანეთისგან გარჩევა, ამიტომ პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს შედეგების შეკავებისკენ. ამ მიზნით აუცილებელია განვლილი პერიოდის შედეგებზე მონიტორინგის და კონტროლის ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენება. უკვე დამუშავებულია ნორმატიული ბაზაც, მაგალითად ბაზელ III-მმა მოქმედებაში შემოიღო კაპიტალის ბუფერების მთელი რიგი, რომლის კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს კრედიტების ზღვარგადასული ზრდა (საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი, 2010) [Giovanni Dell Aniccia, Deniz Ig, Lus Laeven, and Hui Tong, 2012].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ამ დოკუმენტში განხილულია საკითხი, თუ როგორ და რა დოზით უნდა განვახორციელოთ ჩარევის პოლიტიკა საკრედიტო ბუმის თუ საკრედიტო დაქვეითების პერიოდში.

კვლევაში ასევე განხილულია ის გეოგრაფიული რაიონები, მათი მდგომარეობა და პრობლემები, სადაც უფრო მოსალოდნელია ბუმის ეფექტი. ავტორები ასეთ ქვეყნებად მიიჩნევენ აფრიკის სამხრეთის და ლათინური ამერიკის ქვეყნებს, ასევე ევროკავშირში დ გაფართოების პროცესში შესულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს.

ეკონომიკური ზრდის კუთხით ძალზე საინტერესოა სისტემური საბანკო კრიზისის დადგომის გამაფრთხილებელი ინდიკატორის დამუშავება. ამ მიზნით დღეისათვის აქტუალურია **მატიას დრემანის** სტატია, რომელიც ეძღვნება საბანკო კრიზისის წინა პერიოდის გამოვლენის ინდიკატორების დამუშავებას. ავტორი სტატიაში ამახვილებს ყურადღებას საბანკო კრიზისის ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: **კერძო სექტორის საკრედიტო ბუმი, არასაკრედიტო დაკრედიტება, კრედიტების თანაფარდობა მშპ-თან მიმართებაში და სხვა**. ავტორი განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს BIS-ის მონაცემთა ახალ ბაზარზე, რომელიც ცხადყოფს, რომ ბანკებს შეუძლიათ მოიცვან კერძო არასაფინანსო სექტორის დაკრედიტების 30%. ავტორის ანალიზი მთლიანობაში ეყრდნობა BIS-ის ახალი ბაზის მონაცემებს, ბანკების და კერძო არასაფინანსო სექტორის დაკრედიტებას.

ავტორი სამოქმედო დოკუმენტში ყურადღებას ამახვილებს ორ მიზეზზე, რომლის დროსაც:

1. ბანკები შესაძლებელია დაზარალებენ ჭარბი კრედიტების გაცემით;
2. კერძო საფინანსო სექტორის დაფინანსებით, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები.

მატიას დრემანი ყურადღებას ამახვილებს ცაკეული სახის კრედიტების მშპ-თან თანაფარდობის შეფასებაზე, რომელიც შესაძლებელია მოგვევლინოს საბანკო კრიზისის დაწყების ერთ-ერთ ინდიკატორად. ამ თანაფარდობის პროცენტულმა მაჩვენებელმა შესაძლებელია მიგვანიშნოს ქვეყანაში საბანკო კრიზისის დაწყება.

საკრედიტო ბაზრის ფორმირების და განვითარების საკითხებს ეძღვნება ხორვატიის ეროვნული ბანკის კვლევა, რომელიც მოიცავს ხორვატიაში კრედიტებზე მოთხოვნის შეფასების საპროექტო ვერსიას. პროექტის ავტორებია: **კატია გაუტინ-ტურკაჩი, იგორ ლუბაჩი, ანა მარტინი, მარკო მრკაჩი** [Katja Gattin-Turkalj, Igor Ljubaj, Ana Martinis, Marko Mrkalj. 2007].

კვლევა ეხება ფულად აგრეგატებს და კრედიტებზე მოთხოვნას, რომლებიც, ტრადიციულად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შუალედურ მიზანს წარმოადგენენ, რომლის საშუალებითაც ცენტრალური ბანკები ფასების სტაბილურობის მიღწევას ცდილობენ ქვეყანაში. უკანასკნელ პერიოდში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში აქტუალური გახდა „საკრედიტო ბუმის“ დადგომისა და მისი პროგნოზირების საკითხები. აღნიშნულის გათვალისწინებით, კრედიტზე მოთხოვნის სწორი პროგნოზირება ხელს უწყობს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის მიღწევას და ეკონომიკური ზრდის აღმავლობას, რომელიც დღეისათვის ასევე აქტუალურია ხორვატიისთვის.

ნაშრომში ავტორების მიერ სტანდარტულ კრედიტზე მოთხოვნის დეტერმინანტების საშუალებით, უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენებით განსაზღვრულია ხორვატიაში კრედიტების საერთო მოცულობაზე მოთხოვნა.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ კრედიტების ქცევა შესაძლებელია ავსნათ რეალური მშპ-ის და კრედიტების რეალური საპროცენტო განაკვეთების საშუალებით. მშპ წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას, რომელიც დგას კრედიტებზე მოთხოვნის ფორმირების უკან. იყო საბაზო სპეციფიკაციის საიმედოობის შემოწ-

მების მცდელობა სხვა ცვლადების გამოყენებით. ამ ცვლადებს წარმოადგენდა: ინფლაცია, ევროს ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარზე, ხოლო ცვლადების პერიოდი მოიცავდა 90-იანი წლების ბოლოსა და 2006 წლამდე პერიოდს.

კვლევაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლას კრედიტებზე, რადგან, როგორც ეკონომიკური ლიტერატურის განხილვამ გვიჩვენა, კრედიტებზე მოთხოვნას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფასები უძრავ ქონებაზე. ხოლო, როგორც კვლევა ადასტურებს, კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდა უარყოფითად მოქმედებდა მოსახლეობის მხრიდან კრედიტებზე მოთხოვნაზე.

ასევე, კვლევით დადასტურდა მაღალი კორელაცია კრედიტებსა და მშპ-ს შორის, რომლის გამოყენების იდენტიფიკაცია წარმატებითაა შესაძლებელი გრძელვადიან პერიოდში.

მაკროეკონომისტებმა უკვე დიდი ხანია აღიარეს, რომ მათი საქმიანობა აკრძალულ ზღვარს იქით არასაიმედოა რეალური დროის რეჟიმის პირობებში და მან შესაძლებელია სერიოზული სირთულეები შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკას.

სტატიაში კრედიტების მშპ-თან თანაფართობის უკმარისობის ნომინალური კოეფიციენტების გამოყენება ათვლის წერტილად ითვლება კაპიტალის დაგროვების ანტიციკლური ბუფერისთვის. პრაქტიკულად გამოთვლილია კრედიტებისა და მშპ-ს შორის თანაფართობის შეფასებები რეალური დროის პირობებში, კაპიტალის ანტიციკლური ბუფერის დადგომის დროს.

ფინანსური სისტემის განვითარების დეტერმინანტები და კერძო სექტორის ლიკვიდაციების საკითხებია განხილული ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის **ერჟენ საიუტის** სამაგისტრო ნაშრომში [Erzen Sogut, 2008]. კვლევის პერიოდი მოიცავს 1980-2006 წლებს. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები, რომ სახელმწიფო სექტორში კრედიტების მოცულობის გადიდებას და სახელმწიფო ვალის ზრდას მიუყვართ კრედიტების მოცულობის შემცირებასთან კერძო სექტორში დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში, ხოლო მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში კერძო სექტორის დაკრედიტება იზრდება სახელმწიფო სექტორის კრედიტებით და მცირდება ცენტრალური ხელისუფლების ვალის ზრდის პარალელურად. ფინანსურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს ინფლაცია, ხოლო დადებითად დ რეალური მშპ-ის ზრდა.

საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების და ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტების საკითხები დღეისათვის ასევე აქტუალურია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებშიც, რომელზეც ნათლად მიუთითებს **ნ.დ. მირონკიშის** და **მ.ვ. დემიდენკოს** სტატია „ეკონომიკის დაკრედიტება: ახალი პასუხები სტანდარტულ შეკითხვებზე“ [Mironchik N. L., Demidenko, M. V. 2012]. სტატიაში განხილულია ბელარუსის რესპუბლიკის საბანკო სისტემის დინამიკის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე; წარმოდგენილია ქვეყნებს შორის შედარებები და მისი მოდელირების ეკონომეტრიკული მეთოდები, რომელზე დაყრდნობითაც სტატიის ავტორების მიერ გაკეთებულია დასკვნები, რომელიც ეხება რეალური დაკრედიტების ოპტიმალური ტემპის ზრდას; ბელარუსში კრედიტზე მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორებს შორის ხარვეზის აღმოფხვრას; ქვეყანაში საკრედიტო პროცესის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესებას მაკრო დონეზე.

ამ კვლევის თანახმად, კრედიტის დინამიკის მოდელირებამ ბელარუსში 2002-2011 წლებში გამოავლინა, რომ ბანკების რესურსული ბაზების, მშპ-ის საპროცენტო განაკვეთის და ვალუტის საცვლელ კურსთან ერთად, აქტიურ შემოქმედებას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: **ეკონომიკური აგენტების მოლოდინი დაკრედიტების ცვლილებებზე და ფასების ცვლილება უძრავ ქონებაზე.**

ქვეყანაში ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს საბანკო სექტორის გამართული საქმიანობა, ამ კუთხით მეტად საინტერესოა ტამაშ ბალასის სტატია: „საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხის მაჩვენებლების შედარებითი აღწერა“. წარმოადგენილ სტატიაში ავტორი ასაბუთებს ბოლო პერიოდში ფინანსური კრიზისების პროცესში საბანკო პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზის მნიშვნელობის ზრდას. მის მიერ შემოთავაზებული PD (მიდევლოლის ალბათობის) მოდელის შეფასებისთვის წარმოდგენილია სხვა ეხ-პოსტ პორტფელის ხარისხის მაჩვენებლები, რომელთაგან ბევრ მათგანს გააჩნია შეზღუდული ზეგავლენა სესხების დანაკარგებზე. პრობლემის და ფაქტორთა არასწორ განსაზღვრას, რომლებიც გავლენას ახდენს საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ხშირად მიყვავართ არასწორ დასკვნამდე საერთაშორისო შედარებებისას. მაგალითად, უნგრეთის პრაქტიკაში საშუალოდ კრედიტით დავალიანების ღირებულება ითვლება მნიშვნელოვან მაჩვენებლად, რადგან მას აქვს მყარი კავშირი სესხის დანაკარგებთან. შესაბამისად, იგი წარმოადგენს იმის მაჩვენებელს, რომელსაც ჩვენ ვაფასებდით პროგნოზებში მოდელის დახმარებით [Tamas Balas, 2009].

განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის აფრიკაშიც, მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების არსებობა ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. ამ კუთხით საინტერესოა კენიის პოლიტიკური კვლევებისა და საზოგადოებრივ საქმეთა ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა, აფრიკაში ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შესახებ. წარმოდგენილი კვლევა მოიცავს 50 აფრიკული ქვეყნის მონაცემებს, და მოიცავს 1980-2008 წლების პერიოდს. კვლევაში [Rodgers A. Musamali, Esman M. Nyamongo, Eliud D. Moyi 2010: 189] გამოიყენება ფინანსური განვითარების ორი მიმართულება: კერძო სექტორის კრედიტების თანაფართობა მშპ-ის მოცულობასთან და მეორე ფულადი მასის (M2) თანაფართობა მშპ-ის მოცულობასთან.

კვლევის შედეგად დადგინდა დადებითი კორელაციური ურთიერთკავშირები ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუმცა, გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირი არსებობს ფულის მიწოდებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ფინანსური და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტრატეგია აფრიკაში სწორედ ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული. კვლევის პროცესში გამოყენებულ ეკონომიკურ რეგრესიათა მოდელიდან გამოიკვეთა ორმხრივი მიზეზშედევობრივი კავშირი ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. მთლიანობაში, აფრიკაში მკვეთრი პოზიციური დამოკიდებულება არსებობს კერძო სექტორის დაკრედიტებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. ასევე შედარებით სუსტი პოზიტიური კავშირი გამოვლინდა ფულის მასასა (M2) და ეკონომიკურ ზრდას შორის, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია ინფლაციურ ტენდენციებზე ქვეყნებში. ამასთან ერთად სუსტი კავშირურთიერთობის ინდიკატორი შეიძლება იყოს ქვეყნის ფინანსური სექტორის სუსტი განვითარება. ამიტომ, აფრიკის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები უნდა გაატარონ ადგილებზე კერძო სექტორის დაკრედიტების გადიდებისთვის. ამასთან, აფრიკის ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება, ამ მიზნით თავიდან უნდა იქნეს აცილებული კონფლიქტები და ომები ქვეყნებს შორის და მათ შიგნით, რათა მიმზიდველი გარემო შექმნან უცხოელი ინვესტორებისათვის. რაც შეეხება ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორცაა გაერო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მათ ხელი უნდა შეუწყონ აფრიკის ქვეყნებში საფინანსო დაწესებულებების შექმნას, ადგილებზე კერძო სექტორის დაფინანსების გასაუმჯობესებლად, ხოლო იქ არსებულმა ეროვნულმა ბანკებმა სტიმული მისცენ ეკონომიკურ ზრდას სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის

გატარების ხარჯზე, მაგრამ, ამავე დროს, აქტიური ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ინფლაციას და ქვეყნებში მის უარყოფით შედეგებს.

განვითარებულ ქვეყნებში საბანკო სექტორის განვითარება სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდასა და მიმდინარე ინფლაციურ პროცესებზე. სწორედ აღნიშნული საკითხია განხილული სუნა კოკმაზის სტატიაში დ „საბანკო კრედიტების გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციაზე“. წარმოდგენილი საკითხი შესწავლილ იქნა ევროპის 10 ქვეყანაში, 2006-2012 წლების პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ნათელი გახდა დ10 ქვეყანაში სამამულო კრედიტები, შექნილი ევროპის 10 ქვეყნის საბანკო სექტორის მიერ და არ ახდენს გავლენას ინფლაციაზე, მაგრამ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ ზრდაზე. ბანკები ქვეყნის ეკონომიკაში ყალიბდებიან ძირითადად ფინანსური სერვისის მიმწოდებელ შუამავლებად [Suna Korkmaz, 2015: 57-69].

ეკონომიკური თვალსაზრისით ბანკების ძირითადი ფუნქციაა დაკრედიტების ფონდის ზრდა, რათა გაიზარდოს ინვესტიციები ეკონომიკაში. ამდენად ქვეყნის განვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით დამოკიდებულია ინვესტიციების გადიდებაზე. ბანკებს შესწევთ უნარი, მიგვიყვანონ ეკონომიკურ უძრაობამდე და ასევე მათ შეწევთ უნარი, რესურსების ეფექტური განაწილებით დააჩქარონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

ეკონომიკისათვის კიდევ ერთ რისკს წარმოადგენს ინფლაციაზე კონტროლის არარსებობა. თუ ქვეყანაში ინფლაცია არ იმყოფება კონტროლის ქვეშ, ეფექტური ეკონომიკური სტრუქტურა ვერ ჩამოყალიბდება, ხოლო საბანკო სექტორის განვითარება იქნება ყოველთვის დამუხრუჭებული და საბანკო კრედიტები ვერ უზრუნველყოფს ინვესტირების გადიდებას. ამიტომ, ქვეყანაში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ინფლაცია ყოველთვის უნდა იყოს კონტროლის ქვეშ. სტატიის ანალიზიდან შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ეკონომიკურ სიძლიერეს. ამასთან, სამამულო კრედიტები და საბანკო სექტორი ზეგავლენას ვერ ახდენს ინფლაციაზე, მაგრამ არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

აღნიშნული საკითხის კვლევაში ფართოდ არიან ჩართული ქართველი ეკონომიკური სკოლის მეცნიერ-ეკონომისტები, რომელთა ნაშრომებში საკრედიტო ბაზრის ფორმირების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

1. ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური ბაზრის ანალიზი ქართველი ეკონომისტების ძირითადი ყურადღების ობიექტია. ვლადიმერ პაპავა თავის ნაშრომებში განიხილავს ვერეთ წოდებული „მკვეთრი ზრდის ეფექტის გავლენას“ [ვლადიმერ პაპავა, 2014]. ზოგიერთი ავტორის მიერ შეფასებულია საქართველოს საბანკო სისტემისთვის საკრედიტო რისკების დინამიკური მოდელი და გაანალიზებულია ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა საკრედიტო რისკზე. აქვე განხილულია მაკროეკონომიკური ფაქტორების (მშპ-ს რეალური ზრდა, გაცვლითი კურსის გაუფასურება) გავლენა უმოქმედო სესხებზე ეკონომიკის ძირითადი სექტორების მიხედვით [ზვიად ზვიადაძე, 2013]. ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის პიპოთეზის საფუძველზე აგებულ კორექტირებულ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში დაცულია ინვარიანტულობის პრინციპი, რომლის თანახმად ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლების შეფარდება არ არის დამოკიდებული ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დონის ბაზური მაჩვენებლების შერჩევაზე. ამ პრინციპის შესრულება იმაზე მეტყველებს, რომ მკვეთრი ზრდის ეფექტის ელიმინირების მოცემული მეთოდი არ არის წინააღმდეგობრივი, ადვილად შეიძლება იქნეს გამოყენებული პრაქტიკული მიზნისთვის, რასაც ადასტურებს პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდის ანალიზი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე. სხვები ყურადღე-

ბას ამახვილებენ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის საჭირო ქმედებების თეორიულ არგუმენტებზე და გამოვლენილი მიდგომების საქართველოში გამოყენების მოზანშეწონილობაზე [ნადარაია ო., გორგოძე ო. 2013].

ასევე ახასიათებენ ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ ფაქტორებს და მათი ზეგავლენით გამოწვეულ მოსალოდნელ ცვლილებებს [ხადური ნ., 2010], ეკონომიკური განვითარების ტრანსფორმაციის ეტაპებს, თავისებურებებს და მეთოდებს, რომელიც საფუძვლად უდევს ტრანსფორმაციას [ძაგანია მ., 2012], ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ობიექტურ აუცილებლობას [სამადაშვილი უ., 2014:13-22] და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდის შესახებ მრავალი ნაშრომი დაწერილი, ქართველი ეკონომისტების კვლევის ობიექტი და საკრედიტო ბაზრის ცვლილებების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე და შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული ემპირიული მსჯელობით და აქცენტი გადატანილია მხოლოდ იმაზე, ეკონომიკის ზრდის ცვლილებები რამდენად არის გამოწვეული საბაზრო ფინანსური რისკებითა და გლობალური კრიზისებით.

2. დიდი ყურადღება ეთმობა საკრედიტო ბაზრის ანალიზს ფინანსური კრიზისების პერიოდში. ი. კოვზანაძე განიხილავს მსოფლიო ფინანსური კრიზისების თავისებურებებს, მისი დარეგულირების არსებულ მოდელებს და მათი გამოყენების თავისებურებებს. აქვე ავტორი გვთავაზობს კრიზისების დარეგულირების ახალ მოდელს და დანერგვის სპეციფიკას [Ковзанадзе И., 2010] **ი. კოვზანაძე** და **ი. მესხია** [მესხია ი., 2009,10-28] მიმოიხილავენ 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის ქრონოლოგიების მიმდინარეობის ეტაპებს და შედეგებს. აქვე ნაჩვენებია, თუ რა გავლენა მოახდინა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე. ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საბანკო სისტემაზე გლობალური კრიზისის პირობებში და განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო რეგულირების ისეთ მოდელს, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას მისცემს საშუალებას, რაც შეიძლება ეფექტურად გამოიყენოს გლობალიზაციის პოზიტიური მხარეები [ასათიანი რ., 2009, 10-14]. **ირაკლი გეგეშიძე** განიხილავს გლობალური კრიზისის ფონზე საქართველოს საბანკო სექტორში განხორციელებულ რეფორმებს და მიღწეულ შედეგებს. ავტორი დადებით შეფასებას აძლევს დაკრედიტების ლიბერალურ პოლიტიკას და აღიარებს, რომ სწორედ ამ პოლიტიკას უკავშირდება ბიზნესის წახალისება და გამოცოცხლება [გეგეშიძე ი., 2012, 6-10]. პროფესორი თემურ ხომერიკი შეისწავლის საკრედიტო ბაზრის განვითარების თავისებურებებს არამდგრად გარემოში და ახასიათებს არამდგრად გარემოში საკრედიტო ურთიერთობების გამოვლენის და კომერციული ბანკების ქცევის ძირითად მიმართულებებს [ხომერიკი თ., 2010, 8-12] კერძოდ, იპოთეკური ბაზრების კრიზისის ფონზე ჩქარდება ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესი; საბანკო მომსახურების სრულყოფა სულ უფრო მეტად უკავშირდება თანამედროვე ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას; საბანკო ბიზნესში ტრადიციული საბანკო ოპერაციები ადგილს უთმობს ინოვაციურ პროდუქტებს; ინვესტიციური ბანკინგის, დაზღვევა-უსაფრთხოების და სხვა საფინანსო-საბანკო ბიზნესის განვითარებით ვითარდება საინვესტიციო-საბანკო ბიზნესი.

საკრედიტო ბაზრის მდგომარეობის ანალიზი და ფინანსური კრიზისის თავისებურებანი მოცემულია ჩვენს ნაშრომში, კერძოდ განვიხილავთ გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენას ეკონომიკური აქტივობის დაქვეითებაზე და მის ფონზე ქართული კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში მომხდარ ცვლილებებს [ომაძე ქ., 2014,102-107; ომაძე ქ., 1991-2008, 2013, 86-97].

მოტიანობაში ეს ასპექტი გამოირჩევა იმით, რომ ქართველი ეკონომისტების კვლევის ობიექტია საფინანსო კრიზისების წარმოშობის მიზეზები და შედეგები, რომლებიც აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ მათი ეფექტები საკრედიტო

ბაზრის განვითარებაზე შემოიფარგლება მხოლოდ საბანკო სისტემის მდგომარეობის ანალიზით.

3. ქართული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია საბანკო სისტემის ფორმირების და განვითარების ტენდენციების გამოვლენა. ამ კუთხით, **ი. კოვზანაძე** თავის ნაშრომში განიხილავს ეკონომიკის განვითარებისა და საბანკო სისტემის ფორმირების ტენდენციებს, საქართველოს საბანკო სექტორში 2008 წლის აგვისტომდე არსებულ პრობლემებს, გამოვლენის თავისებურებებს, მოქმედების სპეციფიკას, შედეგებს და სხვას [Kovzanadze I., 2008, 257, კოვზანაძე ი., 2001, 312]. ამასთანავე, სხვა კვლევები ეხება ფულად - საკრედიტო სისტემის თავისებურებებს [ლაზარაშვილი თ., მელაშვილი მ., 2014, 244-256], ორიარუსიანი საბანკო სისტემის დახასიათებას და შედარებას განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ საბანკო სისტემებთან და სხვა [კაკულია ე., 2014, 244-256].

კვლევების ეს ასპექტები გამოირჩევა იმით, რომ ქართველი ეკონომისტები ყურადღებას ამახვილებენ საბანკო სისტემის სრულყოფაზე და მისი ცალკეული ელემენტების განვითარებაზე. საბანკო სისტემის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე შედარებით მკრთალადაა ასახული.

4. მრავალი ნაშრომი დაწერილი საკრედიტო პორტფელის ცვლილებებსა და საკრედიტო რისკებზე. მათში ძირითადი აქცენტი გამახვილებულია კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ფორმირების თავისებურებებზე, იმ ფაქტორებზე რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე, ბანკების საპროცენტო განაკვეთების და საკრედიტო პოლიტიკის ურთიერთობებზე [ხანთაძე გ., 2014], სასესხო პორტფელის განაწილებაზე, სესხების გარანტიებზე [ალადაშვილი მ., 2014, 91-98].

ნინო გრიგალაშვილი ყურადღებას ამახვილებს მაკროეკონომიკის დონეზე საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებაზე, კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალზე, მათი გამოყენების სტაბილურობის მიღწევისა და საკრედიტო სისტემის მდგრადობისა და საიმედოობის ხარისხის მიღწევის შესაძლებლობებზე [გრიგალაშვილი ნ., 2012, 17-22].

მაია ალადაშვილი და ნანა რინკიაშვილი განიხილავენ საკრედიტო რისკების გავლენას საბანკო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, დაკრედიტების პრინციპებიდან გამომდინარე, ყურადღებას ამახვილებენ კრედიტების მიზნობრიობაზე, დაბრუნებადობაზე, ვადიანობასა და უზრუნველყოფაზე [ალადაშვილი მ., 2012, 67-69].

ქართველი სწავლულები შედარებით უფრო ღრმად შეისწავლიან საკრედიტო რისკების თავისებურებებს საბანკო სექტორში და მიუთითებენ, რომ საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სესხზე გონივრული მაქსიმალური ვადები და რეალური სესხის გადახდის გრაფიკი [ალადაშვილი მ., რინკიაშვილი ნ., 2014, 86-94].

დასკვნა

ამდენად, ბოლო პერიოდში ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ზემოთ აღნიშნული კვლევის ოთხი ასპექტი არის ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებები. სამწუხაროდ, მათ შრომებში საკრედიტო ბაზრის ტრანსფორმაციის შესწავლას და საბანკო მენეჯმენტის ცვლილებების გამოვლენას მხოლოდ თეორიულ-ემპირიული ხასიათი აქვს. გამომდინარე აქედან, აუცილებელია იმის გაანალიზება, თუ რამდენად განხორციელდა საკრედიტო ბაზრისა და ინსტიტუტების ცვლილებები ბოლო წლების განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაია ალადაშვილი, 2014. საკრედიტო ოპერაციების და საკრედიტო პორტფელის ანალიზის მნიშვნელობა საბანკო რისკების მართვის პროცესში. ქ. „სოციალური ეკონომიკა“.
2. მაია ალადაშვილი, 2012. საკრედიტო პორტფელის მართვის მნიშვნელობა საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საქმეში. ქ. „ეკონომიკა“, 11-12, 67-69 გვ.
3. ირაკლი გეგეშიძე, გლობალური კრიზისი და ეკონომიკური რეფორმების შედეგები საბანკო სფეროში. 2012, 6-10.
4. რ. კაკულია, გ. ხელაია ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია თბ., 2000.
5. ი. კოვზანაძე, საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თსუ, გამომცემლობა, თბ., 2001.
6. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2014.
7. თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი, ფულად-საკრედიტო სისტემის თავისებურებები და სრულყოფის გზები საქართველოში, 2014, 244-256.
8. ოთარ ნადარაია, ოთარ გორგოძე, დავით უტიაშვილი, ნინო შარუმაშვილი, 2013. ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია. ქ. „ეკონომიკა და საბანკო საქმე“, №2.
9. ოთარ გორგოძე, დავით უტიაშვილი, ნინო შარუმაშვილი, ეკონომიკური ზრდა და სტრუქტურული ტრანსფორმაცია. ქ. „ეკონომიკა“.
10. ქრისტინე ომაძე, დავით ასლანიშვილი, „ეკონომიკური კრიზისის გაგება მსოფლიო ეკონომიკაზე“ - თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 2013 წლის 28-29 ივნისი, გვ. 502 - 508, თბილისი.
11. ქრისტინე ომაძე, 2014. „საკრედიტო ბაზრის არსი და თავისებურებები, „თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული (გვ. 390-393), თბილისი.
12. უშანგი სამადაშვილი, 2014. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი, 13-22.
13. ვლადიმერ პაპავა, 2014. მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა.
14. გიორგი ხანთაძე, 2014. საკრედიტო პორტფელის მართვის თავისებურებანი. ქ. „სოციალური ეკონომიკა“, № 1.
15. მ. ძაგანია, 2012. ეკონომიკური ტრანსფორმაციის ასპექტები.
16. ნოდარ ხაღური, 2010. ეკონომიკური ზრდა - რეალობა და პერსპექტივები.
17. თემურ ხომერიკი, 2010. საკრედიტო ბაზრის განვითარება არამდგრად გარემოში. ქ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №17, 8-12გვ.
18. ERZEN SOGUT, THE DETERMINANTS OF FINANSIAL DEVELOPMENT AND PRIVATE SECTOR CREDITS: 2008).
19. Giovanni Dell Aniccia, Deniz Ig, Lus Laeven, and Hui Tong, Policies for Macrofinancial Stability: Dealing with Credit Booms and Basts. International Monetary Fund, August 2012.
20. Gurley J. G. Financial Aspects of Economic Development / J. Gurley, E. S. Shaw // American Economic Review. – 1955. –vol.45. #4. P.515-538; Gurley J. G. Financial Intermediaries and the Saving – Investment Process /* J. G. Gurley. E. S. Show // Journal of Finance. – 1956. –vol.11- p. 257-276.

21. Ho Ngai Wa. 2005. Bank Credit and Economic Growth in Macao. Monetary Authority of Macao.
22. Katja Gattin-Turkalj, Igor Ljubaj, Ana Martinis, Marko Mrkalj. 2007. Estimating Credit Demand in Croatia. Draft version. Zagreb, April.
23. Kovzanadze Irakli. – Ekonomik and Banking System Development Trends and Prospects for Countries in Transition 2008: 257.
24. Mironchik N. L., Demidenko, M. V. 2012. CREDIT TO THE ECONOMY: NEW ANSWERS TO STANDARD QUESTIONS. National Bank of Republic of Belarus, Bank Research Papers # 2, July.
25. Tamas Balas, 2009. Comparison of the indicators describing the loan portfolio quality of the banking sector. November.
26. Tobin J. Commercial Banks as Creator of “Money”/J. Tobin // Banking and Monetary Studies, for the comptroller of the Currency. U. S. Treasury. 1963-p. 408-419.
27. Rodgers A. Musamali, , Esman M. Nyamongo, Eliud D. Moyi, The Relationship between Financial Development and Economic Growth in Africa. 2010: 189.
28. Suna Korkmaz, Impact of Bank Credits on Economic and Inflation. 2015: 57-69.
29. Orji Antbouny, 2012. Bank Savivings and Bank Credits in Nigeria: Deartment and Impact on Economic Growth. International of Economics and Financial Vol. 2, #3, pp. 357-372.
30. Waheed likhuzaim. Degree of Financial Development and Economics Growth un Qatar: Cointegration and Causality Analysis. International of Economics and Financial Vol. 6, #6, 2014, pp. 357-372
31. И. Ковзанадзе, 2010. „Уроки мирового кризиса: необходима новая модель регулирования экономики“ ‘ Вопросы экономики“, Москва, № 4.
32. Кураков В. Л. 2010. Некоторые аспекты развития финансово-кредитной системы США. М. ; Республика, с. 85.
33. Кособчук С. И., Кредитные системы стран Латинской Америки. 1983: 41.
34. Лаврушин О. И. 1991. Организация и планирование кредита /О. Н. Лыврушин. М., Финансы и статистика.
35. www.fund.ge
36. www.gefund.ge
37. www.investgroup.ge
38. www.nbg.gov.ge;

David Aslanishvili

Doctor of Economy, Ph.D;

Kristine Omadze

Doctor of Business Administration, Ph.D

INTERNATIONAL DISCUSSIONS ON BANK CREDIT AND ECONOMIC GROWTH RELATIONSHIP Expanded summary

The main problem of the Georgian economy is the large scale disproportion of the successful sector of the banking sector and the often unsuccessful development of the real sector of the economy.

It should be noted that this disproportion is a subject of consideration in contemporary economic literature and our research is an attempt to broaden the issue and share ideas in international scientific circles. The main problem that is in the research is the impact of the banking sector's credit portfolio and the functioning of credit markets on the economic growth of the country.

In this regard, the macroeconomic stabilization and accelerated economic growth of the country is very important to identify, study and analyze the impact mechanisms of the credit market factors operating on economic growth.

The study provides a survey of the region and country, from which it becomes clear that the banking savings and bank credits are directly affecting economic growth. The survey has analyzed two models of impact on economic growth and concludes that the following recommendations include: Increase in income per capita, decrease in unemployment and effective use of bank credits and savings to accelerate economic growth in the country.

Other examples of international research are linked to improving the quality of financial development and economic growth and the long-term cause-effective relationship between financial development and economic growth is determined. This study measures the financial development of the country with three indicators: M2 depending on GDP, private sector bank lending ratio, and the GDP to the GDP in the banking sector.

The real growth of real GDP is seen as a measure of economic growth. The results of the research showed that there is a long-term positive equilibrium relationship between all three financial indicators and the real GDP growth rate. As a result of the research, it was established that there is a bilateral causal link between the massive money mass (M2) and the GDP and the GDP growth rate, and the one-way causal linkage is the internal credit of the banking sector. In terms of GDP and GDP growth in the short term.

A number of scholarly research finds that financial development and structure are closely linked to economic growth. On the other hand, the financial development of the country has a positive impact on attracting investments but relatively low correlation with growth. Empirical research has shown that a number of financial indicators are strong and positive in correlation with economic growth.

The study, conducted by the International Monetary Fund, is of interest to the credit boom and the relation of the economy. Access to finance and investment, economic growth and broad support for an everyday occurrence, but when it gets dramatically accelerated expansion of the character, it can take the offensive character, weak lending standards conditions, it is possible to get limitless use of the loan proceeds and the asset price bubble of dangerous Husks. Usually the "credit booms" are related to the financial crisis, "credit booms" are also dangerous in the best situation, and in the worst case we have a much harder result.

In terms of economic growth, it is very interesting to process the warning indicator of system banking crisis. Special attention is paid to the factors of banking crisis such as: private sector credit boom, non-credit lending, credit rating relative to GDP and etc.

The research focuses on the study of the population's demand for credit, as the review of economic literature shows that the demand for credits significantly determines the prices on real estate. And, as the survey shows, the interest rate increases in credit have negatively impacted the population's demand for credits.

Also, research has proven high correlation between credits and GDP, which can be successfully identified in the long term.

A number of research studies show that the state sector credit volume increase of the public debt growth leads credits the reduction of the private sector in low - income countries, while high-income countries, the private sector lending increasing public sector credits and reduced central government debts. Inflation has been negatively impacted on financial climbing and positive growth of positive GDP.

The stable development of the economy in the country significantly ensures the banking sector's performance. For developing countries, the existence of economic links between financial development and economic growth is crucial. Two directions of financial development are used Comparison of private sector credits with GDP volume and the second monetary aggregate (M2) ratio with GDP volume. As a result of the research, positive

correlation between relationships between financial development and economic growth has been established.

The conclusion that combines many of the research and opinions given in the survey can be as follows: In economic terms, the main function of banks is to increase the lending fund to increase investments in the economy. Thus the development of the country depends on the economic point of view of investing. Banks have the ability to lead to economic growth and their ability to accelerate the economic development of the country through effective distribution of resources.

Keywords. Banking sector, GDP, economic growth, credit market, savings, extensive money, GDP, credit booms, state debts

მენეჯმენტი
MANAGEMENT

ნაირა ღვედაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ორგანიზაციის კულტურის ფორმირების თავისებურებები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ორგანიზაციული კულტურის საკითხები თავისი მახასიათებლებით, როგორცაა: ბიზნესპროცესების ორგანიზაცია: პერსონალის დაქირავება, აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი, ხელფასის ორგანიზაცია, სტიმულირება, სანქციები და დათხოვნა. საქმიანი ურთიერთობების სტილი (ორგანიზაციული ქცევა), ხელმძღვანელობის სტილი, მოლაპარაკებების გამართვის სტილი, საქმიანი მიმოწერა, სატელეფონო მოლაპარაკება და ა. შ. კორპორაციული კულტურა თავისი მახასიათებლებით, ასევე საფირმო სტილის დახასიათება და ა. შ.

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ორგანიზაციის კულტურის განვითარება მისი ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს, გადაწყვიტოს მთელი რიგი ამოცანები და შეასრულოს ისეთი ფუნქციები, როგორცაა: ინოვაციური, მასტაბილირებელი, საკონტროლო, ინტეგრაციული, შეფასებითი და ა. შ. ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ვრცელი ვერსია განხილული წარმოდგენილ სტატიაში. **საკვანძო სიტყვები:** ორგანიზაციული და კორპორაციული კულტურა, საფირმო სტილი, სტიმულირება, ფოლკლორი, რიტუალები, კორპორაციული ცნობიერება, სარეკლამო პროდუქცია, სასუვენირო პროდუქცია.

შესავალი

ნებისმიერი ორგანიზაცია არა მხოლოდ დასახული მიზნების რეალიზაციის, შემოსავლების მიღების, არამედ, ადამიანებს შორის ურთიერთობების გამოვლენის საშუალებაცაა. ერთი ორგანიზაცია მეორესაგან განსხვავდება მთელი პერსონალის ქცევის ნორმებით, ტრადიციებით, ფასეულობებით და ა.შ., რომლებიც ერთობლიობაში ორგანიზაციის (ფირმის) კულტურის სახით გვევლინება. ზოგადად ცნობილია, რომ კულტურის მატარებელია ხალხი. მაგრამ, ორგანიზაციებში კულტურა თითქოსდა გამოცალკევდება ხალხისაგან და მის (ორგანიზაციის) განუყოფელ მახასიათებლად გვევლინება, რომელიც აქტიურ გავლენას ახდენს მთლიანად პერსონალზე, პირველ რიგში კი ხელმძღვანელობაზე.

ორგანიზაციის (ფირმის) კულტურის მენეჯმენტის შემადგენელი კომპონენტებია: **ორგანიზაციული და კორპორაციული კულტურა და საფირმო სტილი.** პრაქტიკაში, სხვადასხვა სპეციალისტები განსხვავებული შინაარსის ტერმინებს (მაგალითად, ორგანიზაციული კულტურა, ორგანიზაციული ქცევა, საფირმო სტილი, კორპორაციული კულტურა, ხელმძღვანელობის სტილი და ა.შ.) თითქმის სინონიმებად იყენებენ, რაც არასწორია.

ორგანიზაციის კულტურის მენეჯმენტის შინაარსი უფრო დეტალურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. **საფირმო სტილი.** მისი მახასიათებლებია:

- გარემოს დიზაინი: ექსტერიერი (ადგილმდებარეობა, შენობა, სადარბაზო, ფასადი) და ინტერიერი (დაგეგმარება, შენობის დიზაინი, ავეჯი, ორგტექნიკა და ა. შ.);

- გაფორმების დიზაინი: შეფუთვა, სარეკლამო პროდუქცია, სასუვენირო პროდუქცია;

- მომუშავეთა გარეგნული იერსახე: ტანსაცმელი, კოსმეტიკა და ა.შ.

2. ორგანიზაციული კულტურა. მისი მახასიათებლებია:

- ბიზნესპროცესების ორგანიზაცია: პერსონალის დაქირავება, აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი, ხელფასის ორგანიზაცია, სტიმულირება, სანქციები და დათხოვნა;

- ორგანიზაციული სტრუქტურა;

- საქმიანი ურთიერთობების სტილი (ორგანიზაციული ქცევა), ხელმძღვანელობის სტილი, მოლაპარაკებების გამართვის სტილი, საქმიანი მიმოწერა, სატელეფონო მოლაპარაკება და ა. შ.

3. კორპორაციული კულტურა. მისი მახასიათებლებია:

- კორპორაციული მართვის დონე;

- საბაზო ნორმების და ფასეულობების სისტემა: კორპორაციული სულისკვეთება, კორპორაციული ცნობიერება, „კორპორაციული რელიგია;”

- ეპოსი: გმირები და ლეგენდები;

- წეს-ჩვეულება: ტრადიციები, რიტუალები, სადღესასწაულო და მნიშვნელოვანი თარიღები;

- ფოლკლორი: ჟარგონი, თქმულებანი, ხუმრობები და ა. შ.

საფირმო სტილი ფირმის კულტურის სიმბოლურად გამოხატული შემადგენელია. ესაა ნიშანთა სისტემა, რომელიც ფირმას და მის საქმიანობას ახასიათებს. ეს არის რაღაც გარე მარკერი (ნიშანმდებელი), რომელმაც უნდა უზრუნველყოს რეკლამის, ინტერნეტგეგმვების სახეობების ერთგვაროვნება, კომპანიის ცნობადობა ყველა მის ფილიალსა თუ ქვედანაყოფში.

საინფორმაციო (კომუნიკაციური) დიზაინი თავისთავში გულისხმობს ნიშნების შექმნას და გამოყენებას. იდეალში – ეს არის ფირმის სრულყოფილი გრაფიკული, გამომსახველობითი, სიტყვიერი, ხმოვანი და ა. შ. სიმბოლოების სისტემა, ფირმის სიმბოლიკა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ფირმის დასახელება და ამ დასახელების აბრევიატურა.

ორგანიზაციაში დოკუმენტების შედგენისას შეიძლება გამოყენებული იყოს ერთი და იგივე (თავისებური) შრიფტები, რითაც ადვილია იმის გაგება, თუ რომელ ფირმასთან გვაქვს საქმე. დოკუმენტების გაფორმებისას, რეკლამაში თანამშრომელთა ტანსაცმელზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს რომელიმე ფერი ან ფერთა გამა, რომლებიც ასევე ფირმის ცნობადობას ემსახურება.

საინფორმაციო დიზაინის შემდეგი კომპონენტია ემბლემა, რომელზეც შეიძლება იყოს გამოსახული როგორც ცხოველი, მცენარე, შენობა, ფიგურა, პროფილი და ა. შ., ასევე სპეციალურად დამზადებული სიმბოლო. ძალიან გავრცელებულია დევიზები, ლოზუნგები, რომლებშიც მოკლედ არის გამოხატული ფირმის მისია, „კრედო,” მისი თანამშრომლების „რწმენის სიმბოლო,” რიგითიდან უმაღლეს ხელმძღვანელობამდე.

ფირმის დევიზი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ასახავდეს ფირმის იმიჯის თავისებურებებს;

- უნდა იყოს წარმოდგენილი დინამიური, მოკლე ხმოვანი ფრაზით, მით უმეტეს, თუ დევიზი ლათინურად არის დაწერილი;

- ითვალისწინებდეს მიზნობრივი ჯგუფების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მათ სურვილებს, იმედებს.

• არ დაუშვას ორგანოების გაგების შესაძლებლობა - არ იყოს ძალიან რთული, ზეორიკინალური.

საფირმო შრიფტების და ფერების, ემბლემების და დევიზების არსებობა საშუალებას გვაძლევს შევქმნათ საინფორმაციო დიზაინის უფრო რთული კომპლექსები: დაწყებული დოკუმენტის ლოგოტიპიდან, „ქუდიდან“ (წერილები, ბრძანებები, ინსტრუქციები), სავიზიტო ბარათებიდან, კონვერტებიდან, სუვენირებიდან, სრულფასოვან ჰერალდიკამდე: დერბის და დროშის ჩათვლით.

საფირმო სტილი შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ სანახაობით, არამედ ხმოვან სიმბოლიკასაც, რომელიც გამოყენებული იქნება სხვადასხვა დონის დიზაინის დროს. არცთუ იშვიათად, საფირმო სტილის შემუშავებისას ლოგოტიპის, ბლანკების, კონვერტებისა და სავიზიტო ბარათების შეკვეთით შემოიფარგლებიან. არადა, საინფორმაციო დიზაინი, მით უმეტეს საფირმო სტილი, უფრო რთული და კომპლექსური პრობლემაა, რადგან იგი, გარდა ზემოაღნიშნულისა, მოიცავს ფირმის ოფისების, სამუშაო ადგილების გაფორმებას, თანამშრომელთა გარეგნულ იერსახეს და ა.შ.

საფირმო სტილში დიდ როლს თამაშობს გარემოს დიზაინი. იგი მოიცავს არქიტექტურულ დიზაინს, რომელიც იწყება ფირმის საწარმოო და საოფისე შენობების ადგილმდებარეობიდან. ხშირად, ფირმის რეკუტაციაზე მხოლოდ მისი მისამართი (ქალაქის რომელ უბანში და როგორი მეზობლების გვერდით მდებარეობს იგი) წყვეტს მისი იმიჯის საკითხს (მაგალითად, სხვა იმიჯი აქვს ვერაზე მდებარე ფირმასა და სხვა – ვარკეთილში მდებარეს).

ორგანიზაციის იმიჯსა და რეკუტაციაზე საგრძნობ გავლენას ახდენს მისი შენობის „ექსტერიერი“, ფასადი, შენობასთან მისასვლელი ტერიტორიის კეთილმოწყობა, სისუფთავე, ავტომანქანების პარკირების შესაძლებლობა და ა.შ. მსხვილი და ცნობილი ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ იმ შენობების არქიტექტურულ დიზაინს, რომლებშიც განლაგებულია მათი ოფისები (მით უმეტეს ცენტრალური ოფისი). ეს შენობები თითქოს ამბობენ: „ეს მე ვარ შემომხედეთ.“ ასეთია თბილისში მაგალითად, „ოპერისა და ბალეტის თეატრის“, „რუსთაველის თეატრის“, „საკონცერტო დარბაზის,“ „მარჯანიშვილის თეატრის“ და სხვა შენობები.

ორგანიზაციის იმიჯსა და რეკუტაციაზე გავლენას ახდენს **მომუშავეთა გარეგნული სახე**. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებშიც უნიფორმის გამოყენება აუცილებელია (მაგალითად, ჯარი, პოლიცია, მედიცინა და სხვა), ზოგან უნიფორმას არ იყენებენ, თუმცა თეთრი პერანგის, ჰალსტუხის, სამკერდე ნიშნის და ა.შ. ტარება სავალდებულოა (მაგალითად, ბანკებში). კულტურის დაწესებულებებში ე. წ. უნიფორმა მიღებული არ არის, მაგრამ სამსახურში მიღებულია საფირმო ნიშნების ტარება. მართალია, ეს თემა მეტად დელიკატურია, მაგრამ, როგორც ცნობილი ფირმების იმიჯმეიკინგის ტექნოლოგიის განვითარება გვიჩვენებს, იგი ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ მომუშავეთა გარეგნული იერსახე კარიერული წინსვლის არცთუ უმნიშვნელო ნაწილია.

ორგანიზაციული კულტურა – ეს არის სპეციფიკური, მოცემული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ურთიერთობის, მოქმედებებისა და კავშირების სისტემა, რომელიც ხორციელდება კონკრეტული საქმიანი აქტიურობის ჩარჩოებში. **ორგანიზაციულ კულტურაში** მთავარია ფორმალისების მომენტი, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციაში გამოყენებულ ტექნოლოგიასთან, ტექნოლოგიურ კულტურასა და დისციპლინასთან და აისახება საორგანიზაციო დოკუმენტებში (წესდებაში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში, დებულებებში და ა.შ.). ე.ი. იგი დაკავშირებულია უფლებამოსილების განაწილების, უფლებების

და ვაღდებულებების სისტემასთან, რომლებიც რეგულირდება ადმინისტრაციული, სამეურნეო და შრომითი სამართლის საფუძველზე.

ორგანიზაციული კულტურა ერთმანეთთან აკავშირებს ყველა თანამშრომელს საერთო გაგებით: თუ რას წარმოადგენს აღნიშნული ფირმა, როგორია მისი ეკონომიკური და სოციალური როლი, რა ადგილს იკავებს იგი ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით, რა მოვალეობები აქვს მომხმარებლის წინაშე და ა. შ. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციული კულტურა მობილუზებას უკეთებს ადამიანების ენერჯიას, ცოდნას და უნარებს საერთო მიზნის მისაღწევად.

ზოგადი სახით, ორგანიზაციული კულტურის შინაარსი ემთხვევა მენეჯმენტის მექანიზმების სტრუქტურას, რომელშიც შედის: ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული, ეკონომიკური და ინფორმაციული მექანიზმები და პერსონალთან მუშაობა.

ორგანიზაციული კულტურის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საქმიანი ურთიერთობის სტილი. დღეს კლიენტი კომპანიის წარმატებას აღიქვამს არა იმდენად თანამშრომლების ჩაცმულობით, არამედ იმით, თუ როგორ ზრუნავს ფირმა კლიენტზე. თუ ფირმა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ავლენს ისეთ თვისებებს, როგორცაა: ვაღდებულება მომხმარებლებისადმი, პირადი დაინტერესებულობა და პასუხისმგებლობა, სიზუსტე, ოპერატიულობა, მაშინ ფირმის საიმედოობა ეჭვს არ იწვევს, რაც მისდამი კლიენტების ნდობას კიდევ უფრო ზრდის.

ორგანიზაციული ქცევის სტილს განსაზღვრავს როგორც ფირმაში დამკვიდრებული საქმიანი ურთიერთობის (კლიენტებთან, პარტნიორებთან, კონკურენტებთან და ა.შ.) ხასიათი, ასევე ფირმის მუშაკთა ქცევა როგორც საჯარო, ისე არასაჯარო (არასამუშაო დროს) პირობებში.

ორგანიზაციული კულტურის მთავარი ელემენტია ასევე, ზრუნვა შრომის კულტურაზე. აქ შედის სამუშაო ადგილების ორგანიზაციისადმი მიდგომა, მუშაობის გრაფიკის დადგენა, დასვენების ადგილების ორგანიზება, კომპიუტერული და ავტომატიზებული სამუშაო ადგილების მოწყობა და მრავალი სხვა.

კორპორაციული კულტურა. კორპორაციულობა აღნიშნავს ერთიანობას, დარაზმულობას, შემჭიდროებულობას. ამ შემთხვევაში ერთიანობა უფრო მეტად ერთიან სულისკვეთებას – შეხედულებათა, მისწრაფებების, შეფასებების, იდეების და ა.შ. ერთიანობას გამოხატავს.

კორპორაციული კულტურა საერთო ფასეულობების სისტემაა, გაგება იმისა, თუ რა არის მთავარი და რამდენად ახდენს იგი გაველენას კორპორაციის საქმიანობაზე, იქ დასაქმებულ პერსონალზე, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და კონტროლის მექანიზმზე, პერსონალის ქცევის ნორმების ფორმირებაზე, კონკრეტულ ქმედებებზე და ა.შ.

კორპორაციული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციის მიერ აღიარებული ნორმებისა და ფასეულობების დაცვას გულისხმობს. დასავლური ფირმების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დღეს დიდ როლს ასრულებს ისეთი ფასეულობანი, როგორცაა: გუნდურობა, მომხმარებელზე ორიენტაცია, შემოქმედებითობა, კომპრომისზე წასვლის ცოდნა და ა.შ. ფასეულობები და ნორმები შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი.

კორპორაციული კულტურის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკადრო პოლიტიკა, პერსონალის შერჩევა, განლაგება, ადაპტაცია. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაქირავების, სპეციალისტების გადაბირების სპეციალური მეთოდოლოგები.

ნებისმიერი ორგანიზაციის კულტურის განვითარება მისი ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს, გადაწყვიტოს რიგი ამოცანები და შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

- **ინტეგრაციული.** ორგანიზაციის საქმიანობისადმი ერთიანი დამოკიდებულების გაძლიერება, მისით სიამაყე;

- **მასტაბილიზებელი.** მოცემულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში არსებობის შენარჩუნება, გარეგანი გარემოდან არასასურველი ზემოქმედების განეიტრალება, შინაგანი სტაბილურობის უზრუნველყოფა;

- **საკონტროლო.** ორგანიზაციისათვის სასურველი ქცევის ფორმების უზრუნველყოფა;

- **კომუნიკაციური.** გამოცდილების გადაცემის პროცესის ორგანიზება, უზრუნველყოფა;

- **ინოვაციური.** პროფესიული საქმიანობის ახალი ნიმუშების, გამოცდილების და ქცევის ნორმების დანერგვა;

- **შეფასებითი.** მოქმედებათა შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მთელი პერსონალის რეგლამენტირებული ქცევის რეჟიმის ფორმირებას;

- **მიზანდასახულობითი.** ეტალონური ფასეულობების ფორმირება, რომლებიც კომპანიის განვითარებაში მასტიმულირებელ როლს შეასრულებენ;

- **საიმიჯო.** ორგანიზაციის მიმზიდველი იმიჯის ფორმირება, რომელიც განასხვავებს მას სხვა ფირმებისაგან.

ფირმის საქმიან კულტურას შეუძლია განავითაროს ადამიანური რესურსების მოტივაცია, შექმნას ფირმის მიმზიდველი იმიჯი, ააგოს გარე ჯგუფებთან საქმიანი ურთიერთობა, რომლებზედაც დამოკიდებულია ფირმის წარმატებული საქმიანობა.

კორპორაციულობა (კორპორაციული აზროვნება და კორპორაციული სულისკვეთება) თანამედროვე მენეჯმენტის არამატერიალური ფაქტორია. იგი არსებობის აუცილებელი პირობების შექმნას საჭიროებს. იმისათვის, რომ თანამშრომელმა სამუშაოზე, როგორც კეთილსასურველ გარემოში იგრძნოს თავი, საჭიროა:

- სრული და ჭეშმარიტი ინფორმაცია, მიმართული ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ;
- ნდობის ატმოსფერო დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის;
- ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და უვნებელი შრომის პირობები;
- ღირსეული წახალისება;
- კონფლიქტების არარსებობა;
- თავისი ორგანიზაციით სიამაყე და მომავლის რწმენა;
- სამუშაოთი (შინაარსით, ხასიათით) კმაყოფილება;
- კომპანიის ჭეშმარიტი იმიჯის გამოვლენა.

ამასთან ერთად, კორპორაციულობის პროცესს საღი გონებით უნდა მივუდგეთ. საკუთარი ფირმისადმი პერსონალის ლოიალურობა კარგია, მაგრამ მოვლენას სხვა კუთხითაც უნდა შევხედოთ: თუნდაც ყველაზე სანდო მუშაკი შეიძლება სულაც არ იყოს ყველაზე ჭკვიანი, მარჯვე და უნარიანი. ამიტომ, კორპორაციის ხელმძღვანელობა დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს როგორც ლოიალური თანამშრომლების მოძიებაზე, ისე პროფესიონალთა გუნდის შექმნაზე. რადგან სწორედ ასეთ შემთხვევაში შეიძლება კომპანიის სწრაფი განვითარება.

დასკვნა

ყველა ორგანიზაცია ერთმანეთისაგან განსხვავდება ადამიანური რესურსების ქცევის ნორმებით, ტრადიციებით, დასახული მიზნების რეალიზაციით. ცხადია, კულტურის მატარებელია ხალხი, მაგრამ ორგანიზაციაში კულტურა თითქოსდა გამოცალკევებულია ხალხისაგან და მის განუყოფელ მახასიათებლად გვევლინება, რომელიც გავლენას ახდენს პერსონალზე და ხელმძღვანელობაზე. ორგანიზაციული კულტურა ყველგან გვხვდება სადაც ადამიანები არიან. ორგანიზაციული კულტურის სერიოზული გააზრება უკანასკნელ ორ ათეულ წელს უკავშირდება და ამიტომ ცნებითი (ტერმინოლოგიური) აპარატი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

ორგანიზაციის კულტურის მენეჯმენტის შინაარსი უფრო დეტალური თვალსაზრისით წარმოდგენილია საფირმო სტილით, ორგანიზაციული და კორპორაციული კულტურით, საფირმო სტილისთვის დამახასიათებელი გარემოს დიზაინით და სხვ.

ორგანიზაციულ კულტურაში მთავარია ფორმალიზების მომენტი, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციაში გამოყენებულ ტექნოლოგიასთან, ტექნოლოგიურ კულტურასა და დისციპლინასთან, რომელიც აისახება საორგანიზაციო დოკუმენტებში (წესდებაში, თანამდებობრივ ინსტრუქციებში, დებულებებში და ა.შ.). ე.ი. იგი დაკავშირებულია უფლებამოსილების განაწილების, უფლებების და ვალდებულებების სისტემასთან, რომლებიც რეგულირდება ადმინისტრაციული, სამეურნეო და შრომითი სამართლის საფუძველზე.

სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე კორპორაციული კულტურის ფორმირების საკითხებს, სადაც დიდ როლს ასრულებს საკადრო პოლიტიკა, ადამიანური კაპიტალის შერჩევა, ადაპტაცია, პროფორიენტაცია, განლაგება და სხვ. რისთვისაც ორგანიზაციები იყენებენ დაქირავების სპეციალისტების გადაბირების სპეციალურ მეთოდებს.

ნებისმიერი ორგანიზაციის კულტურის განვითარება მისი ადმინისტრაციისაგან მოითხოვს მთელი რიგი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას და გადაწყვეტას, კორპორაციის ხელმძღვანელობის დღენიადაგ ზრუნვას როგორც ლოიალური თანამშრომლების მოძიებაზე, ისე პროფესიონალთა გუნდის შექმნაზე, რადგან მათზეა დამოკიდებული კონკურენტუნარიანი და ინოვაციური კომპანიების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დრაგინევიჩი–შეშიჩი მ., სტოიკოვიჩი ბ., 2007. კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი. თბ.
2. ტულუში მ., დევიდაშვილი ნ., 2014. კულტურის სფეროს მართვა (დამხმარე სახელმძღვანელო), პირველი ნაწილი. თბ.
3. ე. ჩოხელი., 2009. სტრატეგიული მენეჯმენტი. თბ.
4. Тульчинский Г. Л., Шекова Е. Л. Менеджмент в сфере культуры: Учебное пособие. 4-е изд., испр. и доп. — СПб.: Издательство «Лань», 2009.
5. Management and the Arts, Fourth Edition by William Byrnes 2008.

Naira Gvedashvili

Academic Doctor of Economics

THE CHARACTERISTICS OF THE ORGANIZATION CULTURE FORMATION

Expanded summary

In the article, based on the individual researchers critical options and analyses of the organizational and corporate culture, also trademark style formation and management principle formed authorised some options about management culture, common characteristic system values, understanding what are main and how it does influence employee personnel, organizational structure and control mechanism, formation of human resources behavior norms, specific actions etc.

In the modern stage, organizational culture has a major role in achieving the success of any company, increasing competitiveness and provide the company's sustainable development.

It should be remarked that, organizational culture is known with the following features: selection of human resources, attracting, hiring, adapting, selecting wages, stimulating, reporting and control, also organizational structure, style of business relation, management style etc.

Along with the organizational culture, it plays significant role with its main features a corporate culture. In particular: the level of corporate management, regulations, corporate spirit, folklore, etc.

As for the corporate style, it is a symbolic expression of the culture of the firm. This is something an external marker (labeling) that has to provide advertisements, internet-web sites, company awareness, etc.

The corporate style might include not only the sight but also the sound symbolism, which will be used in various events. In the corporate style external design also plays huge role. It includes an architectural design that starts from the firm's manufacturing and office buildings. Frequently, the address of the firm (in what part of the city it is located and what neighbors are there) plays a decisive role for its image. (For example, different image has a company which is located on the Vera and different which is located in Varketili)

Human resources appearance has influence on the image and reputation of the company. It is true, that it is a delicate theme, but as famous company image-making technology shows it is quite important. Everybody has to remember, that human resources appearance has important role for career success.

It should be noted, that today the main formalise moment for the organizational culture, which is connected to the used technology of the organization, technological culture and discipline, is reflected in the organizational documents.

In general, the content of organizational culture coincides with the structure of management mechanism, which includes: administrative organizational, economic and informational mechanism and human resources work.

As for corporate culture, it is a system of common values, what is the main and how does it affects the corporate activities, employed personnel, organizational structure and control mechanism.

Experience of western companies shows that today pays immense role values such as: teamwork, customer-oriented, creativity, ability to compromise etc.

Values and norms may be written or oral.

In the formation of corporate culture main role has personnel policy, selection of personnel, disposition and adaptation. For this may be used recruitment or specialist transfer specific methods.

Development of any organizational culture requires from its management to decide following tasks and implement certain main functions such as: Integrative, stabilizing, control, communicative, innovative, evaluative, purposeful, imagery etc.

What is main and important, work culture of the company can develop human resources motivation, create attractive image for the company, certain environment, build partnership with external groups, on which depends success of the company.

Corporation (corporate thinking and corporate aspiration) is an intangible factor of modern management.

Also, attitude to the corporate process should be with open mind. The loyalty of personnel to its own firm is good, but we should look from other side to this issue: Even the most trusted worker might not be the most smart, adroit and capable. Because of that the management of company should carry to find loyal staff as well as to create team, because in this case the company can develop fast.

მანანა ხარხელი
თსუ, ასოცირებული პროფესორი
გიორგი მორჩილაძე
თსუ, დოქტორანტი

**პიროვნული ემოციონალური კომპეტენციის მნიშვნელობა საქმიან
შეთიერთობაში**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ემოციური ინტელექტის კომპონენტის, პიროვნული ემოციონალური კომპეტენციის რაობა, მისი სტრუქტურა, მნიშვნელობა საქმიან ურთიერთობებში და სირთულეები, რომლებსაც წააწყდება ადამიანი დაბალი პიროვნული ემოციონალური კომპეტენციის შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, თვითშეფასება, თვითრეგულირება, მოტივაცია

შესავალი

ნებისმიერი კომპანიის წარმატება გრძელვადიან პერიოდში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებს კომპანიის მენეჯმენტი და მისი თანამშრომლები იმ უნარების განვითარებას, რომელიც აუცილებელია წარმატების მიღწევისთვის. მრავალი კვლევიდან [HBR, ... 1955,13] და ასევე ტომ მენეჯმენტზე დაკვირვებიდან გამომდინარე, ცნობილი მეცნიერი კატცი [Catz, 1955,35] თავის ნაშრომში გვთავაზობს 3 სახის უნარ-ჩვევას, რომელიც მნიშვნელოვანია ეფექტიანი მართვის პროცესის განხორციელებისთვის, ესენია: ტექნიკური, ადამიანური და კონცეპტუალური უნარები. ტექნიკურ უნარებში იგულისხმება რომელიმე კონკრეტული საქმიანობის ან აქტივობის ზედმიწევნით ცოდნა [Northouse, 2010, 53], ადამიანური უნარ-ჩვევები გულისხმობს ხალხთან მუშაობის უნარს და ზოგადად ცოდნას ადამიანების შესახებ, ხოლო კონცეპტუალური უნარები კი დაკავშირებულია ადამიანის შესაძლებლობასთან, იმუშაოს ცნებებსა და იდეებთან. იმის შესაბამისად, თუ რა პოზიციაზე მუშაობს ადამიანი, მოეთხოვება განსხვავებულ დონეზე განვითარებული ზემოთ მოყვანილი უნარები, კერძოდ კი ტომმენეჯმენტის წევრს შეიძლება იმდენადვე მაღალ დონეზე არ ჰქონდეს განვითარებული ტექნიკური უნარები როგორც კონცეპტუალური და, პირიქით, მუშას არ ჰქონდეს ისეთი კონცეპტუალური უნარები, როგორც აღმასრულებელ პირებს. თუმცა, მიუხედავად პოზიციისა, ნებისმიერ კადრს გუნდში არსებობისთვის აუცილებელია ძალიან მაღალ დონეზე ჰქონდეს განვითარებული ადამიანური უნარები. სწორედ ამით არის განპირობებული ის, თუ რატომ ვატარებთ მოცემულ კვლევას ემოციური ინტელექტის განვითარებასთან დაკავშირებით.


1. ემოციური ინტელექტის სტრუქტურა და მნიშვნელობა.

მენეჯერი ვერ იქნება ლიდერი, თუ მას მაღალ დონეზე არ აქვს განვითარებული ემოციური ინტელექტი, რადგან ძალიან რთულია გყავდეს მიმდევარი და გქონდეს თანამშრომლებზე ზეგავლენა, თუ ღრმად და კარგად არ ერკვევი სხვა ადამიანების ემოციებში და არ იცი როგორ მოახდინო ზეგავლენა მათ როგორც ცნობიერზე, ასევე ქვეცნობიერზე. ასევე რთულია ლიდერობაზე საუბარი, თუ მენეჯერი არ არის თავდაჯერებული, არ აქვს ღრმად და კარგად გააზრებული თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ვერ მართავს ემოციებს და არის ისეთი პიროვნება, რომელზეც ზემოქმედება მარტივია.

მაღალი ემოციური ინტელექტის ქონა მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარების პროცესშიც. როგორც, დანიის კონფლიქტების კვლევითი ცენტრის კვლევაშია ნახსენები [Danish Centre for Conflict Resolution, 2011,4], კონფლიქტები

არის ნაწილი ყოველდღიური ცხოვრების და ეს არის ობიექტური რეალობა. იმისთვის, რომ მოხდეს კონფლიქტების სწორი მართვა კომპანიაში, აღმოჩენილი იყოს დროზე და არ მოხდეს მისი ესკალაცია იმგვარად, რომ მხარეთა პოლარიზება გამოიწვიოს, საჭიროა როგორც მენეჯმენტს, ასევე ჯგუფის წევრებს ჰქონდეთ განვითარებული ემოციური ინტელექტი.

ემოციური კომპეტენტურობის საფუძველში დევს ორი რამ: პიროვნული და ემოციონალური კომპეტენტურობა. დ. გოლმანის კლასიფიკაციის შესაბამისად, ემოციურ ინტელექტს აქვს შემდეგნაირი სტრუქტურა (დიაგრამა 1.1).



დიაგრამა 1.1. ემოციური ინტელექტის სტრუქტურა დ. გოლმანის მიხედვით

2. პიროვნული ემოციონალური კომპეტენტურობის არსი და ქვეკომპონენტები

პიროვნული ემოციონალური კომპეტენცია გულისხმობს ადამიანის უნარს, რამდენად კარგად შეუძლია მას თავის ემოციებთან გამკლავება. პიროვნული კომპეტენტურობა დაკავშირებულია შემდეგ სამ მთავარ კომპეტენციასთან:

- თვითშემოცნება
- თვითრეგულირება
- მოტივაცია

იმისათვის, რომ სწორად მივიღოთ გადაწყვეტილება და სწორად მოვიქცეთ, საჭიროა კარგად ვიცნობდეთ ჩვენ თავს, გვესმოდეს რა იწვევს ჩვენში პოზიტიურ და ნეგატიურ ემოციებს, რა არის ამის ნამდვილი მიზეზი, შეგვეძლოს საკუთარი თავის ზუსტი შეფასება, ვიცოდეთ ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, გვექონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მორალური ღირებულებები, გვესმოდეს რამდენადაც შესაძლებელია, რას წარმოვადგენთ.

ფსიქოლოგიაში არსებობს ტერმინი: გულუბრყვილო რეალიზმი, რაც არის ინტუიციური შეგრძნება იმის შესახებ, რომ თქვენ ხედავთ გარე სამყაროს ისეთს როგორც არის და არა ისეთს - როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. ასე მაგალითად, ადამიანის ტვინში, საფეთქლის წილის სიღრმეში მოთავსებულია ამიგდალა „იგივე ნუშისებრი სხეული, რომელიც წარმოადგენს ლიმბური სისტემის ქერქქვეშა სტრუქტურას. ამიგდალა მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ ემოციების ფორმირებაში, არამედ იგი ასევე აკონტროლებს ემოციურ მესსიერებას (ემოციებთან დაკავშირებული მოვლენების დამახსოვრებას). ხოლო მისი კავშირი კიპოთალამუსთან განაპირობებს მის ზეგავლენას ორგანიზმის ენდოკრინულ სისტემასა და რეპროდუქციულ ქცევაზე. მისი ფუნქციონირების მოშლა იწვევს ადამიანებში სხვადასხვა ფორმის პათოლოგიურ შიშებსა და სხვა ტიპის ემოციურ აშლილობებს“ [იოსელიანი თ., 1993,1]. ანუ, ამიგდალა, გარკვეული ემოციონალური

ბანკის საფუძველზე, რომელიც ადამიანს ცხოვრების განმავლობაში უგროვდება, გადასცემს ტვინს სიგნალებს, როგორც პოზიტიურს, ასევე ნეგატიურს გარკვეული გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც შესაბამისად განსაზღვრავს ადამიანის ქცევასაც. შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვხედავთ მენეჯერს, რომელსაც კარგად გამოსდის კომუნიკაცია პოტენციურ კლიენტთან, ეს განპირობებულია არა იმით, რომ „განსაკუთრებული ადამიანია“, არამედ იმით, რომ დააგროვა საკმარისი გამოცდილება, ანუ საკმარისად დიდი ემოციონალური მეხსიერება აქვს იმისთვის, რომ კარგად წარმართოს საქმიანი შესვენება.

გაგება იმის, თუ რა გვაღიზიანებს და რა მოგვწონს, რა იწვევს ჩვენს ემოციებს და როგორი ზეგავლენა აქვს ჩვენს ემოციებს გარემომცველებზე, არის პრინციპულად მნიშვნელოვანი წარმატების მისაღწევად. ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად გარემოში, რომელიც ძალიან დინამიურია. ქართულ რეალობაში ხშირია (და არა მხოლოდ საქართველოში) კომპანიის დამფუძნებლების ან ტოპმენეჯმენტის მხრიდან დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიმართ ხმაზაღალი ტონით საუბარი, სიტყვიერი შეურაცხყოფა გაბრაზების დროს, რაც ძალიან საშიშია კომპანიისთვის და, ისედაც განუსაზღვრელ გარემოში, კომპანიის რისკების კიდევ უფრო ზრდას იწვევს.

ადამიანი, რომელიც არ ერკვევა თავის ემოციებში, შეიძლება უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეს, მის მიერ არასწორად, დაუგეგმავად და მოუფიქრებლად ამა თუ იმ ემოციის გამოხატვის გამო.

თვითშემეცნება პრინციპულად მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, რადგან ის გარკვეულწილად არის შეფასების კრიტერიუმი ჩვენთვის გადაწყვეტილებების მიღებისას. ამ საკითხზე მსჯელობისას საჭიროა შევეხოთ ამერიკელი ფსიქოლოგ ლ. ფისტინგერის „კოგნიტური დისონანსის თეორიას“, რომელიც შემუშავდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში. [Festinger, 1957: 45].

კოგნიტური ნიშნავს შემეცნებითს, ხოლო დისონანსი კი - წინააღმდეგობას. კოგნიტური დისონანსის თეორია აღწერს სიტუაციას, როდესაც ადამიანი დგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც მის ზნეობრივ-მორალურ ღირებულებებთან არ მოდის თანხმობაში. ასე მაგალითად, როდესაც ადამიანი ამბობს ტყუილს, მაგრამ მას მიაჩნია არასწორად ტყუილის თქმა, აღნიშნულ დროს ის განცდის კოგნიტურ დისონანსს. თ. დოსტოევსკის რომანში – “დანაშაული და სასჯელი” – სწორედ ეს პროცესი აქვს აღწერილი, როცა მთავარი გმირი თავის დანაშაულის შემდეგ განიცდის ძალიან ძლიერ სულიერ ტკივილებს.

თვითშემეცნების გარეშე ადამიანი დგება რისკი წინაშე, განელოს ცხოვრების გზა ისე, რომ გვიან აღმოაჩინოს დაშვებული შეცდომები. პირობითად მხოლოდ კარიერულ და პროფესიულ ზრდაზე ზრუნვამ, თუ პარალელურად არ დაბალანსდა პირადი ცხოვრებაც, შეიძლება გარკვეული სიცარიელის განცდა შეუქმნას ორმოცდაათი წლის ასაკში ან მერეც.

იმისთვის, რომ კარგად გაერკვეს პიროვნება თუ სინამდვილეში რა სურს, რისი მიღწევა უნდა და რა მიმართულებით სიარული, ეფექტიანი ინსტრუმენტი არის ყურადღებით დაკვირვება თავის ემოციებსა და განცდებზე [Goleman, 2013: 102].

ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ ზუსტი თვითშეფასება, ახასიათებთ შემდეგი:

- იციან თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები;
- მიდრეკილნი არიან გააზრებასა და გამოცდილებიდან გამომდინარე სწავლისკენ;
- აქვთ უნარი დაინახონ ახალი პერსპექტივები;

- მიდრეკილნი არიან ცოდნის მუდმივ გაღრმავებისა და თვითგანვითარებისკენ;
- აქვთ იუმორის გრძობა და შეუძლიათ თავის დანახვა ჭკუშმარიტი არსით.

რეალურად, იმისთვის, რომ მენეჯერი იყოს ძლიერი ხელმძღვანელი აუცილებელია ძალიან კარგად იცნობდეს თავის თავს. ფრაზა „ყველაზე დიდი გამარჯვება, თავის თავზე გამარჯვებაა“ სწორია, მაგრამ ეს ჩვენი აზრით არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვის ხარჯზე სიზარმაცის დაძლევა, არამედ თავისი ყველა სისუსტისაც. ემოციონალური მახასიათებლის მკაფიო შემეცნება, რომელიც გვეხმარება და გვაძლევს საშუალებას, სწორი რეაგირება მოვახდინოთ გარშემომყოფებზე და სწორად განვახორციელოთ მართვა.

მენეჯერისთვის თვითშემეცნება მნიშვნელოვანია თვითგანვითარების კონტექსტშიც, ვგულისხმობთ შემდეგს, როდესაც ვხედავთ, რომ რაღაც არ გამოგვდის (ვერ ვხვდებით დედლაინებს, შესრულებული პროექტის ხარისხი არ არის ისეთი, როგორიც საჭიროა და სხვ.), ეს ყოველთვის მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს გარკვეული სისუსტე ან ორგანიზაციული უნარები არ გვაქვს კარგად განვითარებული, ან დაგეგმვის, ან სხვა. ადამიანი, რომელიც კარგად იცნობს თავის თავს, ახერხებს თავისი სისუსტე დაინახოს და იწყებს ზრუნვას მის გამოსწორებაზე, რაც უჭირს ამის არარსებობის შემთხვევაში.


თავდაჯერებულობა არის პრინციპულად მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობისა და არასტაბილურობის იმ დონის პირობებში, რომელიც დღევანდელ რეალობას ახასიათებს. ხშირად, ქართულ რეალობაში, გარემოებები საკმაოდ რთულია ორგანიზაციებში და მენეჯმენტის მხრიდან მოითხოვს პრინციპულობას გადაწყვეტილების მიღებისას, თავგანწირვას და თავის სტაბილურობაზე უარის თქმას, რაც რთულია და მხოლოდ თავის თავში დაჯერებულ ადამიანს შეუძლია ამის გაკეთება.

რეალურად, თვითშემეცნების პროცესს მიჰყავს ადამიანი იმისკენ, რომ ახერხებს ობიექტური რეალობის სწორად დანახვას, რაც მას მატებს თავდაჯერებულობას. ასე მაგალითად, საკმაოდ ხშირია ქართულ კომპანიებში ნათესავეების და ახლობლების დასაქმების პრაქტიკა, რომელიც ორგანიზაციისთვის ყოველთვის სასარგებლო არ არის. როდესაც კომპანიაში ტოპმენეჯმენტში მოდის ახალი კადრი და ის დაინახავს პრობლემას - რომელიც ორგანიზაციისთვის მოაქვს ნათესავს, მას ნამდვილად დასჭირდება გამბედაობა და თავდადება მის გასათავისუფლებლად, რადგან ეს ნაბიჯი ძალაუნებურად შეიძლება გახდეს მისთვის საერთოდ ორგანიზაციაში დარჩენა/წასვლის განმაპირობებელი.

ასევე ადამიანებზე, რომლებიც არ არიან თავდაჯერებულები, ნებისმიერი მარცხი დამანგრეველად მოქმედებს და ნაცვლად იმისა, რომ მტკივნეული გამოცდილებიდან ისწავლონ, ჰყვებიან ემოციებს და კიდევ უფრო ირთულებენ თავის მდგომარეობას.


თავდაჯერებულობა მნიშვნელოვანია ასევე ნებისმიერი პროექტის დაწყებისას. ადამიანები, რომლებიც არიან თავდაჯერებულები, იწყებენ ახალ პროექტებს მეტი ენთუზიაზმით და, საბოლოო ჯამში, უფრო მაღალი შედეგებითაც ამთავრებენ, რაც ჩვენმა რესპონდენტებმაც დაგვიდასტურეს.

როდესაც ადამიანი თავდაჯერებულია, ხედავს რომ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, გარკვეული გადაწყვეტილებაა მისაღები და ამის გამო უწევს გარკვეული წინასწარ განსაზღვრული რეგლამენტის ან დამკვიდრებული წესის წინააღმდეგ წასვლა, მისი თავდაჯერებულობა ეხმარება წარმატების მიღწევაში, გამომდინარე იქიდან, რომ სხვა ადამიანები, ვინც ამას ხედავენ, იწყებენ ამის დაფასებას. ქვემოთ, დიაგრამის სახით წარმოდგენილია თვითრეგულირების კომპონენტები.



დიაგრამა 2. თვითშემეცნების კომპეტენციის სტრუქტურა. დ. გოლმანის ადაპტირებული ვარიანტი

თვითრეგულირება არის ადამიანის უნარი, რომელიც ეხმარება მას შეინარჩუნოს სახე კრიტიკულ სიტუაციაში. დ. გოლმანის შესაბამისად, თვითრეგულირების კომპეტენციის სტრუქტურა წარმოდგენილია დიაგრამა 3-ზე.



დიაგრამა 3. თვითრეგულირების კომპეტენციის სტრუქტურა. დ. გოლმანის ადაპტირებული ვარიანტი

დღესდღეობით, ძალიან მძაფრი კონკურენცია როგორც ორგანიზაციებს შორის, ასევე ორგანიზაციის შიგნითაც, ასევე ცხოვრების ძალიან დაჩქარებული ტემპი, გვაიძულებს, ვიმუშაოთ სტრესულ გარემოში. ის, რომ გვიწევს სტრესულ გარემოში მუშაობა, არის მოცემულობა და მოგვწონს თუ არა ნაკლებმნიშვნელოვანია. თუ ადამიანს, მიუხედავად დაძაბულობისა, არ შეუძლია თავის ხელში აყვანა, დიდი ალბათობით, ვერ მიადგვებს წარმატებას, რადგან არავის სჭირდება ისეთი თანამშრომელი ან მენეჯერი, რომელიც თავს ვერ აკონტროლებს, რადგან ეს თავისთავად გულისხმობს უკმაყოფილო კლიენტების რაოდენობის ზრდას.

თვითკონტროლი, ცხადია, დაკავშირებული არ არის მხოლოდ თავშეკავებასთან, ეს ასევე გულისხმობს იმ ემოციების გამოხატვასაც, რომელიც საჭიროა კონკრეტულ სიტუაციაში სასურველი ზემოქმედების მოსახდენად.

წარმატებული იქნება თუ არა ადამიანი თავის საქმეში, მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული მისი მეტნალური მდგომარეობით. მენეჯერის ერთ - ერთი მთავარი ამოცანაა, შეარჩიოს ისეთი კადრები, რომელთაც აღვლევთ, ანუ უყვართ თავიანთი საქმე. ეს კი დაკავშირებულია მოტივაციის კომპეტენციასთან.

იმისათვის, რომ ვიყოთ პროდუქტიულნი და ეფექტიანი, საჭიროა გვიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ვაკეთებთ, ამისთვის კი საჭიროა, ადამიანს ჰქონდეს დანახული თავისი თავი. ასე მაგალითად, ლექტორი, რომელსაც უყვარს ურთიერთობა სტუდენტებთან და მათთვის ცოდნის გაზიარება, რომელიც ამ პროცესიდან იღებს სიამოვნებას, ყოველთვის იქნება უფრო პროდუქტიული, ვიდრე ისეთი ლექტორები, რომლებიც მხოლოდ ანაზღაურების გამო მუშაობენ.

ადამიანებს, რომელთაც აქვთ განვითარებული პიროვნული ემოციონალური კომპეტენტურობა, ახასიათებთ შემდეგი: მიზნის მიღწევის ძლიერი სურვილი; აკეთებენ სწორედ იმას, რაც მათ სიამოვნებას ანიჭებს; ერთგულება იმ ორგანიზაციისა და ადამიანთა ჯგუფის, რომელსაც ეკუთვნიან, ინიციატივის გამოჩენა და ოპტიმიზმი თავიანთ საქმესთან მიმართებით.

დასკვნა

როგორც საქმიან, ისე პირად ურთიერთობებში, ადამიანებს ისეთ პიროვნებებთან ურთიერთობა ურჩევნიათ, რომლებიც არიან თავშეკავებული, შეუძლიათ რთულ და სტრესულ სიტუაციებში სახის შენარჩუნება, არიან თვითდაჯერებული და მშვიდები, უყვართ თავიანთი საქმე და პოზიტურად ხვდებიან სიახლეებს, იციან თავისი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, აქვთ იუმორის გრძობა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მორალური ღირებულებები. ყოველივე ზემოთქმული თვისება წარმოადგენს ემოციური ინტელექტის კომპონენტის, პიროვნული ემოციური კომპეტენტურობის, ქვეკომპონენტების, კერძოდ თვითშემეცნების, თვითრეგულირებისა და მოტივაციის შემადგენელ ნაწილებს.

ჩვენი მიზანი იყო იმის წარმოჩენა, თუ რას წარმოადგენს პიროვნული ემოციური კომპეტენტურობა, რა ქვეკომპეტენციებისგან შედგება ის, რატომ არის მნიშვნელოვანი მისი განვითარება საქმიან ურთიერთობებში და რა სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ მისი არცოდნის შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. კინწურაშვილი, შეგონებანი, საქართველო, 2009, 286.
2. Epley, N. “ Mindwise: Why We Misunderstand What Others Think, Believe, Feel, and Want“, New York City, Knopf , 2014, 272.
3. Danish Centre for Conflict Resolution , 2011, Conflict Resolution – working with conflicts, pp. 15
4. Howard E. Gardner, Multiple Intelligences: New Horizons in Theory and Practice, Basic Books 2006. 320.
5. Goleman D., Emotional Intelligence: Why It Can Matter More Than IQ, USA, Bantam Books, 2005 ,384
6. Goleman D., Working with Emotional Intelligence, USA, Bantam Books, 2000, 400.
7. Kandel E. “In Search of Memory: The Emergence of a New Science of Mind”, W. W. Norton & Company, New York City, 2007, 528.
8. Kruger, J., and J. Burrus, Egocentrism and focalism in unrealistic optimism (and pessimism). Journal of Experimental Social Psychology , 2004, 40: (332–340).

9. P. Kulesa, Diekman, A., and A. Eagly, Accuracy and bias in stereotypes about the social and political attitudes of women and men. *Journal of Experimental Social Psychology*, 2002, 38: (268–282).
10. Maslow, A. *Motivation and personality*. New York, NY: Harper. 1954. 411.
11. Pronin, E., and M. B. Kugler, People believe they have more free will than others. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 2010; 107: (22469–22474).
12. Ross, L., and A. Ward. *Naive realism: Implications for social conflict and misunderstanding*, Stanford Center on Conflict and Negotiation, Stanford University, 1996, (103–135).
13. Stepper, S., and F. Strack, Proprioceptive determinants of emotional and nonemotional feelings. *Journal of Personality and Social Psychology*, 1993, .64: (211–220).
14. R. L. Katz, “Skills for Effective Administrator,” 1955, *Harvard Business Review*, 33 (1). pp. 33-42.

Manana Kharkheli
Associate professor TSU;
Giorgi Morchiladze
PHD Student TSU.

IMPORTANCE OF PERSONAL EMOTIONAL SKILLS IN BUSINESS **Expanded summary**

The success of any company depends on how much organisation's management and its staff will develop skills that are necessary for success. Scientist Catz [Catz, 1955:35] in his research offers 3 types of skills that are important for effective management processes these are: Technical Skills, Human Skills and Conceptual Skills.

According to above mentioned research, the higher someone was on the management level, the less technical skills were required to meet the positions Requirements and more conceptual skills were required. Also, the lower the position is in the management level more technical skills and less conceptual skills were required. However, human skills are always required no matter the level or the position in the company. It's why we are carrying out the research on emotional intelligence improvement.

The manager can't be a leader if he/she does not have a high level of emotional intelligence, because it is very difficult to influence other people, if you don't know deeply and well humans emotions, as well as working rules of consciousness and subconscious.

High emotional intelligence is important also in the conflict resolution process, because if the manager can't guess when conflict is rising in a destructive way, the company might lose many resources.

According to D. Goleman research, Emotional Intelligence contains five main competencies, which are grouped in two main categories: Personal and social skills. Personal Skills are following: Self-awareness, Self-regulation and Motivation; Social Skills are: Empathy and Social Skills. This study is related to Personal skills.

In order to get the right decision, we need to know ourselves well enough to understand what lead positive and negative emotions in us, what is the real reason of our emotions, we should have ability for right assessment our strengths and weaknesses, and we should have clearly established moral values. These all are part of Self-awareness. A person who does not understand his emotions may be in an awkward situation, because of misinterpreted and based on it wrong emotional expression.

Without self-awareness, increases risk of living in a wrong way. For Example, if a human only cares for career and professional growth, and doesn't pay attention to personal life, after fifty years person might be unhappy.

For the managers and employees, self-awareness is important for self-development, We mean the following, When we don't succeed in something (we can't meet deadlines, the quality of the completed project is not very high, relationship with colleagues is not very friendly etc.), It always has logical ground. Above mention facts, always indicate that we have a weakness – we don't have well improved our organizational, planning or other skill. Human, who knows well his/her self, knows which his/her skills are weak and need improvement and based on this improves.

Self-confidence is very important in today's reality. Occasions in the Georgian reality are quite complex in organizations and it is needed, from manager during decision making Firmness, Self-sacrifice and refusing stability, which is difficult and only a person who is Self-confident can do it. In fact, the process of self-awareness leads human to be more realistic, which improves his/her self –confidence.

Human characteristic, who have high levels of Self–regulation competence are following:

- Awareness of their emotions and their consequences
- Knowledge of their strengths and limits
- A strong sense of self-worth and capabilities

Self-regulation, is the ability of human, which helps him/her to manage internal impulses in a difficult situation. Nowadays, there is high competition among organizations as well as within the organization, and this is the reason, why we all need to work in a stressed environment. If a person can't pull oneself together, despite the tension, he/she can't succeed, because no one need employee or manager, who can't manage himself, cause this implies itself increasing the number of dissatisfied clients.

Human characteristic, who have high levels of Self– regulation competence are following:

- Ability to restrain destructive emotions
- Ability to observe of criteria high moral qualities
- Willingness to take responsibility for his/her work
- Flexible approach to change
- Calm attitude to new information, fresh ideas and approaches to solving problems.

Success of human depends on his/her mental condition. One of the most important tasks of a manager is accepting personnel, who is excited by their work, and this relates to the competence of motivation.

To be productive and effective, we need to love the work we do. For example, a lecturer who likes to share their knowledge, will always be more productive than lecturers who work only for money.

Human characteristic, who have a high level of Motivation competence are following:

- Desire to achieve the goal
- Adherence to the goals of the group or organization
- Willingness to act according to the opportunities, perseverance in achieving goals, despite the obstacle

In business As well as personal relationships, people prefer to communicate with individuals that are: restrained, have ability to manage internal impulses, confident, calm, love their work , meet positively changes, know their abilities, strengths and weaknesses, have a sense of humor and clearly formed moral values. All above mentioned human traits are part of a subcomponent of component Emotional Intelligences.

Our aim was to demonstrate what subcomponents has Emotional Intelligences component Personal Skills, why is it important to develop them and what difficulties may we have in case of not knowing it.

საჯარო ფინანსები
PUBLIC FINANCE

დავით ასლანიშვილი
ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს სახელმწიფო ვალის სემპრიტიზაციის მაგალითი

რეზიუმე

კვლევა ეძღვნება საქართველოს მთავრობის დავალიანებას საქართველოს ეროვნული ბანკის წინაშე და მისი დაფარვის წესს, რაც სახაზინო ობლიგაციების ემისიასა და ეტაპობრივ დაფარვაში გამოიხატა. სტატიაში აღწერილია ვალის წარმოშობისა და ამ მექანიზმის გამოყენების სქემა და განმარტებულია ის დადებითი ზეგავლენა, რამაც ამ პროცესმა – სექიურიტიზაციამ – მოახდინა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: სექიურიტიზაცია, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო ვალი

შესავალი

საქართველოში გამოშვებული სახელმწიფო და კორპორაციული ფასიანი ქაღალდები არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისას და გარდამავალ პერიოდში მოსახლეობას გააჩნდა სახელმწიფოს მიერ გამოშვებული სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდი, რომელიც საქართველოს კანონით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ აღიარებულ იქნა სახელმწიფო საშინაო ვალში².

ამ მხრივ სახელმწიფო ვალს მიეკუთვნა შემდეგი ფასიანი ქაღალდი და დავალიანება:

ა) მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზრების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება;

ბ) ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება;

გ) რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტ ანგარიშებზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;

დ) თურქმენეთიდან 1995 წლის ჩათვლით მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის სანაცვლოდ საქართველოს მთავრობის დავალებით ქვეყნის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გადატვირთული პროდუქციის ანაზღაურებაში არსებული დავალიანება;

ე) საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება;

ვ) ყოფილი სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციების დაფარვის ვალდებულება;

²წყარო: კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ, მუხლი 48. კანონის მიღებამდე სხვადასხვა ვალდებულებების სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებებად აღიარება.

ხ) კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება;

თ) მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების ბინებით დაუკმაყოფილებლობით წარმოქმნილი დავალიანება;

ი) მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ლატარიაში მოგებული ნივთების გაუნადგებლობით წარმოქმნილი დავალიანება;

კ) ყოფილი სსრ კავშირის „ინდუსტრიაბანკის“ მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის ბათუმის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სავალუტო სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება.

აღნიშნული დავალიანების გასტუმრება რეგულირდება ამავე კანონით³. ყურადსაღებია ამ კანონის მუხლი 48¹, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებულ დავალიანებას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ეს დავალიანება საფუძვლად დაედო ქართული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის - სახაზინო ობლიგაციის წარმოშობას⁴:

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან განუხრევლად იზრდებოდა მთავრობის დავალიანება ეროვნული ბანკისადმი და მან 2006 წლის 15 მარტისთვის შეადგინა 832.846.323 ლარი და 50 თეთრი⁵.

სანამ უშუალოდ მიმოვიხილავეთ ობლიგაციების გამოშვების თავისებურებას საქართველოში, განვიხილათ ვალის დაგროვების მეთოდს:

1994 წლიდან 2006 წლამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად იყენებდა საქართველოს ეროვნული ბანკის სესხს. ანუ ცივილური გზის ნაცვლად, რომელიც გულისხმობს ოპერაციებს ღია ბაზარზე და ინვესტორებთან ურთიერთობას, საქართველოში, ფაქტობრივად, ადგილი ჰქონდა ფულად ემისიას (მონეტარული დაფინანსება).

2006 წლის 20 მარტს კი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმდა “შეთანხმება საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ”.

საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული საქართველოს მთავრობის დავალიანება (მიღებული კრედიტები და გადაფორმებული სავალო ვალდებულებები), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო ვალს, დაიფაროს 2030 წლის 16 მარტამდე საქართველოს მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ისე, რომ ყოველწლიურად მოხდეს დავალიანების ერთი ნაწილის გადაფორმება ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილ ერთწლიან ყოველწლიურად განახლებად სახელმწიფო სავალო ვალდებულებად – სახელმწიფო ობლიგაციად, ხოლო მეორე ნაწილისა – სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, რომელთა დაფარვაც განხორციელდეს შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან⁶.

2006 წლის 15 მაისს, საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით⁷, დამტკიცდა “საქართველოს

³ იქვე, მუხლი 48, კარი 1, 2, 3 და 4.

⁴ იქვე, მუხლი 48¹.

⁵ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=611>

⁶ წყარო: საქართველოს 2006 წლის 11 მაისის კანონი №3012 - სსმ I, №13, 13.05.2006 წ., მუხ.88.

⁷ წყარო: ბრძანება №444/138 (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 220.010.060.22.033.008.607), თბილისი, საქართველო.

მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული დავალიანების გადაფორმების შედეგად სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების, აღრიცხვის, მიმოქცევისა და დაფარვის შესახებ“ დებულება.

ამ სახის სახელმწიფო ფასიან ქაღალდს საფუძვლად უდევს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვისა და რეგისტრაციის წესი და სპეციალური დებულება⁸. დებულებაში განმარტებულია, რომ სახელმწიფო ობლიგაცია არის კუპონური სახელმწიფო საშუალოვადიანი ფასიანი ქაღალდი, დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში და გამოშვებული არამატერიალიზებული ფორმით.

დავალიანება სრულად დაიფარება 2030 წელს. აღნიშნული ობლიგაციები ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

ობლიგაციაზე გადასახდელი კუპონის წლიური განაკვეთი 2006, 2007 და 2008 წლებში განისაზღვრა 13%-ით, ხოლო სავალო ვალდებულებაზე გადასახდელი პროცენტი 2006 წელს წლიური 7%-ის, 2007 და 2008 წლებში 6%-ის ოდენობით.

2008 წლის შემდგომ წლებში ობლიგაციებზე კუპონის განაკვეთს და სავალო ვალდებულებებზე წლიურ საპროცენტო განაკვეთს ადგენს მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთობლივად, საბაზრო პროცენტების გათვალისწინებით.

აღნიშნული შეთანხმებით და ამ ფასიანი ქაღალდების ემისიებით და დაფარვებით მთლიანად გაიწერა ვალის დაფარვის გრაფიკი და საქართველოს ეროვნულ ბანკს გაუწინა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ანუ დავალიანებამ, რომელიც აქამდე უბრალოდ აღრიცხული იყო ეროვნული ბანკის ბალანსზე, შეიძინა ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა და ფუნქცია.

ამასთან, ობლიგაციები არ არის ის ერთადერთი დადებითი, რაც ეროვნული ბანკისა და მთავრობის შეთანხმებითაა მიღწეული. ამ გზით შეიცვალა მთავრობისა და ეროვნული ბანკის დამოკიდებულება - ამიერიდან მთავრობის ეროვნული ბანკიდან პირდაპირი დაფინანსება არ ხდება. ხორციელდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია.

ეს საეტაპო მნიშვნელობის ნაბიჯი იყო იმიტომ, რომ ცენტრალური ბანკის მიერ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ ითვლება სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შემადგენელ ნაწილად და, პირიქით, - როდესაც პირდაპირი დაკრედიტება აკრძალულია, ეს არის კანონმდებლობით დაფიქსირებული ერთ-ერთი გარანტია იმისა, რომ საქართველოში იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

დებულების თანახმად, სახელმწიფო ობლიგაცია არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული 16-დან 60 თვემდე დაფარვის ვადის მქონე სახელმწიფო კუპონური ობლიგაცია, 1000 ლარის ნომინალური ღირებულებით; კუპონი არის წლიური სარგებელი (პროცენტული შემოსავალი), რომელსაც მიიღებს სახელმწიფო ობლიგაციის მფლობელი წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში, სახელმწიფო ობლიგაციების მოქმედების ვადის განმავლობაში; ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია ადგენს გასაყიდი ობლიგაციების მაქსიმალურ მოცულობასა და მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთს (ანუ განაკვეთს, რომლის ზემოთაც ეროვნული ბანკი არ გაყიდის ობლიგაციებს).

საერთოდ, ობლიგაციები გრძელვადიანებია (მაგალითად, შეერთებული შტატების სახელმწიფო ობლიგაციების ვადა 30 წელს აღწევს). საერთაშორისო პრაქტიკით ამ ფასიან ქაღალდებს პირდაპირ ღია ბაზარზე ყიდის ფინანსთა

⁸ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 4 დეკემბრის #335 ბრძანება.

სამინისტრო და ჩვენს შემთხვევაში, არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოხდა ვალის გადაფორმება.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ერთ-ერთ ძირითად გრძელვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მდგრადი და ზრდადი ტემპების მიღწევა, სადაც მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება სახელმწიფო ვალის რეგულირებას.

საშინაო ვალი მთლიანი სახელმწიფო ვალის ნაწილია. სახელმწიფო თავიანთი ფუნქციების შესრულების პროცესში ხშირად აღმოჩნდება ხოლმე ისეთ სიტუაციაში, როდესაც საკუთარი ფინანსური სახსრები საკმარისი არ არის დასახული მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად. ასეთ პირობებში, სახელმწიფო ხარჯებისა და ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად იქმნება შიდა და უცხოური სესხების მოზიდვის აუცილებლობა, რაც იწვევს სახელმწიფო ვალის წარმოშობას და ზრდას. სახელმწიფო ვალის სწრაფი ზრდა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მთავარ პრობლემად იქცა, რაზეც მოწმობს ბოლო პერიოდში მომხდარი გლობალური კრიზისი და აშშ-ს, გერმანიისა და ევროკავშირის ქვეყნების სუვერენული ვალის პრობლემა.

დღეს სახელმწიფო ვალი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში მატულობს, რის მიზეზადაც ბიუჯეტის დეფიციტის და საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს ზრდა ითვლება.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეუცვლელი ინსტრუმენტია ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარების საქმეში. სახელმწიფოს მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს, სხვა მიზანთა შორის გამოირჩევა ქვეყანაში ფულის მასის რეგულირება, ანტიინფლაციური ღონისძიებების გატარება, ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის სტიმულირება და მისი გაცვლითი კურსის სტაბილურობის ხელშეწყობა⁹.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ხელს უწყობს საბანკო სექტორს და კერძო ინვესტირებას, დააბანდონ თავიანთი თავისუფალი სახსრები მაქსიმალურად უსაფრთხოდ და ლიკვიდურად. აუქციონები ტარდება ბლუმბერგის ელექტრონული სავაჭრო სისტემის გამოყენებით. მათი შექმნა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს - აუქციონში მონაწილეობის მიღება უმარტივესი პროცედურაა და ხორციელდება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მეშვეობით¹⁰.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის“ შესახებ.
2. დებულება, საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=611> 2006 წლის 15 მაისს, საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული დავალიანების გადაფორმების შედეგად სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების, აღრიცხვის, მიმოქცევისა და დაფარვის შესახებ“.
3. “შეთანხმება საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ”, 2006 წლის 20 მარტი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 4 დეკემბრის №335 ბრძანება.

⁹წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი: www.nbg.ge

¹⁰წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი: www.nbg.ge

David Aslanishvili

Doctor of Economy, Ph.D

GEORGIA STATE DEBTS AS SECURITIZATION EXAMPLE

Expanded summary

The survey is devoted to the Georgian Government debts before the National Bank of Georgia and its covering policy, which is expressed in the emission and gradual repayment of the Treasury bonds. The article describes the origin of debt and the use of this mechanism and explains the positive impact of this process - the securitization – on the development of Georgian Securities Market.

The "conversion" of non-asset assets in the world financial markets (securitization) and their economic activity is the usual downward trend. Unfortunately, Georgia's successful "securitization" is more exception than practice. In this regard, the subject of our research is the successful result of this example - the "Securitization" of 832 million GEL of the state debt towards the National Bank.

It should be noted that issued state and corporate securities are not distinguished by diversity. Since independence, the state has been facing a number of guaranteed debt obligations which have been delayed by time and many of them are still not settled. In addition to other debts, the government's indebtedness to the National Bank was steadily rising from the period of independence of Georgia and reached 832.846.323 GEL for 15 March 2006.

The history of the accumulation of debt is linked to the state budget deficit, and from 1994 to 2006 the Ministry of Finance used the National Bank of Georgia to cover the budget deficit. Instead of a cold road, which means transactions with open market and investors, there was actually a cash emission (monetary financing) in Georgia.

On 20 March 2006 the Government of Georgia and the National Bank signed an "Agreement between the Government of National Bank of debt measures", according to the National Bank of the government due amount must be 2030 to March 16 so that each year the debt One part of the registration of the National Bank on a yearly renewable yearly public debt liability - government bonds, and the other part - different term government bonds in the open market operations, which shall be covered from the respective years of state budgets.

Annual interest rate on bonds was determined by 13% in 2006, 2007 and 2008, and the percentage of payments on mortgage lending amounted to 7% in 2006, 6% in 2007 and 2008.

Annual interest rate on coupon rates and debt obligations on bonds in 2008 is determined by the Government and National Bank of Georgia in conjunction with market interest.

With this agreement and emissions and repayment of these securities, the debt repayment schedule was completely withdrawn and the National Bank of Georgia had an important instrument. That is the debt that has just been recorded on the balance of the National Bank, has acquired a very important workload and function.

At the same time, the bonds are not the only positive that has been achieved by the National Bank and Government Agreement. In this way the attitude of the government and the National Bank has changed - from now on, the NBG does not directly finance. Emission of state securities is carried out.

This was the most important step, because the central bank financing of the budget deficit in any of the developed countries are not considered to be part of a stable macroeconomic environment, and vice versa - when direct lending is prohibited, it is recorded under a guarantee that Georgia will be a stable macroeconomic environment.

Keywords: securitization, National Bank, Ministry of Finance, State Bond obligations, State Debt.

შემოსავლების აღრიცხვის ძირითადი ასპექტები საჯარო სექტორში

რეზიუმე

საჯარო სექტორის ერთეულები შემოსავალს იღებენ როგორც გაცვლითი, ასევე არაგაცვლითი ოპერაციებიდან. საჯარო სექტორში შემოსავლების წარმოქმნილი ოპერაციების აღივსების საკითხებს განიხილავს სსბას 9 – შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან და სსბას 23 – შემოსავლები არა გაცვლითი ოპერაციებიდან.

სტატიაში განხილულია გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლის შეფასებისა და აღიარების საკითხები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: გაცვლითი ოპერაციები, არაგაცვლითი ოპერაციები, კონტრაქტები, პირობები, შეხედულებები.

შესავალი

შემოსავალი მოიცავს ერთეულის მიერ მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის საერთო თანხას. სახელმწიფო ერთეულის მიერ მიღებული თანხები, რომელიც არ იწვევს ერთეულში ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლას, შემოსავლად არ განიხილება.

საჯარო სექტორის ერთეულებს შემოსავლები წარმოექმნებათ გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებიდან. საკითხის აქტუალობას განსზღვრავს ის, რომ გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების შეფასებისა და აღიარებისათვის სტანდარტებით განსხვავებული კრიტერიუმებია დადგენილი. სტატიაში განხილულია გარემოებები, როდესაც აღნიშნული კრიტერიუმები მიიჩნევა დაკმაყოფილებულად და შესაბამისად, ხდება შემოსავლის შემოსავლის აღიარება.

შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან. გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლების გასამიჯნად ყურადღება უნდა მიექცეს ოპერაციის შინაარსს. თუ ადგილი აქვს გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციების კომბინაციას, სუბიექტები ახდენენ ოპერაციების ანალიზს, მთლიანი თანხებიდან გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციების კომპონენტების ცალკე აღიარების მიზნით.

გაცვლითია ოპერაცია, რომლის დროსაც ერთეული იღებს აქტივებს ან მომსახურებას, ან იფარება მისი ვალდებულებები და გაცვლაში მონაწილე მეორე მხარეს უხდის დაახლოებით იმავე ღირებულების საფასურს. გაცვლითი ოპერაციებია: საქონლის გაყიდვა, მომსახურების გაწევა, სხვა პირთა მიერ ერთეულის კუთვნილი აქტივების გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება პროცენტის, დივიდენდის, როიალტის და სხვათა სახით.

შემოსავლის შეფასება ხდება ერთეულის მიერ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ნებისმიერი საცალო და საბითუმო, სავაჭრო ფასდათმობის გათვალისწინებით. შემოსავლის სიდიდე, ერთეულსა და მყიდველს შორის, შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ტოლია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, შემოსავლის

შეფასება ხდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით. ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონლისა და მომსახურების გაცვლისას შემოსავალი არ წარმოიქმნება. შემოსავალს წარმოქმნის განსხვავებული სახის საქონლის ან მომსახურების გაცვლა. როდესაც მისაღები თანხების შემოსვლა ყოვნდება, ანაზღაურების რეალური ღირებულება შეიძლება მიღებული ან მისაღები ფულადი სახსრების ნომინალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში სხვაობა აღიარებულ უნდა იქნეს როგორც საპროცენტო შემოსავალი.

თუ ოპერაციებიდან მიღებული შედეგების გამოცალკეება, შესრულებული ოპერაციების მთელი ერთობლიობის განხილვის გარეშე შეუძლებელია, აღიარების კრიტერიუმების გამოყენება შეიძლება საჭირო იყოს ერთდროულად, ორი ან მეტი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოპერაციის მიმართ. მაგალითად, ერთეულმა შეიძლება გაყიდოს საქონელი და, იმავედროულად, დადოს სხვა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდეს ამავე საქონლის უკან შესყიდვას გარკვეული პერიოდის შემდეგ. ცხადია, ასეთი გარიგებით ანულირდება ოპერაციის რეალური შედეგი და ამიტომ ორივე ოპერაცია ერთად უნდა იქნეს განხილული.

გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები გამოიყენება თითოეული ოპერაციისათვის. თუმცა, ზოგჯერ, ერთი და იმავე ოპერაციის დამოუკიდებელი კომპონენტების მიმართ, აუცილებელია მათი ცალ-ცალკე გამოყენება. რადგან „ზოგ შემთხვევაში მომხმარებელთან დადებული კონტრაქტი შეიცავს ინფორმაციას საკონტრაქტო ვალდებულებებზე, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საგანია“ [ვარდიაშვილი მ., მაისურაძე მ., 2017, 5].

მაგალითად, კონტრაქტით, რომლის მთლიანი ღირებულება 300 000 ლარია, პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვისას პროდუქციის სარეალიზაციო ფასში შედის გაყიდვის შემდგომი მომსახურების იდენტიფიცირებადი თანხა 90 000 ლარი.

ამ შემთხვევაში კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი და მომსახურება განცალკევებადია, რადგან ისინი ერთმანეთის კომპონენტებს არ წარმოადგენს და თითოეული მათგანი შეიძლება ცალ-ცალკე იქნეს შეძენილი. შეაბამისად, შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების პერიოდში.

მომსახურების გაწევა, როგორც წესი, გულისხმობს ერთეულის მიერ მომსახურების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, რომელიც შეიძლება დასრულდეს ერთ ან მეტ საანგარიშგებო პერიოდში.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება ოპერაციის შესრულების სტადიის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოსალოდნელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში;
- შესაძლებელია მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო თარიღისთვის; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარებას, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, პროცენტული შესრულების მეთოდს უწოდებენ. აღნიშნული მეთოდის თანახმად, შემოსავალი აღიარებულ იქნება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებშიც ხდება მომსახურების გაწევა. ამ მეთოდით შემოსავლის აღიარება უზრუნველყოფს სასარგებლო ინფორმაციას, მთლიანად შესრულებული მომსახურების მოცულობისა და მოცემული პერიოდის შედეგების შესახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულებული სამუშაოს გამოკვლევისას შესრულების სტადია ვერ დგინდება, შემოსავალი აღიარებულ იქნება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ მთლიანი დანახარჯების მიმართ, გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილის მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებში განიხილება ერთეულის მიერ წარმოებული პროდუქციისა (მაგალითად, პუბლიკაციების) და იმ საქონელს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც შექმნილია ხელმეორედ გაყიდვის მიზნით (მაგალითად, საქონელი საცალო ვაჭრობისთვის).

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ერთეული მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- ერთეული არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, ეკონომიკური სარგებელის ან მომსახურების პოტენციალის მიღება; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ერთეულის მიერ მყიდველისთვის საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებისა და სარგებელის გადაცემა გარიგების პირობებით დგინდება. უმეტეს შემთხვევაში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველისათვის იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას. ძირითადად, ასე ხდება საცალო ვაჭრობაში. სხვა შემთხვევებში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა არ ემთხვევა იურიდიული ან ქონებრივი უფლების გადაცემას.

თუ ერთეული ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და შესაბამისად, არ ხდება შემოსავლის აღიარება.

ერთეულს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი უნარჩუნდება:

- როდესაც ერთეული იტოვებს არაღამაკმაყოფილებელ მიწოდებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის გარანტიის ჩვეულებრივი პირობებით;
- როდესაც ერთეულში რომელიმე საქონლის გაყიდვიდან შემოსავლის მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ საქონლის გაყიდვაზე. მაგალითად, სახელმწიფო საგამომცემლო ხასიათის ოპერაციის შედეგად საგანმანათლებლო მასალა უნაწილდება სკოლებს გაყიდვის პირობით. ამ შემთხვევაში საქონლის გამგზავნი შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც საქონლის მიმღები მას მესამე მხარეზე გაყიდის;
- როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, რომელიც ერთეულს ჯერ არ შეუსრულებია;

მაგალითად, გაგზავნილია საქონელი, რომელიც ექვემდებარება დამონტაჟებას და ტექნიკურ შემოწმებას. შემოსავალი აღიარებულ იქნება მყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის მიღების, მისი დამონტაჟებისა და ტექნიკური შემოწმების დამთავრების შემდეგ.

- როდესაც მყიდველს უფლება აქვს, გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის თანახმად, უარი თქვას საქონლის შექმნაზე და, ამდენად, ერთეულისთვის გაურკვეველია საქონლის დაბრუნების შესაძლებლობა.

თუ ერთეული იტოვებს მხოლოდ საკუთრებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს, ოპერაცია მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულ იქნება. მაგალითად, როდესაც საცალო ვაჭრობაში დაშვებულია მომხმარებლისთვის საქონლის ღირებულების უკან დაბრუნება, მისი უხარისხობის გამო მყიდველის უკმაყოფილების შემთხვევაში.

ამრიგად, დროის ის მომენტ, როდესაც შემოსავალი უნდა აღიარდეს ზუსტად განსაზღვრული არ არის, ეს დამოკიდებულია ხელშეკრულების პირობებზე და საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელის გადაცემაზე. თუ შემოსავალი უკვე აღიარებულია და შემდეგ გახდება საექვო გადასახდელი თანხის ამოღება, ამოუღებელი თანხა აღიარებულ იქნება ხარჯის სახით და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული შემოსავლის თანხის კორექტირება.

შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან. მთავრობებისა და საჯარო სექტორის სუბიექტების მიერ განხორციელებულ ოპერაციებში განსაკუთრებული ადგილი უკავია არაგაცვლით ოპერაციებს, რომლის შედეგადც ფორმირდება მათი შემოსავლის უდიდესი ნაწილი. ეს ოპერაციები ძირითადად მოიცავს გადასახადებს და ტრანსფერებს. ტრანსფერების აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგან მათი ბიუჯეტის დიდი ნაწილი სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ტრანსფერებით ფორმირდება.

არაგაცვლითი ოპერაცია, როდესაც ერთეული იღებს აქტივს ან მომსახურებას და სანაცვლოდ პირდაპირ არ იხდის ან იხდის მიღებული რესურსის ნომინალურ ღირებულებას. არაგაცვლით ოპერაციებს მიეკუთვნება გადასახადები და ტრანსფერები. გადასახადებიდან შემოსავალი წარმოიქმნება მხოლოდ მთავრობისათვის, რომელიც გადასახადებს აწესებს. თუ სუბიექტი გადასახადების მოკრებას ახორციელებს იგი მოქმედებს, როგორც საგადასახადო აგენტი, შესაბამისად, იგი მოკრებილი გადასახადებიდან შემოსავალს არ აღიარებს. გადასახადებიდან აქტივებს და შემოსავალს აღიარებენ მხოლოდ სახელისუფლებო ორგანოები, რომლებმაც დააწესეს ეს გადასახადები. მართალია, სახელმწიფო, გადასახადის გადახდელს საზოგადოებრივად სასარგებლო მომსახურების ფართო არჩევანს სთავაზობს, მაგრამ ისინი არ იღებენ მათ მიერ გადახდილი თანხის ეკვივალენტურ მომსახურებას. ამიტომ გადასახადებიდან წარმოქმნილი შემოსავლები განიხილება როგორც შემოსავლები არაგაცვლითი ოპერაციებიდან. ტრანსფერები წარმოადგენს მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლას არაგაცვლითი ოპერაციებიდან. იგი მოიცავს: გრანტებს, ვალის პატივებს, საურავს, მემკვიდრეობით აქტებს, საჩუქრებს, შემოწირულობებს და საქონელსა და მომსახურებას ნატურალური ფორმით და მიღებული შეღავათიანი სესხების არასაბაზრო კომპონენტებს.

ტრანსფერით განხორციელებული არაგაცვლითი ოპერაციების შედეგების ფინანსური ანგარიშგებაში აღიარებას განსაზღვრავს შეთანხმება მისაღებ აქტივებზე, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც პირობებს, ასევე შეზღუდვებს.

პირობები შეიძლება სუბიექტისგან მიღებული აქტივის კონკრეტული მიზნით გამოყენებას მოითხოვდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკური სარგებელის და მომსახურების პოტენციალის დაუბრუნებას ითვალისწინებდეს იმ სუბიექტისთვის, რომელმაც განახორციელა აქტივის ტრანსფერი.

აქედან გამომდინარე ტრანსფერის მიმღები აქტივის თავდაპირველად აღიარებისას, ამავდროულად აღიარებს ვალდებულებასაც, პირობის დარღვევის შემთხვევაში მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი გადასცეს მესამე მხარეს. აქტივების დაბრუნების შემთხვევაში ანგარიშვალდებული ერთეული აღიარებს აქტივების და ვალდებულებების შემცირებას. იმ შემთხვევაში თუ მიღებული აქტივი დანიშნულებისამებრ არ იქნა გამოყენებული, მიმღებს არ შეუძლია თავიდან აიცილოს რესურსების გადინება. ამიტომ აქტივზე თავდაპირველი კონტროლის მოპოვების მომენტში შემოსავლის აღიარება, მის ვადაზე ადრე აღიარებას ნიშნავს, რადგან პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელია რესურსების გადინება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულება აისახება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია, რომ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მატარებელი რესურსების გადინება;
- თავდაპირველი აღიარებისას შესაძლოა ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. სტანდარტით, როდესაც სუბიექტი რესურსების შემოსვლასთან დაკავშირებით აღიარებს ვალდებულებას, მისი შეფასება უნდა მოხდეს საანგარიშგებო თარიღისათვის მოვალეობის შესასრულებლად საუკეთესო შეფასებით გაანგარიშებული საჭირო თანხით. როდესაც სუბიექტი არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებულ რესურსებთან მიმართებით აღიარებულ მიმდინარე მოვალეობას ასრულებს, მან უნდა შეამციროს აღიარებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება და იმავე თანხით აღიაროს შემოსავალი.

შეზღუდვა არ გულისხმობს ტრანსფერით მიღებული აქტივის უკან დაბრუნებას, შესაბამისად, არ წარმოიქმნება ვალდებულებები, არამედ აღიარებულია აქტივი და შემოსავალი. მიმღების მიერ შეზღუდვის დარღვევის შემთხვევაში, ტრანსფერის განმახორციელებელი სუბიექტის მოთხოვნა შესაძლებელია დასრულდეს მიმღებისადმი განკარგულების მიცემით, რომ მან დააკმაყოფილოს შეზღუდვა, ან გადაიხადოს დაუმორჩილებლობისთვის დაწესებული ჯარიმა.

ერთეული არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებულ აქტივს გარდა ნატურალური ფორმით გაწეული მომსახურებისა, აღიარებს მაშინ, როცა მოიპოვებს კონტროლს ისეთ რესურსებზე, რომლებიც აკმაყოფილებს აქტივის განსაზღვრებას და აღიარების კრიტერიუმებს. აქტივის კონტროლირება სუბიექტის აქტივებს გამოარჩევს საზოგადოებრივი სარგებლობის ქონებისაგან, რომელზეც ხელი მიუწვდება და რომლითაც სარგებლობს ყველა ერთეული. იგი გამორიცხავს აქტივის სარგებელზე გარეშე პირების ხელმისაწვდომობას.

არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად შექმნილი აქტივის თავდაპირველი შეფასება ხდება მისი შექმნის თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით. “რეალური ღირებულება არის ისეთი შეფასება, რომელიც დაფუძნებულია მთლიანად საბაზრო მონაცემებზე. უფრო მარტივად ეს არის ფასი, რომელიც გამყიდველებს შეუძლიათ მიიღონ და არა ფასი, რომელიც მათ სურთ მიიღონ აქტივის გაყიდვიდან“(მ. მაისურაძე, მ. ვარდიაშვილი, 2016 , 6) როგორც ზემოთ აღინიშნა, არა გაცვლითი ოპერაცია წარმოქმნის შემოსავლებს ან ვალდებულებებს.

არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული აქტივად აღიარებული რესურსები, იმავდროულად უნდა აღიარდეს როგორც შემოსავალი, გარდა იმ

შემთხვევისა, როცა ამ მიღებასთან მიმართებით ხდება ვალდებულების აღიარება. ([Vardiashvili M., Maisuradze M., 2016. 4]. არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავლის შეფასება ხდება ერთეულის მიერ აღიარებული აქტივების ღირებულებით. დაფუძნებით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნივერსიტეტს ტრანსფერით გადასცა 200 ჰექტარი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულება განსაზღვრავს, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამოყენება უნდა მოხდეს საუნივერსიტეტო ქალაქისთვის, მაგრამ არ აკონკრეტებს, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოცემული მიწის ნაკვეთის აღნიშნული მიზნით გამოყენება, იგი უნდა დაუბრუნდეს თუ არა ტრანსფერის განმახორციელებელ ერთეულს. ვინაიდან ხელშეკრულება ითვალისწინებს შეზღუდვას და არა პირობას, უნივერსიტეტი მოცემულ მიწის ნაკვეთს რეალური ღირებულებით, აღიარებს როგორც აქტივს მასზე კონტროლს მოპოვების პერიოდიდან, იმავედროულად აღიარებს შემოსავალს, რადგანაც შეზღუდვა არ შეესაბამება ვალდებულების განსაზღვრებას და არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს. როდესაც სუბიექტს არაგაცვლითი ოპერაციიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით, უხდება გარკვეული ხარჯის გაწევა, შემოსავალს აღიარებს მიღებული აქტივის მთლიანი ღირებულებით (ხარჯების გარეშე), ხოლო ამ ოპერაციაზე გაწეული ხარჯების აღიარება ხდება ცალკე, მაგალითად, თუ ძირითადი საშუალებების ერთეულის გადაცემასთან დაკავშირებით ანგარიშგაღებულ ერთეულს მოეთხოვება გაიღოს მიწოდებისა და მონტაჟის ხარჯები, შემოსავალი აღიარდება ხარჯებისგან დამოუკიდებლად, ხოლო მიწოდებისა და მონტაჟის ხარჯები სსბასს 17-ის – ძირითადი საშუალებები, შესაბამისად აღიარებულ იქნება აქტივის ღირებულებაში. შემოსავლის აღიარების დრო კონტრაქტის პირობების შესრულებით განისაზღვრება. მაგალითად, თუ პირობის კონკრეტული მოთხოვნაა, სუბიექტმა მესამე მხარეები საქონლით ან მომსახურებით უზრუნველყოს, ან აუთვისებელი სახსრები დაუბრუნოს ტრანსფერის განმახორციელებელ ერთეულს, ტრანსფერის მიმღები შემოსავალს აღიარებს, მესამე მხარისთვის საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების შემდეგ. მიღებული ტრანსფერი ყოველთვის არ წარმოქმნის აქტივს, მაგალითად ვალის პატიება, რომლის შედეგადაც ვალი უკვე აღარ შეესაბამება ვალდებულების განსაზღვრებას. სუბიექტები ვალის პატიებასთან მიმართებით აღიარებენ შემოსავალს, ვალის პატიების შედეგად წარმოქმნილი შემოსავლის შეფასება ხდება ნაპატიები ვალის საბაღანსო ღირებულებით.

ნატურალური ფორმით გაწეული მომსახურებები ცალკეულ პირთა მიერ საჯარო სექტორის ერთეულისათვის არაგაცვლითი ოპერაციით გაწეული მომსახურებებია. ამ ტიპის მომსახურების ფორმით განხორციელებული არაგაცვლითი ოპერაციებიდან სუბიექტს შეუძლია, მაგრამ არ მოეთხოვება, აღიაროს შემოსავალი და აქტივი მათთან დაკავშირებით არსებული მრავალი განუსაზღვრელობის გამო. მაგალითად, როგორცაა, მომსახურებებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა და ამ მომსახურებათა რეალური ღირებულებით შეფასება. სტანდარტით, ერთეულს მოეთხოვებათ მოახდინონ ინფორმაციის გამჟღავნება ნატურალური ფორმით მიღებული მომსახურების ძირითადი ჯგუფების ბუნებისა და ტიპის შესახებ, მათ შორის იმათ შესახებ, რომელთა აღიარებაც არ მომხდარა. ნატურალური ფორმით გაწეული მომსახურების ხარჯები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აქტივის წარმოების მიზნით. ამ შემთხვევაში, აღიარებული თანხა აღირიცხება წარმოებული აქტივის თვითღირებულებაში.

დასკვნა

ამრიგად, გაცვლითი და არა გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების შეფასებასა და აღიარებაში არსებული ძირითადი განსახვავებებია:

- გაცვლითი ოპერაციის შედეგად, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი აღიარებულ იქნება შემოსავლად;
- აქტივად აღიარებული არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული რესურსების იმავდროულად შემოსავლად აღიარებას განსაზღვრავს კონტრაქტის პირობები და შეზღუდვები;
- გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის შეფასება ხდება ერთეულის მიერ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ნებისმიერი საცალო და საბითუმო, სავაჭრო ფასდათმობის გათვალისწინებით;
- არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული შემოსავლის შეფასება ხდება ერთეულის მიერ აღიარებული აქტივების რეალური ღირებულებით.
მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, რაც გამოწვეულია საჯარო სექტორის სპეციფიკით, გაცვლითი და არა გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების შეფასების და აღიარების არსი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ზოგად მოდელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სსბასს 9 – შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან.
2. სსბასს 23 – შემოსავლები არა გაცვლითი ოპერაციებიდან.
3. მ. ვარდიაშვილი. 2018, გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში.
4. Vardiashvili M., Maisuradze M., 2016, SOME ISSUES OF ACCOUNTING THE NON-EXCHANGE TRANSACTIONS IN THE PUBLIC SECTOR; International Scientific Symposium "Economics, Business & Finance", Institute of Researches and International Symposiums, JURMALA, LATVIA 2016, 07<http://irissymposium.wix.com/alkona>
5. **Vardiashvili M., Marina Maisuradze., On Recognition and Measurement of the Revenues according to IFRS 15;** Journal of International Scientific Publications www.scientific-publications.net, <https://www.scientific-publications.net/en/issue/1000025>, 2017 ,Pages: 182-190 Bulgaria.
6. Maisuradze M., Vardiashvili M., 2016 , MAIN ASPECTS OF MEASUREMENT OF THE FAIR VALUE OF NONFINANCIAL ASSETS , <https://inomics.com/15th-international-scientific-conference-economic-and-social-development-human-resources-development> (385-391).
7. Papias Njaala, (2015), Comparative Analysis of International Public Sector Accounting Standard 23 and International Accounting Standard 20, *Journal of Finance and Accounting*, <http://ssrn.com/abstract=2730597>

Mariam Vardiashvili
Academic Doctor of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MAIN ASPECTS OF REVENUES ACCOUNTING IN THE PUBLIC SECTOR

Expanded summary

Public entities generate revenues through the exchange and non-exchange transactions. Recognition and measurement is one of the main issues of accounting the revenues. According to the general model accepted by the standards, the revenue shall be subject to recognition if it is expected that:

- An entity will receive economic benefit or service potential
- Such a benefit can be measured reliably by quantities

Issues of recognition of revenues gained from exchange and non-exchange transactions, with considering the specificity of the public sector, are discussed in IPSAS 9 – Revenue from Exchange Transactions and IPSAS 23 – Revenue from Non-exchange Transactions.

The Article deals with circumstances where the criteria established by the standard are deemed satisfactory and, the revenues are recognized respectively,

To separate the revenues received from exchange- and non-exchange transactions, a due attention should be paid to the content of the transaction

Exchange transactions are transactions in which one entity receives assets or services, or has liabilities extinguished, and directly gives approximately equal value (primarily in the form of cash, goods, services, or use of assets) to another entity in exchange

Non-exchange transactions are transactions that are not exchange transactions. In a non-exchange transaction, an entity either receives value from another entity without directly giving approximately equal value in exchange, or gives value to another entity without directly receiving approximately equal value in exchange.

Measurement of the revenue generated from exchange transaction should be made at the fair value of the consideration received or receivable taking into account the amount of any trade discounts and volume rebates allowed by the entity.

Measurement of the revenue generated as a result of sale of the goods and services should be made when the criteria determined by the Standard are met

The criteria of recognition of the revenues received from the exchange transactions are used for each transaction, however in some cases it becomes necessary to use them separately for different independent components of one and the same transaction, in order to define a real meaning of the transaction

Recognition of the revenue received from rendering services, due to a nature of such transaction, is made either towards the percent of performance or towards the total costs envisaged under the budget, by the costs weighted share method

The non-exchange transaction covers mainly payments and transfers. Recognition of the results of non-exchange transactions in the financial reporting is determined by agreement on the receivable assets where both the conditions and limitations may be envisaged

The conditions mainly imply a purposeful use of the received assets. Their violation may envisage return of the economic benefit or service potential to an entity which has performed transfer. Therefore, when a receiver of the assets recognizes initially the asset, it recognizes at the same time the liabilities as well, that in case of violation of the conditions, it becomes obliged to transfer to a third party a future economic benefit or service potential

According to the Standard, when an entity recognizes its liability related to inflow of resources, the recognition should be done in the amount that is to be calculated by the best measurement as at the date of the reporting date. When an entity performs its recognized current liability related to the resources received as a result of the non-exchange transaction, it

should reduce a balance value of the recognized liability and recognize the revenue by this same amount

Limitation does not imply return of the assets received as a result of the transaction. Consequently, the resources received in the course of transfer and recognized as an asset, should be at the same time recognized as the revenue, not a liability

Measurement of the revenue received as a result of the non-exchange transaction, takes place by value of the assets recognized by an entity

The entity should recognize the asset received as a result of the non-exchange transaction, except for the services rendered, when it takes a control on those resources, which satisfy the definition of an asset and the criteria of recognition thereof. Control of the asset separates the entity's assets from the property of public use, which are available to and used by all the entities. It excludes availability by the third persons on the benefit from the asset.

A primary measurement of the asset acquired as a result of the non-exchange transaction, takes place at its fair value existing as of the date of its acquisition. A fair value is a measurement that is fully relied on the market data. To say simply, this is a price the sellers may receive, not a price they wish to receive through selling the asset.

As mentioned above, the non-exchange transactions generate the revenues or liabilities. The resources recognized as an asset received from the non-exchange transaction, should at the same time be recognized as the revenue, except for the case when a liability is recognized regarding receiving the resources.

When the entity is to incur certain expenses in connection to the revenue received from the non-exchange transaction, it recognizes the revenue by a full value of the received asset (excluding the costs), while the expenses incurred for this transaction, are recognized separately. For example, if a reporting entity is required to incur the delivery and assembly costs related to transfer of the fixed assets, then the revenue is recognized separately from the costs, while the costs of delivery and assembly, according to IPSAS 17 – “Property, Plant, and Equipment” is to be recognized in the value of asset, respectively.

Thus, the criteria for measurement and recognition of the revenues received from the exchange and non-exchange transactions differ from each other. In particular:

- As a result of the exchange transaction, if the criteria of recognition are satisfied, then the expected economic benefit should be recognized as revenue
- Recognition as a revenue of the resources received as a result of non-exchange transaction, is determined by conditions and limitations of an agreement
- The revenue received from the exchange transaction, is measured by the fair value received or receivable by the entity, taking into account the amount of any trade discounts and volume rebates allowed by the entity.
- The revenue received from the non-exchange transaction, is measured by value of the assets recognized by the entity

Despite the existing differences which are caused by specificity of the public sector, a meaning of the measurement and recognition of the revenues received as a result of exchange and non-exchange transactions, corresponds in full to the general model defined by the international standards.

სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის საკითხები

რეზიუმე. სახელმწიფო დახმარების მიღების სწორ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოსათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადების საქმეში. ეს მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ, როდესაც საწარმოს გადაეცემა რესურსები, მან უნდა შეარჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო მეთოდი. ამასთან, სასურველია, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახოს ამ დახმარების შედეგად მიღებული სარგებელი მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ამით უზრუნველყოფილი იქნება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, შესადაარისობა წინა პერიოდების ან სხვა საწარმოების ანგარიშგებებთან.

სტატიაში განხილულია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დახმარების სახეები, მათი ხასიათი, პირობები და აღრიცხვის საკითხები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო გრანტი, შემოსავალ მეთოდი, კაპიტალ მეთოდი.

შესავალი

სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების რეგულირება ხდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით (ბასს) 20, რომლის თანახმად, სახელმწიფო გრანტები არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული, წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. აქ არ იგულისხმება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან.

ზოგჯერ სახელმწიფო გრანტებს სხვა სახელსაც უწოდებენ, მაგალითად, სუბსიდია, დოტაცია ან სახელმწიფო პრემია.

* * *

ბასს 20 მიხედვით, გრანტით მიღებული რესურსები შეიძლება იყოს ფულადი და არაფულადი. განსხვავებენ აქტივებსა და შემოსავლებთან დაკავშირებულ გრანტებს.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტები საწარმოს, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის ეძლევა, რომ შეიძინოს, შექმნას, ააშენოს ან რაიმე სხვა გზით მოიზიდოს გრძელვადიანი აქტივები. ამასთან, გრანტი შესაძლოა ითვალისწინებდეს დამატებით პირობებსაც, რომლებიც განსაზღვრავს აქტივის სახეობას, განლაგებას, მათი შექმნის ან ფლობის პერიოდს.

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტი აღნიშნავს გრანტს, რომელიც არ არის დაკავშირებული გრძელვადიანი აქტივების შექმნას ან შექმნასთან. იგი საწარმოებს ეძლევათ გარკვეული სახის საქმიანობის გასაფართოებლად ან განსახორციელებლად.

სახელმწიფო გრანტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს აგრეთვე ნაპატიები სესხები, ეს ისეთი სესხებია, რომელთა უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება-

ზე სესხის გამცემი ნებაყოფლობით ამბობს უარს, გარკვეული, ადრე შეთანხმებული პირობების თანახმად.

საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გრანტებით მიღებულ დაფინანსებას. გრანტები სახელმწიფო მმართველობის ერთეულების მიერ სხვა დონის სახელმწიფო მმართველობის ერთეულების ან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მთავრობებისაგან სასაქონლო ან ფულადი ფორმით მიღებული არასავალდებულო მიმდინარე და კაპიტალური ტრანსფერებია [ვარდიაშვილი მ., 2014:97].

მიუხედავად იმისა, თუ როგორი ფორმით იქნება გრანტი მიღებული, არ იცვლება მისი აღრიცხვის მეთოდი. იგი აღრიცხება იდენტურად, იმის მიუხედავად, მიღებულია ფულადი ფორმით თუ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შემცირების ფორმით [სრესელი ნ., 2016: 469].

ბასს 20 მიხედვით არსებობს სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის ორი მიდგომა: კაპიტალ-მეთოდი და შემოსავალ-მეთოდი.

- კაპიტალ-მეთოდის გამოყენებისას გრანტი აისახება მოგების ან ზარალის გარეთ.

- შემოსავალ-მეთოდის დროს გრანტი აისახება მოგებაში ან ზარალში, ერთი ან მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტი განსაზღვრავს კაპიტალ-მეთოდის უპირატესობის და შემოსავალ-მეთოდის მხარდამჭერ ძირითად არგუმენტებს:

კაპიტალ-მეთოდის უპირატესობის ძირითადი არგუმენტებია:

- 1) სახელმწიფო გრანტი დაფინანსების საშუალებაა და ამიტომ უნდა აისახოს სახელმწიფო გრანტის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და არა მოგებაში ან ზარალში, გრანტით დაფინანსებული დანახარჯების მუხლების გადაფარვის სახით. ვინაიდან მოსალოდნელი არ არის გრანტის თანხის დაბრუნება, იგი უნდა აღიარდეს მოგების ან ზარალის გარეთ;

- 2) მართებული არ არის სახელმწიფო გრანტების აღიარება მოგებაში ან ზარალში, რადგან იგი საწარმოს მიერ არ არის გამოუმუშავებული, არამედ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული წახალისებაა, მასთან დაკავშირებული დანახარჯების გარეშე.

შემოსავალ-მეთოდის მხარდამჭერი ძირითადი არგუმენტებია:

- 1) რადგან სახელმწიფო გრანტების მიღების წყაროს არ წარმოადგენენ აქციონერები, არ შეიძლება მათი პირდაპირ ასახვა აქციონერთა კაპიტალში, არამედ მათი აღიარება უნდა მოხდეს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდების მოგებას ან ზარალში;

- 2) სახელმწიფო გრანტების გაცემა მთლიანად უსასყიდლოდ, სანუქრის სახით, იშვიათად ხდება. საწარმო მაშინ დაიმსახურებს გრანტის მიღებას, თუ დააკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს და მისდამი წაყენებულ ვალდებულებებს. ამიტომ გრანტები აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტის მეშვეობით;

- 3) სახელმწიფო გრანტები, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს. ამიტომ ლოგიკურია, რომ მოგების გადასახადი და სხვა ანალოგიური გადასახადები, რომელთა დარიცხვა ხდება შემოსავლების მიხედვით, აისახებოდეს მოგებაში ან ზარალში სახელმწიფო გრანტებთან ერთად.

შემოსავალ-მეთოდის გამოყენების ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებებია ის, რომ სახელმწიფო გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარ-

მო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტის მეშვეობით ხდება. სახელმწიფო გრანტების შემოსავლების აღიარება მათი მიღებისთანავე (საკასო მეთოდით) ეწინააღმდეგება ბასს 1-ის, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შემოსავლების ასახვის დარიცხვის მეთოდს. საკასო მეთოდის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს სხვა საანგარიშგებო პერიოდებზე გრანტის გადანაწილების სხვა საფუძველი, გარდა იმისა, რა სახითაც მიღებული იყო გრანტი.

ხშირ შემთხვევაში, ძნელი არ არის იმ პერიოდების დადგენა, როდესაც უნდა მოხდეს სახელმწიფო გრანტთან დაკავშირებული დანახარჯების ან ხარჯების აღიარება, რადგან გრანტი ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ სპეციფიკურ დანახარჯებს. გრანტის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება შესაბამისი ხარჯები. ანალოგიურად, ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები, როგორც წესი, მოგებაში ან ზარალში აღიარდება პროპორციულად ყველა საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დარიცხულია ცვეთის ანარიცხები მოცემულ აქტივებზე.

არამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. ასეთი გრანტები აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც გაწეული იქნება ამ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დანახარჯები. მაგალითად, მიწის გრანტი შეიძლება შეიცავდეს მიწის ნაკვეთზე გარკვეული შენობა-ნაგებობების მშენებლობის პირობას. ამიტომ გრანტის აღიარება შემოსავლების სახით მიზანშეწონილია მოხდეს მოცემული შენობა-ნაგებობების მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას.

სახელმწიფო გრანტის გაცემა შეიძლება ხდებოდეს არაფულადი აქტივის, მაგალითად, მიწა ან სხვა სახის რესურსების სახით, რომელიც საწარმომ უნდა გამოიყენოს. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, მიღებულია არაფულადი აქტივის შეფასება რეალური ღირებულებით, შესაბამისად, გრანტიც და აქტივიც უნდა აისახოს რეალური ღირებულებით. არსებობს ალტერნატიული მეთოდიც, რომლის მიხედვითაც გრანტისა და მოცემული არაფულადი აქტივის ასახვა ხდება ნომინალური ღირებულებით.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით, ან გრანტის გამოქვითვით აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად.

არსებობს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებთან დაკავშირებული გრანტის ასახვის ორი მისაღები ალტერნატიული მეთოდი.

პირველი მეთოდი გულისხმობს გრანტის ასახვას გადავადებული შემოსავლის სახით, რომელიც აღიარდება მოგებას ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

მეორე მეთოდის თანახმად ხდება გრანტის გამოქვითვა მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად. გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, დაჩქარებული ცვეთის მეთოდით.

აქტივების შექენამ და შესაბამისი გრანტების მიღებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობაში. იმისათვის, რომ გამოჩნდეს აქტივებში დაბანდებული ინვესტიციების საერთო თანხა, ასეთი ცვლილებები ცალკე მუხლების სახით უნდა აისახოს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, იმისდა მიუხედავად, ხდება თუ არა გრანტის თანხის გამოქვითვა შესაბამისი აქტივის საბალანსო ღირებულებიდან მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავლები“; ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

გრანტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას სახელმწიფო გრანტი შეიძლება უკან დაუბრუნდეს გრანტის გამცემს სრულად ან ნაწილობრივ. ასეთ შემთხვევაში დაბრუნებული თანხა უნდა გამოიქვითოს გრანტის დარჩენილი თანხიდან. სახელმწიფო გრანტები, რომლის დაბრუნებაზე წარმოიშობა მოთხოვნა, განხილული უნდა იქნეს როგორც სააღრიცხვო შეფასებების გადასინჯვა. შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნება, პირველ რიგში, უნდა დაუპირისპირდეს არაამორტიზებულ გადავადებულ ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა გრანტთან მიმართებაში. თუ გრანტის დასაბრუნებელი თანხა აღემატება ასეთი გადავადებული ვალდებულებების თანხას, ან როდესაც არ არსებობს გადავადებული ვალდებულება, გრანტის დასაბრუნებელი თანხა დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ხარჯის სახით. აქტივთან დაკავშირებული გრანტის დასაბრუნებელი თანხა აისახება აქტივის საბალანსო ღირებულების გაზრდით, ან გადავადებული შემოსავლების ნაშთის შემცირებით, დასაბრუნებელი თანხის ოდენობის შესაბამისად. დაგროვილი დამატებითი ცვეთის თანხა, რომელიც აღიარებული იქნებოდა დაბრუნებამდე, გრანტის არარსებობის პირობებში, დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ხარჯის სახით.

დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებთან დაკავშირებული გრანტი აისახება ორი ძირითადი მეთოდით:

პირველი მეთოდის თანახმად, გრანტი აისახება გადავადებული შემოსავლის სახით, მოგებას ან ზარალში სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

მეორე მეთოდი კი გულისხმობს გრანტის გამოქვითვას მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად. ამ შემთხვევაში გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, დაჩქარებული ცვეთის მეთოდით.

გამოყენებული ლიტერატურა

4. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2014.
5. ფასს (ბასს) 20, 2014. სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები.
6. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, 2009.

7. ვარდიაშვილი მ., 2014. ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში, თბილისი, „მერიდიანი“, გვ. 97.
8. სრესელი ნ., 2016. სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის თავისებურებები, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გვ. 469.

Marina Maisuradze

Associated Professor at TSU

SPATE GRANTS ACCOUNTING ISSUES

Expanded summary

Therefore, assistance by the State has a great importance for the entity in preparing the financial reporting. Considering that if resources are transferred to the entity, the latter should select a relevant accounting method. At the same time, it would be desirable if the entity reflects in its financial statements a benefit it received within the reporting period, as a result of such assistance. This will ensure observance of the principle of comparability in the entity's financial reporting.

The resources received by the grant can be cash and non-cash. Distinguish is made between grants related to assets and revenues.

The grants related to the assets are given to the enterprise to purchase, create, build or otherwise attract long-term assets. In addition, the grant may provide additional conditions that determine the type, deployment, period of acquisition or possession of the asset.

The revenues-related grant is a grant that is not related to the acquisition or creation of long-term assets. This type of grants are given to the enterprises to expand or implement certain activities.

One of the types of the state grant is also the excused loans. These are the loans which payback a lender denies voluntarily, according to earlier agreed terms and conditions.

There are two methods of accounting the state grants: The capital-method and the revenue-method:

- In case of apply the capital-method, the grant is reflected outside of the profit or loss, in the financial reporting;
- In case of apply the capital-method, the grant is reflected in profit or loss, in during one or more reporting periods.

A major advantage of the capital-method is that the state grant is a tool of funding ,therefore, it should be reflected as the state grant in the financial statements and not in the profit or loss. At the same time, it would be unjustified to recognize the state grants in the profit or loss, since they are not generated by an enterpris, but is a stimulation implemented by the state, without bearing associated costs.

As to recognition of the revenues-method, its supporters consider that:

Since the shareholder are not a source of receiving the state grants, they cannot be reflected directly to the shareholders capital, but must be recognized in the profit or loss of a relevant reporting period. Besides, issuance of the state grants absolutely free of charge, as a gift, takes place very rarely. An entity receives the grant in case only, if it meets certain requirements and obligations. Therefore, the grants are reflected in the profit or loss in those periods when an entity recognizes its expenses as the costs, which are funded by the grant.

The main characterizing feature of the revenue-method is that the state grants are recognized in the profit or loss on a systematic basis in those reporting periods when the entity recognizes its expenses as the costs, which are funded by the grant. Recognition of the

state grants immediately after receiving, i.e. by the cash method, contradicts to the incomes charging method. Application of the cash method can be allowed in cases only when there exists no other basis to redistribute the grant over other reporting periods except the type in which the grant was received.

The state grant, which will be received for compensation of the expenses and losses incurred by the enterprise or for the urgent financial assistance of the enterprise, which does not have the appropriate future expenses, should be recognized as income for the period when it is subject to acceptance.

Grants related to amortized assets should be recognized as revenues in proportion to accrued depreciation in the period of depreciation on the asset.

The grants related to non-repatriation assets, which may mean fulfillment of certain obligations. should be recognized as revenues in the reporting period when the expenses will be spent to meet these obligations.

When the state grant is partially or fully returned, the returned amount shall be deducted from the remaining amount of the grant. And, the state grants, on which return amount arises, are considered as the re-view of the accounting valuations.

An entity should reflect the following items in the explanatory notes of the financial statement:

a) Accounting policy used by the entity for the state grants, including the methods of inclusion of the grants into the financial reporting ;

b) Natural an size of the state grants reflected in the financial statements, as well as description of other forms of state allowances from which the entity derived a direct benefit;

c) Unfulfilled conditions and other unforeseen events associated to any type of the state allowances reflected in the financial statement .

მაბისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები
SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS



სტატიის ფინანსურად მხარდაჭერილია შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის მიერ პროექტის №PhDF2016_238

გიორგი მიქელაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ინვესტიციების მოდელის შედარებითი ანალიზი
(საქართველოს და აშშ-ს მაგალითზე)

რეზიუმე

სტატიაში განხილულია რ. კოპკეს მიერ აშშ-ს მაგალითზე ჩატარებული ინვესტიციების ცნობილი ხუთი მოდელის ემპირიული კვლევების შედეგები. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად შემოწმებულია აღნიშნული მოდელის ვარჯისიანობა და შედარებულია რ. კოპკეს კვლევის შედეგებთან.

ინვესტიციების ემპირიული მოდელის შედეგების შედარებით გამოვლენილია მსგავსება თუ განსხვავება თითოეულ მოდელზე. აშშ-ს და საქართველოს მაგალითზე შემოწმებული მოდელის უმეტესობის განმსახვავებელ თვისებად გვევლინება ავტოკორელაციის არსებობა - არ არსებობს ფაქტი ნარჩუნობით წევრებში. ასევე, აღნიშნული კვლევების მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს საქართველოს მაგალითზე მიღებული ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის სტატისტიკურად არასაიმედო შედეგები, როდესაც აშშ-ს მაგალითზე რეალიზებული ინვესტიციების მოდელიდან მას გააჩნია მაღალი სტატისტიკური საიმედოობა.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციების აქსელერატორის მოდელი, ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელი, ინვესტიციების ტობინის მოდელი, ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი, ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი.

შესავალი

ეკონომიკურ თეორიაში ინვესტიციების შესახებ მრავალი მოდელი არსებობს, რომელთაგან ფართოდ ცნობილია და პრაქტიკულ კვლევებში ხშირად გამოიყენება: ინვესტიციების აქსელერატორის, ავტორეგრესიული, ფულადი ნაკადების, ტობინის და ნეოკლასიკური მოდელები.

მეოცე საუკუნის ბოლოს რ. კოპკემ აღნიშნული ხუთი მოდელის მაგალითზე ჩატარა ემპირიული კვლევა 3 ეტაპად. მეცნიერი იყენებდა აშშ-ს ეკონომიკის კვარტალურ მონაცემებს, განსხვავებას კვლევის ეტაპებს შორის წარმოადგენდა დროითი მწკრივების სიგრძე.

სტატიის მიზანია, საქართველოს მაგალითზე, აღნიშნული ინვესტიციების მოდელის ემპირიული რეალიზაციის შედეგების შედარებითი ანალიზი რ. კოპკეს კვლევის შედეგებთან.

ინვესტიციების მოდელის შედარებითი ანალიზი

საქართველოს და აშშ-ს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად რეალიზებულ მოდელებს გააჩნია როგორც მსგავსი, ასევე განსხვავებული შედეგები.

ცხრილი 1

აშშ-ს და საქართველოს მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ინვესტიციების მოდელების შედეგების შედარებითი ანალიზი

ინვესტიციების მოდელი	მსგავსი შედეგი	განსხვავებული შედეგი
ინვესტიციების აქსელერატორის მოდელი	1. კოეფიციენტების ზრდა-კლების ტენდენცია 2. ძირითადი კაპიტალის ცვეთის ნორმა ნაკლებია კაპიტალის მორგების სიჩქარეზე	1. ნარჩენობით წევრებში არ გვხვდება ავტოკორექცია განსხვავებით რ.კოპკეს კვლევისგან
ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელი	1. სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი შედეგები	1. კოპკეს კვლევისგან განსხვავებით ნარჩენობით წევრებში არ გვხვდება ავტოკორექცია
ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი	1. ფულადი ნაკადები უმნიშვნელო გავლენას ახდენს ინვესტიციების მნიშვნელობაზე 2. კოეფიციენტების ხერხისმაგვარი ტენდენცია	1. საქართველოს მაგალითზე ჩატარებულ კვლევაში ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტი განსხვავებულია 0-სგან განსხვავებით რ. კოპკეს მოდელისგან 2. ნარჩენობითი წევრები არ ხასიათდება ავტოკორექციით განსხვავებით რ. კოპკეს მოდელისგან
ინვესტიციების ტობინის მოდელი		1. ტობინის მოდელის მიხედვით ეკონომიკის დახასიათება სტატისტიკურად მართებული არ არის
ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი		1. მოდელი ხასიათდება სტატისტიკური არასტაბილურობით, განსხვავებით აშშ-ს ეკონომიკურ მონაცემებზე შექმნილი მოდელისგან

ინვესტიციების აქსელერატორის მოდელი: მე-20 საუკუნის ბოლოს რიჩარდ კოპკემ ჩაატარა პრაქტიკული კვლევები, რითაც მან შეაფასა როგორც აქსელერატორის, ასევე ინვესტიციების სხვა მოდელები. აშშ-ს არასაცხოვრებელი ფართებისა და გრძელვადიანი მოხმარების საწარმოო საშუალებების კვარტალური მონაცემების მიხედვით მან კვლევა 3 ეტაპად ჩაატარა. რ. კოპკემ კვლევებიდან მიიღო შემდეგი 3 მნიშვნელოვანი შედეგი (Bernd Ernst R., 2005):

პირველი: კოეფიციენტების განაწილების ლაგის სიგრძე დამოკიდებულია განხილული პერიოდის სიგრძეზე. პირველ კვლევაში ლაგის სიგრძე იყო ყველაზე მცირე ზომის ($m=5$), ხოლო ბოლო კვლევაში ყველაზე გრძელი ($m=12$). აღსანიშნავია, რომ კოეფიციენტები აღჭურვილობაზე შედარებით მაღალია, ვიდრე შენობებზე. მიღებული შედეგი ლოგიკურია, რადგან აღჭურვილობაზე

ინვესტიციების ლაგი შედარებით მოკლეა, ვიდრე შენობა-ნაგებობებზე. ბოლო 2 კვლევაში ლაგის კოეფიციენტებს კლების ტენდენცია ახასიათებს დროის ტაქტის ზრდასთან მიმართებაში. როდესაც პირველ კვლევაში კოეფიციენტები კლებულობს, შემდეგ იზრდება და ბოლოს კვლავ კლებულობს, საბოლოოდ ტენდენცია იღებს ინგლისური ასობგერა „შ“-ის ამოტრიალებულ ფორმას (Bernd Ernst R., 2005).

მეორე კვლევის მე-3 ეტაპზე ძირითადი ფონდების ინვესტიციების კოეფიციენტების ლაგირებული მნიშვნელობა არის უარყოფითი ორივე სახის ფორმისთვის. რაც ნიშნავს ერთპერიოდიან მოდელში $\delta < g$ მკვლევარი აღნიშნავს, რომ მან ცვეთის ნორმების მნიშვნელობებად შენობებზე 5%, ხოლო აღჭურვილობაზე 15% გაითვალისწინა (Bernd Ernst R., 2005).

მესამე ავტოკორელაცია ნარჩენობით წევრებში იყო მაღალი, ρ მერყეობდა 0,91-დან 0,997-მდე. პირველი რიგის ავტოკორელაცია გავრცელებულია ინვესტიციების თითქმის ყველა მოდელში (Bernd Ernst R., 2005).

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად რეალიზებული ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის შედეგებს წარმოადგენს: 1) მოდელის ნარჩენობით წევრებში არ შეინიშნება ავტოკორელაცია; 2) მოდელი ხასიათდება სტატისტიკური მნიშვნელოვნებით და გააჩნია მაღალი ამსხნელობითი უნარი; 3) მოდელის ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტები ხასიათდება ზრდა-კლების ტენდენციით; 4) ძირითადი კაპიტალის ცვეთის ნორმა ნაკლებია კაპიტალის მორგების სიჩქარეზე (Mikeladze G., 2017).

აშშ-ს და საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის მსგავს შედეგებს წარმოადგენს ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების ზრდა-კლების ტენდენცია და კაპიტალის მორგების სიჩქარის მეტობა ძირითადი კაპიტალის ცვეთის ნორმაზე. ემპირიული მოდელის განსხვავებულ შედეგად გვევლინება ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობა-არარსებობის ფაქტი. რ.კოპკეს მოდელის მიხედვით ნარჩენობით წევრებში შეინიშნება ავტოკორელაცია, ხოლო საქართველოს მაგალითზე აგებულ მოდელში ავტოკორელაცია არ შეინიშნება და მოდელი კარგად ასახავს საქართველოს ეკონომიკის რეალობას.

ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელი: აღნიშნული მოდელის ემპირიული რეალიზაცია მოახდინა რიჩარდ კოპკემ კვლევის 3 ეტაპად აშშ-ს მაგალითზე. მკვლევარმა საშედეგო ცვლადის როლში განიხილა I_t/k_{t-1} , კვლევის სამივე ეტაპზე კოპკე იყენებდა უმცირეს კვადრატთა მეთოდს (Bernd Ernst R., 2005).

რიჩარდ კოპკეს კვლევების განსაკუთრებულ შედეგს წარმოადგენს აღნიშნული სპეციფიკაციის მოდელის მიხედვით მიღებული მაღალი არასაიმედო შედეგები როგორც აღჭურვილობის ასევე შეიარაღების ჭრილში. რ. კოპკეს პირველ კვლევაში აღჭურვილობის ლაგების რიგი იყო 1 მეორეში -3, ხოლო მესამეში -8. შეიარაღების ლაგების რიგი კი იყო 1, 2 და 6. კოპკეს კვლევის კრიტიკოსები მიღებულ შედეგს ხსნიან 70-იან წლებში დიდი ეკონომიკური ვარდნებით, რადგან შეუძლებელი იყო ეკონომიკური ვარდნების გათვალისწინება მოდელში და სწორედ ეს იყო მიღებული შედეგის ძირითადი მიზეზი (Bernd Ernst R., 2005).

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ინვესტიციების დროითი მწკრივის განხილვისას ვხვდებით სეზონურობის კომპონენტს. კვლევის შედეგების უკეთ დასადაგენად მიზანშეწონილია სეზონურობის გამორიცხვა მონაცემებიდან. სეზონურად მოსწორების შემდეგ მწკრივები შევამოწმოთ დიკი-ფულერის ტესტის გამოყენებით სტაციონალურობაზე. ინვესტიციები წარმოადგენს $I(1)$ ტიპის,

რადგან იგი არის DSP ტიპის და პირველი რიგის სხვაობებზე გადასვლით იგი სტაციონალურდება (Dickey, David A., and Wayne A. Fuller., 1979).

ცხრილი 2

დიკი-ფულერის ტესტი ერთეულოვანი ფესვის არსებობაზე

Null Hypothesis: I_SA has a unit root Exogenous: Constant, Linear Trend Lag Length: 0 (Automatic - based on SIC, maxlag=9)		
	t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic	-2.438372	0.3561
Test critical values:		
1% level	-4.165756	
5% level	-3.508508	
10% level	-3.184230	
*MacKinnon (1996) one-sided p-values.		
Null Hypothesis: I_SA has a unit root Exogenous: Constant Lag Length: 1 (Automatic - based on SIC, maxlag=9)		
	t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic	-1.152387	0.6869
Test critical values:		
1% level	-3.581152	
5% level	-2.926622	
10% level	-2.601424	
*MacKinnon (1996) one-sided p-values.		
Null Hypothesis: I_SA has a unit root Exogenous: None Lag Length: 1 (Automatic - based on SIC, maxlag=9)		
	t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic	0.516322	0.8235
Test critical values:		
1% level	-2.616203	
5% level	-1.948140	
10% level	-1.612320	
*MacKinnon (1996) one-sided p-values.		

ცხრილი 3

პირველი რიგის სხვაობით 1 ფესვზე ტესტი

Null Hypothesis: D(I_SA) has a unit root Exogenous: Constant, Linear Trend Lag Length: 0 (Automatic - based on SIC, maxlag=9)		
	t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic	-9.767362	0.0000
Test critical values:		
1% level	-4.170583	
5% level	-3.510740	
10% level	-3.185512	
*MacKinnon (1996) one-sided p-values.		

ავტორეგრესიულ, მცურავი საშუალოს და ავტორეგრესიულ-მცურავი საშუალოს მოდელის განსახილველად თავდაპირველად გადავიდეთ პირველი რიგის სხვაობებზე. ინვესტიციების მოდელის სახის დასადგენად კრიტერიუმებად გამოვიყენოთ აკაიკისა და შვარცის კოეფიციენტები. კერძოდ, ოპტიმალური მოდელი იქნება ის, რომელსაც ექნება აკაიკის და შვარცის კოეფიციენტების მინიმალური მნიშვნელობა. ალტერნატივის დადგომის წინაშე უპირატესობა ენიჭება შვარცის კრიტერიუმს, რადგან მის თვისებას წარმოადგენს, დაკვირვების უსასრულოდ გადიდებისას შეირჩეს ჭეშმარიტი მოდელი (ანანიაშვილი ი., 2014).

ცხრილი 4

აკაიკის და შვარცის კრიტერიუმების მნიშვნელობები პირველი რიგის ინტეგრირებად ავტორეგრესიულ-მცურავი საშუალოს დროით მწკრივებში

	ARIMA (0,1,1)	ARIMA (0, 1,2)	ARIMA (1, 1,0)	ARIMA (2, 1,0)	ARIMA (1, 1,1)	ARIMA (1, 1,2)	ARIMA (2, 1,1)	ARIMA (2, 1,2)
აკაიკი	12,72	12,67	12,70	12,76	12,74	12,73	12,8	12,64
შვარცი	12,80	12,79	12,78	12,88	12,86	12,89	12,86	12,84

ინვესტიციების მოდელს აქვს ARIMA(1.0) სახე. კონკრეტულად:

$$\Delta I_t = a + b\Delta I_{t-1} + u_t \quad (1)$$

(1) გამოსახულების შეფასებისას ვღებულობთ:

ცხრილი 5

უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული (1) მოდელი

Dependent Variable: D(I_SA)
 Method: Least Squares
 Date: 06/15/15 Time: 22:52
 Sample (adjusted): 2003Q3 2014Q4
 Included observations: 46 after adjustments
 Convergence achieved after 3 iterations

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	11.68843	14.44367	0.809243	0.4227
AR(1)	-0.387021	0.141166	-2.741604	0.0088
R-squared	0.145903	Mean dependent var		12.68181
Adjusted R-squared	0.126492	S.D. dependent var		145.3566
S.E. of regression	135.8527	Akaike info criterion		12.70352
Sum squared resid	812062.2	Schwarz criterion		12.78303
Log likelihood	-290.1811	Hannan-Quinn criter.		12.73331
F-statistic	7.516391	Durbin-Watson stat		1.923218
Prob(F-statistic)	0.008805			

როგორც ვხედავთ, თავისუფალი წევრის კოეფიციენტი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. შესაბამისად, იგი მოდელში არ უნდა იყოს ჩართული. დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტებს გააჩნია დაბალი მნიშვნელობები (0.16; 0.13), რაც მიუთითებს, რომ მოდელში უნდა იყოს ჩართული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც. დარბინ-უიტსონის სტატისტიკა (1,92) 2-თან ახლოს იმყოფება. ირღვევა რა DW ტესტის დაშვებები: მოდელში ჩართულია შედეგობრივი ცვლადის ლაგური მნიშვნელობა, იგი არ წარმოადგენს საიმედოს ნარჩენობით წევრში ავტორეგრესიის არსებობის დასადგენად. მოდელის ნარჩენობითი წევრები ნორმალურად განაწილებული არ არის.

თუ (1) მოდელიდან გამოვრიცხავთ თავისუფალ წევრს და შევაფასებთ, მაშინ მივიღებთ:

$$\Delta I_t = -0,3797\Delta I_{t-1} + u_t$$

თუმცა როგორც აღვნიშნეთ, მიღებული მოდელი ხასიათდება რიგი ნაკლოვანებებით.

აღსანიშნავია, ARIMA(2.1.2) გააჩნია დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის ყველაზე მაღალი მნიშვნელობები (0.31; 0.25). ამასთან, მოდელში $F > F_{\text{კრიტიკული}}$ რაც მის სტატისტიკურად მნიშვნელოვნებას მიუთითებს. ასევე იზრდება ჰომოსკედასტრობის მიღების ალბათობა ნარჩენობით წევრებში ვაიტის ტესტის მიხედვით. ამასთან, ნარჩენების განაწილება ხდება ნორმალური.

თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულს, ინვესტიციების ოპტიმალურ მოდელად შესაძლებელია ARIMA(2.1.2) განვიხილოთ.

ინვესტიციების ARIMA(2.1.2) მოდელის შეფასებისას ვღებულობთ:

ცხრილი 6

უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული ARIMA(2.1.2) მოდელი

Dependent Variable: I_SA_D
 Method: Least Squares
 Date: 06/20/15 Time: 14:06
 Sample (adjusted): 2003Q4 2014Q4
 Included observations: 45 after adjustments
 Convergence achieved after 18 iterations
 MA Backcast: 2003Q2 2003Q3

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	12.59880	17.88737	0.704340	0.4853
AR(1)	-1.152331	0.101162	-11.39094	0.0000
AR(2)	-0.849792	0.102867	-8.261107	0.0000
MA(1)	0.901509	0.075933	11.87242	0.0000
MA(2)	0.930557	0.049399	18.83748	0.0000
R-squared	0.314567	Mean dependent var		13.57115
Adjusted R-squared	0.246023	S.D. dependent var		146.8725
S.E. of regression	127.5321	Akaike info criterion		12.63905
Sum squared resid	650577.1	Schwarz criterion		12.83979
Log likelihood	-279.3787	Hannan-Quinn criter.		12.71389
F-statistic	4.589310	Durbin-Watson stat		2.015766
Prob(F-statistic)	0.003820			

როგორც ვხედავთ, მოდელში ყველა ამხსნელი ფაქტორის კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, გარდა თავისუფალი წევრისა. მისი გამო-რიცხვით მოდელიდან დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელოვნება 0.31-დან 0.3-მდე მცირდება, თუმცა მინიმალურად იზრდება კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტი, რაც მოდელიდან თავისუფალი წევრის გამორიცხვაზე მიგვითითებს.

ცხრილი 7

თავისუფალი წევრის გარეშე უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული ARIMA(2.1.2) მოდელი

Dependent Variable: I_SA_D
 Method: Least Squares
 Date: 06/20/15 Time: 14:19
 Sample (adjusted): 2003Q4 2014Q4
 Included observations: 45 after adjustments
 Convergence achieved after 21 iterations
 MA Backcast: 2003Q2 2003Q3

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
AR(1)	-1.152433	0.101755	-11.32555	0.0000
AR(2)	-0.848953	0.103519	-8.200968	0.0000
MA(1)	0.901182	0.076172	11.83090	0.0000
MA(2)	0.930283	0.050238	18.51743	0.0000
R-squared	0.305996	Mean dependent var		13.57115
Adjusted R-squared	0.255216	S.D. dependent var		146.8725
S.E. of regression	126.7523	Akaike info criterion		12.60703
Sum squared resid	658711.5	Schwarz criterion		12.76763
Log likelihood	-279.6582	Hannan-Quinn criter.		12.66690
Durbin-Watson stat	1.991399			

ბროიშ-გოდფრის ტესტის მიხედვით 99%-იანი ალბათობით მიიღება ნულური ჰიპოთეზა ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არარსებობის შესახებ (Breusch, Trevor S., Godfrey, Leslie G., 1978)

თუ განვაგრძობთ მოდელში ავტორეგრესიული და მცურავი საშუალოს ლაგური მნიშვნელობების ჩართვას, ყოველი შემდგომი ლაგის ჩართვისას მცირდება კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა, ასევე მცირდება ბროიშ-გოდფრის ნულური ჰიპოთეზის მიღების ალბათობის მნიშვნელობა, კოეფიციენტები ხდება სტატისტიკურად არამნიშვნელოვნები, რაც შედეგების გაუარესებაზე მიგვითითებს.

აშშ-ს და საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელების მსგავს შედეგს წარმოადგენს მოდელის სტატისტიკურად არასაიმედო შედეგები, ხოლო განსხვავებულ შედეგს – ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობა-არარსებობის ფაქტი. განსხვავებული შედეგი ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობასთან დაკავშირებით შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც ემპირიული რეალიზაციის პროცესში განსხვავებული მეთოდის გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე მწკრივების გასტაციონალურებით), ასევე ქვეყნების ეკონომიკებს შორის განსხვავებით.

ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელი: რიჩარდ კოპკემ 1982 წელს ემპირიულად შეამოწმა ფულადი ნაკადების მოდელი, სადაც I_t/k_{t-1} არის დამოკიდებული ცვლადი. მკვლევარი კვლევის ეტაპზე იყენებდა ლაგის სხვადასხვა სიგრძეს აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე. კვლევის პირველ ეტაპზე მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ ფულადი ნაკადები არ ახდენს არსებით გავლენას აღჭურვილობასა და შეიარაღებაზე. კვლევის მეორე ეტაპზე მან მიიღო მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ფულადი ნაკადები შედარებით დიდ გავლენას ახდენს შენობა-ნაგებობებზე, ვიდრე აღჭურვილობაზე. აღსანიშნავია ფაქტი, კვლევის პირველ ეტაპზე, სადაც ჩართული ფაქტორების ლაგების სიგრძე შედარებით დიდი კოეფიციენტების კლება-ზრდის ტენდენციების განმეორებადობა ქმნიდა ხერხისებურ ფორმას. კვლევის მეორე ეტაპზე კოეფიციენტებს ჰქონდა შემცირების ტენდენცია (Bernd Ernst R., 2005).

რ. კოპკეს მიერ ფულადი ნაკადების მოდელის შეფასებისას $b_k = (\delta - g)$ მნიშვნელობა სტატისტიკურად ნულთან ახლოსაა. კაპიტალის ლაგირებული მნიშვნელობა მოდელში არ არის არსებითი და მეცნიერმა კვლევის შემდეგ ეტაპზე ეს ცვლადი უგულვებელყო (Bernd Ernst R., 2005).

მოდელის შეფასებისას პირველ ეტაპზე ρ -ს მნიშვნელობები მერყეობს 0,81-0,83 შუალედში, ხოლო მეორე ეტაპზე 0,936-0,956 (Bernd Ernst R., 2005).

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ფულადი ნაკადების მოდელის შედეგებს წარმოადგენს: 1) ემპირიული მოდელის ნარჩენობით წევრებში არ შეინიშნება ავტოკორელაცია; 2) ფაქტორული ცვლადის კოეფიციენტების მნიშვნელობები ქმნის ხერხისმაგვარ ტენდენციას; 3) ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტი განსხვავებულია 0-სგან; 4) მოდელის ამხსნელობითი უნარი არცთუ მაღალია (მიქელაძე გ., 2017).

ინვესტიციების ტობინის მოდელი: მკვლევარის მიერ შეფასებულ ტობინის მოდელს ჰქონდა (2) მოდელის მოდიფიცირებული სახეები.

$$I_t = a + \sum_{j=0}^{m-1} b_j(q-1)_{t-j}k_{t-j-1} + b_k k_{t-1} + u_t \quad (2)$$

I ეტაპზე მან k_{t-j} მაგივრად გამოიყენა $\left(\frac{F}{P}\right)_{t-j}$, რომელიც მოდელში ასახავდა კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობას. კვლევის II ეტაპზე რ. კომპკემ (2) მოდელის ორივე მხარე k_{t-1} -ზე გაყო და ისე შეაფასა, ხოლო III ეტაპზე

რეგრესორის როლში მან განიხილა $\frac{I_t}{O_t}$, სადაც O_t არის კომპანიის საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე. მეცნიერმა თავის კვლევებში მიიღო პირველი რიგის ავტორეგრესიული პროცესი. ამასთან, კვლევის II და III ეტაპზე რ. კოპკე იყენებდა აღმონის განაწილების ლაგის მე-3 რიგის პოლინომს, ხოლო I-ზე – მეოთხე რიგისას. მკვლევარმა კაპიტალი გაყო ორ ნაწილად: შენობა-ნაგებობებად და აღჭურვილობად, რის მიხედვითაც მან ააგო მოდელი. აღნიშნული კვლევის შედეგად მეცნიერმა მიიღო საინტერესო შედეგი – q არ წარმოადგენდა სპეციფიკურ ცვლადს ცალ-ცალკე შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობებისთვის, არამედ იგი ასახავდა მათ კომბინაციას (Bernd Ernst R., 2005).

ემპირიული რეალიზაციისას ინვესტიციების ტობინის მოდელში შეინიშნება ნარჩენების სერიული ავტოკორელაცია და ρ მნიშვნელობები მერყეობს შენობა-ნაგებობებისთვის 0,82-დან 1-მდე, ხოლო აღჭურვილობებისთვის 0,82-დან 0,994-მდე.

ტობინის მოდელის ემპირიული რეალიზაცია საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე აწვდება შემდეგი სახის პრობლემებს: 1) არ არსებობს არანაირი ინფორმაცია ტობინის q კოეფიციენტის შესახებ; 2) არ არსებობს ემპირიული მონაცემები ძირითადი კაპიტალის შესახებ. უკანასკნელი პრობლემის დაძლევა შესაძლებელია ინვესტიციების აქსელერატორის მოდელის შედეგების გამოყენებით, რის საფუძველზეც გამოთვლილია ძირითადი კაპიტალის მნიშვნელობები. თუმცა ტობინის კოეფიციენტის მნიშვნელობების შესახებ ინფორმაციის არარსებობა განაპირობებს ფაქტს, რომ საქართველოს მაგალითზე სტატისტიკურად ვარგისი მოდელის აგება ვერ მოხერხდება (Mikeladze G., 2017).

შენიშვნა: მოსაზრება ტობინის კოეფიციენტების გამოთვლის ან მსგავსი ეკონომიკური შინაარსის მქონე ფაქტორით ჩანაცვლება შეუძლებელია, რადგან ასევე არ არსებობს ეკონომიკური ინდიკატორები, რომლითაც აღნიშნულ პრობლემას დაძლევეს მკვლევარი. ამასთან, მეორე მოსაზრება, მოდელში ტექნიკური შეფასების პრობლემა გადაიტარას დაშვებით, რომ ტობინის კოეფიციენტი დროში მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს და წარმოქმნას ახალი სახის კოეფიციენტები $c_j = b_j(q-1)t-j$ ეკონომიკურ აზრს მოკლებულია, ვინაიდან აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგება ტობინის თეორიას (Mikeladze G., 2017).

ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი: რ. კოპკემ ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი შეაფასა შემდეგი ფორმით (Bernd Ernst R., 2005):

$$I_t = a_0 + \sum_{j=0}^{m-1} b_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} \gamma_{t-j} - \sum_{j=0}^{m-1} c_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} \gamma_{t-j-1} + \delta k_{t-1} + u_t \quad (3)$$

კვლევის ძირითად დაშვებას წარმოადგენდა კობ-დაგლასის ფუნქციის მასშტაბის მუდმივი უკუგება. მკვლევარმა შეაფასა 26 პარამეტრი, საიდანაც 13 იყო c_j , ხოლო b_j -13. კოეფიციენტების შეფასებისას მან გამოიყენა ლაგური წევრების კოეფიციენტების განაწილების \wedge -ტიპი.

რ. კოპკეს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შეფასებული პარამეტრები გამოირჩეოდა სტატისტიკური სტაბილურობით. ამასთან, ნეოკლასიკურ ინვესტიციების მოდელშიც, სხვა მოდელების მსგავსად, ადგილი აქვს ნარჩენობითი წევრის ავტოკორელაციას. მოდელის სპეციფიკაცია არ არის განსაზღვრული და ის შეიძლება იყოს განსხვავებული, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ასევე პრობლემატურია მოდელში ჩართული პარამეტრების განსაზღვრაც (Bernd Ernst R. 2005).

ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის საქართველოს მაგალითზე პრაქტიკული რეალიზაციით მიიღება: 1) დაბალი სტატისტიკური მნიშვნელობის და ამხსნელობითი უნარის მქონე მოდელი; 2) ფაქტორული ცვლადების კოეფიცი-

ენტების მნიშვნელობები ქმნიან ხერხისმაგვარ ტენდენციას; 3) ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის შეფასება პრობლემატურია და დანამდვილებით ვერ უარყოფთ ან მივიღებთ ჰიპოთეზებს მის შესახებ (მიქელაძე გ., 2016).

დასკვნა

აშშ-ს და საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ინვესტიციების აქსელერატორის მოდელების მსგავს შედეგებს წარმოადგენს ფაქტორული ცვლადების კოეფიციენტების ზრდა-კლების ტენდენცია და კაპიტალის მორგების სიჩქარის მეტობა ძირითადი კაპიტალის ცვეთის ნორმაზე. ემპირიული მოდელების განსხვავებულ შედეგად გვევლინება ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობა-არარსებობის ფაქტი. რ.კოპკეს მოდელის მიხედვით ნარჩენობით წევრებში შეინიშნება ავტოკორელაცია, ხოლო საქართველოს მაგალითზე აგებულ მოდელში ავტოკორელაცია არ შეინიშნება და ის კარგად ასახავს საქართველოს ეკონომიკის რეალობას.

ორი ქვეყნის მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ინვესტიციების ავტორეგრესიული მოდელების მსგავს შედეგს წარმოადგენს მოდელის სტატისტიკურად არასაიმედო შედეგები, ხოლო განსხვავებულ შედეგს - ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობა-არარსებობის ფაქტი. განსხვავებული შედეგი ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობასთან დაკავშირებით შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც ემპირიული რეალიზაციის პროცესში განსხვავებული მეთოდის გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე მწკრივების გასტაციონალურებით), ასევე ქვეყნების ეკონომიკებს შორის განსხვავებით.

საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე ემპირიულად შემოწმებული ფულადი ნაკადების მოდელის ნარჩენობით წევრებში არ შეინიშნება ავტოკორელაცია, განსხვავებით რ. კოპკეს მოდელისგან, ასევე განსხვავებულ შედეგს წარმოადგენს მოდელში ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტის მნიშვნელობის სხვაობა 0-სგან. მოდელის ფაქტორული ცვლადის კოეფიციენტების მნიშვნელობები ქმნიან ხერხისმაგვარ ტენდენციას და მოდელის ამხსნელობითი უნარი დაბალია.

მსგავსად აშშ-ს ეკონომიკის მაგალითზე ჩატარებული ტობინის მოდელით კვლევისა, საქართველოს მაგალითზეც მისი ემპირიული შედეგების გამოყენება სტატისტიკურად არამართებულია. ამასთან, განსხვავებული შედეგი მიიღება ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის გამოყენებაზე. აშშ-ს მაგალითზე მოდელს სტატისტიკურად ვარგისი მონაცემები გააჩნია, როდესაც საქართველოს მაგალითზე სტატისტიკურად არასაიმედო შედეგები მიიღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., 2014. დროითი მწკრივების ანალიზი. თსუ, თბილისი.
2. ანანიაშვილი ი., 2010. ეკონომეტრიკა. მერიდიანი. თბილისი.
3. მიქელაძე გ., 2016. ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის ემპირიული რეალიზაცია საქართველოს მაგალითზე. შ: ეკონომიკა №7-8, გვ. 50-56.
4. მიქელაძე გ., 2017. ინვესტიციების ფულადი ნაკადების მოდელის ემპირიული რეალიზაცია (საქართველოს მაგალითზე). საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი “ეკონომისტი”, №3.
5. Bernd Ernst R. “Classical and modern”. Applied econometric. Moscow, Iuniti-dana, (2005): 847.

6. Breusch, Trevor S. “Testing for autocorrelation in dynamic linear models”. Australian Economic Papers 17.31 (1978): 334-355.
7. Dickey, David A., and Wayne A.Fuller. “Distribution of the estimators for autoregressive time series with a unit root. “Journal of the American statistical association 74.366a (1979): 427-431.
8. Godfrey, Leslie G. “Testing against general autoregressive and moving average error models when the regressors include lagged dependent variables.” *Econometrica: Journal of the Econometric Society* (1978): 1293-1301.
9. Mikeladze G. “Investments accelerator and Tobin’s Model (Case of Georgia)”.*International scientific and analytical journal “EKONOMISTI”*. Tbilisi, Paata Gugushvili Institute, (2017).
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი ინვესტიციების რაოდენობა, ხელმისაწვდომია ელექტრონულ მისამართზე: http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

Mikeladze George
PhD Student Tbilisi State University

**The article is financial supported by Shota Rustaveli national science foundation
project # PhDF2016_238**

**COMPARATIVE ANALYSIS OF INVESTMENTS MODELS (CASE OF USA AND
GEORGIA)**

Expanded Summary

This article discusses findings of the empirical research of the five prominent Investments models on the example of the USA, conducted by R. Kopke. Moreover, on the example of Georgian economy I statistical adequacy of the above mentioned models are empirically tested and the results are compared to outcomes of R. Kopke’s study.

The paper reveals the tendency of peaks and falls of the factor variables coefficients and prevalence of capital adjustment rate over capital depreciation rate, which are similar to the empirically tested accelerator models on the basis of the USA’s and Georgia’s economies. Major difference between empirical models is the existence of autocorrelation in residual members. According to the model of R. Kopke, autocorrelation is observed in the residual members, while the autocorrelation is not detected in the empirical model based on Georgia’s economy. The latter adequately reflects the country’s economic reality.

On the basis of Georgian economy example, Paper reveals the seasonal component in time series analysis of the investments. In order to increase statistical significance, the research needs to exclude seasonality from the original data. After seasonal adjustment, the timeline series are checked about stationarity by Dickey-Fuller test. Investments belongs I(1) type, because using first order differences leads to the stationarity.

Akaike and Schwarz Criteria is Applied in order to define investments autoregressive model type on the example of Georgia. The highest values of determination and corrected determination (0.31; 0.25) are observed in ARIMA (2.1.2). Additionally, the model $F > F_{Cr}$, and all variable’s coefficients are statistical significant except constant member’s. By excluding it from the model, determination coefficient value decreases from 0.31 to 0.3, when coefficient of corrected determination minimally increases; this indicates exclusion of constant variable from the model.

Breush-Godfrey null hypothesis is accepted with 99% confidence interval, which means non-existence of autocorrelation.

If we continue inserting lag variables of autoregressive and moving average, every added lag reduces values of corrected determination coefficient. Also, probability of acceptance null hypothesis of Breush-Godfrey's test decreases. Coefficients are becoming statistically insignificant, which indicates the deterioration of the results.

Paper reveals that empirically verified autoregressive models on the example of two countries similarly result in statistically non-significant result. The difference between the models is the existence of autocorrelation in residual members. Difference results about existence of autocorrelation in residual members might be caused by using different methods in empirical realization process (making time series stationary on example of Georgia's economy), also by the difference in countries' economics.

Autocorrelation is not found in residual members in empirically estimated Investments cash flow model on the example of Georgia's economy and total capital's coefficient is not equal to zero unlike R. Kopke's study. Factorial variable coefficients create a saw-like tendency and determination level of the model is low.

It should be mentioned that empirical realization of Tobin's investments model on Georgian economy case faces following problems: 1) there is no information about Tobin's coefficient – q ; 2) there is no empirical data on total capital. The later can be fixed by using the result from investments accelerator model, which estimates total capital values. However, because of the absence of Tobin's coefficient values statistically valid model cannot be built on Georgian case.

Calculation of Tobin's coefficient or replacing it with economically similar factor is not possible, because there are no economic indicators that could be used for fixing stated problem. Also, considering that technical estimation problem in the model should be fixed by assuming that Tobin's coefficient is constant through time and creating new coefficients $c_j = b_j(q - 1)_{t-j}$ has no valid economic logic, because above mentioned fact confronts Tobin's theory.

Like the research made with Tobin's model on USA's example, using it on Georgia's example is statistically incorrect. Additionally, we get different results by using Neoclassical models. On USA's example model has statistically useful values, when on Georgia's example statistically non reliable results is received.

ლევან დგებუაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი;*

მიხეილ ჩიკვილაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი*

**ოპტიმალური საბაღასახალო ტვირთის ბანსაზღვრა ეკონომიკური ზრდის
მაღალი ტემპის მისაღწევად (საქართველოს მაგალითზე)**

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია მთლიანი შიგა პროდუქტისა (შემოკლებით GDP) და საგადასახადო შემოსავლებს შორის კავშირი 2011-2016 წლებში. გაანგარიშების საფუძველზე დადგენილია საგადასახადო ტვირთის ის მანევრებელი, რომელიც ხელს შეუწყობს ოპტიმალურ ეკონომიკურ ზრდას, რაც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის. განხილულია ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისათვის აუცილებელი პოტენციური საგადასახადო შემოსავლების დადგენის (ე.წ. RA-GAP) მეთოდოლოგია.

საკვანძო სიტყვები: მთლიანი შიგა პროდუქტი (GDP); საგადასახადო ტვირთი; ეკონომიკური ზრდა; საგადასახადო დანაკარგები (Tax Gap); პოტენციური საგადასახადო შემოსავლები.

შესავალი

საგადასახადო სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ საგადასახადო შემოსავლების ზრდასთან ერთად არ ჩაახშოს კერძო მეწარმეობითი საქმიანობა. ქვეყანაში არსებული საგადასახადო პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე ბიზნესის დაწეების და განვითარებისათვის მიმზიდველი და ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შექმნას. ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნა ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა.

სწორედ გადასახადების მეშვეობით ახდენს სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, რადგანაც იგი წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ძირითად ინსტრუმენტს.

პოსტკომუნისტური პერიოდის შემდგომ საქართველოში ფისკალური კრიზისი, შეიძლება ითქვას, თვითგამაძლიერებელ ხასიათს ატარებდა. ეკონომიკური აგენტების მაღალ დაბეგვრასა და საგადასახადო ამონაგების დაბალ დონეს შორის წინააღმდეგობას კიდევ უფრო აძლიერებდა საგადასახადო ტვირთის უთანაბრობა.

საგადასახადო ტვირთი იანგარიშება როგორც ქვეყნისათვის მთლიანად, ასევე მას ანგარიშობენ ინსტიტუციური ერთეულების (კორპორაცია, საწარმო) მიხედვით. „საგადასახადო ტვირთის“ სინონიმად განიხილება „საგადასახადო წნეხი“. საგადასახადო ტვირთი - არის გადასახადის გადახდის ვალდებულება. საგადასახადო ტვირთი (წნეხი) – ქვეყნის ჯამური პოტენციური საგადასახადო შემოსავლების ფარდობაა მთლიან შიგა პროდუქტთან, გამოხატული პროცენტებში.

პოტენციური საგადასახადო შემოსავლების დადგენის მიზნით ჩასატარებელია საგადასახადო დანაკარგების ანალიზი.

მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული საგადასახადო რეგულირებით მეწარმეობის განვითარების სტიმულები არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს ფისკალურ პოლიტიკაში, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკის განვითარებაზე, შეიძლება ითქვას, ჩაკლა წარმოება.

ამ მიზნით, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების გათვალისწინებით, საქართველოში პერიოდულად ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება, საგადასახადო კანონმდებლობის პარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა.

შესასწავლი თემის აქტუალობა განპირობებულია პოტენციური საგადასახადო შემოსავლების გამოყენებით, თუ როგორი საგადასახადო ტვირთის შემთხვევაში შეუძლია ქვეყანას მიადწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს (GDP-ის მაქსიმალურ მნიშვნელობას).

მაკროდონეხე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის დონისძიებებზე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის ავაგოთ ლაფერის დინამიკური მრუდი საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე 2011-2016 წლების მიხედვით. ლაფერის მრუდი ეწოდა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის არტურ ლაფერის საპატივცემულოდ, რომელმაც თავისი თეორია შექმნა 1974 წელს, თუმცა აღნიშნავდა, რომ მას არ შეუქმნია ეს თეორია და ის ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში წამოაყენა არაბმა ეკონომისტმა იბნ ქალდუნმა [Laffer, 2004]. ცნობილია, რომ ლაფერის მრუდით ყველაზე კარგად ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებზე დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში - VAT) განაკვეთის ზეგავლენა აღიწერება [პაპავა, 2008].

თავისი კვლევებიდან გამომდინარე, ბალაცკი მივიდა დასკვნამდე რომ, ლაფერის მრუდი მხოლოდ ლამაზი პიპოთეზაა, რომელიც არაფრით არ მტკიცდება [პაპავა, 2008].

ქართველი ეკონომისტების, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელის იური ანანიშვილის კვლევის შედეგად ადასტურებს იმას, რომ ერთობლივ მოთხოვნაზე საგადასახადო ტვირთის ზრდის ზემოქმედება ყოველთვის ისე ცალსახად უარყოფითი არ არის, როგორც ეს კანონიკური სახით ეკონომიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი. გადასახადების ზრდა ხელისუფლების მხრიდან შეიძლება მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული, როგორც წამახალისებელი, ასევე დამმუხსრუტებელი ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად [ანანიშვილი, 2010].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბევრი მკვლევარი ლაფერის მრუდის არსებობას, როგორც აპრიორს ისე მიიჩნევს [პაპავა, 2008].

ლაფერის მრუდი თავიდანვე მაკროეკონომიკურ ჭრილში იქნა ჩამოყალიბებული, რის გამოც იგი გადასახადების ცალკეული სახეობებისათვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ გასაშუალოებული ერთობლივი გადასახადისათვის. ამ უკანასკნელის ნაცვლად ძალიან ხშირად იყენებენ ე.წ. საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელს, რომელიც განისაზღვრება როგორც ბიუჯეტში ფაქტობრივად აკრეფილი საგადასახადო შემოსავლების ერთობლივ შიდა პროდუქტთან შეფარდება. ეს მაჩვენებელი ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას სრულად რომ ასახავდეს, ფაქტობრივად აკრეფილი გადასახადების ნაცვლად, პოტენციურ საგადასახადო შემოსავლებს უნდა ითვალისწინებდეს.

საგადასახადო დანაკარგების ანალიზი უზრუნველყოფს საგადასახადო ორგანოებსა და საგადასახადო პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს დაკარგული,

პოტენციური შემოსავლების საზომებით, დანაკარგის, რომელიც გამოწვეულია კანონშეუსაბამო ქმედებებით, გადასახადის არ გადახდით და არსებული საგადასახადო პოლიტიკით (არ დადეკლარირდა, არ მოხდა გადახდა, გაერცვლდა საგადასახადო შეღავათის რეჟიმი).

ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მეტად დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია კორუფცია [შევარდნაძე... 2000]. კერძოდ, როდესაც ადგილი აქვს მეწარმეების მიერ შესაბამის ორგანოებში წარდგენილ დეკლარირებებში მონაცემების შეგნებულად მნიშვნელოვან დამახინჯებას (შემცირებას), რამაც საქართველოში მეტ-ნაკლები ზომით, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში 2005-2016 წლებში VAT გადასახადის ხვედრითი წილი ქვეყნის ჯამურ საგადასახადო შემოსავლებში საშუალოდ 44%-ს შეადგენს, შესაბამისად აღნიშნული გადასახადის პოტენციური სიდიდის დადგენას არსებითი მნიშვნელობა ექნება ჩვენი კვლევისათვის. კვლევის მიზნებისათვის დაგუშვათ, რომ სხვა გადასახადების ტვირთი უცვლელია და გავლენას არ ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტებით [Hutton, 2017], საგადასახადო დანაკარგი არის სხვაობა არსებული ეკონომიკიდან მისაღებ პოტენციურ საგადასახადო შემოსავალსა და რეალურ ამოღებას შორის.

სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, პოტენციური VAT-ის მისაღებად დარგობრივ ჭრილში ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მოდელის შესაბამისად, თითოეულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე დაყრდნობით. პოტენციური VAT-ის განსაზღვრის ეს მეთოდი, გაივლის იმავე გზას, რაც საჭიროა ინდივიდუალური გადამხდელისათვის ბიუჯეტში გადასახდელი VAT-ის გამოსაანგარიშებლად. კონკრეტული გადამხდელის მთლიანი საგადასახადო ვალდებულება VAT-სთან მიმართებაში იანგარიშება, როგორც: მის მიერ იმპორტზე დარიცხული VAT + ქვეყნის ტერიტორიაზე დარიცხული VAT - მის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შექმნილ საქონელზე და მომსახურებაზე ჩასათვლელი VAT-ის თანხა (ექსპორტი ყველა ქვეყანაში იბეგრება VAT-ის ნულოვანი განაკვეთით და მასზე საგადასახადო დანაკარგების გამოთვლისას VAT-ის განაკვეთის გაერცვლება როგორც წესი, არ ხდება). რაც შეეხება ზოგად მოდელს, იგი მუშაობს ეროვნული ანგარიშებთან, უფრო კონკრეტულად „რესურსების და გამოყენების“ ცხრილებთან, რომელსაც სისტემატიურად აქვეყნებენ ქვეყნის შესაბამის სტატისტიკური ორგანოები. მოცემული ცხრილებიდან გამომდინარე, პოტენციური VAT-ის ოდენობა სექტორების ჭრილში განისაზღვრება: იმპორტზე და ტერიტორიაზე დარიცხული VAT, შემცირებული ჩასათვლელი VAT-ის თანხით.

დამატებული ღირებულების ზემოაღნიშნული მოდელი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით:

$$PV = \sum_s (PVM^s + PVO^s - PVI^s)$$

სადაც:


S - წარმოადგენს კონკრეტულ სექტორს

PVM^s - პოტენციური VAT კონკრეტული სექტორის იმპორტზე,

PVO^s - პოტენციური VAT კონკრეტული სექტორის გამოშვებაზე,

PVI^s - პოტენციური VAT კონკრეტული სექტორის მოხმარებაზე (ანუ რესურსებზე/დანახარჯებზე).

მთლიანი საგადასახადო დანაკარგის სტრუქტურის ვიზუალური წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგნაირად:



როგორც ცნობილია, დინამიკური ლაფერის მრუდი ბალაცკისეული ინტერპრეტაციით [E. В. Балацкий, Н. А. Екимова, 2011] ჩაიწერება შემდეგი ფორმულით:

$$x = a * q + b * q^2 \quad (1), \quad \text{სადაც } a \text{ და } b \text{ შეფასებადი პარამეტრებია.}$$

მოდელი (1), ერთდროულად, სამი ინდიკატორის მიღების საშუალებას გვაძლევს. ესენია, დინამიკური ლაფერის წერტილი (ქ), სტატიკური ლაფერის წერტილი (ქ²) და ეკონომიკის მაქსიმალური ზრდის ტემპი (ბ).

მოდელი (1), გვიჩვენებს დამოკიდებულებას მთლიან შიგა პროდუქტის ზრდის ტემპსა და საგადასახადო განაკვეთს შორის.

$$x = \frac{x_t}{x_{t-1}} - \text{არის მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი;}$$

$q = \frac{T}{X}$ - არის საგადასახადო ტვირთი, რომელიც მოცემული წლისთვის იანგარიშება როგორც საგადასახადო შემოსავლების ჯამის ამავე წლის მთლიან შიგა პროდუქტთან თანაფარდობით.

როგორც ცნობილია, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რომ გადასახადების ანგარიშებში ასახვა მოხდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რაც იმას ითვალისწინებს, რომ გადასახადის ანგარიშში ასახვის დრო უნდა დაემთხვეს საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის მომენტს. კიდევ ერთ თავისებურება, რაც ეას-ითაა განსაზღვრული, არის შემდეგი: ჯარიმები, პროცენტები გადასახადების არადროული ან საერთოდ არ გადახდისათვის და სხვა საჯარიმო სანქციები უნდა აღირიცხოს გადასახადებისაგან ცალკე. პრაქტიკაშიც სანქცია-საურაგების აღრიცხვა 2016 წლიდან წარმოებს ცალკე, გადასახადებისაგან დამოუკიდებლად, ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედებასთან ერთად.

ჩვენ მიერ ჩატარებული საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება, ნაცვლად VAT-ის ფაქტობრივი გადახდის მაჩვენებლისა, ეყრდნობა რეალურ დარიცხვასა და პოტენციური დარიცხვის დანაკარგს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საგადასახადო შეღვათებით გამოწვეული დანაკარგი, არ მონაწილეობს პოტენციური დარიცხვის დანაკარგის გაანგარიშებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია VAT-ის დარიცხვის დანაკარგი და მისი დინამიკა 2011-2016 წლებში.

ცხრილი 1

VAT-ის დანაკარგის დინამიკა საქართველოში 2011-2016 წლებში

წელი	GDP, მიმდინარე ფასებში	დარიცხვის დანაკარგი (%) (ში)	უნდა დაემატოს რეალურ დარიცხვას	დარიცხული VAT	სულ VAT-ს ტვირთის გამოსათვლელად
2011	24,343,986,583	0.4	97,375,946	2,250,992,327	2,348,368,273
2012	26,167,283,503	-0.2	-52,334,567	2,526,098,612	2,526,098,612
2013	26,847,354,249	-0.1	-26,847,354	2,733,684,495	2,733,684,495
2014	29,150,481,302	0.7	204,053,369	2,376,458,399	2,580,511,768
2015	31,755,555,634	0.7	222,288,889	3,095,126,694	3,317,415,583
2016	34,028,452,192	0.9	306,256,069	3,413,264,850	3,719,520,920

წყარო: www.mof.ge; www.geostat.ge.

*2012-2013 წლების დანაკარგის უარყოფითი მნიშვნელობა არ არის გათვალისწინებული შინაარსობრივი შეუსაბამობის გამო; 2016 წლის გაანგარიშება საკუთარი ინტერპრეტაციით.

საგადასახადო ტვირთის დადგენა მუდმივ ფასებშია მართებული, ვინაიდან მიმდინარე ფასებში გაანგარიშება მხოლოდ ფისკალური ეფექტის მატარებელია [კბილაძე, 2014]. შესაბამისად, მუდმივ ფასებში გამოსახული საქართველოს -ის რეალური ზრდა (წინა წელთან შედარებით) და პოტენციური V თ-ის ტვირთი 2012-2016 წლებში წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2


წელი	ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპი	საგადასახადო ტვირთი q
2012	1.0635	0.0993
2013	1.0339	0.1045
2014	1.0462	0.0915
2015	1.0288	0.1099
2016	1.0285	0.1173

წყარო: www.geostat.ge, www.mof.ge

ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგებით ლაფერის მრუდი საქართველოს ეკონომიკისათვის შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ: $X=21,0929q$ d $105,8423q^2$

პარაბოლის ამოხსნით მივიღებთ, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი, ანუ დინამიკური ლაფერის წერტილი $q = 9,96\%$, ხოლო ეკონომიკის შესაბამისი ოპტიმალური ზრდა არის $105,3$ ($5,3\%$). სტატიკური ლაფერის მრუდის წერტილების მნიშვნელობა ტოლია $7,77\%$ -ის და $12,16\%$ -ის.

დინამიკური და სტატიკური ლაფერის მრუდები



სტატიკური ლაფერის მრუდის წერტილები აღნიშნავს ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როდესაც GDP ინარჩუნებს ზრდის მუდმივ ტემპს, რომელიც ტოლია ერთის. ამ წერტილებს შორის მოქცეულია ფისკალური პოლიტიკის სამოქმედო დიაპაზონი. სტატიკური ლაფერის წერტილების შეფასებული მნიშვნელობები საქართველოს ეკონომიკისათვის არის - 7,77% და 12,16%. ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო ტვირთის დაწვევა 7,77%-ის ქვემოთ გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ვარდნას, ასევე, VAT-ის საგადასახადო ტვირთის გაზრდა 12,16%-ის ზემოთ ქვეყნის ეკონომიკის რეცესიულ მდგომარეობაში შეყვანას ნიშნავს.

ოპტიმალურობის თვალსაზრისით, რაციონალურია, თუ VAT-ის პოტენციური საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობა მიუახლოვდება 9,96%-ს მარცხნიდან. აღნიშნულ წერტილში საქართველოს ეკონომიკას გააჩნდა პოტენციური მიადწიოს მაქსიმალურ 105,3%-იან ზრდის მაჩვენებელს, ანუ 5,3%-იან მატებას. თუმცა, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯების გაწვევისათვის, ფისკალური პოლიტიკის შედგენით დაკავებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები VAT-ის საგადასახადო ტვირთის პარამეტრებად 9,96% - 12,16%-იან შუალედს აირჩევენ. ასეთ პირობებში, გარდა იმისა, რომ მაღალია ბიუჯეტის შემოსავლები, ეკონომიკაც შესაბამისად იზრდება. ამრიგად, VAT-ის საგადასახადო ტვირთის 9,96% - 12,16%-იანი ინტერვალის საკონტროლო და საპროგნოზო, საორიენტაციო პარამეტრია.

მე-3 ცხრილში, გამოსახულია საქართველოში 2011-2016 წლების VAT-ის ფაქტობრივი გადახდის საგადასახადო ტვირთი GDP-სთან მიმართებაში მუდმივ ფასებში, რომელიც საშუალოდ 11,3%-ს შეადგენს. ხოლო დარიცხული VAT-ის ტვირთი მუდმივ ფასებში იმავე პერიოდში საშუალოდ 10,3%-ს შეადგენს.

ცხრილი 3

წელი	ნომინალური GDP, მუდმივ ფასებში (მლნ ლარი)	GDP გადახდა, მუდმივ ფასებში (ფაქტი) (მლნ ლარებში)	გადახდილი VAT-ის ტვირთი მშპ-სთან შედარებით %	პოტენციური /დარიცხული VAT, მუდმივ ფასებში (მლნ ლარებში)	პოტენციური/დარიცხული VAT-ის ტვირთი GDP-სთან შედარებით %
2011	22,241	2,565.2	11.5	2,163.5	9.7
2012	23,653	2,827.7	12.0	2,349.5	9.9
2013	24,454	2,662.4	10.9	2,555.6	10.5
2014	25,585	2,991.8	11.7	2,340.6	9.1

2015	26,322	3,057.1	11.6	2,893.1	11.0
2016	27,072	2,806.3	10.4	3,176.1	11.7

წყარო: www.mof.ge; www.rs.ge

ზოგადად აღიარებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გადასახადების (საგადასახადო ტვირთის) შემცირება იწვევს ინვესტიციების სტიმულირებას. აქ იგულისხმება მეწარმეობაზე, ხელფასზე და დივიდენდებზე საგადასახადო განაკვეთის შემცირება. თუ გაკითვალისწინებთ ჩვენი კვლევის და გაანგარიშების შედეგებს, დავასკვნით, რომ მაქსიმალური 105,3%-იანი ზრდის ტემპის მისაღწევად აუცილებელია, VAT-ის საგადასახადო ტვირთი მიუახლოვდეს 9,96%-იან მაჩვენებელს. საქართველოს ეკონომიკის ზრდისათვის საჭიროა საინვესტიციო პროცესს მიეცეს სტიმულირება, რაც გამოიწვევს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებით გამოიმუშავებას.

დასკვნა

ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რომ VAT-ის დანაკარგის (ე.წ. Vat Tax Gap) გაანგარიშებების გარეშე არასწორი იქნება ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრა და შესაბამისად ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის დადგენა.

ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება, ნაცვლად VAT-ის გადახდის მაჩვენებლისა, ეყრდნობა რეალურ დარიცხვასა და პოტენციური დარიცხვის დანაკლისს, RA-GAP მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ნაშრომის ღირებულება, მისი თეორიული და პრაქტიკული გამოყენება იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის დადგენა განსაზღვრავს ფისკალური პოლიტიკის ცვლილების საჭირო მიმართულებას, მიგვითითებს გასაზრდელია თუ შესამცირებელი საგადასახადო ტვირთი. კვლევა იძლევა ინფორმაციას, თუ როგორი საგადასახადო ტვირთის შემთხვევაში შეუძლია ქვეყანას მიაღწიოს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს (GDP-ის მაქსიმალურ მნიშვნელობას).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი ი., 2011. იდეალური საგადასახადო ტვირთი ეკონომიკის განვითარებისათვის, ჟ. თსუ მეცნიერება, 1, თბილისი,
2. თ. კბილაძე, 2014. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის განსაზღვრის პრობლემები საქართველოში.
3. I. Ananiashvili, V.Papava, 2013. Equilibrium and Optimal Tax Rates in the Models of Aggregate Demand and Aggregate Supply (Laffer-Keynesian Synthesis), Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.
4. I. Ananiashvili, V. Papava 2010. ‘Macroeconomic Equilibrium Under the Laffer-Keynesian Synthesis Conditions’, the Magazine Economist, N5, Tbilisi.
5. V.Papava, 2009. Alternatives of the Laffer Curve with “Hysteresis”, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.
6. V. Papava, 2008. Theoretical Foundations of the Laffer Curve.
7. K.Shevardnadze, R.Chechelashvili, V.Chocheli, N.Khaduri, 2000. “Papava Indexes of Tax Corruption”, Tbilisi.

8. Laffer A.B. The Laffer Curve: Past, Present and Future// Heritage Foundation Backgrounder, №1765, 2004, June 1

9. The Revenue Administration—Gap Analysis Program: Model and Methodology for Value-Added Tax Gap Estimation Eric Hutton Fiscal Affairs Department INTERNATIONAL MONETARY FUND, 2017

10. Center for Social and Economic Research (“CASE”), CPB Netherlands Bureau for Economic Policy Analysis, in consortium with CAPP, CEPII, ETLA, IFO, IFS and HIS (‘CASE’), 2013, “Study to Quantify and Analyze the VAT Gap in the EU-27 Member States Final Report” (Warsaw, Poland). http://ec.europa.eu/taxation_customs/common/publications/studies/index_en.htm.

11. European Commission Directorate General Taxation and Customs Union, 2016, “The Concept of Tax Gaps, Report on VAT Gap Estimations”, Brussels https://ec.europa.eu/taxation_customs/sites/taxation/files/docs/body/tgpg_report_en.pdf.

12. Е. В. Балацкий, Н. А. Екимова, 2011. Налогово-бюджетная политика и Экономический рост, «Общество и экономика» №4-5.

13. Гусев А.Г. Влияние фискальных инструментов на экономический рост: методы макроанализа. Диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук. М.: ИМЭИ. 2003.

Levan Dgebuadze

*Doctoral student of macroeconomics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;*

Mikheil Chikviladze

*Doctoral student of business administration,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**DETERMINATION OF OPTIMAL TAX BURDEN TO ACHIEVE HIGH RATE
ECONOMIC GROWTH
(CASE OF GEORGIA)**

Summary

This thesis analyzes the connection between the Gross Domestic Product (hereinafter the GDP) and tax revenues in 2011-2016. The tax burden to facilitate an optimal economic growth that is crucial for future development of the country was determined based on calculations. The so-called RA_GAP Methodology was considered for determining optimal tax burden.

Keywords: *Gross Domestic Product (GDP); Tax burden; Economic Growth; Tax Gap; Potential tax revenues.*

Introduction

The tax system should be such as not to suppress private entrepreneurial activity with the increase in budget revenues. The creation of an optimal tax system is one of the most difficult problems of economic theory and economic policy.

It is through the taxation that the state regulates the country's economy, as it is the main instrument of formation of the revenue part of the country's budget.

It can be said that following to the post-communist period, the fiscal crisis in Georgia had a self-enhancing character. High taxation of economic agents and low levels of tax returns have further strengthened the inequality of tax burden.

Tax burden is calculated for both the country as well as by the institutional units (corporation, enterprise). “Tax Pressure” is considered as a synonym for “Tax burden”. Tax burden (pressure, taxation rate) – is the country's total tax revenue ratio in terms of Gross Domestic Product, expressed in percentage.

In the world of widely proven tax regulation, entrepreneurship development incentives have not been taken into account in Georgia's fiscal policy, which has adversely affected economic development, it can be said that it suppressed the production.

The actuality of the topic of study is due to the fact that, with the determination of potential tax burden, it is possible to achieve the optimal economic growth.

* * *

For clear representation of the macro level optimal tax burden on the example of the economy of Georgia it would be good to form the dynamic Laffer curve [Laffer, 2014] according to the period of 2011-2016 . It is known that the cost of the value added tax (hereinafter as ‘VAT’) on Tax Revenue in the Budget is best described by the Laffer curve.

As well as the results got by other researchers, Balatski comes to a conclusion that Laffer Curve is nothing but a beautiful hypothesis which, on the whole, has not been proved by anything. Despite this, many researchers presume the existence of the Laffer Curve as something given a priori. [Papava, 2008].

The Laffer curve was formed from the very beginning in the macroeconomic context, due to which it was intended not for individual taxes, but for an averaged joint tax. Instead of the

latter, the so-called Tax Burden Index was used very often which is defined as the sum of tax revenues typically incorporated into the budget as a whole. In order to make this indicator reflect the current economic situation, instead of collected taxes, it should take the tax revenue into consideration.

Tax Gap Analysis ensures the tax authorities and tax policy defined entities with the lost, potential revenues, gap caused by unauthorized actions, not paying taxes, and existing tax policies (which were not declared, no payment has been paid, tax paying concession have been released).

Namely, there is a deliberate distortion of data in the declarations submitted by entrepreneurs to the respective bodies, more or less covering almost all spheres of public life in Georgia. Generally, corruption is one of the main reasons for mobilizing tax revenues in the budget [Shevardnadze ... 2000].

Considering that the share of VAT taxes in Georgia in 2005-2016 amounted to 44%¹¹ of the country's total tax revenues, thus determining the potential value of this tax shall be essential for our research.

According to the International Monetary Fund explanation [Eric Hutton, 2017], the tax gap is the difference between the potential tax revenue from current economy and the actual taxing.

According to the methods statement of the Monetary Fund, the potential VAT adaptation is carried out in the sphere in compliance with a predetermined model, based on the added value created in each sector. This method of determining potential VAT will pass the same path required for individual taxpayers to calculate VAT payable in the budget. The total tax liability of a particular taxpayer in respect to VAT is as follows: VAT accrued on import by it + VAT imposed on the country's territory – and the VAT amount of goods and services acquired within the economic activity (exports in all countries shall be taxed at the VAT zero rate and when calculating Tax gap on it the VAT rate usually does not affect it). As for the general model, it works with national accounts, more specifically with the “resources and use” tables that systematically published by the country's statistical bodies. Depending on the spreadsheet, the potential VAT amount is determined by the sectors: VAT on imports and VAT accrued on the territory, with reduced VAT amount to be taken into consideration.

The above value model can be displayed as follows:

$$PV = \sum_s (PVM^s + PVO^s - PVI^s)$$

Here:


S – is a specific sector.

PVM^s - Potential VAT on the import of specific sector

PVO^s - Potential VAT on the output of a specific sector

PVI^s - Potential VAT on Consumer Sector Consumption (i.e. Resources / Expenditures)

The overall tax gap structure can be visually presented as follows:



¹¹ Source: www.mof.ge; www.geostat.ge

As it is known, the dynamic Laffer curve with Balatsky interpretation [E.V. Balatsky, N.A. Ekimova, 2011] will be recorded by the following formula:

$$x = a * q + b * q^2 \quad (1), \quad \text{Where } a \text{ and } b \text{ are assessable parameter options.}$$

The model (1) simultaneously gives us three indicators. These are the dynamic Laffer point (q), the static Laffer point (q²) and the maximum growth rate of the economy (x).

The model (1) shows the dependence between the growth rate and the tax rate of the Gross Domestic Product.

$$x = \frac{x_t}{x_{t-1}} - \text{there is an increase in the Gross Domestic Product;}$$

$q = \frac{T}{X}$ - the tax burden that is calculated for the year by the correlation of tax returns sum with the same year Gross Domestic Product.

As it is known, one of the main demands of the National Accounts System (EAS) is that the tax reports reflect the use of the accrual method, which implies that the time of reflection in the tax report must coincide with the moment of origin of a tax liability. Another aspect of EAS is the following: fines, percentages for not paying taxes in due times or at all and other penalty sanctions must be accounted for separately from taxes. In practice, the sanctioning of fines shall be carried out separately from 2016 together with taxes, together with the activating a Single Treasury Account.

Calculation of tax burden carried out by us, instead of VAT payment indicator, is based on actual accruals and potential gap accruals.

Table №1 below shows the VAT accrual gap and its dynamics in 2011-2016.

Table 1

Dynamics of VAT gap in Georgia in 2011-2016

Year	GDP in active values	Accumulati on gap (% GDP)	Must be added to a real accrual	Accrued VAT	To calculate the total VAT burden*
2011	24,343,986,583	0.4	97,375,946	2,250,992,327	2,348,368,273
2012	26,167,283,503	-0.2	-52,334,567	2,526,098,612	2,526,098,612
2013	26,847,354,249	-0.1	-26,847,354	2,733,684,495	2,733,684,495
2014	29,150,481,302	0.7	204,053,369	2,376,458,399	2,580,511,768
2015	31,755,555,634	0.7	222,288,889	3,095,126,694	3,317,415,583
2016	34,028,452,192	0.9	306,256,069	3,413,264,850	3,719,520,920

Source: www.mof.ge; www.geostat.ge.

- The negative value of the 2012-2013 gap is not taken into consideration due to content inconsistencies; Calculation of 2016 with its own interpretation.

It would be reasonable to determine the tax burden in constant prices, as calculation in current prices has only a fiscal effect [Kbiladze, 2014]. Consequently, the growth of Georgia's GDP realized in constant prices (as compared to the previous year) and potential VAT burden in 2012-2016 are presented in Table №2.

Table 2


Year	Real growth of the economy	Tax burden q
2012	1.0635	0.0993
2013	1.0339	0.1045
2014	1.0462	0.0915
2015	1.0288	0.1099
2016	1.0285	0.1173

Source: www.geostat.ge, www.mof.ge

With the results of the regressive analysis conducted, the Laffer curve for Georgia's economy can be summarized as follows: $X = 21,0929q - 105,8423q^2$.

With the parabola effect we get the optimal tax burden, i.e. the dynamic lapse point $q = 9,96\%$, and the optimum growth of the economy is $105.3 (5,3\%)$. The value of static lacquer curve is equal to 7.77% and $12,16\%$.

Dynamic and static Laffer curves



Static Laffer curve points denote such state of the economy when the GDP maintains a steady pace of growth that equals to one. Among these points falls the fiscal policy action range. Estimated values of static Laffer points for the Georgian economy are $7,77\%$ and $12,16\%$. This means that lowering the tax burden below $7,77\%$ will cause the country's economic downturn, as well as increase of VAT tax cargo over $12,16\%$, means bringing the country's economy into recession.

In terms of optimization, it is deemed to be rational if the value of VAT potential tax burden will be closer to $9,96\%$ from the left. At this point, the Georgian economy had the potential to achieve a maximum 105.3% growth rate, i.e. increase by 5.3% . However, for reimbursement of necessary budgetary expenditures the executive and legislative bodies engaged in drawing up fiscal policies will select for the VAT tax consignments parameters falling within the range of $9,96\% - 12,16\%$. In such conditions, except to that the budget revenues are high, the economy is growing consequently. Thus, $9,96\%$ of VAT tax cargo - $12,16\%$ interval is a control, forecasting and orientation parameter.

Table 3

Year	Nominal GDP, at constant prices (in mln. GEL)	VAT payments, at constant prices (fact) (in mln. GEL)	Paid VAT Burden compared with GDP %	Potential / accrued VAT, at constant prices (in mln. GEL)	Potential / accrued VAT Burden compared with GDP %
2011	22,241	2,565.2	11.5	2,163.5	9.7
2012	23,653	2,827.7	12.0	2,349.5	9.9
2013	24,454	2,662.4	10.9	2,555.6	10.5
2014	25,585	2,991.8	11.7	2,340.6	9.1
2015	26,322	3,057.1	11.6	2,893.1	11.0
2016	27,072	2,806.3	10.4	3,176.1	11.7

Source: www.mof.ge www.rs.ge

It is generally recognized that the reduction of taxes (tax burden) in market economies results in stimulating investments. Here it is meant to reduce the tax rate on entrepreneurship, salaries and dividends. If we take into account the results of our survey and calculation, we conclude that the VAT tax burden should be approaching 9,96% to achieve a maximum growth rate of 105.3%. For the growth of economy in Georgia, it is necessary to stimulate the investment process that will result into creation of additional jobs and additional output.

Conclusion

It is easy to conclude that without VAT Tax Gap calculation, it would be wrong to define the optimal tax burden and thus determine the optimal economic growth rate.

Calculation of optimal tax cargo, instead of VAT payment index, is based on real accruals and the gap of potential accruals, according to RA_GAP methodology.

The cost of the thesis, its theoretical and practical application derives from the fact that the determination of optimal tax burden determines the need for fiscal policy change, suggesting whether the tax burden has to be increased or reduced. The survey provides the information as to what type of tax burden can make the country achieve a higher rate of economic growth (maximum GDP).

References

1. I. Ananiashvili 2011. ‘Ideal Tax Burden for the Development of Economy’ the Magazine TSU Science, N1, Tbilisi.
2. T. Kbiladze, 2014. Problems of determining the optimal level of tax burden in Georgia.
3. I. Ananiashvili, V.Papava, 2013. Equilibrium and Optimal Tax Rates in the Models of Aggregate Demand and Aggregate Supply (Laffer-Keynesian Synthesis), Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.
4. I. Ananiashvili, V. Papava 2010. ‘Macroeconomic Equilibrium Under the Laffer-Keynesian Synthesis Conditions’, the Magazine Economist, N5, Tbilisi.
5. V.Papava, 2009. Alternatives of the Laffer Curve with “Hysteresis”, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.
6. V. Papava, 2008. Theoretical Foundations of the Laffer Curve.
7. K.Shevardnadze, R.Chechelashvili, V.Chocheli, N.Khaduri, 2000. “Papava Indexes of Tax Corruption”, Tbilisi.
8. Laffer A.B. 2004. The Laffer Curve: Past, Present and Future// Heritage Foundation Backgrounder, №1765, June 1.
9. The Revenue Administration—Gap Analysis Program: Model and Methodology for Value-Added Tax Gap Estimation Eric Hutton Fiscal Affairs Department INTERNATIONAL MONETARY FUND, 2017.
10. Center for Social and Economic Research (“CASE”), CPB Netherlands Bureau for Economic Policy Analysis, in consortium with CAPP, CEPII, ETLA, IFO, IFS and HIS (“CASE”), 2013, “Study to Quantify and Analyze the VAT Gap in the EU-27 Member States Final Report” (Warsaw, Poland).
http://ec.europa.eu/taxation_customs/common/publications/studies/index_en.htm.
11. European Commission Directorate General Taxation and Customs Union, 2016, “The Concept of Tax Gaps, Report on VAT Gap Estimations”, Brussels
https://ec.europa.eu/taxation_customs/sites/taxation/files/docs/body/tgpg_report_en.pdf.
12. Е. В. Балацкий, Н. А. Екимова, 2011. Налогово-бюджетная политика и Экономический рост, «Общество и экономика» №4-5.
13. Гусев А.Г. 2003. Влияние фискальных инструментов на экономический рост: методы макроанализа. Диссертация на соискание ученой степени кандидата экономических наук. М.: ИМЭИ.

მარიამ ჯიბუტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

**მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა
საქართველოში**

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათები და შეფასებულია მათი პოტენციური როლი სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის. კვლევის პროცესში გამოყენებულია შემთხვევების შესწავლის მეთოდი. განხილულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის პირველადი წარმოებისა და გადამამუშავების მაგალითები, რომელთა საფუძველზეც გამოვლენილია, თუ რა დამატებით შეღავათებს სთავაზობს სოფლის მეურნეობის სფეროში ნართულ სუბიექტებს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათების გარდა.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ დამატებითი საგადასახადო შეღავათების ზეგავლენა სოფლის მეურნეობის დარგში პირველადი წარმოების განვითარებაზე მინიმალურია; გამოვლინდა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავების შემთხვევაში დაწესებული შეღავათები თეორიულად მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს რეგიონებში გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას, თუმცა პრაქტიკაში მათი გამოყენება არ ხდება; განხილულია აღნიშნული შეღავათების არაეფექტიანობის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზები.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკა შეფასებულია როგორც არაეფექტიანი და გამოვლენილია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის გაუმჯობესების საჭიროება.

საკვანძო სიტყვები: მაღალმთიანი რეგიონები, საგადასახადო შეღავათი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რეგიონული პოლიტიკა, პირველადი წარმოება, გადამამუშავებელი საწარმო, მთის კანონი.

1. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის ნაწილია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება“ [1, გვ. 1].

მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის სპეციალური პოლიტიკის გატარების საჭიროება განპირობებულია მთის გეოგრაფიული, კლიმატური, ეკონომიკური და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებებით. მთის ზემოაღნიშნული მახასიათებლები, როგორც საცხოვრებელი, ისე ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისთვის, მნიშვნელოვნად განსხვავდება ბარში არსებულისაგან. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა რაოდენობა 2002 წელთან შედარებით 30%-ით შემცირდა [2, გვ. 9].

მოსახლეობის მიგრაციას განაპირობებს ისეთი ობიექტური ფაქტორები, როგორცაა: მცირემიწიანობა, მიწის ფრაგმენტაცია და შემცირებული ნაყოფიერება.

რება; კლიმატის ცვლილებები და ბუნებრივი კატასტროფები; რესურსების არამდგრადი გამოყენება; ინფრასტრუქტურის არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; საკვების წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეები; საჯარო და კერძო სექტორის სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა; ბიზნესის განვითარების არამიმზიდველი გარემო და სხვა. როგორც ვხედავთ, მთაში ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები ბართან შედარებით შეზღუდულია, რაც მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობისთვის სპეციალური პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს.

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებში ანახლავრებად სამუშაოზე მხოლოდ მოსახლეობის 22%-ია დასაქმებული. მოსახლეობის დარჩენილი ნაწილის შემოსავლის ძირითადი წყარო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალმთიანი მოსახლეობის თითქმის 80% თვითდასაქმებულია, სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს მთიანი რეგიონებში სასურსათო უსაფრთხოების დონე უფრო დაბალია ვიდრე მთლიანად საქართველოში [3, გვ. 7].

მაღალმთიანი დასახლებებში საბაზო კვების პროდუქტების უმეტესობა ან არ იწარმოება, ან არასაკმარისი რაოდენობით იწარმოება, ამიტომ მოსახლეობა ძირითადად ბარში წარმოებულ ან იმპორტირებულ პროდუქტს მოიხმარს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაღალმთიანი რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის განვითარების ხელშეწყობისთვის სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად შეღავათების დაწესების აუცილებლობას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი, რის საფუძველზეც შემუშავებულია საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფის საკითხების განხილვა სოფლის მეურნეობის დარგის ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, აქცენტი გადაკეთეთ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათების ანალიზსა და მისი პოტენციური როლის შეფასებაზე სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოში მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობი პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასება. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ანალიზის, სინთეზის, შედარების და შემთხვევების შესწავლის მეთოდები. შემთხვევების ანალიზისას ინდივიდუალურად შევაფასეთ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა სოფლის მეურნეობის ორი მიმართულებისათვის (პირველადი წარმოება და გადამამუშავება), რომელთათვისაც ფაქტორთა ზეგავლენის ხარისხი და განვითარების შესაძლებლობები განსხვავებულია. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ქმედუნარიანობის გამოსავლენად ჩავატარეთ არასტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუები ექსპერტებთან რეგიონული განვითარების საკითხებში.

2. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პოლიტიკის შეფასება საგადასახადო შეღავათების მიხედვით

„საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მეწარმე სუბიექტებისთვის ითვალისწინებს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათს. საგადასახადო შეღავათი ბიზნესის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ინსტრუმენტია, თუმცა მათი ეფექტი მნიშვნელოვნად შეზღუდულია. იმისთვის, რომ შეგვეფასებინა, თუ რა დამატებით შეღავათებს სთავაზობს სოფლის

მეურნეობის სფეროში ჩართულ სუბიექტებს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი წლების განმავლობაში საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათების გარდა, შევისწავლეთ ორი შემთხვევა: კარტოფილის წარმოება (შემთხვევა 1. პირველადი წარმოება) და ჩიფსის წარმოება (შემთხვევა 2. გადამამუშავება) (იხ. ცხრილი 1 და 2).

1 ცხრილში წარმოდგენილია პირველად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირების/ორგანიზაციებისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დარგობრივი შეღავათები და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული დამატებითი შეღავათები. თუ ფერმერი სოფლის მეურნეობის დარგში ეწევა პირველად წარმოებას, მისთვის დამატებითი შეღავათი იქნება ქონების გადასახადი უძრავ ქონებაზე [4, კარი IX, თავი XXIX, მუხლი 206, ქ. 36]. მაღალმთიან რეგიონში მიწის დამუშავება შედარებით რთულია და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მართალია, უძრავ ქონებაზე საგადასახადო შეღავათი ფერმერს საშუალებას აძლევს, გარემო პირობებით გამოწვეული წარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა გაზარდოს, მაგრამ ქონების გადასახადი აგრობიზნესისთვის განსაკუთრებით მძიმე ტვირთს არ წარმოადგენს. ამიტომ ზემოაღნიშნული შეღავათი არ იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვან სტიმულირებას, თუმცა მოქმედ ფერმერებს უმსუბუქებს საგადასახადო ტვირთს.

ცხრილი 1

შემთხვევა 1. საგადასახადო შეღავათები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული კარტოფილის მწარმოებელი პირისათვის (პირველადი წარმოება)

გადასახადის სახე	დარგობრივი შეღავათი	მაღალმთიანი დასახლებების საწარმოსთვის არსებული დამატებითი შეღავათი
საშემოსავლო გადასახადი	ფიზიკური პირი 200 000 ლარამდე გათავისუფლებულია	ფიზიკური პირი 6 000 ლარამდე გათავისუფლებულია
მოგების გადასახადი	პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება გათავისუფლებულია (200 000 ლარამდე ერთობლივი შემოსავლის შემთხვევაში)	გათავისუფლებულია 10 წლით
დამატებული ღირებულების გადასახადი	პირველადი წარმოება გათავისუფლებულია	დამატებითი შეღავათი არ არის განსაზღვრული
ქონების გადასახადი	მომრავი ქონება გათავისუფლებულია	სრულად გათავისუფლებულია

საქართველოს მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საწარმო, რომელიც გადაამუშავებს კარტოფილს ჩიფსის საწარმოებლად, სარგებლობს დამატებით მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით (ცხრილი 2), რაც გადაამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულს უნდა აჩენდეს. ფაქტობრივად, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდგომ პერიოდში მაღალმთიან დასახლებებში არც ერთი ახალი გადაამუშავებელი საწარმო არ შექმნილა. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: თუ საგადასახადო შეღავათი სტიმულს აძლევს მეწარმეს, რომ ინვესტიცია ჩადოს გადაამუშავებელ საწარმოში, დღემდე რატომ არც ერთ მეწარმეს არ გაუჩნდა ასეთი სტიმული? პასუხი ნათელი ხდება საოპერაციო და საინვესტიციო

საკითხების დეტალური განხილვისას. კერძოდ, რამდენად არის გადასამუშავებელი ნედლეული ხელმისაწვდომი რეგიონში? რა იქნება ნედლეულის საწარმომდე ტრანსპორტირების ხარჯები? რამდენად არის შესაძლებელი ტრანსპორტირება დანაკარგების გარეშე? ხელმისაწვდომია თუ არა სათანადო რაოდენობის და კვალიფიკაციის სამუშაო ძალა მაღალმთიან რეგიონებში? რა იქნება სარეალიზაციო ბაზარზე მზა პროდუქციის მიწოდების ხარჯები და სხვა.

ცხრილი 2

შემთხვევა 2. საგადასახადო შეღავათები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული კარტოფილის ჩიფსის მწარმოებელი საწარმოსთვის (გადამუშავება)

გადასახადის სახე	დარგობრივი შეღავათი	მაღალმთიანი დასახლების საწარმოსთვის არსებული დამატებითი შეღავათი
საშემოსავლო გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით	ფიზიკური პირი 6 000 ლარამდე თავისუფალია
მოგების გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით, მოგების რეინვესტირებული ნაწილი თავისუფლდება	გათავისუფლებულია 10 წლით
დამატებული ღირებულების გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით	იბეგრება ზოგადი წესით
ქონების გადასახადი	იბეგრება ზოგადი წესით	გათავისუფლებულია

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების არსებულ სანედლეულო ბაზას, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეღავათები შესაძლოა მხოლოდ მცირე ზომის საწარმოს შექმნისთვის იყოს მასტიმულირებელი. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მცირე ზომის საწარმოთა პოტენციური კონკურენტუნარიანობის საკითხები დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონია, გაუმჯობესებას საჭიროებს.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმები ძირითადად ორიენტირებულია სოციალური პაკეტების შეთავაზებით მოსახლეობისთვის უკეთესი პირობების შექმნაზე, რასაც მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტი აქვს. კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები ხელს არ უწყობს სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას და განვითარებას. ის უკვე მოქმედ მეწარმეებს მხოლოდ საგადასახადო ტვირთს უმსუბუქებს.

საგადასახადო შეღავათების არსებობის ეფექტიანობა სოფლის მეურნეობის დარგში პირველადი წარმოების შემთხვევაში მინიმალურია, მაშინ როდესაც დარგის განვითარების დამაბრკოლებელი მთავარი პრობლემა სწორედ პირველადი წარმოების ეტაპზე არსებული დაბალი მოსავლიანობა და პროდუქტიულობაა.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სანედლეულო ბაზის სიმწირიდან გამომდინარე, გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა ინვესტორებისათვის არამომზიდველია, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“

ხებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამატებითი შეღავათები არაქმედითი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, ქუთაისი, 2015.
2. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2017-2021, თბილისი, 2017.
3. ოქსფამის კვლევა, სასურსათო და კვების უსაფრთხოება საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 2016.
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2011.
5. ხარაიშვილი ე., 2004. რეგიონული ეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი www.geostat.ge
7. Jibuti M., Key Issues of Competitiveness of Agricultural Sector (The Case of Zemo Svaneti Region), DOI: 10.20472/IAC.2017.032.018; ISBN 978-80-87927-39-7, IISES

Mariam Jibuti

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Economics and Business Faculty

Ph.D Student

ECONOMIC DEVELOPMENT POLICY FOR HIGH MOUNTAINOUS REGIONS IN GEORGIA

Expanded summary

The work provides analysis the exemptions defined by the Law of Georgia on the Development of High Mountain Regions and evaluates their potential role in developing the field of agriculture. The case study method was used in the research process. Cases of primary production and processing of agricultural products are discussed, on the basis of it the additional to Tax Code exemptions provided by the Law of Georgia on the Development of High Mountain Regions were revealed.

The need of special policies for the development of high mountain regions is important due to the peculiarity of mountainous areas' geographical, climatic, economic, and natural resource potential. The above characteristics of the mountains, as well as for living and economic activities, differ significantly from the non-mountain areas. According to the 2014 census of Georgia's population, the number of residents in mountainous regions decreased by 30% compared to 2002.

The migration of the population is resulted by objective factors such as: small holdings; land fragmentation and reduced fertility; climate change and natural disasters; unsustainable use of resources; poor condition of infrastructure; difficulties related to food production; low access to public and private sector services; unattractive environment for business development etc. Economic development opportunities in the mountain areas are limited compared to the non-mountain areas that requires special policy elaboration to support the development of high mountain regions.

Only 22% of the population has remunerative work in high mountainous regions of Georgia. The main source of income for the rest part of the population is agricultural activities. Despite the fact that almost 80% of the high mountain area population is self-employed, the food security level in the mountainous regions of Georgia is lower than the country's average.

In most mountainous settlements majority of the basic food products either are not produced at all, or production quantity isn't sufficient, so people consume products produced in non-mountain regions or imported from foreign countries. Taking into consideration the above

mentioned, it is of particular importance to elaborate and implement special state policy for promoting economic activity in the high-mountain areas. Georgia's mountainous population's troubles in regard of food security have to become one of the top priorities on the government's agenda. The necessity of imposing benefits for ensuring socioeconomic progress of high mountainous regions is defined by Article 31 of the Constitution of Georgia on the basis of which the Law of Georgia on Development of Mountainous Regions was developed.

Analysis, synthesis, comparison and case study methods were used during the research process. Based on case study, the effectiveness of state policy for two directions of agriculture (primary production and processing) for which the quality of impact factors and development opportunities are different, were evaluated. In order to assess the efficiency of Georgia's state policy, unstructured in-depth interviews with regional development experts were conducted.

Law of Georgia on the Development of High Mountain Regions establishes tax privileges for business entities which, in accordance with the legislation of Georgia, have been granted the status of high mountainous settlement enterprise. Tax privilege is an important stimulating tool for business, but their effect is significantly limited. In order to evaluate its current effectiveness two cases were studied: potato production and potato chips production. Tax privileges established by the Tax Code of Georgia and by the Law of Georgia on the Development of High Mountain Regions were compared.

If the farmer is engaged in primary agricultural production, the Law of Georgia on the Development of High Mountain Regions provides additional exemption from the real property tax. Land cultivation in the mountainous region is relatively difficult and needs higher expenditures. Exemption from the real property tax allows the farmer to reduce the weaknesses of the competitiveness caused by the environmental conditions. In addition, it should be mentioned that the property tax is not a particularly heavy burden for business sector. Hence, the established exemptions cannot significantly stimulate agricultural development, though it reduces the tax burden and slightly promotes the activities of already established farms.

High mountainous settlement enterprise, which process potato and produce chips can enjoy tax privileges and exempt from taxes that should stimulate the establishment of processing enterprises. In fact, since the articles of Mountain Law entered into force no new processing enterprise was created in high mountainous settlements. Consequently, the question arises: if such tax privileges stimulate the entrepreneur to invest in the processing enterprise, why did not one entrepreneur have such incentive yet? The answer is clear when we discuss operational and investment issues. In particular, whether the raw materials to be processed are available, what are the costs of the raw materials transportation to the enterprise, whether transportation without losses is possible, whether the required number of workers of relevant qualifications is available, what are the costs of products delivery to the market etc.

Benefits provided by the Mountain Law are mainly focused on creating better conditions for the population by offering social packages, which has only a short-term effect. The analysis showed that the tax exemptions provided by the law have insignificant effect on economic development, provides relief of the tax burden of the entrepreneurs rather than stimulation of commencement of the new business activity.

The effectiveness of tax privileges is minimal in case of primary production in agriculture, while the main problem for the field development is low yield and productivity on primary level.

Due to the scarcity of raw material base in high mountainous regions of Georgia, establishing processing enterprises is not attractive for investors, as well as additional benefits provided by the Mountain Law are useless. The main reasons for the inefficiency of these benefits are considered in the article.

The development policy of high mountainous regions is assessed as ineffective, not sustainable in the long term and not oriented on economic development. The necessity of improvement of the Mountain Law and policy instruments is revealed.

ბარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები ურბანულ ბარემოში

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ გარემოში. საქართველო, როგორც რიოს კონვენციების მხარე და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ქვეყანა, ვალდებულია გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში გარემოს მაქსიმალურ დაცვას და მდგრად განვითარებას. ნაშრომში განხილულია კონკრეტული მაგალითი, რამაც, შესაძლოა, ქალაქის პირობებში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ეფექტიანი ღონისძიებების გატარება.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება, ურბანული მეტალობა, გაუდაბნობა, ბიომრავალფეროვნება.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო წლების წინ დადგა გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენების პრობლემის წინაშე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მზარდი ეკონომიკებისა და ინდუსტრიული განვითარების თანმდევი მოვლენაა. გარემოს დაცვაზე რთულია საუბარი ერთი რომელიმე პროფესიის მხრიდან, საჭიროა კომპლექსური მიდგომა და მისი შესწავლა სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით. ეკონომიკური მეცნიერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ეკონომიკური ეფექტის შესწავლა, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს გარემოს დაბინძურებამ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყეს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ხელს უწყობს გარემოს დაცვას. ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ გარემოში გარემოსდაცვითი ეფექტიანი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა. 1992 წელს ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში გამართულ დედამიწის სამიტზე, სადაც 172 ქვეყანა მონაწილეობდა, მიიღეს ის კონკრეტული დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ისე წარმართვას, რომ ხელი შეეწყოს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

რიოს კონვენციები

რიოს კონვენციებიდან, ვფიქრობ, გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების ანალიზი:

1. კლიმატის ცვლილება;
2. გაუდაბნობა;
3. ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება [3, გვ. 1;5;19].

კლიმატის ცვლილების მიმართულებით კონვენციის მიხედვით, მნიშვნელოვანია, მხარე ქვეყნებმა შეამცირონ 90-იან წლებში ემისირებული სათბური გაზების მოცულობა. რამდენადაც საქართველოს საწარმოო სისტემები, შეიძლება ითქვას, წლების განმავლობაში მიძინებული იყო, ჩვენ ქვეყანას ჯერჯერობით ეს პრობლემა არ აქვს და საქართველოს მიერ ემისირებული სათბური გაზები ნორმაშია [6, გვ. 1-2]. საგულისხმოა, რომ უკვე ემისირებული სათბური გაზების შემცირება ატმოსფეროში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რის გამოც წლებთან ერთად ხდება გლობალური დათბობის ხელშეწყობა.

გაუდაბნობა ის პრობლემაა, რომელიც ქალაქის პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან განსახილველ საკითხს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და კეთილმოწყობის ღონისძიებების გატარებას, ხშირ შემთხვევაში, ნიადაგის ნოყიერი ფენის სრულ განადგურებამდე მიყვავართ, რაც განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ურბანულ გარემოში.

შემდეგი საკითხია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის ურბანული ფლორის შენარჩუნება აუცილებელი წინაპირობაა. მაგალითად, თბილისისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ქართული თუთა (ხართუთა), რომლის ნაყოფიც იწვევს ქუჩების დაბინძურებას, ხოლო ძლიერი ფესვთა სისტემა დ კერძო მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებისა და ეზოს კედლების დაზიანებას, ამის გამო მოსახლეობა სისტემატურად ებრძვის ხართუთას, რამაც შესაძლოა ქალაქიდან აღნიშნული სახეობის გაქრობაც გამოიწვიოს. ასევე ვერხვის ხეები, რომლებიც საკმაოდ გავრცელებულია ქალაქში, მათგან უმეტესობა 20-დან 50 წლამდეა, რაც, გადაბერებასთან ერთად, სხვადასხვა პრობლემის გამომწვევე მიზეზადაც შეიძლება იქცეს, კერძოდ დააზიანოს მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები, ავტომანქანები და, უკიდურეს შემთხვევაში, ზიანი მიაყენოს ადამიანებსაც. ზემოაღნიშნული ხეების ჩანაცვლება მოკლევადიან პირობებში შეუძლებელია, რის გამოც ურბანული ფლორა საშიშროების წინაშე დგას. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნული მიმართულებით ხეების დაცვა მხოლოდ გადაბეღვითაა შესაძლებელი, რაც განსაკუთრებულ შემთხვევებში ხეების ღრმა-სხვლა ფორმირებას გულისხმობს [2, გვ 2].

გარემოს დაცვა და ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება

გარდა რიოს კონვენციებისა, საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარებას ასევე ავალდებულებს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება. მაგალითად, შეთანხმების 230-ე მუხლის მე-3 პუნქტი გულისხმობს, რომ: „მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, მიაღწიონ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციისა (UNFCCC) და კიოტოს პროტოკოლის ძირითად მიზანს. ისინი ვალდებულებას იღებენ გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო. კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების ფარგლებში ითანამშრომლონ კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ჩარჩოს სამომავლო განვითარებაზე“ [1, გვ 34]. მუხლი 232-ის მიხედვით, „მხარეები აღიარებენ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მისი მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის აუცილებლობას, როგორც ერთ-ერთ ძირითად ელემენტს მდგრადი განვითარების მისაღწევად“ [1, გვ 343]. მუხლი 302-ის მიხედვით, „თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევის ხელშეწყობას გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად“ [1, გვ 427].

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველო, ევროკავშირთან დაახლოებასთან ერთად, ვალდებულია გაატაროს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მდგრადი განვითარების პირობებში ხელს შეუწყობს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას.

ურბანული მებაღეობა (Urban Gardening) მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე

მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე მეტად მნიშვნელოვანია ურბანული მებაღეობის განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამის დანერგვა. გერმანიაში ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უარს ამბობს მსხვილი კომპანიების მიერ შემოთავაზებულ პროდუქტზე და ამჯობინებს ადგილობრივი პროდუქციის მოხმარებას და ასევე წარმოებასაც. საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ურბანული მებაღეობა ერთ-ერთი მოთხოვნადი და საინტერესო სფეროა გერმანელებისთვის [4, გვ. 6]. ასევე ევროპის სხვა ქვეყნებშიც მუშაობენ ამ მიმართულებით გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის დასახვეწად.

ურბანული მებაღეობის არსი ასეთია - ადგილობრივი მოსახლეობა თვითონ აწარმოებს და მოიხმარს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს როგორც ქალაქ გარეთ, ასევე ქალაქის ცენტრშიც კი. თვალსაჩინოებისათვის, ურბანული მებაღეობის კონკრეტული მაგალითი ბერლინის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, კროიცბერგში, მორიტპლაცზე არსებული **rinzessinnengarten**-ია. ბაღი ჯერ კიდევ XX საუკუნეში შეიქმნა და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. აღნიშნული ბაღი ყოფილი სავაჭრო ცენტრის ადგილზე ორმა მოახლისემ შექმნა, დღესდღეობით კი აქ ათობით ადამიანია დასაქმებული და სხვადასხვა სახეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს აწარმოებენ. წარმოებული პროდუქცია ადგილზევე იყიდება. რიგით ბერლინელს შეუძლია ესტუმროს **rinzessinnengarten**-ს და თვითონვე აიღოს მოსავალი, რომლის შექენაც სურს. ბაღის წარმატების საწინდარია არა მხოლოდ გამორჩეული იდეა და კარგი მენეჯმენტი, არამედ ის მოახლისეები, რომლებიც უსასყიდლოდ მუშაობენ ბაღის განვითარებისთვის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სარგებლის გარეშე რჩებიან - მათ დღეში 4 ან 8 საათიანი სამუშაოს შესაბამისად, პროდუქციაზე 30%-დან 60%-მდე ფასდაკლება აქვთ. ასეთ შემთხვევაში ორივე მხარის ეკონომიკური ინტერესი დაკმაყოფილებულია: პირველი, ხდება ჯანმრთელი პროდუქტის წარმოების სტიმულირება და მეორე, მოსახლეობა მოიხმარს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს.

ურბანულ გარემოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას გაუდაბნობა და ბიომრავალფეროვნების შემცირება წარმოადგენს. რამდენადაც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ხშირ შემთხვევაში, მთლიანად ანადგურებს ნიადაგის ნოყიერ ფენას. ურბანული მებაღეობა გარდა წარმოების პროცესისა, ნიადაგის ნოყიერი ფენის შევსებისა და განახლების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, იგი ხელს უწყობს დენდროლოგიისა და გამწვანებული ტერიტორიების გაჯანსაღებას. რაც შეეხება კლიმატის ცვლილებას, ქალაქში მწვანე ნარგავებისა და ხემცენარეების მომრავლება პირდაპირ გავლენას ახდენს სათბური გაზების ემისიის შემცირებაზე.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ურბანული მებაღეობის შესაძლებლობებსა და განვითარების პერსპექტივებზე. ამგვარად, ურბანული მებაღეობის დადებითი ასპექტებია:

- სტიმულირდება ადგილობრივი წარმოება;
- მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება საბაზრო ფასად შეიძინოს ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური ნაწარმი;
- გაუმჯობესდება იმ უბნის მცხოვრებთა ეკონომიკური მდგომარეობა, სადაც დაინერგება ურბანული მებაღეობა;

- ურბანული მებაღეობა მიმზიდველი იქნება ტურისტებისათვის (მათთვის ძალიან საინტერესო იქნება ქალაქის ცენტრში სოფლის პროდუქტების წარმოების ნახვა);
- იმპორტიორ ფირმებს სურვილი გაუჩნდებათ, უფრო მეტი იმუშაონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის იმპორტირების მიმართულებით, რადგან ადგილობრივი მწარმოებლები გაუწევენ კონკურენციას;
- მოხდება გარემოს დაცვის ხელშეწყობა და აღნიშნული საკითხის ადვოკატირება;
- გაუდაბნოებისა და ბიომრავალფეროვნების რისკები შემცირდება.

როგორი იქნება ქართულ რეალობაში ურბანული მებაღეობა?

რა თქმა უნდა, გერმანიისგან განსხვავებით, ქართულ სივრცეში ურბანული მებაღეობის წარმოება, შეიძლება ითქვას, გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. თუმცა ამ სისტემის დანერგვა შეუძლებელი არ არის. ამასთანავე, თუ ფასები იქნება გონივრული, მოსახლეობაც უფრო დაინტერესდება და ჩვენც ევროპულ რეალობასთან დაახლოების კიდევ ერთი შესაძლებლობა გვექნება. მთავრობისათვის, ამ მიმართულებით მოსახლეობის წასახალისებლად, გვაქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- გამოიყოს ეკონომიკის სამინისტროს ან თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე არსებული ისეთი მიწის ფართობები, რომელიც ამ დროისთვის არ გამოიყენება სახელმწიფოს მიერ;
- დაწესდეს გარკვეული შეღავათები ურბანული მებაღეობის მწარმოებლებისთვის;
- შესაძლებლობის ფარგლებში მოწესრიგდეს ბაღებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;
- გატარდეს ურბანული მებაღეობის პოპულარიზაციის ზრდისთვის საჭირო ღონისძიებები;
- მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით.

ცხადია, უახლოეს მომავალში მსოფლიო დადგება იმ აუცილებლობის წინაშე, როდესაც ურბანული მებაღეობა უდიდეს როლს შეასრულებს ქალაქების განვითარებაში და, ვფიქრობ, საქართველოს აქვს პოტენციალი, გახდეს ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო რეგიონში, რომელიც ამ მიმართულებას წინ წამოსწევს, რეგიონის სხვა ქვეყნებს გაუწევს კონსულტაციებს და მისცემს კონკრეტულ რეკომენდაციებს.

გამოყებენული ლიტერატურა

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ-სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 2014.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება 17-55 2018.
3. The Rio Declaration On Environment and Development – 1992.
4. Wunder S. - Learning for Sustainable Agriculture – 2013.
5. USAID - Greenhouse Gas Emissions in Georgia – Georgia Fact Sheet 2016.

Nika Chitishvili

Doctoral Student,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

OPPORTUNITIES FOR THE IMPLEMENTATION OF ECONOMIC POLICY OF ENVIRONMENTAL PROTECTION IN URBAN SPACE

Expanded summary

Modern world has been facing the problem of environmental pollution and misuse of natural resources already for decades, sadly as a main reason of it is considered growth of the emerging economies and industrial development. It is impossible to discuss Environmental protection from the point of view of only one discipline. For economics it is particularly important to study the economic effect caused by environmental pollution. Various countries of the world have been attempting to promote the means of environmental protection from the 90s. The purpose of the thesis is to study environmentally efficient measures that can be implemented in densely populated urban environments. In 1992, at the Earth Summit in Rio de Janeiro, Brazil, where 172 countries participated, they adopted specific provisions to ensure the economic policy of states to promote environmental protection and rational usage of natural resources.

From the Rio Conventions, I think the following issues are important while implementing environmental policies in Georgia:

1. Climate change;
2. Desertification;
3. Maintaining biodiversity.

Regarding climate change, according to the Convention, it is essential that the member states reduce the 90s volume of greenhouse gas emissions. Since Georgia's manufacturing systems have been stagnated over the years, our country has not had this problem yet and Georgia's greenhouse gases are normally present. It is noteworthy that the reduction of greenhouse gas emissions in the atmosphere is virtually impossible, which is why the global warming will be accompanied by the years.

The desertification is a problem that is one of the most important issues in the city. Implementation of infrastructural projects and accomplishment activities often leads to the complete destruction of the soil fertile layer, which is particularly negatively impacted in urban environments.

The next issue is the maintenance of biodiversity. Maintaining urban flora is a necessary precondition for biodiversity conservation.

For example, one of the most important problems for The flora of Tbilisi is the Georgian mulberry tree, which causes the pollution of the streets, and the strong root system is damaging the walls of the private houses and the walls of the yard, because of these the population is systematically fighting against it, which can cause the disappearance of this kind of species. There are also some of the trees that are quite widespread in the city, most of them are between 20 and 50 years of age, which can cause a variety of problems as well as damaging the local inhabitant's properties, and sometimes even people. The replacement of the above-mentioned trees is difficult and in short-term conditions is impossible, therefore, urban flora is facing danger. According to the resolution of Tbilisi Municipality City Council, the protection of trees is possible for only one way which implies the formation of trees in the special cases.

Besides Rio Convention, Georgia is obliged to pursue environmental protection policies in accordance with Association Agreement with the EU.

Introduction of Urban Gardening Development and Promotion Program is very important in densely populated areas. In Germany, some part of the local population refuses to consume products offered by large companies and prefers consumption and production of local products.

In studying the issue, it became clear that urban gardening has proved to be one of the most efficient and interesting measures for the Germans and other European countries to support environmental protection in urban areas. One of the main problems in the urban environment is desertification and the reduction of biodiversity that can be caused for instance by the implementation of infrastructural projects, that in many cases, completely destroys soil fertile layer. In addition to the production process urban gardening allows the renewal of soil fertility layer. Moreover, it helps to improve dendrology and green areas. As regards climate change, the growth of green plants and trees in the city directly affects the reduction of greenhouse gas emissions.

Stemming from the above, we can discuss urban gardening opportunities and development prospects. Thus, the positive aspects of urban gardening are:

- Local production will be stimulated;
- The population will be able to purchase ecologically clean and natural products at a market price;
- The economic condition of the inhabitants of the precinct where urban gardening is launched will be improved;
- Urban gardening will be attractive for tourists (they will be very interested to see the production of rural products in the city center);
- Importer firms will be more willing to work in the direction of ecologically pure products, as local production will be more competitive;
- Environment protection issues will be promoted and advocated;
- The risks of desertification and biodiversity degradation will be reduced.

Of course, unlike Germany, urban gardening in Georgian space can face to certain difficulties. However, this system is possible to implement. At the same time, if prices are reasonable, the population will be more interested and we will have another opportunity to get closer to european reality. For the Government, we have the following recommendations to encourage the population:

- Identify the land areas on the balance of the Ministry of Economy or Self-Government Unit which are not used by the State at this time;
- Provide certain benefits to urban gardeners;
- In the framework of the possibilities to set the necessary infrastructure for the gardens;
- Take the necessary measures to increase the promotion of urban gardening;
- Improve awareness of the population to improve environmental policy.

Obviously, in the nearest future the world will face the need of urban gardening to play a major role in the development of cities and I think that Georgia has the potential to become one of the first countries in the region to implement this project successfully and to give specific recommendations to neighbor countries.

ზურაბ კირკიტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი

**უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფიქტივინანტების ანალიზი
საქართველოში**

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია რა შემთხვევაში გამოიყენება სხვადასხვა სახის რეგრესია და ჩატარებულია პროცედურები, რომელთა საფუძველზე, ცვლადებს შორის კავშირთა მახასიათებლებიდან გამომდინარე არის შერჩეული შესაბამისი რეგრესია. შემდეგ ეტაპზე განხილდება ამ შესაბამისი რეგრესიის თითოეული ვარიანტი და დატესტილია შერჩეული რეგრესიის შესაბამისი ვარიანტის დაშვებები იმისათვის, რომ უფრო ზუსტი რეგრესიული ანალიზის შედეგები მივიღოთ. შემდეგ ეტაპზე შერჩეულია შესაბამისი რეგრესია, რაც დამოკიდებული იყო შერჩეული მოდელის დაშვებათა დატესტვაზე და, შესაბამისად, ერთ-ერთი დაშვების არ დაკმაყოფილებაზე (კერძოდ, გამოვლინდა მულტიკოლინეარობა დამოუკიდებელ ცვლადებს შორის). შემდეგ ეტაპზე დასაბუთებულია, თუ რატომ არ იქნა გამოყენებული სხვა რეგრესიის მეთოდოლოგიები. სტატიის საბოლოო ნაწილში გამოყენებულია შერჩეული რეგრესიის მულტიკოლინეარობის მოგვარების ალტერნატიული მეთოდი და გამოვლენილია ეკონომეტრიკულ მოდელში ჩართული საბოლოო ცვლადები.

წინამდებარე გამოკვლევაში პირველ ეტაპზე ვეცდებით რეგრესიის სწორი მეთოდოლოგიის შერჩევას, რაც ეკონომეტრიკული ანალიზის აუცილებელი წინაპირობაა. რეგრესიულ მეთოდოლოგიაში მოიაზრება: ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდი, ორსტადიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდი, მაქსიმალური აღბათობის მეთოდი, ორგანზომილებიანი (მარტივი) წრფივი რეგრესია, არაპარამეტრიკული რეგრესია, ლოგისტიკური რეგრესია, ბაიესიანური რეგრესია, რობასტული რეგრესია როგორცაა M-ესტიმატორი, ბუნდოვანი (fuzzy) რეგრესია, შემთხვევითი/რანდომული კოეფიციენტების რეგრესია, II და q-კვანტილური რეგრესია, რეგრესია სივრცულ სფეროში, მრავლობითი რეგრესია, ქედის (ridge) რეგრესია, პოლინომიალური რეგრესია, ნახევარპარამეტრიკული რეგრესია და არაწრფივი უმცირეს კვადრატთა მეთოდი. ასევე შევამოწმებთ, მართებული იქნება თუ არა ავტორეგრესიული მოდელის, ავტორეგრესიული ინტეგრირებული მცოცავი საშუალოს მოდელის ან ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელის გამოყენება იმის შემოწმებით, არსებობს თუ არა ავტოკორელაცია იმ ცვლადში, რომლის მოდელირებასაც ვახდენთ. ასევე შესაძლოა საჭირო ვახდეს სეზონური ავტორეგრესიული ინტეგრირებული მცოცავი საშუალოს მოდელის გამოყენება, რომელიც გვჭირდება სეზონური მონაცემების მოდელირებისას ანუ დამოკიდებული ცვლადი არის სეზონური. ასევე გავითვალისწინებთ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოყენებულ უპის პროგნოზირების მეთოდებს. სტატია მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ გამოვალინეთ ის ფაქტორები, რომლებიც იწვევს უპი-ის შემოღინებას საქართველოში, კერძოდ, პირველ ეტაპზე დავადგინეთ თეორიულად მნიშვნელოვანი ფაქტორები, ხოლო მეორე ეტაპზე ეკონომეტრიკის გამოყენებით ამ რამდენიმე ფაქტორიდან დავადასტურეთ რომ ფაქტორების შედარებით მცირე რიცხვი მართლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპი) მოზიდვაში. სტატიის ავტორმა ახლებურად გააანალიზა საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორები.

საკვანძო სიტყვები: რეგრესიული ანალიზი, ინტერპრეტაცია, საქართველო, რეგრესიული ანალიზის შედეგები, ეკონომეტრიკა
პროცედურები სწორი რეგრესიის ამოსარჩევად და სწორი რეგრესიის დადგენა

პარამეტრიული რეგრესია უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც კავშირი დამოკიდებულ ცვლადსა და თითოეულ დამოუკიდებელ ცვლადს შორის ცნობილია. პარამეტრიული რეგრესიის მოდელები მოიცავს: წრფივ მოდელებს, გენერალიზებულ წრფივ მოდელებს და არაწრფივ მოდელებს ვინაიდან ვიცით ფუნქცია, რომელიც აღწერს კავშირს დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის.

არაპარამეტრიული რეგრესია გამოიყენება მაშინ, როდესაც კავშირი დამოკიდებულ ცვლადსა და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის არის უცნობი და არაწრფივი. ნახევარპარამეტრიული რეგრესიული მოდელები გამოიყენება მაშინ, როდესაც ვიცით რა კავშირია დამოკიდებულ ცვლადსა და დამოუკიდებელი ცვლადების ნაწილს შორის და არ ვიცით, თუ როგორი კავშირია ამ დამოკიდებულ ცვლადსა და დამოუკიდებელი ცვლადების სხვა ნაწილს შორის.

შესაბამისად, იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რომელი მეთოდი (პარამეტრიული, ნახევარპარამეტრიული თუ არაპარამეტრიული) გამოვიყენოთ პირველ ეტაპზე, მართებულად მიგვაჩნია, დავადგინოთ რომელი ცვლადები ჩავრთოთ მოდელში. საბოლოო მოდელში ჩასართავი პოტენციური ცვლადებია: უპი-დამოკიდებელი ცვლადი, დამოუკიდებელი ცვლადები-მშპ მუდმივ ფასებში, დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია), ეროვნული შემოსავალი, სუბსიდიები, მოსახლეობის რიცხოვნობა და იმპორტ-ექსპორტი. როდესაც გვაქვს ბევრი დამოუკიდებელი ცვლადი და გვინდა მხოლოდ შესაბამისი (მნიშვნელოვანი) ამოვირჩიოთ ამ სიმრავლიდან, ეს შესაძლოა ჩატარდეს stepwise least squares-ის გამოყენებით (ამ stepwise least squares-ის გამოყენება დაგვეხმარება ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდის ერთ-ერთი მოთხოვნის დაკმაყოფილებაშიც, კერძოდ იმაში, რომ ყველა შესაბამისი დამოუკიდებელი ცვლადი იყოს ჩართული მოდელში იმისათვის, რომ მივიღოთ უფრო ზუსტი რეგრესიული ანალიზის შედეგები). ამ მეთოდის გამოყენებისას უნდა დავადგინოთ ის ცვლადები, რომელიც ყველანაირ ვარიანტში დარჩება მოდელში (ანუ, თეორიულად, ის ცვლადები, რომლებიც, დიდი ალბათობით, ახსნის დამოკიდებელი ცვლადის ცვლილებას), რომლებიც ჩაიწერება ივიუსში ასეთი მეთოდის გამოყენებისას შესაბამის ველში. ასევე დასადგენია ის ცვლადები, რომლებიც შეიძლება (არა აუცილებლად) დაემატოს ძირითად მოდელს, ანუ შესაბამის ველში მიუთითებ იმ ცვლადებს, რომლებიც თეორიულად დაბალი ალბათობით მოახდენს ზეგავლენას დამოკიდებულ ცვლადზე. stepwise least squares დაგვეხმარება ასევე შემდეგში: 1) თუ R-კვადრატი (დეტერმინაციის კოეფიციენტი) არცთუ მაღალია (მაგალითად, უდრის 0.4) ან ძალიან დაბალია. ეს შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე რომ მოდელში არ იქნა ჩართული მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ცვლადები (ფაქტორები), რაც დასტურდება რაღაცა დონემდე იმით, რომ თუ დამოუკიდებელი ცვლადები ცოტაა, R-კვადრატი დაბალია იმ შემთხვევათაგან შედარებით, როდესაც დამატებითი ფაქტორები ემატება მოდელს, თუმცა ეს ზრდა მცდარია, რა შემთხვევაშიც ყურადღება უნდა გავამახვილოთ კორექტირებულ დეტერმინაციის კოეფიციენტზე. შესაბამისად, უნდა მივინდოთ R-კვადრატის იმ დონემდე ზრდას, როდესაც მხოლოდ შესაბამისი ფაქტორები იქნა ჩართული მოდელში და არ უნდა შევიყვანოთ ზედმეტი ფაქტორული ნიშნები ისე, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტი გახდეს მაქსიმალური ანუ 1-ის ტოლი, რაც დასტურდება იმით, რომ როდესაც დეტერმინაციის კოეფიციენტი არის 1-ის ტოლი, ეს ყო-

ველთვის არ ნიშნავს იმას, რომ მოდელი არის ძალიან კარგი. ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ *stepwise least squares*, იმისათვის, რომ ბევრი დამოუკიდებელი ცვლადიდან მხოლოდ მნიშვნელოვანი ცვლადები ჩავრთოთ მოდელში¹²[1]. 2) *stepwise least squares* დაგვეხმარება პარსიმონიული მოდელის შექმნაშიც. ტრადიციულად, სტატისტიკური მოდელირების მიზანი იყო (არის) მოძებნა ყველაზე პარსიმონიული მოდელისა, ანუ ისეთი მოდელისა, რომელსაც აქვს რაც შეიძლება ნაკლები დამოუკიდებელი ცვლადები, რომელიც დამაკმაყოფილებლად პროგნოზირებს დამოკიდებულ ცვლადს. პარსიმონიული მოდელის აუცილებლობაზე მეტყველებს მაგალითად ის ფაქტი, რომ პოლინომიალური მოდელების არჩევისას თუ ორი პოლინომიალური მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი არის თითქმის ერთი და იმავე, მაშინ ვირჩევთ უფრო დაბალი თანრიგის პოლინომიალს, მაგალითად კუბური პოლინომიალის მაგივრად ვირჩევთ კვადრატულ პოლინომიალს. ასევე პარსიმონიული მოდელის არჩევით თავიდან ავიცილებთ ოვერფითინგსაც, რის საფუძველზეც შესაძლოა მივიღოთ უფრო ზუსტი კოეფიციენტები, *p*-ღირებულება და *R*-კვადრატი.

შემდეგ ეტაპზე ვატარებთ სხვადასხვა ტესტს, რომელთა საფუძველზე დავადგინებთ შემდეგ: როგორც ჩანს, ექსპორტი და სუბსიდიებიც იქნა მიჩნეული მნიშვნელოვან ცვლადებად. გამოტოვებული ცვლადების ტესტის თანახმად, ცვლადები ექსპორტი და სუბსიდიები არ არის ერთობლივად მნიშვნელოვანი. ვალდის ტესტის თანახმად, ცვლადები ექსპორტი და სუბსიდიები არაარსებითია. ზედმეტი ცვლადების ტესტის თანახმად, ცვლადები ექსპორტი და სუბსიდიები ზედმეტია მოდელში. *Likelihood ratio test*-ის თანახმად, ცვლადები ექსპორტი და სუბსიდიები არამნიშვნელოვანი ცვლადებია. საბოლოო ანგარიშით, ამ ნაწილში გაბედულად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ექსპორტი და სუბსიდიები არამნიშვნელოვანი ცვლადებია.

შემდეგ ეტაპზე ვამოწმებთ, თუ რა სახის კავშირია დამოკიდებულ ცვლადსა და თითოეულ დამოუკიდებელ ცვლადს შორის სკეთერ ფლოთის გამოყენებით. ეს სქემა გამოსახავს კავშირს ორ რაოდენობრივ ცვლადს შორის, ხოლო ჩვენი ცვლადები შეიცავს ვალუტას და ასევე ერთი ცვლადი მოსახლეობის რიცხოვნობაა. შესაბამისად შეგვიძლია სკეთერ ფლოთის გამოყენება ცვლადებს შორის კავშირის ასახვას. შემდეგ გვერდებზე არის სკეთერ ფლოთებზე გამოსახული კავშირი ცვლადებს შორის. შეგვიძლია ვიმსჯელოთ კავშირთა სიძლიერედან გამომდინარე, რამდენად ძლიერი წრფივი კავშირია ამ ცვლადებს შორის. რაც უფრო ძლიერია წრფივი კავშირი, მით უფრო ახლოს არის წერტილები გამოსახული სკეთერ ფლოთზე პირდაპირ ხაზთან. ასევე კავშირთა სიძლიერეზე შესაძლოა ვიმსჯელოთ კორელაციის კოეფიციენტიდან გამომდინარე. აკრძოდ, რაც უფრო ახლოსაა კორელაციის კოეფიციენტი +1-თან ან -1-თან, მით უფრო ძლიერია კავშირი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკეთერ ფლოთზე არსებული წერტილები მით უფრო ახლოს არის პირდაპირ ხაზთან. ვინაიდან უპი-ის ვადგენთ სხვა ცვლადებიდან გამომდინარე, ანუ ის წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს, უპი აიგება ვერტიკალურ ღერძზე, ხოლო სხვა ცვლადები – ჰორიზონტალურ ღერძზე. კავშირი უპი-სა და მეგშ შორის არის დადებითი სუსტი წრფივი კავშირი, კავშირი უპი-სა და საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს შორის არის წარმოდგენილი 6 თანრიგის პოლინომიალური მოდელით, ე.ი კავშირი არაწრფივია, კავშირი უპი-სა და იმპორტს შორის არის დადებითი წრფივი ძლიერი კავშირი, კავშირი უპი-სა და მოსახლეობის რიცხოვნობას შორის არის წარმოდგენილი 6 თანრიგის პოლინომიალით, ე.ი. არა-

¹² http://www.eviews.com/help/helpintro.html#page/content/Regress2-Stepwise_Least_Squares_Regression.html

წრფივია, ხოლო კავშირი უპი-სა და მშპ შორის არის რაღაცა დონით ძლიერი დადებითი წრფივი კავშირი.

შესაბამისად, ვინაიდან ვიცით, თუ რა კავშირია დამოკიდებულ ცვლადსა და თითოეულ დამოუკიდებელ ცვლადს შორის, შეგვიძლია გამოვიყენოთ პარამეტრიკული რეგრესია. ხოლო არაპარამეტრიკული რეგრესიის არგამოყენება საბუთდება ასევე იმით, რომ არაპარამეტრიკულ პროცედურებზე იძახიან, რომ იგი არაადეკვატურია როდესაც ცვლადის დაკვირვებათა რიცხვი მცირეა და ასეთი რეგრესია დაკვირვებებს დიდ რიცხვს ითხოვს და პლუს, ამასთან ერთად, არაპარამეტრიკულ რეგრესიაში უფრო მწვავედ დგას ის საკითხი, რომ რაც უფრო მეტია დაკვირვებები, მით უკეთესია პროგნოზები. ჩვენ შემთხვევაში თითოეულ ცვლადზე არის 12 დაკვირვება, ხოლო შერჩეული ერთობლიობა ითვლება დიდად, თუკი არის მეტი ან ტოლი 30-ისა, ხოლო პარამეტრიკული მოდელების დროს პარელის თანახმად, თითოეულ ცვლადზე უნდა იყოს მინიმუმ 10 დაკვირვება, რომ გარანტირებული იყოს ზუსტი პროგნოზები¹³ [2. გვ.2] და ეს ასეა ბევრი მკვლევარის თანახმად. ჩვენ კი გვაქვს 12 დაკვირვება თითოეულ ცვლადზე.

გამომდინარე იქიდან, რომ პარამეტრიკული მოდელები არის წრფივი და არაწრფივი, უნდა განვიხილოთ ორივე მათგანი და ავირჩიოთ ის, რომელიც უკეთესია. წრფივი მოდელია ის, სადაც პარამეტრები არის პირველ ხარისხში, ხოლო არაწრფივია მოდელი, სადაც პარამეტრიც არის აყვანილი ხარისხში ან პარამეტრი წარმოადგენს ხარისხს. შევადაროთ წრფივი და არაწრფივი მოდელები:

$Y_i = c(1) * X_{i1} + c(2) * X_{i2}$ რეალური

$MSE = c(3) * \text{მოსახლეობის რიცხოვნობა} + c(4) * \text{მეგ შ} + c(5) * \text{იმპორტი} + c(6)$

$Y_i = c(1) + c(2) * X_{i1}^2 + c(3) * X_{i1}^3 + c(4) * \text{მოსახლეობის რიცხოვნობა} + c(5) * \text{რეალური მშპ} + c(6) * X_{i1}$

ამ ორი მოდელის შესადარებლად გამოვიყენოთ რეზიდუალ ფლთი. ამ წესის თანახმად ვირჩევთ წრფივ მოდელს. თუმცა ამ ორი მოდელის შედარებისას უკეთესი იქნებოდა თუ ავირჩევდით ბევრი არაწრფივი მოდელიდან საუკეთესოს აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმით (ორი მოდელიდან ისაა უკეთესი, რომელსაც უფრო დაბალი აკაიკის საინფორმაციო კრიტერიუმი აქვს) და ამ საუკეთესოს შევადარებდით წრფივ მოდელს. თუმცა ეს დროის დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული.

შემდეგ ეტაპზე, ვინაიდან ავირჩიეთ წრფივი მოდელი, მნიშვნელოვანია დაგტესტოთ, კმაყოფილდება თუ არა წრფივი რეგრესიის ვარაუდები/მოთხოვნები იმისათვის, რომ უფრო ზუსტი რეგრესიული ანალიზის შედეგები მივიღოთ. წრფივი რეგრესიის ვარაუდების/მოთხოვნების დატესტვის მერე დადგინდა, რომ მოთხოვნათა უმეტესობა კმაყოფილდება გარდა იმისა, რომ გამოვლინდა მულტიკოლინეარობა დამოუკიდებელ ცვლადებს შორის. როგორც ჩანს, საკმაოდ მწვავედ დგას ჩვენ შემთხვევაში მულტიკოლინეარობის პრობლემა. აქედან გამოსავალია მთავარ კომპონენტთა რეგრესია, თუმცა ერთგან ეწერა რომ იგი იწვევს უფრო მეტ პრობლემებს ვიდრე აგვარებს მათ. შესაბამისად, გაურკვევლობის გამო ვიყენებთ ქედის (ridge) რეგრესიას, რომლის სარგებლიანობა არის ყველაზე მეტად გასაოცარი, როდესაც არსებობს მულტიკოლინეა-

¹³ Peter C. Austin, Ewout W. Steyerberg, The number of subjects per variable required in a linear regression analyses, p.2

რობა¹⁴ [3, გვ. 5]. ამ უკანასკნელის შემთხვევაში კოეფიციენტთა შეფასება უმცირეს კვადრატთა მეთოდით იძლევა კოეფიციენტთა არამიკერძოებულ შეფასებებს, თუმცა ასეთ დროს კოეფიციენტთა სტანდარტული შეცდომები დიდია. ასე რომ, ისინი შეიძლება შორს იყოს რეალური მნიშვნელობებისგან; ხოლო ქედის რეგრესია ამცირებს სტანდარტულ შეცდომებს და იძლევა კოეფიციენტთა უფრო რეალურ სტანდარტულ შეცდომებს. მაშასადამე, კოეფიციენტთა შესაფასებლად ვიყენებთ ქედის (ridge) რეგრესიას. თუმცა, შესაძლოა საჭირო გახდეს ორსტადიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება თუ რომელიმე დამოუკიდებელი ცვლადი იქნა ენდოგენური. ენდოგენურია თუ არა დამოუკიდებელი ცვლადი, შესაძლოა შემოწმდეს ენდოგენურობის ტესტით, რომელიც ტარდება მას შემდეგ, რაც დავამტკიცებთ ინსტრუმენტული ცვლადების შესაბამისობას. ინსტრუმენტული ცვლადია ის, რომელიც კორელირებულია დამოუკიდებელ ცვლადთან, მაგრამ არ არის კორელირებული შეცდომით წევრთან, რომელიც ჩართულია მოდელში. თუ საჭირო გახდა ორსტადიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება, მაშინ ამ ორ მეთოდს შევადარებთ საშუალო კვადრატული შეცდომის თანახმად და ამ ორი მეთოდიდან ამოვირჩევთ იმას, რომელსაც ექნება უფრო დაბალი საშუალო კვადრატული შეცდომა, რომელიც ამ შემთხვევაში არ იანგარიშება რეზიდუალობიდან გამომდინარე. საშუალო კვადრატული შეცდომა იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{standard error}(B)^2 + [\text{Bias}(B, B_{\text{true}})^2]$$

უფრო ადვილი გზაა ამოვირჩიოთ არამიკერძოებული ესტიმატორი, როდესაც საშუალო კვადრატული შეცდომა უდრის მხოლოდ კოეფიციენტის ვარიაციას (სტანდარტული შეცდომა აყვანილი კვადრატში). საშუალო კვადრატული შეცდომა იანგარიშება თითოეული კოეფიციენტისათვის.

ჩავატაროთ ქედის რეგრესია პროგრამა ესპიესესში. თუმცა ვინაიდან ესპიესესი ვერ ატარებს ამ მაკროს, მაშინ მულტიკოლინეარობის მოგვარებას სხვა მეთოდებით ვცდებით, რაზედაც საუბარი გვექნება ამ სტატიის საბოლოო ნაწილში.

რეგრესიის სხვა მეთოდოლოგიების გამოყენებლობის დასაბუთება

ახლა, იმისათვის, რომ დავადგინოთ არის თუ არა რომელიმე დამოუკიდებელი ცვლადი ენდოგენური, პირველ ეტაპზე ჩავატაროთ ინსტრუმენტული ცვლადების ვალიდობის ტესტი. ვთქვათ, ასეთი ენდოგენური დამოუკიდებელი ცვლადია იმპორტი. მაგალითად, მასთან კორელირებული ცვლადია შინამეურნეობის შემოსავალი, რაც აიხსნება შემდეგით: თუ გაიზარდა შინამეურნეობის შემოსავალი, მაშინ მათ შეიძლება უფრო მეტი აწარმოონ, უფრო მეტი გაყიდონ და იმავდროულად შესაძლოა შემცირდეს იმპორტი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ვეღარ გავყიდოთ იმპორტირებული პროდუქცია. ასევე ინსტრუმენტულ ცვლადად ავიღებთ საშუალო შემოსავალს ერთ სულზე. ინსტრუმენტული ცვლადების შესაბამისობის ტესტის თანახმად, დამტკიცდა მათი ვალიდობა ე.ი. შეგვიძლია ჩავატაროთ ენდოგენურობის ტესტი. ჩვენ შემთხვევაში იმპორტი არ არის ენდოგენური ე.ი. არ ვატარებთ ორსტადიან უმცირეს კვადრატთა მეთოდს. უკეთესი იქნებოდა თითოეული დამოუკიდებელი ცვლადის ენდოგენურობის შემოწმება ყველა შესაძლო ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებით თუმცა ამას არ ვაკეთებთ, ვინაიდან ეს დროის დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული.

¹⁴ Patrick Breheny, Ridge regression, p.5

არ ვიყენებთ ლოგისტიკურ რეგრესიას, ვინაიდან არ გვაქვს დიქტომიური დამოკიდებული ცვლადი. თუმცა შეგვეძლო დამოკიდებული ცვლადის კოდირება ისე, რომ რაღაცა მნიშვნელობის ზევით მიიღებდა მნიშვნელობად 1 დამოკიდებული ცვლადი, ხოლო ამ მნიშვნელობის ქვევით დამოკიდებული ცვლადი მიიღებდა მნიშვნელობად 0-ს. თუმცა თუ ასე გავაკეთებთ მაშინ ვერ შევძლებთ დამოკიდებული ცვლადის ზუსტი მნიშვნელობის იდენტიფიკაციას და ამიტომ არ ვიყენებთ ლოგისტიკურ რეგრესიას.

ანალიზის პროცესში არ ვიყენებთ მარტივ რეგრესიას, ვინაიდან მივიჩნით რომ, უპიზე ზემოქმედებს ერთზე მეტი ფაქტორი.

ბაიესიანური რეგრესია არ გამოგვიყენებია, ვინაიდან ასეთი რეგრესიის დროს ვანგარიშობთ ალბათობას, რომ კოეფიციენტს ექნება კონკრეტული მნიშვნელობა, გამომდინარე მონაცემებიდან, და ჩვენი წინასწარი ცოდნიდან, რაც ამ სტატიაში არ ყოფილა ჩვენი მიზანი.

რობასტულ რეგრესიას, როგორცაა M-ესტიმატორი, არ ვიყენებთ, ვინაიდან ეს მეთოდი გამოიყენება აუთლაიერების დროს და როგორც ჩვენ მანამდე გავანალიზეთ, ჩვენ არ გვქონია ცვლადებში აუთლაიერები.

ბუნდოვან (fuzzy) რეგრესიას არ ვიყენებთ, ვინაიდან, მაგალითად, იგი გამოიყენება, როდესაც დამოკიდებული ცვლადი იღებს მნიშვნელობებად შემდეგს: დაბალი, საშუალო და მაღალი, ხოლო ჩვენ შემთხვევაში გვაინტერესებდა უპი-ის კონკრეტული მნიშვნელობის პროგნოზირება

რანდომული კოეფიციენტების რეგრესიას არ ვიყენებთ ვინაიდან ეს რეგრესია ითხოვს პანელურ მონაცემებს, ხოლო ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია მაგალითად, რა იყო დინამიკაში წარმოების ღირებულება თითოეული ქართული ფირმის შემთხვევაში, თუმცა პანელური მონაცემები შეგვეძლო აგველო ეკონომიკის სექტორების გამოყენებით, რასაც ასევე ვერ გავაკეთებთ, ვინაიდან მოდელში არსებულ ზოგიერთ ცვლადზე არ გვაქვს ეს ინფორმაცია, მაგალითად, არ გვაქვს ცვლად იმპორტზე თუ რა იყო მისი ზომა ეკონომიკის სექტორების მიხედვით. აღნიშნული მიზეზების გამო არ ვიყენებთ არც პანელურ რეგრესიას.

L1 რეგრესიას არ ვიყენებთ, ვინაიდან იგი გამოიყენება, როდესაც დამოკიდებულ ცვლადში არის აუთლაიერები, ხოლო ჩვენ უპი-ის შემთხვევაში ისინი არ გვქონია

Q-კვანტილურ რეგრესიას არ ვიყენებთ ვინაიდან ჩვენი მიზანი არ ყოფილა Q-პირობითი კვანტილის დამოკიდებული ცვლადის მოდელირება.

რეგრესიას სივრცულ სფეროში არ ვიყენებთ, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: სივრცული სფერო წარმოადგენს მონაცემებს, რომლითაც დგინდება პლანარული ობიექტის კონტურები, როგორცაა, მაგალითად, სამკუთხედი და მონეტა, ხოლო ჩვენ შემთხვევაში არ გვქონია ასეთ რამესთან შესება.

პოლინომიალურ რეგრესიას არ ვიყენებთ, ვინაიდან იგი გამოიყენება ნაცვლად წრფივი რეგრესიისა, როდესაც კავშირი საშედეგო ნიშანსა და ფაქტორულ ნიშანს შორის არის არაწრფივი, ხოლო ჩვენ შემთხვევაში მათ შორის კავშირი იყო მეტად თუ ნაკლებად წრფივი.

კორელაციურ ანალიზს არ ვიყენებთ, ვინაიდან ის აუცილებლად არ ნიშნავს მიზეზობრიობას, ხოლო ჩვენ შემთხვევაში გვაინტერესებდა რამდენად იწვევდა ერთი ცვლადი მეორეს. თუმცა კორელაციის კოეფიციენტიდან გამომდინარე, შესაძლოა მივიღოთ გადაწყვეტილება, ჩავრთოთ თუ არა ცვლადი მოდელში, ვინაიდან კორელაციის არსებობისას შესაძლოა იყოს მიზეზობრივი კავშირი დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ან იგი შეიძლება იყოს დამთხვევითი (ერთის ზრდისას თუ იზრდება მეორე, მაშინ ეს შესაძლოა იყოს მხოლოდ დამთხვევის გამო).

არ ვიყენებთ ასევე ავტორეგრესიულ მოდელს კონკრეტული მიზეზების გამო. მისი გამოყენებლობით დასტურდება ასევე ის, რომ არ გამსდარა საჭიროება დამოუკიდებელ ცვლადად გამოგვეყენებინა დამოკიდებული ცვლადის ლაგი.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე დავადგინეთ გამოვიყენოთ თუ არა სეზონური მოდელი. არ ვიყენებთ ამ უკანასკნელს კონკრეტული მიზეზების გამო. ასევე არ ვიყენებთ ტრენდულ მოდელსაც ვინაიდან უპი-ის დინამიკის დროს, გრაფიკული სურათის თანახმად, უპი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ხასიათდება ზრდით ან კლებით.

ასევე, მოკლედ რომ ვთქვათ, არ ვიყენებთ უპი-ის პროგნოზირების საზღვარგარეთ არსებულ მეთოდებს კონკრეტული მიზეზების გამო. შესაბამისად, ნაკლები პროგნოზირების მეთოდების გამო ვერ ვახერხებთ პროგნოზების შედარებას იმის დასადგენად, თუ რამდენად ზუსტია პროგნოზირების რომელიმე საუკეთესო მეთოდი.

ასევე, რეგრესიული ანალიზის პროცესში, იმისათვის, რომ კოეფიციენტის T-სტატისტიკიდან გამოვძინარე გამოვიტანოთ ვალიდური დასკვნები რეგრესიის კოეფიციენტის არსებობის შესახებ, საჭიროა მოდელში შეყვანილი დამოკიდებული ცვლადი იყოს სტაციონალური¹⁵ [4]. რეგრესიის დროს არ არის აუცილებელია, დამოუკიდებელი ცვლადები იყოს სტაციონალური, მაგრამ აუცილებელია რომ დამოკიდებული ცვლადი იყოს სტაციონალური. ჩვენ შემთხვევაში უპი სტაციონალურია, ანუ არ გვაქვს არასტაციონარობის პრობლემები. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ ორივე – დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები არის არასტაციონალური, მაშინ უმჯობესი იქნება იმის შემოწმება, რომ არიან თუ არა ცვლადები კონტეგრირებული, ვინაიდან არასოდეს არ უნდა ჩაატარო რეგრესია არასტაციონალურ ცვლადებზე. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც მოდელში არსებული ცვლადები არის კონტეგრირებული.

შერჩეული რეგრესიის ალტერნატიული მეთოდი მულტიკოლინეარობის მოსაგვარებლად

ახლა შევეხებით მულტიკოლინეარობის მოგვარების სხვა მეთოდს. პირველ ეტაპზე დავხედოთ ფაქტორული ნიშნების VIF (variance inflation factor). თუ ეს მაჩვენებელი არის 10 ან 10-ზე მეტი, მაშინ გვაქვს მულტიკოლინეარობის პრობლემა. ამ მაჩვენებლის შემოწმების მერე მივიღეთ პროგრამა ესპიესესში ფაქტორებისათვის ამ მაჩვენებლის ძალიან მაღალი მნიშვნელობები. ე.ი დამტკიცდა მაღალი კორელაციის მაჩვენებლების არსებობა ფაქტორებს შორის. თუკი გვაქვს ორი ან მეტი ფაქტორი მაღალი VIF-ით, მაშინ შეგვიძლია მოდელს მოვაცილოთ ერთ-ერთი (დავაშტკიცოთ ამ ცვლადების ამოღება ასევე ცვლადების P-ღირებულებიდან გამოვძინარე). ვინაიდან ასეთი ფაქტორები ზედმეტ ინფორმაციას იძლევა, ერთ-ერთის მოცილება კორელირებული ფაქტორებიდან ღებერმინაციის კოეფიციენტს მნიშვნელოვნად არ ამცირებს. დამოუკიდებელი ცვლადების P-ღირებულება თითოეული ცვლადის დროს იყო მნიშვნელოვნად მეტი 0.01-ზე (0.01 და არა 0.05 იმიტომ ავიღეთ, რომ ვატარებდით მრავლობით რეგრესიას, შერჩეული ერთობლიობა იყო პატარა და რეზიდუალები იყო არანორმალურად განაწილებული. ნორმალურობის ტესტად გამოვიყენეთ შაფირო ვილკის ტესტი, ვინაიდან რეზიდუალების დაკვირვებათა რიცხვი იყო 2000-ზე ნაკლები). თუ ვიფი არის 100-ზე მეტი, მაშინ სარწმუნოდ არსებობს მულტიკოლინეარობა. შესაბამისად ამოვაგდებთ მოდელიდან ცვლადებს რეალურ მშპ-სა და

¹⁵ James Forest, university of Massachusetts, www.researchgate.net

მთლიან ეროვნულ განკარგავად შემოსავალს და დავაკვირდებით R-კვადრატის ცვლილებას¹⁶ [5]. ამოღებული ცვლადები იძლეოდა ზედმეტ ინფორმაციას, რაც დასტურდება იმითაც, რომ R-კვადრატი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა. მულტიკოლინეარობის პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება დასტურდება იმით, რომ მოდელში დარჩენილი ცვლადების ვიფი ერთი ცვლადის დროს იყო ნაკლები 10-ზე და სხვა ორი ცვლადის დროს ძალიან ცოტათი აღემატება 10-ს. ეი საინვესტიციო აქტივობის ზრდის ფაქტორებად გამოვლინდა ხელფასი, იმპორტი და მოსახლეობის რიცხოვნობა. რეგრესიული ანალიზის შედეგების განხილვისას/მოდელის დიაგნოსტიკის დროს პირველი ეტაპია იმის შემოწმება, არის თუ არა შესაბამისობაში კოეფიციენტის ნიშანი თეორიასთან. მოსახლეობის რიცხოვნობას ჰქონდა უარყოფითი კოეფიციენტი, რაც ეწინააღმდეგება თეორიას, ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდისას უპი მცირდება (თანაც საქართველოში იყვნენ ძირითადად ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორები). თუ ცვლადის კოეფიციენტის ნიშანი არ შეესაბამება თეორიას, მაშინ შეიძლება გვქონდეს სერიოზული მულტიკოლინეარობა, რაც ჩვენს შემთხვევაში VIF-ის თანახმად გამოირიცხა. მცირე მულტიკოლინეარობა არ არის დიდი პრობლემა. ეი მოდელს რაღაც სხვა პრობლემები აქვს, რისი მოგვარებაც ვერ მოხერხდება ერთ სტატიაში. ასევე ცვლადების P-ღირებულებიდან გამომდინარე, ცვლადები არაარსებითია, რაც ადასტურებს იმას, რომ მოდელს რაღაც პრობლემები აქვს. რაც შეეხება R-კვადრატს, მისი მნიშვნელობა 0.588 სავსებით დამაკმაყოფილებელია ორი მიზეზის გამო 1) მეტია 0.577; 2) რეგრესიაში არ არის მიზანი R-კვადრატის მაქსიმიზაცია არაშესაბამისი ცვლადების ჩართვით მოდელში. მიუხედავად ცვლადების P-ღირებულებებიდან გამომდინარე, არაარსებითად მიჩნეული ცვლადები შესაძლოა მივიჩნიოთ საკმარისად ინფორმატიულად, ვინაიდან თითოეულ ცვლადზე დაკვირვებათა რიცხვი მცირეა და დაზუსტებული R-კვადრატი არის არც ნული და არც უარყოფითი¹⁷ [6].

დასასრულად, არ ვაკეთებთ პროგნოზებს, ვინაიდან გვაინტერესებდა საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორების ანალიზი, რაც შესაძლებელია მხოლოდ რეგრესიული ანალიზის შედეგების განხილვის საფუძველზეც.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა უნდა ყოფილიყო ზუსტადაც მნიშვნელოვანი ცვლადი და არა მეგშ, რაც აიხსნება იმით, რომ მეგშ არის მთლიანი შემოსავალი, რაც იხარჯება პროდუქციის შექმნაზე, მისი ზრდა კი თეორიულად უნდა მოხდეს მდიდარი ფენის კიდევ უფრო გამდიდრების საფუძველზე. ვინაიდან მდიდარი ფენა საქართველოში მოსახლეობის მცირე წილს წარმოადგენს, თუ მეგშ გაიზარდა მნიშვნელოვნად, მაშინ ეს უფრო მდიდრების საფუძველზე მოხდება, ანუ მეგშ-ის გაზრდა მეტყველებს იმაზე, რომ ცოტა ადამიანის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, არ გამოიწვევს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული ინვესტორის პროდუქციის დიდად რეალიზაციას, ხოლო თუ მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მდიდრების რიცხოვნობის ზრდის გარდა, შესაძლოა ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდოს საშუალო ფენა, რაც დამატებით განაპირობებს ინვესტორის პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც ორიენტირ-

¹⁶ <http://blog.minitab.com/blog/understanding-statistics/handling-multicollinearity-in-regression-analysis>

¹⁷ <https://people.duke.edu/~rnau/rsquared.htm>

ბულია ბაზრის ათვისებაზე. ანუ ჩვენი რეგრესიის შედეგებით მტკიცდება ჩვენი წამოყენებული ჰიპოთეზა მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის კოეფიციენტი უარყოფითია, რომელიც, წესით, დადებითი უნდა გახდეს უკეთეს მოდელში.

სტატის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ მასში პირველად მოხდა საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითადი ფაქტორების ანალიზი ასლებური მიდგომით და მხოლოდ შესაბამისი (მნიშვნელოვანი) ფაქტორები იქნა გამოვლენილი ავტორის მიერ. კერძოდ, სხვადასხვა ტესტის თანახმად მრავალი ფაქტორიდან ამოღებულ იქნა ექსპორტი და სუბსიდიები და ასევე სხვა დამატებითი პროცედურების ჩატარების მერე დადგინდა, რომ საინვესტიციო აქტივობის ზრდის ძირითად ფაქტორებად გვევლინება ხელფასი, იმპორტი და მოსახლეობის რიცხოვნობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.eviews.com/help/helpintro.html#page/content/Regress2-Stepwise_Least_Squares_Regression.html
2. Peter C. Austin, Ewout W. Steyerberg, The number of subjects per variable required in a linear regression analyses.
3. Patrick Breheny, Ridge regression.
4. James Forest, university of Massachusetts, www.researchgate.net
5. <http://blog.minitab.com/blog/understanding-statistics/handling-multicollinearity-in-regression-analysis>
6. <https://people.duke.edu/~rnau/rsquared.htm>

Zurab Kirkitadze
Doctoral Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ANALYSIS OF FDI DETERMINANTS IN GEORGIA **Expanded summary**

Foreign direct investments play important role in economy of countries. Foreign direct investments play important role especially in developing countries (also in Georgia).

Foreign direct investors are motivated by such factors as low salary, factors that contribute to sale of products such as many inhabitants, high income of individuals, economic growth (increase of real GDP), disposable income, subsidies, imports and exports that in its turn indicate how open is an economy, inflation (consumer price index) and so on. But do these factors play significant role in attraction of FDI to Georgia. In order to answer this question we conducted regression analysis and applied econometrics. Specifically we conducted various tests and according to principles of econometrics we proved that out of many above mentioned factors subset of factors really play relevant role in attraction of FDI to Georgia.

The motivations of investors are different. Dunning, author of eclectic paradigm, grouped the motivations of investors in four groups: market-seeking FDI, efficiency-seeking FDI, resource seeking FDI and strategic asset seeking FDI. Market-seeking foreign direct investors are motivated by sale of products on local market (the easier the sale of products on local markets the more such FDI will be made). So as in Georgia the majority of investors were market-seeking investors (see Vaxtang Charaia who reached this conclusion according to analysis of statistical data in Georgia) and according to Dunning's characterization of such type of FDI we decided to include in the model as independent variables the following variables:

real GDP, gross national disposable income, number of inhabitants. we decided to include also consumer price index(inflation) among other explanatory variables but because of the fact that frequency of this variable was different from frequency of other explanatory variables we decided not to include this variable among other factors that we included in the model. Also because of the above mentioned facts we also decided to include import as independent variable in our model that is conditioned by the following: If imports increase in country then there will be many competitors to foreign investors and they won't be able to sell as freely products as they would sell if there had not been many importers in the country. but at the same time if there are many importers in the country theoretically this could be positive factor for market-seeking investors because if there are many products in the economy this could result in reduction in expenses for such investors and consequently they would sell many products as the price of their products decrease. Second place according to volume of FDI inflow into Georgia took efficiency-seeking FDI (see vakhtang Charaia who made such conclusion according to analysis of statistical data in Georgia). According to dunning's eclectic paradigm the motive of such investors is to increase efficiency and reduce various costs. So we decided to include in our econometric model the variable salary as one of explanatory variables. Third place according to inflow of investment in Georgia took resource seeking investments. The latter is motivated by export of products or resources to home country. So we decided to include in the model as additional explanatory variable the variable exports.

After various procedures we decided that final explanatory variables that should be included in the econometric model are salary, population number and imports. The variable salary turned out to have high negative coefficient that could be explained by the fact that we don't have statistics about strategic asset-seeking FDI and in 2007-2013 efficiency-seeking FDI to 17% of total inflow of FDI into Georgia in this years. We could not find statistics about strategic asset seeking FDI. During such FDI investors are motivated by such factors as skilled and highly competent human capital to whom we should pay high salary logically. Accordingly because of increase of salary such FDI could be hindered significantly because of it that during such FDI investors are motivated by strategic assets as well (one of which is human capital) that would enable foreign investors to compete with local firms. Consequently during such FDI investor should have as low costs as possible in order to set low price on goods in order to have profit anyway. So when salary increase, costs of investor also increase and because of this such FDI could be hindered significantly in Georgia. But one flaw of our approach is it that we considered only salary. It would be better to consider the square of salary that would tell us if the increase of salary decrease such FDI only after salary increases occur when salary is above some high level. Such approach is logical as salary increases would be hindering factor for inflow of FDI when salary increases lead us to high salary and not when salary increases lead us to low level of salary. As efficiency-seeking FDI was low in Georgia and as investors are motivated by reduction of various costs in case of such FDI salary increase that reflects increase of costs would be hindering factor for inflow of FDI in Georgia. But again it would be better to interpret the coefficient of squared salary in such a case the necessity of what is based on logic that we introduced previously with regard to strategic asset-seeking FDI.

With regards to population number, the coefficient of which turned out to be negative and insignificant which contradicts with theory as in Georgia the majority of FDI was market-seeking FDI. Insignificant coefficient means that inflow of FDI is not affected by change in population number and negative coefficient means that when population number increases FDI decreases that is in contradiction with theory because when population number increases FDI should also increase so we should have positive coefficient. In this case we could have multicollinearity problem but according to variance inflation factor we have very little multicollinearity problem which is not necessarily big problem. But we should keep anyway this variable in the model because high number of population reflects big market (many

consumers) and in Georgia the majority of investors were market seeking investors despite of the fact that coefficient of this variable was negative and insignificant.

With regards to import it is statistically significant, but its sign is not probably correct as majority of FDI into Georgia was market seeking. Though positive coefficient of this variable could be explained by the following: in case of import the quantity of local products increases, consequently prices can decrease and investor could purchase resources in low prices. This is proved by the fact that first place according to FDI volume took market seeking FDI(in case of low prices the sale of products could be easier and at the same time investor could make profit) and the second place took efficiency seeking during which investors are motivated by reduction of various costs.

The practical importance of this article is revealed by the fact that we proved in the model according to Ramsey Reset test that we don't have omitted variable bias that in its turn reflects it that we kept in the model only relevant explanatory variables/significant explanatory variables and we did not omit significant variables in the model. Accordingly those bodies that work on attraction of FDI and those bodies that create policies for attraction of FDI could attract FDI by paying attention to less procedures and consequently efficiency in attraction of FDI could increase. For example as import proved to be significant factor for attraction of FDI government bodies could pass some reforms in the country that would promote imports for products into Georgia but as the size of this coefficient is low it is not necessary to increase imports by high volumes (also increasing of imports by high volumes is not necessary as this could result in trade deficit and increasing of imports by high volumes could be detrimental for country's balance of payment). Those bodies could also try to return migrants into Georgia that would increase the number of population in country and this way we could attract significant amount of additional FDI as this factor may be significant factor for attraction of FDI into Georgia because we had high volume of market seeking FDI inflow into the country. But one flaw of our approach is it that it would be better to test sign and significance of salary in squared form because by this way we could find out if salary increase hinders FDI inflow only after salary increase occur after high level of salary and logically this would be better because if salary increase does not occur we could lose many workers from companies that would be deterrent to economic growth after which FDI inflow would decrease into Georgia. In summary efficiency in attraction of FDI could be increased because according to various tests we found out that for example subsidies is not significant factor for attraction of FDI. So government could save and not give subsidies and attract FDI anyway(theoretically subsidies don't play important role in case of market seeking FDI because government does not play important role in attraction of such FDI and subsidies are given by government and in Georgia majority of FDI inflow comprised of market-seeking FDI)

ხსოვნა

ლეო ჩიქავა – 90

გამოჩენილ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლეო ჩიქავას 2018 წლის 20 თებერვალს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

ბატონმა ლეომ სახელოვანი ცხოვრების გზა განვლო. იგი იყო: უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, მის მიერ დაფუძნებული: დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პაატა გუგუშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

ბატონი ლეო არის 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აქედან – 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი. მისი სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, მრეწველობის, დემოგრაფიის, სოციოლოგიის და ტერმინოლოგიის პრობლემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ლეოს მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი მონოგრაფიები: „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“, „ინოვაციური ეკონომიკა“, „დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში“, “Экономическая и демографическая терминология“ და სხვ.

ბატონი ლეო დამსახურებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის დაჯილდოებული იყო საქართველოს ღირსების ორდენით.

2018 წლის 23 მაისს თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა ბატონი ლეოს დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.

სხდომა გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა**. მოხსენება, „ლეო ჩიქავას ცხოვრება და მოღვაწეობა“, გააკეთა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძემ**.

მოგონებებით გამოვიდნენ: ემდ, პროფ. **ნოდარ ჭითანავა**, აკადემიკოსი **ნანა ხაზარაძე**, პროფესორი **ავთანდილ სულაბერიძე**, ქ. ზუგდიდის საზოგადოების წარმომადგენელი, ბატონი ლეოს შვილი აკადემიური დოქტორი გიორგი ჩიქავა. გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ბატონი ლეოს მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მომენტებზე და პირად ცხოვრებაზე.

ბატონმა ლეომ დატოვა შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის, მეცნიერებისა და განათლების ნიჭიერი ორგანიზატორის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, ჩინებული პიროვნების და ღირსეული აღმზრდელის სახელი.

ბატონი ლეოს ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების, ნათესავებისა და აღზრდილების გულში.

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი
კკ. აკად. დოქტორი **ლინა დათუნაშვილი**

პროფესორი გიორგი წერეთლის გახსენება

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი წერეთელი. დასანანიია, რომ იგი ადრე, მეცნიერული შემოქმედების ხენიტში მყოფი, წავიდა ამ ქვეყნიდან.

ბატონი გიორგი წერეთელი გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მტკიცე ნებისყოფით, პრინციპულობით, მიზანსწრაფვით, საოცარი შრომისმოყვარეობით და საქმისადმი ერთგულებით. სწორედ აღნიშნულმა თვისებებმა განაპირობა მისი ფართო აღიარება და მაღალი ავტორიტეტი.

ბატონმა გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურა. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერი თანამშრომლი, დირექტორის მოადგილე და დირექტორი.

პროფესორ გიორგი წერეთელს გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის, 20 წიგნი (5 თანაავტორობით). მისი სამეცნიერო ნაშრომები ძირითადად ეძღვნება ეკონომიკურ-მათემატიკური, ეკონომიკურ-ეკოლოგიური, მაკროეკონომიკის, ეკონომიკური თეორიისა და სხვა პრობლემების კვლევას.

ბატონი გიორგის ხელმძღვანელობით პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთელმა კოლექტივმა გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან, მძიმე პირობებში მოახერხა არა თუ შეემცირებინა, არამედ გაეზარდა გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა. მისი ყურადღებითა და ძალისხმევით ინსტიტუტის ბევრმა თანამშრომელმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. იგი იყო ინსტიტუტში ბევრი კარგი ტრადიციის სულის ჩამდგმელი, რაც ასევე წარმატებით გრძელდება დღესაც.

ბატონი გიორგის ადრეულ ასაკში გარდაცვალების გამო ბევრი გასაკეთებელი და დაუმთავრებელი საქმე დარჩა. სამწუხაროა რომ იგი ვერ მოესწრო ვაჟის წარმატებებს. შაკო მამის კვალს გაჰყვა და ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მე-9 კლასის წარჩინებული და სხვადასხვა ოლიმპიადების მრავალგზის გამარჯვებული მოსწავლეა, რაშიდაც დიდა მისი დედის, ნანა ბიბილაშვილის, წვლილიც.

მშობლიური ინსტიტუტის თანამშრომლები არ ივიწყებენ მის ღვაწლსა და სიკეთეს, ყოველწლიურად აღინიშნება მისი დაბადების დღე. ორჯერ, დიდი საერთაშორისო კონფერენციითა და საიუბილეო სხდომით აღინიშნა მისი დაბადებიდან 60 და 65 წლისთავი, გამოქვეყნდა წიგნი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და სხვ.

ბედნიერია ადამიანი, რომლის ღვაწლს გარდაცვალების შემდეგ არ ივიწყებენ, რომელსაც პატივისცემით, გულთბილად და სიყვარულით მოიგონებენ. ასეთი ადამიანების რიცხვს მიკუთვნება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი წერეთელი. მარადიული ხსოვნა მის სახელს.

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე: ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე, ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Sesili khanjaladze, Nato Abesadze**